არტაშეს ქალანთარიანი

მარათონი

რომანი

თანამედროვე სომეხი მწერლის ა. ქალანთარიანის რომანში მკითხველი მისთვის ახლობელ გარემოს, თანამედროვე ამაღელვებელ ცხოვრებისეულ სურათებს გაეცნობა. რომანი სიცოცხლის, ცხოვრების სიყვარულს გვინერგავს და თან პროტესტის გრძნობით განგვაწყობს უმსგავსოებათა, უკუღმართობათა მიმართ.

თარგმანი ჯუმბერ თითმერიასი

წიგნის ავტორის პორტრეტის შტრიხები

ჩვენმა ძველისძველმა და ერთგულმა მეგობრებმა - ქართველებმა გამოსცეს არტაშეს ქალანთარიანის რომანი „მარათონი“. მათ კიდევ ერთი კარგი, საჭირო საქმე გააკეთეს.
არტაშეს ქალანთარიანი ერთი იმ ფრიად საინტერესო, ნიჭიერ ავტორთაგანია, რომლებიც სამოციანი წლების ზღურბლზე მძლავრ ნაკადად შემოუერთდნენ სომხურ ლიტერატურას. ის მრავალ ჟანრში მოღვაწე მწერალია - პროზაიკოსი, დრამატურგი, იუმორისტი - და ყველა ამ ჟანრში შექმნილი აქვს ჩინებული, შთამბეჭდავი ნაწარმოებები.
მისი ხმა წლიდან წლამდე იხვეწებოდა და იხვეწება, მისი ინტერესების წრე წლიდან წლამდე ფართოვდებოდა და ფართოვდება, მისი მსოფლგანცდა ღრმავდებოდა და ღრმავდება, მისი ნაწარმოებების თემატიკა სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება.
ა. ქალანთარიანი სამწერლო ასპარეზზე ნარკვევებითა და ფელეტონებით გამოვიდა. მის მახვილ თვალსა და ასევე მახვილ კალამს იმთავითვე არ დარჩენია შეუმჩნეველი და აღუნუსხველი საზოგადოებრივი მანკიერებები, ჩრდილოვანი მოვლენები. ახალგაზრდა ავტორი დაუნდობლად ამხილებდა კარიერისტებს, მომხვეჭლებს, ბიუროკრატებს. ფართო აღიარება მოუპოვა მას მხატვრულმა ფელეტონმა. კონკრეტულ ფაქტს ის საზოგადოებრივი ცხოვრების ქურაში ატარებდა, მის დადებით და უარყოფით მხარეებს მრავალმხრივად აანალიზებდა, თვალსაჩინოს ხდიდა და საკუთარ მებრძოლ, უკომპრომისო პოზიციასაც ცხადად ავლენდა. იუმორისტის ხალასმა ნიჭმა ა. ქალანთარიანს უფრო მასშტაბური, გონებამახვილური ტილოების - კომედიების შექმნისაკენ უბიძგა.
წიგნებმა „ფერადი სიზმრები“ (1962 წ.), „სინდისის ღამეული სტუმრობა“ (1965 წ.), „მოთხრობები“, „მსოფლიოს გზებზე“ (1967 წ.) დიდი აღიარება მოუტანა მათ ავტორს, ხოლო რომანმა „მარათონმა“ მყარად დაუმკვიდრა ღირსეული ადგილი თანამედროვე სომხურ პროზაში.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ა. ქალანთარიანის მცირე ფორმის ნაწარმოებებსა თუ ფართო ტილოებში, პროზასა თუ დრამაში ძალუმად ისმის თანადროულობის სუნთქვა, ცხოვრების მობობოქრე ნიაღვრის ხმაური. მისი მოთხრობები, მისი გმირები ძალზე ცხოვრებისეულნი არიან. როგორც იტყვიან, ისინი ცხოვრების შუაგულიდან არიან შობილნი. ამის მიზეზი ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილებაა. ა. ქალანთარიანი ლიტერატურაში წიგნებისმიერი შთაბეჭდილებებით კი არ მოსულა, არამედ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მხატვრულ ნაწარმოებებში რეალიზების დაუმცხრალი წადილის შედეგად. იგი თან სწავლობდა, თან მუშაობდა - შიკრიკიც ყოფილა, არქივის მუშაკიც, ტექნიკური მდივანიც. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე სწავლისას, ჯერ სახალხოსნო სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ხოლო შემდეგ კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგე იყო.

ამას მოჰყვა უფრო საპასუხისმგებლო, წმინდა ჟურნალისტურ-პუბლიცისტური მოვალეობები: იყო რადიოს საკუთარი კორესპონდენტი სომხეთის შორეულ რაიონებში, რესპუბლიკური პარტიული გაზეთის „სოვეტაკან ჰაიასტანის“ ფელეტონისტი, საქალაქი გაზეთ „ერევნის“ განყოფილების გამგე, ლიტერატურული გაზეთ „გრაკანთერთის“ პასუხისმგებელი მდივანი, სომხეთის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მთავარი რედაქტორი.

ყოველივე ამან მდიდარი გამოცდილება შესძინა მას, და ამიტომაა მისი პროზა და დრამატურგია დასახლებული ასე ცოცხალი, ასე რეალური ადამიანებით. აი, რატომაა, რომ ა. ქალანთარიანის ნაწარმოებები ასეთი სითბოთი გვმსჭვალავენ, სიცოცხლის, ცხოვრების სიყვარულს გვინერგავენ, თან, აქტიური პროტესტის გრძნობით განგვაწყობენ ცხოვრებისეულ უმსგავსოებათა მიმართ.

მის მოთხრობებში ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობების რთული, მართალი პროცესები დიალექტიკურად, ორგანულადაა გადაჯაჭვული სამშობლოდან ძალდატანებით ლტოლვილი ასი ათასობით და მილიონობით სომეხი ადამიანის ტრაგიკულ, შემზარავ ხვედრთან.

ყოველივე ეს - წარსულის ტრაგედია - პირველი მსოფლიო ომის დროს თურქი კანიბალების მიერ სომეხი ხალხის თავზე დატრიალებული შემზარავი გენოციდი თუ სომეხი ხალხის ბედნიერი, რწმენით აღსავსე დღევანდელი დღეები - შთამბეჭდავი გამომსახველი საშუალებებით, ოსტატურადაა ასახული მის ნაწარმოებებში.

ვრცელი მოთხრობა „რესპუბლიკის სამაგალითო მოქალაქე“ მწერლის გამორჩეული ნიჭიერების ახალ დადასტურებად მოგვევლინა. ავტორს აქ აღელვებს ის სოციალური, პოლიტიკური და მორალური გარემოებები, რომლებიც თრგუნავენ ადამიანის პიროვნებას, მის სულიერ მდგომარეობას.

მოთხრობის გმირი ალექსანდრე ევროპის ერთი მცირე ქვეყნის პატარა ქალაქის მკვიდრია. მან მთელი თავისი სიცოცხლე პატიოსნად იცხოვრა, სიკეთე თესა, სანიმუშო მეუღლე და მამა გახლდათ და, მაინც, ცხოვრების ბადემ თავის ხლართებში მოაქცია, ხელ-ფეხი შეუკრა. ირკვევა, რომ მთელი სიცოცხლე მის ყოველ ნაბიჯს სხვები წარმართავდნენ და როგორც თვითონ ალექსანდრე ათამაშებდა თავისი ხელით გაკეთებულ სათამაშოებს, ისე იმ ქვეყანაში, სადაც იგი ცხოვრობდა, ყველა ბედს ვიღაც სხვები განსაზღვრავდნენ, ყველას ვიღაც-ვიღაცები თოჯინებივით, ფიტულებივით ათამაშებდნენ, პირს აღებინებდნენ, ალაპარაკებდნენ დაპროგრამებულ სიტყვებს, თავიანთი სურვილის, სცენარის შესაბამისად ამოქმედებდნენ „და თავის ცხოვრებას, თავიდან ბოლომდე, თვალი გადაავლო თუ არა, ალექსანდრემ სიმწარითა და სინანულით განაცხადა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. ამქვეყნად ჩვენ ყველანი მხოლოდ მსხვერპლნი ვართ... მხოლოდ მსხვერპლნი...“

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

და პიროვნების ხვედრით თავზარდაცემულ ალექსანდრეს გულის სიღრმიდან აღმოხდება წყევლა-კრულვა ამა ქვეყნის ძლიერთა, უზურპატორთა მიმართ: „ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ადამიანთა ბედს თქვენი ნებით ატრიალებთ? ვინ მოგცათ უფლება, რომ ადამიანები თოჯინებივით ათამაშოთ? ვინა ხართ თქვენ, ვინ, რომ ღმერთებად თვლით თავს? ვინ მოგცათ სხვების მაგივრად გადაწყვეტილებების მიღების, მათი ცხოვრების თქვენი ნება-სურვილის შესაბამისად წარმართვის უფლება? ვინ მოგცათ უფლება, რომ ადამიანებს მაშინ და იქ სიკვდილი დაუდგინოთ, სადაც და როცა მოგეგუნებებათ?“...

თანამედროვე თემატიკისა და პრობლემების გაშუქებისას ასეთი ჰუმანური მსოფლგანცდა, ასეთი სწორი მხატვრული კონცეფცია განაპირობებს ა. ქალანთარიანის, როგორც მწერლის, მოქალაქის პოპულარობას დღევანდელ სომხეთში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი კომედიები. იუმორისტი ა. ქალანთარიანი ღრმად და მასშტაბურად წარმოჩინდა კომედიის ჟანრში, იგი კომიკური სიტუაციების შექმნის, კომიკური სიტყვის ნამდვილი ოსტატია. მისი კომედიები დამყარებულია მხიარულ და გონებამახვილურ სიტუაციებზე, ცინცხალ, სახიერ დიალოგებზე, პერსონაჟთა ფსიქოლოგიურად მართალ ურთიერთობებზე. კომედიებში „ზარი ზემოდან“, „ძალიან თანადროული მკვლელობა“, „ბუმერანგი“, „საღამოსპირის ზღაპარი“ და სხვა. ა. ქალანთარიანი სატირის, იუმორის, სიცილის ნაირფერადი საღებავებით ამხელს და ამათრახებს თანადროული საზოგადოების ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს.

ა. ქალანთარიანის კომედიებს ხშირად გადასცემს სომხეთის რადიო, ისინი იდგმებოდა და იდგმება არა მარტო სომხეთის, არამედ სხვა ჩვენი რესპუბლიკების თეატრებში. ერთი მათგანი „ზარი ზემოდან“ იდგმება ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხურ თეატრსა და ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატულ თეატრში (თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ). მწერლის შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მისი მოგზაურული შენიშვნები და ნარკვევები. სადაც უნდა იყოს იგი - ინგლისსა თუ იაპონიაში, მექსიკაში, აფრიკასა თუ ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა თუ ფიჯის კუნძულებზე, უწინარეს ყოვლისა, ეძებს არა ეგზოტიკას, არამედ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ამ ქვეყანაში ისტორიის ქარტეხილთაგან გადახვეწილ თანამემამულეებს. ამ თვალსაზრისით ა. ქალანთარიანის მოგზაურობის დღიურები და ნარკვევები ადამიანებს მდიდარ მასალას სთავაზობენ სამშობლოს ბედზე, მამა-პაპათა მიწის წინაშე ადამიანის მოვალეობაზე დასაფიქრებლად.

თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ მას სომხურად თარგმნილი აქვს ი. ილფისა და ე. პეტროვის, ი. დოლდ-მიხაილიკისა და ვ. აკოპიანის, ნოდარ დუმბაძისა და სხვა მწერალთა ნაწარმოებები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მეგობარი ქართველი მკითხველი ზოგადად მაინც უკვე იცნობს არტაშეს ქალანთარიანის ლიტერატურულ პორტრეტს. ამ პორტრეტის გაცნობა კი საჭიროა იმისათვის, რომ უკეთ, მრავალმხრივ აღვიქვათ ნიჭიერი მწერლის შესანიშნავი რომანი „მარათონი“, აწ უკვე ქართულადაც თარგმნილი.

სევაკ არშუმანიანი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მარათონი

სიცრუეა, სიცრუე! დრო იარას არ აშუშებს. ყოველდღიურ გაწამაწიას, ათასნაირ საზრუნავს, ათასნაირ სიხარულსა თუ ელდას არ შეუძლია გულისგულიდან განდევნოს ან, თუნდაც, სადღაც მის ბნელ კუნჭულებში მიკუჭოს, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაგვმჩნევია - ჩვენი ტკივილები, დარდი, ვარამი... არა, დრო ტკივილს არ არჩენს, არ შეუძლია...
- აგერ, ნაცნობი სახე დაინახე, აგერ ეს იმას მიამგვანე, ამასაც ის სახელი ჰქვია, ამანაც იმნაირად შემოგხედა, როგორც ოდესღაც მავანს შემოუხედავს... სულ უმნიშვნელო, უბრალო რამაა საჭირო, რომ... და, საერთოდ, ხშირად, ძალზე ხშირად არც არავითარი საბაბი არ გინდა, არავითარი, ვერ დაგივიწყებია, ვერა და რა გინდა ქნა!.. მოგონებები თან გდევენ, ისინი შენშია, შენს არსებაში. სული კიდობანი როდია, რომ ყველაფერი, რასაც შიგ ჩადებ, შეინახოს, ზოგ რამეს იგი იცილებს, გზას აძლევს, ზოგ რამეს ესათუთება, ელოლიავება და ნეტარებით ითავისებს. შენც იცვლები, ცოტათი მაინც სხვანაირი ხდები, ცოტათი მაინც ახლდები და ასე მიდიხარ შენს გზაზე... ასეა.
მეც დიდხანს ვცდილობდი დამევიწყებინა ზოგიერთი სახე და ამბავი. ზოგჯერ, როცა სიხარულის მიზეზი მქონდა და ვხარობდი, უცებ მიფიქრია, რომ მორჩა, ყველაფერი დავიწყებულია, მაგრამ სწორედ ამის გაფიქრება მიღვიძებდა მთვლემარე მოგონებებს და გულის კოვზთან ტკივილი მიგრძნია.
გასაოცარი ამბავია, ასეთ წუთებში ყოველთვის მეჩვენება, რომ ნანარი ახლაც, როგორც ოდესღაც, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, ცხვირზე თითს მადებს და ჩურჩულით მევედრება:
- გაიცინე, რა, გესმის, გაიცინე!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

პირველი თავი
ძველი დარდი და ტკივილი

ეს ქუჩა მტკაველ-მტკაველ ვიცი. არცაა გასაკვირი. უკვე თხუთმეტი წელია, ამ ქუჩაზე დავაბიჯებ, უფრო სწორად, აქ ჯერ ხელით დავყავდით, მერე ფეხზეც დამაყენეს და მკაცრად გამომცადეს, ვნახოთ, რა ხვითო ხარ, აბა, თუ გაივლიო. მაგარი ბიჭი გამოვდექი, გავიარე და მერე როგორ გავიარე - ერთი, ორი... კიდე, კიდევ... დედაჩემისა და ჩემი დის ხელის გამშვები ვიყავი?! ერთხანს, არ ვიცი, რამდენ ხანს, ასე მატარეს, მერე გიჟივით მიმიშვეს ნებას. დრო დამიდგა და დაიწყო ჩემი გზა სახლიდან ქვეყნიერებისკენ და ქვეყნიერებიდან სახლისკენ. იმ დროს სამყარო ჩემთვის საკმაოდ დიდი იყო. მასში მოქცეული იყო სკოლაც, პატარა მწვანე მოედანიც, სათამაშოების გასაოცარი მაღაზიაც და პიონერთა სასახლეც. პიონერთა სასახლეში მაშინ დგამდნენ „დავით კოპერფილდსა“ და „მრისხანებას“, და ჩვენ ვსწავლობდით, როგორ გავმხდარიყავით მამაცნი და შეუპოვარნი; მაგრამ, ვაი, რომ სპექტაკლები გვიან მთავრდებოდა და მე, ბოგდან კნუნიანცის უკაცრიელ და ბნელ ქუჩას მოვუყვებოდი რაღაც აუხსნელი შიშით შეპყრობილი, ოღონდ, ნურას უკაცრავად, აქაოდა რა შიში, რის შიში, შიში რას მიქვიან-მეთქი, ხმამაღლა მივიმღეროდი რაღაცას სისულელეებს და, რა თქმა უნდა, იმ სიმღერებით ყველა ჯურის ფაშისტებსა და ავაზაკებს ვაფრთხობდი.
მე ამ ქუჩის ყოველი ქვა და კენჭი ვიცი. ახლაც, ხშირად, როცა ნანარს შინამდე ვაცილებ, ვცდილობ, ტრამვაის ხაზიდან სტადიონამდე თვალდახუჭული მივიდე და, დამიჯერეთ, სამ-ოთხჯერ თუ გავახელ თვალს. თვალდახუჭულს ისიც კი შემიძლია განვსაზღვრო, რომელ ნაბიჯზე გათავდება ტროტუარი და როდის ვისი სახლის წინ ვდგავარ. განსაკუთრებით შემოდგომაზე. აი, წყლის შხაპუნი მოისმის. ჰოდა, გედარის სახლი აქვეა, ორ ნაბიჯზე. ჩემ თავზემოთ რაღაც მძიმედ შრიალებს. ყველაფერი გასაგებია - აზერბაიჯანელი რაშიდას ტირიფებია. მარჯვნიდან გარგარის ყვავილის მძაფრი სურნელი მოვარდა. ამ ბაღში ცხოვრობს სევდიანი, სევდიანი და ლამაზი გოგონა. ნაზი, თეთრი სახის კანი აქვს... და თეთრი, ჰო, თეთრი თვალები. თითქოს გარგარის ყვავილის მტვერს დაუფიფქავსო. ის გოგონა ბრმაა.
ეს კი ექიმის სახლია, ოღონდ მის ბაღში ხეხილი არაა, ბაღი კი არა, თავიდან ბოლომდე ყვავილნარია... რა სასწაული ვარდებია, ცეცხლივით წითელი და თოვლივით თეთრი ვარდები... აქედან ჩემს სახლამდე რაღაც დარჩა, სულ რამდენიმე ნაბიჯია, - ტიგრან-ახპარის ბაღს გავცდები თუ არა, შინა ვარ.
მაგრამ მე ახლა შინ კი არ მიმეჩქარება, შინიდან მოვრბივარ თავქუდმოგლეჯით. და, თუმცა გვიანია და ქუჩაზე თითო-ოროლა ვინმე თუ გამოჩნდება, თვალდახუჭულად სიარულის უფლება მაინც არა მაქვს, ველოსიპედზე ვზივარ და იმიტომ. ვზივარ, მივქრი საჭეს ჩაფრენილი, ქარი პერანგს პარაშუტივით მიბერავს, ვაგვიანებ. ნანარი ქუჩაში, საათქვეშ მელოდება.
გასაოცარი გოგოა ნანარი, სხვა გოგონები, ხომ ვიცით, ვიცით, განგებ აგვიანებენ პაემანზე. ნანარი - არასოდეს! რაღაც თუ მოხდა და მე შემაგვიანდა, დგას და მელოდება და არც მსაყვედურობს და არც არაფერი, ისე მხვდება, ვითომც არც არაფერი მომხდარიყოს. ამიტომაც, ყოველთვის ვცდილობ, არასოდეს დავიგვიანო, არ მინდა მარტო იდგეს ქუჩაში, საათქვეშ. მაგრამ როცა ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს ჩემი მეგობრის - საროს სახლში და გავიგე, რომ მსახიობი იყო, დალაპარაკება ვერ გავუბედე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მსახიობი ქალებისა სულ რაღაცნაირად მეშინოდა. ასე მეგონა, ძალიან ჭკვიანი, ამაყი და განებივრებული ხალხია-მეთქი. ამიტომაც, საროს დამ ნანარის გვერდით დაჯდომა რომ შემომთავაზა, ოთახიდან ცეცხლწაკიდებულივით გავვარდი, დასარეკი მაქვს-მეთქი და მთელი თხუთმეტი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

წუთი ხელიდან არ გამიშვია ყურმილი, ტელეფონის დისკო ხომ ჯვარს ვაცვი. ცოტათი მხოლოდ იმან დამამშვიდა, რომ სარომ სადღეგრძელოში თქვა, ნანარმა ამ რამდენიმე თვის წინ დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და ახლა თოჯინების თეატრში მუშაობსო. ხედავთ, როგორ ყოფილა საქმე!.. თოჯინების თეატრში უმუშავია. თორემ გაპარვას ცოტა დამაკლდა. აბა, დამშვიდდი, ჩემო კარგო, დამშვიდდი, რისა გეშინია, შეგიძლია დაელაპარაკო, გაესაუბრო. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ! თუმცა, გადაწყვეტით კი გადავწყვიტე, დაველაპარაკები-მეთქი, მაგრამ კარგახანს ვერ მოვიფიქრე, რით და როგორ დამეწყო, საბაბი ვერ ვიპოვე. მეშინოდა რაიმე სისულელე არ წამომეროშა. მინდოდა თავისუფლად მჭეროდა თავი და თუ რამეს ვკითხავდი, ისე, ვითომ სხვათაშორის მეკითხა რამე, ოღონდ ის კითხვა ძალზე ჭკვიანური უნდა ყოფილიყო, აბა! ბევრი ფიქრის შემდეგ, მივაფურთხე ეშმაკს და ყველაზე იდიოტური და მეტი რომ არ შეიძლებოდა, ისეთი უტაქტო კითხვა გამომივიდა.

- რატომ სუნდუკიანცის თეატრში არ მუშაობთ?

ვკითხე და მაშინვე სირცხვილის ოფლმა დამასხა. სახეზე ცეცხლი წამეკიდა. მარტო თავს კი არ ვიწყევლიდი, ვწყევლიდი და ვკრულავდი ეტიკეტსაც, რომლის მიხედვითაც კაცი მოვალეა, სუფრის მეზობელს საუბარი გაუბას.

ნანარმა სრულიად მშვიდად მიპასუხა, მის ხმაში წყენის ან დაცინვის ნატამალიც არ იყო:

- კომისიამ ჩათვალა, რომ სცენური გარეგნობა არა მაქვს - წამით გაჩუმდა, მერე ჩუმად დასძინა, - რა კარგია, რომ ასე გამოვიდა. თოჯინები გაგიჟებით მიყვარს.

მე შევხედე და გულის სიღრმეში დავეთანხმე კომისიას. მართლაც, რომელი გმირი ქალი უნდა განესახიერებინა ამ წრიპა, სიფრიფანა გოგონას?

ჰო, ეს მაშინ ვიფიქრე ასე... ახლა კი ვფიქრობ, რომ კომისიაც სასტიკად შეცდა და მეც... ნანარს შესანიშნავი სცენური გარეგნობა და ნამდვილი მსახიობის მონაცემები აქვს, და სრულიადაც არ არის სავალდებულო, ყველამ აიკანუშის გოლიათების როლი შეასრულოს.

- ნანარ!..

იგი პირდაღებული მიყურებს. უფრო სწორად, პირდაღებული უყურებს ჩემს ველოსიპედსა და სრულ სპორტულ აბჯარ-აბგარს.

- შენ, რა, შეჯიბრებაზე მიდიხარ? - იცინის ნანარი.

ბოდიშს ვუხდი და ყველაფერს ვუხსნი. ავად გახდა ჩვენი რაიკომის მდივანი მესროპი. იგი უნდა დასწრებოდა კომკავშირის კრებას სამედიცინო ინსტიტუტში და მის მაგივრად მე გამგზავნეს. კვირადღეს, გესმის! კრება ძალზე გვიან დამთავრდა, სახლში რომ მოვედი, უკვე რვა საათი იყო და, აი, ველოსიპედს მოვახტი.

ნანარს ველოსიპედის საჭეზე უჭირავს ხელი და ისევ იცინის.

- როგორი სანახავია, - გახმაურებული ფელეტონის ავტორი ა. ლევონიანი ქალაქში ველოსიპედით დაქრის, ჰა! ეს მკითხველების თვალში პატივს ხომ არ აყრის ამხ. ა. ლევონიანს?

მეც ვიცინი, შემდეგ ჩვენ მივდივართ გუკასიანის პარკისკენ. ნანარი ტროტუარის კიდეს მიუყვება, მე ქვაფენილს.

- ნანარ, ოღონდ გულახდილად მითხარი, ჩემი დღევანდელი ფელეტონი ნამდვილად მოგეწონა?

- ძალიან, - მპასუხობს იგი, - იცი, რა ამბავია ატეხილი, ყველა ამ ფელეტონზე ლაპარაკობს. თურმე, იმ ვეზირიანს ყველა იცნობს. ეგაო, ომის დროს ტანსაცმლის ორდერებს ანაწილებდაო. ამ დილით ტრამვაით ბაზარში მივდივარ და მესმის, ვიღაცები საუბრობენ: „ამას ვინ იფიქრებდა, - ამბობს ერთი, - არადა, ეგა ისეთ პატივშია, ორდენოსანია, ჩემო ბატონო და კაცი აღმასკომის თავმჯდომარეს შენობით ელაპარაკებაო“...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

„მე უფრო მეტიც ვიცი, - აწყვეტინებს მეორე, - ამ ფელეტონში იმის მეათედიც არ წერია, ეგ კაცი რასაც სჩადის, მხოლოდ ის მაოცებს, ამ კაცზე ფელეტონის გამოქვეყნება როგორ შეძლესო. თქვენ ხომ იცით, რომ ის თვით იმის (აქ მან ხმადაბლა თქვა იმ ვიღაცის გვარი და მე ვერ გავიგონე) ახლო მეგობარია. ეტყობა, ან წაიკიდნენ, ან...“
„ეს ლევონიანი ვინაა? ეტყობა, ვეზირიანს კარგად იცნობს...“
„პირველად ვხვდები ამისთანა გვარს. მე პირადად მგონია, რომ იგი ფელეტონისტი სურენიანია. საჭიროდ ჩათვალა ფსევდონიმით გამოექვეყნებინა ეს მასალა“.
- ხომ წარმოგიდგენია, არტაკ, ბრაზისგან კინაღამ გულს შევასკდი, იცით-მეთქი, თქვენ ცდებით, ლევონიანი ჯერ სავსებით ახალგაზრდა ჟურნალისტია, ინსტიტუტი არც კი დაუმთავრებია-მეთქი... მოვეშვი გგონია? შენ გამო სამედიცინო ინსტიტუტიდან ფეხით მომიხდა იმხელა გზაზე დაბრუნება...
ნანარი ხელს მკიდებს ხელზე. თბილი ხელი აქვს. მე ძირს ვიხრები, ვითომ ბორბლებს ვამოწმებ და თითებს ვუკოცნი.
- წარმომიდგენია, რამდენს გილოცავენ...
- მილოცავენ, არა!.. ყველას ვეუბნები, ავტორი მე ვარ-მეთქი, მაგრამ ვინ გიჯერებს! ვის არ ვიფიცებ, მაგრამ არა და არ სჯერათ. ერთ-ორ ვიღაცას მთელი ფელეტონი ზეპირად ჩავუკითხე...
ნანარი იცინის. დაბალი, ღუღუნა ხმა აქვს. როცა იცინის, სხვებივით თავს მაღლა კი არ აგდებს, პირიქით, დაბლა ხრის, თითქოს რცხვენიაო.
და, პირდაპირ საოცარია, ყოველთვის მეჩვენება, რომ მისი სიცილი მარტო მე მესმის, ასე მგონია, მარტო ჩემთვის იცინის. იქნებ მეტისმეტად თვითდაჯერებული ჯეელი ვარ და იმიტომ მეჩვენება ასე?
პარკში შევდივართ და ჩვენი სკამისკენ ვიღებთ გეზს. მაგრამ, ვაი, რომ იგი დაკავებულია! ვიღაც უსულგულო ადამიანებს, - უფრო ზუსტად, ვიღაც გოგონას და ჭაბუკს - დაუსწრიათ ჩვენთვის. ისე არხეინად სხედან, თითქოს მათი საკუთარი სკამი იყოს! გეგონებათ, სახლიდან მოუტანიათო! ჩვენ დაგვინახეს თუ არა, ხმამაღლა ჰეგელზე გააბეს საუბარი. სულელები ვგონივართ, ნაღდად! ვიცით, ბატონო, ვიცით, რა ჰეგელიც არ გასვენებთ!
- მოდი, ბოდიში მოვუხადოთ და გვერდით მივუსხდეთ! - ვბრდღვინავ მე. ყასიდად ვამბობ, თორემ ხომ ვიცი, რომ ამის გამკეთებელი არა ვარ. ნანარმაც იცის, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში, მკლავში მაფრინდება.
- რას ამბობ, - მაშოშმინებს, - აბა, გაიხსენე, შენ რომ გვერდით გისხდებიან, მოგწონს? მოდი, სხვა სკამი მოვძებნოთ.
სხვა სკამი მოვძებნოთ! სათქმელად ადვილია! სხვა სკამები ან დაკავებულია, ან ისეა გაჩახჩახებული, რომ გინდა წერე, გინდა იკითხე, არ გაგიჭირდება. მაინც, ვინ ოხერმა მოიგონა ეს ელექტრობა! არა, ელექტრობა, რასაკვირველია, კარგი გამოგონებაა, მაგრამ ბაღში ამდენი ნათურის გამოკიდება რაღაა...
ვდუდღუნებ ათას ამისთანა სისულელეს გულში თუ ხმამაღლა, და ესტრადასავით გაბრდღვიალებული სკამისკენ მიმყავს ნანარი. ერთი მიტრიალება ვტრიალდები ჩვენს სკამზე არხეინად მოკალათებული ჰეგელიანელებისაკენ და სალამი ფოიერბახისგან-მეთქი, გავძახი. ისინიც, მამაძაღლები, ფხუკუნს ვერ იკავებენ და მადლობის ნიშნად ხელს გვიწევენ.
ვსხედვართ დიდი, დიდი ხეების ძირში. უფრო ვდუმვართ... და უცებ... არ მახსოვს, რატომ, მაგრამ მახსენდება ჩემი უფროსი ძმა, შესაძლოა, იმიტომ მახსენდება, რომ იგიც ამ ხეებივით მაღალი იყო. ან, იქნებ, იმიტომ, რომ მე ის ყოველთვის ცაში მეგულებოდა და სულ ვფიქრობდი, საიდანღაც იქიდან, ზეციდან დაგვიბრუნდება-მეთქი. ჩემი ძმა მფრინავი იყო.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ბოლო წერილი ორმოცდაოთხ წელში მივიღეთ რომელიღაც ქალაქ კედაინიაიდან. წითელი მელნით იყო ნაწერი. სურათებზე გრუზა შავთმიანია, მაგრამ მე ის თვალწინ მიდგას თავგადაკრეჭილი, თვალწინ მიდგას სხვა თავგადაკრეჭილი ბიჭებიც, რომლებთან ერთადაც იგი უზის მაგიდას და მამის დასანახად პირველად სვამს ღვინოს. ვხედავ, დედას ცრემლების ღვარღვარით სამზარეულოდან გამოაქვს საჭმელები, შემდეგ იგი ჩემს ძმას ჩემოდანში ულაგებს საცვლებს, ტანისამოსსა და წინდებს. მამა მოშორებით, კუთხეში ზის, ეწევა და მძიმედ ხვნეშის, თან სინათლემილეული თვალებით ფანჯრიდან იყურება. მელიქი და მისი მეგობრები მღერიან:

თვალწინ მიდგას შენი სახე,
გეძებ, მაგრამ ვერსად გნახე.

ვიდექი მელიქის გვერდით და მინდოდა გამეგო, რაზე ლაპარაკობდნენ ან რატომ მღეროდნენ ასე. მათთან იჯდა ბაბკენიც, ჩვენი შუათანა ძმა. მოღუშული იყო და შურით შეჰყურებდა უფროს ძმას... სამი წლის შემდეგ, მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეეძლება მას ასე, აშკარად დაჯდეს თავის ძმაკაცებში, გააბოლოს, დალიოს კიდეც და იმღეროს...
მე კი, მე ბედნიერზე ბედნიერი, ჰო, უბედნიერესი კაცი ვიყავი მთელ დედამიწაზე! ვაშა! მელიქი ჯარში მიდის, ქუდზე წითელ ვარსკვლავს მიიბნევს, ლაპლაპაღილებიან შარვალ-ხალათს ჩაიცმევს, გვერდზე ხმალს ჩამოიკიდებს, „მაქსიმს“ მიუწვება და ტრა-ტა-ტა-ტა - გაჟუჟავს თეთრებს, აი, ფილმ „ცამეტში“ რომაა, ისე. ტრა-ტა-ტა-ტა...
გაკვირვებული ვიყავი, ვერაფრით გამეგო, რა ატირებდა დედას და რატომ ოხრავდა მამაჩემი. განა ამათ არ უხარიათ, რომ მელიქი წითელ არმიაში მიდის და ბევრ თეთრგვარდიელს დახოცავს? ამ ხალხისას რას გაიგებ კაცი!
- ფინელები ვინ არიან, ერთი! ფინელებს ერთ თვეში კუდით ქვას ვასროლინებთ, ოღონდ, მე მეშინია, სანამ იქ ჩავალთ, ვაითუ, ყველაფერი დამთავრდეს, - ეუბნებოდა დედაჩემს ერთი ლოყაღაჟღაჟა ახალაწვეული.
- ამბობენ, ეგენი დანგას მაგრა ხმარობენო, - ამბობს მეორე, - ეგენი ოცი მეტრიდან შიგ თვალში ახვედრებენ კაცს დანასაო!
ყველამ გაიცინა. ფინელებიო, დანაო, ესაო, ისაო, რომ ამბობდა, იმ ბიჭმაც იცინა. მე ხომ... კინაღამ გავიგუდე... სასაცილოა, აბა, რა! აი, მიდიხარ ტანკით, ეგენი კიდე იქიდან... დანას გიმიზნებენ! მელიქმა შემომხედა და გამიღიმა. მე მაშინვე მხარზე მაგრად, მაგრად მივეკარი. არავის რომ არ გაეგონა, ჩუმად ვიკითხე: „მელიქ-ჯან, შენ ვინ გინდა გახდე, ა? მფრინავი თუ მეტყვიამფრქვევე?“
მან გაიცინა: „მფრინავი ვიქნები, მფრინავი! მაღლა სულ მაღლა, ვიფრენ, ჩემო ძამიკო, ღრუბლებზე მაღლა და შენც ჩამოგიტან ნამდვილ თვითმფრინავს. ხომ გინდა?“ მაკოცა, მუხლზე დამისვა, ქოჩორზე მომეფერა, ამიწეწა. ისე ცხადად მახსოვს, ისე ცხადად, თითქოს, გუშინ იყოო...

სიყვარულმა შენ რა გარგო,
მითხარ ერთი, ჩემო მარგო...

სადგურიდან მამასა და დედას ერთი უცნობი გოგო მოჰყვა. ლამაზი იყო, დიდი, შავი თვალები ჰქონდა. ალისა ერქვა. შუაღამემდე ჩვენსა იჯდა. ჩვენები გაუთავებლად ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ. ძალიან მეძინებოდა, მაგრამ არ ვიძინებდი. მინდოდა გამეგო, ეს ალისა ვინ იყო. იმდენი ვუსმინე, რომ მაინც გავიგე - მატარებლის გასვლის გამო მელიქს ჩვენებისთვის გაუცვნია, ეს გოგო მიყვარსო, და უთხოვია, თქვენც შეიყვარეთო.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მამამ და დედამ ალისა ძალიან შეიყვარეს. ბაბკენმაც შეიყვარა. სულ მძივებს ჩუქნიდა. მეც შევიყვარე ალისა. იმანაც შეგვიყვარა. ხშირად მოდიოდა, დედას წერილებს აჩვენებდა. დედას ძალიან უხაროდა, მაგრამ როგორც კი ალისა წავიდოდა, ტირილს იწყებდა.

- მაგას თუ ასე ხშირად წერს, ჩვენც ხშირად რატომ არ მოგვწერს, - წუწუნებდა.

ორი წლის შემდეგ, ვადიდან ერთი წლით ადრე, ბაბკენიც წავიდა ჯარში. გერმანიამ ომი დაიწყო. ალისა ისევ ხშირ-ხშირად მოდიოდა, მელიქი მფრინავი გახდაო, გვითხრა. მისი წასვლის შემდეგ დედა ისევ ისე ტიროდა. შემდეგ დაგვიძვირა ნახვა, ბოლოს კი, ისეც მოხდა, რომ მთელი სამი თვე არ გამოჩენილა. ახლა მელიქისგან უფრო და უფრო ხშირად მოგვდიოდა ბარათები და ყოველი ბარათის წაკითხვის შემდეგ აცრემლებული დედა მამას ეუბნებოდა, ისევ იმ გოგოს ამბავს კითხულობსო, ისევ...

ერთხელ, მორიგი ბარათის მიღების შემდეგ, მამა სახლიდან გავიდა და შებინდებისას იღლიაში სქელპაკეტგაჩრილი მობრუნდა. ბეღურასავით მობუზულსა და უმწეოს კაცის ფერი არ ედო. პაკეტი მაგიდაზე დადო და დედას „აგეო“ შეჰკვნესა.

ეს იყო მელიქის წერილები ალისასადმი. რამდენიმე კონვერტი სულაც არ გაეხსნათ. უკანასკნელი რამდენიმე ბარათი რომელიღაც პატარა ქალაქ კედაინაიადან მოუწერია. ყველა გაუხსნელი სამკუთხა წერილი გავხსენით და თარიღების მიხედვით, ერთმანეთის მიყოლებით წავიკითხეთ. მელიქი ყველა წერილში იწერებოდა, ცოტაღა დარჩა, როგორც კი ფაშისტებს გავანადგურებთ, დაგიბრუნდებითო. გულმხურვალედ სთხოვდა ალისას, უფრო ხშირად მომწერეო, მეო, ამ წერილებით ვსულდგმულობო, ისინი მიფარავენ მტრის ტყვიისაგან, როცა ჩემი „მიმინოთი“ ბრძოლაში ვებმებიო.

მელიქის წერილი მეტად არ მიგვიღია. მოვიდა ქაღალდი, რომელშიც ეწერა, რომ ჩვენი მელიქი მეტად მნიშვნელოვანი დავალების შესრულების დროს უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. დაიღუპა ჩემი უფროსი ძმა, დაიღუპა. ტყვიამ მონახა მისი სხეული... ალისა ხომ უკვე აღარ წერდა მას წერილებს...

მთელი ღამე ძილში თვალიდან არ მომცილებია ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავი. იგი მეტეორივით მოჰქროდა ციდან და წითელ ზოლს სტოვებდა კვალად.

ფიქრებიდან გამოვდივარ, ერთხანს ვუყურებ ნანარს თვალებში და მერე ფრთხილად, ფრთხილად ვკოცნი ტუჩებში.

- შეიშალე? - აღშფოთდა იგი, - ვერა ხედავ, როგორ განათებულია აქაურობა?

მართლაც, ეს რა ღმერთი გამიწყრა, ეს ნათურები რომ გაღაჟღაჟებულია, სულ არ მახსოვდა. ხელს ვაშველებ, ვდგებით და წითელ ხეივანს მიუყვებით. ნანარი არაფერს მეკითხება.

- ნანარ, უცებ ისე მომინდა შენთვის მეკოცნა...

ნანარი იღიმება, ჩანთას მიწაზე დებს და ორივე ხელით მეხვევა... ჩემი მემართება, ლამის ფეხქვეშ მიწა გამომეცალოს!

- იცი, აი, შენ რომ გკოცნი, - ვეუბნები, როცა როგორც იყო, მოვითქვი სული, - შენ რომ გკოცნი, თითქოს, ალუბლის სუნი მაბრუებს. ასე მგონია, საცაა დედა შემომისწრებს და ალუბლის მურაბის მოპარვისთვის შავ დღეს დამაყრის-მეთქი...

- არა ხარ ღირსი, რო! აბა, როგორ გინდა, ასე გვიან რომ ბრუნდები სახლში? - იცინის ნანარი. საათი არც მე მაქვს, არც იმას, მაგრამ უსაათოდაც ვიცით, რომ შუაღამე კარგახნის გადასულია.

- ნანარ! მოდი, ველოსიპედზე შემომიჯექი და სახლში მიგიყვან...

- შეიშალე?.. შეიცხადებს იგი. თან იგი ისე ამბობს ამ „შეიშალეს“, ისე ამბობს, რომ მართლა შეიძლება კაცი შეიშალოს...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეორე თავი
ეჰ, ნატაშა, ნატაშა...

და, აი, დავრჩით ჩვენ ორნი: მე და ჩემი „ხარკოვი“, ერთგული, დაძველებული ველოსიპედი. იგი უხმაუროდ მიმაქროლებს ღამეული სიჩუმით მოცულ ქუჩებში, გვერდს უვლის ორმოებს, გუბეებს და რკინის თავახდილ, ურჩხულის ხახასავით პირდაბჩენილ საძვრენებს. საჭეს ხელი ვუშვი, ოდნავღა ვარეგულირებ მოძრაობას და ჩემი „ხარკოვიც“ ნებიერად მისრიალებს, რას ერჩი, თავის ჭიას ახარებს! სად არ ვყოფილვართ მე და ეგ! თბილისშიც ვიყავით და ბაქოშიც, მთებიც გადაგვივლია და დაბლობებიც ფეხქვეშ გაგვიგია, რამდენიმე მდინარის ხიდზე გადავსულვართ. მორიდებით გადაგვისწრია ცხენებისა და სახედრებისთვის და ღირსების გრძნობით დაგვითმია გზა მანქანებისთვის. წავქცეულვართ, მაგრამ მაშინვე ფეხზე დავმდგარვართ და გზა გაგვიგრძელებია. და როცა ეგ მისავათებულა და ქანცგაცლილს გზის გაგრძელებაზე უარი უთქვამს, მე იგი ზოგ-ზოგებივით არ დამიწიხლავს, არ მილანძღავს, ფრთხილად ამიტატებია და მხარზე შემომიდია. მე და მას შორეული ვოიაჟებიც გვახსოვს. მატარებლითაც გვიმგზავრია, გემითაც, თვითმფრინავითაც, ჩავსულვართ ტულაში, მოსკოვში, კიევში, გვინახავს რიგა, სიმფეროპოლი და ოდესა, უამრავ ხალხს შევხვედრივართ.
- მე და შენ ჯერ კიდევ ბევრ რამეს ვნახავთ, ძმაკაც! - ვეუბნები ჩემს ველოსიპედს. ეგ კიდევ ღუღუნ-ღუღუნით მისრიალებს, ხანდახანაც, ხმაში რაღაც ხრინწს გაირევს. არ მომწონს ეგ ამბავი. ცუდის ნიშანია. ეტყობა, რაღაც ვერა აქვს წესრიგში. ეგ კიდევ ახლა, სწორედ ახლა უნდა იყოს მერცხალივით. ერთი თვის შემდეგ მოსკოვს მივემგზავრებით, ფიზკულტურელთა საკავშირო აღლუმზე. ყოველდღე ვვარჯიშობთ - დილდილაობით ან საღამოობით. ჩემთვის ხელსაყრელი დროა. სამსახურში სულ ათ წუთს ვაგვიანებ, ზუსტად ამდენი მჭირდება სტადიონიდან რაიკომში მისასვლელად. ეგ არაფერი, რომ „შეკრებების“ დროს მოცემული ტალონების გამოყენებას საუზმეზე ვერ ვასწრებ. მით უკეთესი.
სამ დღეში ერთხელ ნანარიც მიმყავს რესტორანში.
პირველად შარშან შევიყვანე რის ვაი-ვაგლახით. არ მომყვებოდა, ცოტა დააკლდა, იტირა. ვეუბნები, ვარწმუნებ, ვუბრაზდები კიდეც, მაგრამ, - გაგიგონია? - თავისას გაიძახის, უხერხულია, რას იფიქრებს ხალხიო და ამისთანანი... ვეუბნები, ვუხსნი, სასირცხვილო ამაში არაფერია-მეთქი, აი, შევიდეთ და შენი თვალით ნახავ, რომ გოგოებით სავსეა იქაურობა-მეთქი, თან რომ უფრო მეტი ძალა ექნეს ჩემს სიტყვას, რუსეთში ხალხი სულ რესტორანში დადის, შინ სადილს არც აკეთებენ-მეთქი. ფილმებში ხომ გინახავს-მეთქი...
- ფილმებში სხვა საქმეა, - მეუბნება, - თითქოს, თვითონ არ იცოდე, რესტორანში მოსიარულე ქალიშვილებს როგორ ალმაცერად უყურებენ.
- ვინ უყურებს ალმაცერად? ვისაც შენ გულისხმობ, ეგენი სულ ჩამორჩენილი, ბნელი ხალხია-მეთქი, თან ვბრაზობ იმ ხალხზე და თან ვგრძნობ, როგორ ვწითლდები: მეც ხომ ერთი იმ ალმაცერად მაცქერალთაგანი ვარ...
- იცი, არტაკ, - ნანარი ხელკავს მიკეთებს, - მოდი, ხორციანი ღვეზელები ვიყიდოთ, შენ ხომ იცი, როგორ მიყვარს, სკვერში შევიდეთ და...
- ხორციანი ღვეზელებიო! - ზიზღით დავიმანჭე მე, - შენ, ალბათ, შიგნეულიანი გინდოდა გეთქვა, თუმცა, რა, იმ ღვეზელისთვის შიგნეულიც კი ქათინაურია. იცი, ნანარ, როგორც კი „წარსულის გადმონაშთს“ ახსენებს ვინმე, მაშინვე ის ხორციანი, ხორციანი კი არა, შიგნეულიანი ღვეზელი მახსენდება.
ნანარი იცინის და მე ვგრძნობ: გამარჯვება ახლოსაა. ძალიან მინდა, რომ რესტორანში შემომყვეს. ნანარის საცდუნებლად აკრძალულ ილეთებს ვიყენებ. ჩემი ფანტაზიით ნანარს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ხელკავით შევიყვან სასახლის დარბაზში, მერე ფაქიზად ჩავიყვან მარმარილოს კიბეზე და შევუძღვები ზღაპრულ მღვიმეში, სადაც პალმებქვეშ მაგიდას უსხედან ქალიშვილები, მხოლოდ და მხოლოდ ქალიშვილები. შორიდან მოისმის დიდებული მუსიკის ხმა: ლეონიდ უტიოსოვი და მისი მეგობარი მეზღვაურები ნაღვლიანად იგონებენ შავ ზღვას. შემდეგ სადისტური სინატიფით მოვითხოვ ყველა მიწიერ და ზეციურ თავბრუდამხვევი სურნელების კერძს, რაც კი მენიუში წერია... აგზნებით ვუხატავ ასეთ სურათს ნანარს და... ზედ რესტორან „სევანის“ შესასვლელთან ვიჭერ მის გამოხედვას, ვიჭერ და სინდისის ქენჯნას ვგრძნობ: ეტყობა, ძალიან შია ჩემს ნანარს, ისეთი ანთებული თვალებით შემომცქერის, ისეთი გულისყურით მისმენს.

- ხომ ხედავ, რომ არცერთი ქალი არ შედის, - მაინცდამაინც დიდ წინააღმდეგობას ვერ მიწევს ნანარი.

ესა თქვა თუ არა, - ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! - ორი ქალი, ორი ჩვეულებრივი ქალი არ შევიდა რესტორანში?!

- შეხედე, შეხედე, აი, თუ არ შედიან! - შევძახე მე და თითქმის ხელისკვრით შევაგდე ნანარი შიგნით.

რესტორანში, რასაკვირველია, არც პალმები იყო და არც უტიოსოვი და ის გოგონებიც კი, რომლებიც ჩვენს თვალწინ შემოვიდნენ, სადღაც გაქრნენ. ნამდვილად რესტორნის სამზარეულოში მუშაობდნენ.

სამაგიეროდ, დარბაზში ისეთი ყაყანი იდგა, როგორიც, ალბათ, მხოლოდ ცენტრალურ ფოსტამტში დგას ხოლმე. ნანარის ხელი ისე მიჭირავს ხელში, გეგონებათ, მოწაფეაო და ჩოჩიალ-ჩოჩიალით ვეძებ ადგილს, ირგვლივ არც ვიხედები, ფანჯარასთან მდგარი მაგიდისკენ ვიღებ გეზს და - აგაშენა ღმერთმა! - ერთმანეთის პირისპირ ვსხდებით. ნანარი ძალზე უხერხულად გრძნობს თავს. კაცმა რომ თქვას, არც მე ვარ მთლად არხეინად, მეც ხომ რესტორანში პირველად ვარ ქალთან ერთად. აქამდე არ შემიმჩნევია, რომ ჩემი პიჯაკი იდაყვთან გაზინთულია, ფეხსაცმელიც დაბებკილი, გაურკვეველი ფერისა მაცვია და მუხლისთავზეც კარგა მოზრდილი ლაქა მაზის. მივხვდი, რატომაც დამალა ნანარმა ხელები მაგიდის ქვეშ. მისი ჟაკეტის საიდაყვეები ხელმეორედაა მოქსოვილი, მართალია, ისევ იმავე, ცისფერი ძაფითაა მოქსოვილი, მაგრამ თვითონ ჟაკეტი უკვე კარგა ხანია გახუნებულია.

- ცხელა, - ისე, უდარდელად ვეუბნები, - ხომ არ გაგვეხადა?

ნანარი მაშინვე იძრობს ჟაკეტს და მეც ვიხდი პიჯაკს. ისევ პირისპირ ვსხდებით. ერთმანეთს ვუყურებთ და ვიღიმებით. ნანარს მშვენიერი ყვავილებიანი კაბა აცვია, გეგონებათ, ვიღაცამ ქათქათა თოვლზე ღიღილოები საგულდგულოდ მოფანტაო. უცებ მახსენდება, რომ ჯერ არაფერი შეგვიკვეთავს, ვიღებ მაგიდის კიდეზე ჩამოდებულ მენიუს და ყველა წესისა და რიგის დაცვით ვუწვდი ნანარს. იგი კიდევ უფრო წითლდება.

- თვითონ აირჩიე.

- არ შეიძლება, - რამდენადმე მაღალფარდოვნად ვეუბნები მე, - მიღებულია, რომ მანდილოსანმა აირჩიოს...

ნანარი დაბნეულად ხსნის მენიუს და თვალს ავლებს კერძების უცნობ სახელწოდებებს, რომლებისაც არც მე გამეგება რამე, შემდეგ ვამჩნევ, რომ უფრო ფასებს აკვირდება და ყველაზე იაფფასიან კერძებს ირჩევს. მაგრამ არ მინდა იხტიბარი გავიტეხო და ხელით ვუხმობ ოფიციანტს.

- ნატაშა, ჩემო კარგო, - ვეუბნები, - მწვადი შეაწვევინე, თუ შეიძლება. მანამდე კი ცივი თართი, შვეიცარული ყველი მოგვიტანე და, რასაკვირველია, ორი ბოთლი ხილის წვენიც გამოაყოლე... - თან ჯოჯოხეთური სისწრაფით ვანგარიშობ ამათ ფასს თუ გასწვდება ჩემი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოთხი დღის ტალონები. არა, მგონია, ჯერ რაღაც მრჩება - და... და კიდევ, გეთაყვა, ხიზილალა არ დაგავიწყდეთ, წითელი, რასაკვირველია. თუ შენ შავი გინდა, ნანარ?
- არა, არა, - შეშინდა ნანარი.
- ნატაშა მე მიცნობს, იცის, რომ შავი არ მიყვარს, - ვეუბნები ნანარს და ვცდილობ, ოფიციანტს არ შევხედო.
დარწმუნებული ვარ, რომ ნატაშა ახლა გულში ხარხარებს. ის ხომ მართლა მიცნობს. ყოველ წელიწადს შეჯიბრებების წინ მე რესტორან „სევანში“ ვსადილობ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ტალონებით. ნატაშას, რასაკვირველია, ახსოვს, რომ არასოდეს ხელზე არ გადამიხდია ფული. თუმცა, არ იცის, რომ ჩემს დღეში არ მიჭამია არც ხიზილალა, არც ცივი თუ ცხელი თართი. სამაგიეროდ, კარგად ეხსომება, რომ არც ხიზილალა დამიკვეთავს როდისმე, არც თართი და არც შვეიცარული ყველი. ულუფა კატლეტიც სავსებით მაკმაყოფილებდა, ხურდას კი ჩემს ჭკუაზე ვხარჯავდი.
- რას დალევთ?
ლამისაა, გული შემიღონდეს. ეს ზურგში მახვილის ჩაცემა იყო. განაწყენებით ავხედე ნატაშას. კარგია, რომ ნანარი ვერ ამჩნევს ამას. ნატაშას სავსე ტანი ჩუმი სიცილისგან თახთახებს და ნაოჭებმოვლებულ თვალებში ეშმაკუნები უთამაშებს. ეჰ, ნატაშა, ნატაშა...
- ნანარ, დალევ რამეს? - თავზეხელაღებული კაცის გაბედულებას ვიდუღებ ხმაში.
- არა, რას ამბობ, - კატეგორიულ უარსაა ნანარი.
- ნატაშა, - ვეუბნები მე, - სამწუხაროდ, შეჯიბრებების წინ ჩვენ სასტიკად გვეკრძალება დალევა.
ნატაშა რომ წავიდა, ნანარმა მისაყვედურა:
- ნატაშას რატომ ეძახი, არტაკ? ახალგაზრდა ხომ არაა. დეიდა მაინც დაუძახე.
- ეგეც ვცადე, - ვიცინი, - დეიდა რომ დავუძახე, მთელი ორი საათი მშიერი მაყურყუტა.
რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა რაგინდარა მისატანებელ-დასაყოლებლით დატვირთული ნატაშა და სუფრა წუთში გააწყო. და უცებ ელდა მეცა: ხილის წვენის ბოთლებს გვერდში შამპანურის ბოთლიც არ უდგას!
- ნატაშა, - ენა დამებორკა, - მე ხომ გთხოვეთ, რომ სასმელი...
- ვიცი, ვიცი, - მეუბნება ნატაშა, - აბა, მე რა ვქნა? აი, იმ სუფრიდან გამოგიგზავნეს და არ მომეტანა?
მეც ვიხედები იქით, მაგრამ ნაცნობს ვერავის ვხედავ. შემცბარი ვტრიალდები ნატაშასკენ და უცებ ვამჩნევ, რომ იგი ოდნავ შესამჩნევად მიკრავს თვალს, თანამზრახველივით მიღიმის. ისე ამიყუჩდა გული, ისე, რომ ცოტაც და, ვიტირებდი. რა კარგია, რომ ადამიანებს შეუძლიათ უსიტყვოდ მიგიხვდნენ, რა ხდება შენს გულში, რა კარგია, რომ ამქვეყნად არსებობს დეიდა ნატაშა, რომელიც ჩემთვის მე დღეს ასე შემთხვევით აღმოვაჩინე.
- გაიგე, ვინც გამოგიგზავნა? - მეკითხება ნანარი.
- რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი... ნატაშა! - ვუხმობ კეთილ ხნიერ ოფიციანტს, - ნატაშა! მხოლოდ იმ პირობით დავლევთ, თუ თქვენც დაგვილევთ.
ნატაშა იღიმება. თვითონაც ბედნიერია, ისე ბედნიერი, რომ სახიდან ნაოჭებიც კი გაჰქრობია.
- ჩვენ სამუშაოზე დალევა გვეკრძალება, - ჩურჩულით გვეუბნება იგი, - მაგრამ რაც მომივა, მომივიდეს... ვეცდები, არავინ დამინახოს, ისე... ახალგაზრდობას გაუმარჯოს!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მესამე თავი
„ჩუტოს“ სამყაროში

ჩემი სახლის ახლოს ველოსიპედიდან ჩამოვდივარ, ზურგზე მოვიგდებ და სამი-ოთხი ნახტომით მეორე სართულზე ავდივარ. მარცხნივ ჩვენი კარია. ვრეკავ, ორ მოკლე ზარს ვაძლევ, მორზეს ანბანით, ესაა ორი წერტილი და ერთი გრძელი ტირე. ეს იმას ნიშნავს, რომ მეზობლის ქალთან კი არ რეკავენ (იგი შესასვლელიდან პირველსავე ოთახში ცხოვრობს), არც ჩემს ძმასთან, რომელსაც თავის ცოლთან ერთად მომდევნო ოთახი უჭირავს, არამედ ჩემს მშობლებთან - დერეფნის ყველაზე შორეულ ბინაში. თუმცა, ამ „ეშმაკურად მოფიქრებულ“ ზარს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სანამ დედაჩემი ადგება და იქიდან აქამდე მოფლატუნდება, მეზობელი რაღაცას ჩაიბურდღუნებს, მიტრიალდება და თავისი ოთახის კარს ხმაურით მომიხურავს ცხვირწინ. ღმერთმანი, მისი ვერაფერი გამიგია. ხომ იცის, რომ დედაჩემი კარს გამიღებს. ჰოდა, რატომ დგება და მიღებს კარს, ან თუ დგება და მიღებს, რა აბურდღუნებს? ვინ აძალებს, ადექი და გაუღეო?..

ეს ქალი ჩვენს მეზობლად ამასწინათ გადმოვიდა. ბევრი შვილი ჰყავს, და დილიდან საღამომდე ტრიალებს. წუთი რაა, წუთითაც არა აქვს მოსვენება. ის თუ როდისმე იძინებს, არ ვიცი - მისი საკერავი მანქანა სულ ტრიალებს და ტრიალებს. ისე კი, თვითონ სიტყვაძვირი ქალია. მეზობლებსაც ყოველთვის როდი ესალმება. მაგრამ თუ ვინმეს რაიმე უჭირს მის გვერდშია, მხარში უდგას. მაშინვე თავის საქმეს ივიწყებს, წელში იმართება, ცოცხლდება, მიდგებ-მოდგება, ჯარასავით დატრიალდება. თუ ავად გახდა ვინმე, წამალს მიურბენინებს, სასწრაფოს გამოუძახებს. ექიმებს დაელაპარაკება. ვინმე თუ გოგოს ათხოვებს, პურ-მარილის გაკეთებაშიც ეხმარება, კაბასაც შეუკერავს. სადმე თუ წასასვლელი ხარ და არ იცი აკვნის ბავშვი ვის დაუტოვო, არ დაგზარდება, დაიტოვებს. ბალღს სახვევებში შეახვევს, აკვანსაც დაურწევს, ნანასაც უმღერებს და თავის გოგოებსაც დაუტატანებს: ეი, მანდ, ჩუმად, ბავშვს ძილი ნუ დაუფრთხეთო.

ამბობენ, ლოთი ქმარი ჰყავდაო... ქუჩა-ქუჩა სიმღერებს ღრიალებდა და შინ როდის-როდის, გვიან ღამით მოდიოდაო...

აი, ახლაც, როცა არცთუ მაინცდამაინც თავაზიანად მომიხურა ცხვირწინ კარი და ტრადიციულად უპასუხო „მადლობაც“ ამოვღერღე, ფეხის წვერებზე გავემართე ჩვენი ოთახისკენ და დერეფანში გამოსულ დედაჩემს რბილ, შემჭკნარ ლოყაზე ვაკოცე.

- ვახშამი სამზარეულოშია, - ჩურჩულით მეუბნება დედა.

ფეხის წვერებზევე გავდივარ აივანზე, კედელზე ვკიდებ ველოსიპედს და სამზარეულოში ვბრუნდები. უკლებლივ ყველა ქვაბს ერთმანეთის მიყოლებით ვხდი სახურავს, სანამ კერძს მივაგნებდე. ამ სავალდებულო რიტუალის შემდეგ, რაც ქვაბების სახურავების მელოდიურ რაკარუკს გულისხმობს, მაგიდასთან ვჯდები და ვახშმობას ვიწყებ. დედა ელექტროქურაზე ჩაიდანს დგამს, ჩემ გვერდით ჯდება და თან ადრე დაწყებულ ქსოვას აგრძელებს.

- რატომ არ გძინავს, დედი?

- აი, შენ რომ ივახშმებ, ჭურჭელი უნდა დავრეცხო და მამაშენსაც ხვალისათვის საუზმე გავუმზადო. ეგ საცოდავი ხუთ საათზე დგება, ხომ იცი...

მამაჩემი... უკვე დროა, მამა პენსიაზე გავიდეს, მაგრამ ჯერ ისევ მუშაობს, მუშაობს და მერე როგორ კეთილსინდისიერად მუშაობს! წარმოიდგინეთ! ადამიანმა მთელი ორმოცდაათი წელიწადი ისე იმუშაოს ქარხანაში, რომ ერთხელაც არ დააგვიანოს. თუ ასეთი კაცის წარმოდგენა შეძელით, ეგ კაცი მამაჩემია. ზოგჯერ ვბრაზდები კიდეც.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- რა მოხდა ამისთანა, ხუთ-ათი წუთით რომ დაიგვიანო, ამით ქვეყანა დაიქცევა თუ რა? ნუ ჩქარობ, ადამიანო, გემრიელად ჭამე. შენი ცვლა არ დაგელოდება ცოტახანს?
- შენ თუ იცი, რას ნიშნავს, შვილო, ხუთი-ათი წუთი ოჯახის კაცისთვის? აი, ოჯახს რომ მოეკიდები, მაშინ გაიგებ. კიდევ ისაა, რომა, თუ შემიძლია არ დავიგვიანო, რატომ დავიგვიანო? „ქვეყანა დაიქცევა“? დაიქცევა, აბა, როგორ გგონია შენა, არ დაიქცევა? ყველამ რომ ასე აგვიანოს ხუთ-ხუთი, ათ-ათი წუთი, დაიქცევა, აბა, რა იქნება?
ჰოდა, დგება და მიდის სამუშაოზე: პირველ დღეს - დღის ცვლაში, მეორე დღეს - საღამოს ცვლაში, მესამე დღეს - ღამისაში. სახლიდან ზუსტად ცვლის დაწყებამდე ორი საათით ადრე გადის, რომ ფეხის აუჩქარებლად, ნება-ნება მოვიდეს თავის მექანიკის ქარხანაში, სადაც ცეცხლფარეშად მუშაობს. ყოველთვის ცეცხლფარეში კი არ ყოფილა. ცეცხლფარეშობა მას აქეთ დაიწყო, რაც მარჯვენა ხელის შუათითი დაზგამ მოაწყვიტა. დედა მოგვიყვა: იმ დღეს პირველად დათვრა, სახლში გვიან ღამით მოვიდა, კედლიდან ჩამოიღო თავისი ძველი თარი, რომელზე დაკვრაც აწი აღარ ეწერა, გვერდით დაიდო და სიმღერა დაიწყოო. ის სომხურად და თურქულად მღეროდა სოფლიდან ქალაქში გადასულ ჭაბუკზე, რომელსაც თვალწინ სულ ხასხასა მდელოები და ცივი წყაროები ედგა და მოსვენებას არ აძლევდა... და მამაჩემი დიდხანს მღეროდა, მღეროდა და ტიროდა, ტიროდა და მღეროდა. დილას კი ჩვეულებრივ ადგა, დედაჩემს ყური არ დაუგდო, წავიდა ქარხანაში და ცეცხლფარეშობა ითხოვა.
- დიდხანს არ მოუწევს წვალება, დედი, - იმედიანად ვუთხარი დედას, - ორიოდე თვეც და უნივერსიტეტს დავამთავრებ, მერე ვწერ და ვწერ, და მამას სამსახურზე თავს დავანებებინებ.
დედა იღიმება. მას სჯერა ჩემი.
- ეგრეა არტაკ-ჯან, ეგრეა - მეუბნება დედა, - ცოდოა, წინათ რომ შეეძლო, იმდენი სად შეუძლია.
შემდეგ უცებ მოწყლიანებული თვალებით მომაჩერდა, ტუჩები აუთრთოლდა:
- ისე, უკვე დროა დაიძინო. რამდენი წელია უკვე შენც მუშაობ... ჩემი ნაჯაფარი ბიჭუნა...
დედა მაღლა სწევს ხელს და დიდხანს, დიდხანს უყურებს არათითზე გაკეთებულ პატარა ყვითელ ბეჭედს. მეც ვუყურებ და არ ვიცი, რისგან, დაღლილობისგან თუ იმისგან, რომ ასე გვიანია, ჩემ თვალწინ უკვე ათობით და ათობით ყვითლად მოციმციმე ბეჭედი ტრიალებს და მესმის ამხანაგ ესთერის ხმა: „ჩუტო! შენც მონახე, რაღა, კითხვის დრო! წადი, ეს წერილი სარიგატში წაიღე".
...რა საინტერესო ხალხია ეს ჩვენი დედები: მთელ თავიანთ ცხოვრებას შვილებს ისე პირწმინდად სწირავენ, თითქოს აბა რა, ეს ევალებათ კიდეც, მაგრამ საკმარისია შვილებმა მათ მიმართ თუნდაც ცოტაოდენი ყურადღება გამოიჩინონ, სიხარულისგან ირევიან და მზად არიან ქვეყანა შეყარონ და ეს ამბავი გააგებინონ...
- ჩუტო! რამდენჯერ უნდა გითხრას ადამიანმა - ჩაასხი სამელნეში მელანი!
...შვილებს ხომ ყოველთვის გაცილებით მეტი გააქვთ სახლიდან, ვიდრე შემოაქვთ. მაგრამ დედები სულაც ვერ ამჩნევენ, რა მიაქვთ იმათ სახლიდან, იმათ შემოტანილს კი ისე ბერავენ და ბინოკლით ადიდებენ...
- ჩუტო, სასამართლოში გაიქეცი, ეს ქაღალდები წაიღე, მხოლოდ დაიხსომე, ჟურნალში აღნიშნონ!
ახლავე-მეთქი, ვეუბნები, იმიტომ, რომ „ჩუტო“ მე ვარ, იღლიაში მაგრად ვიჩრი სისხლის სამართლის საქმეთა სქელ ტომებს და მივდივარ სასამართლოსკენ.
მართალია, სამას მანეთ ხელფასს გარდა თხუთმეტ მანეთსაც ტრამვაისთვის ვიღებ, მაგრამ ტრამვაის იმედით როგორ გინდა იარო? რა იცი, მოვა - არ მოვა? ზოგჯერ ტრამვაიში ასვლა ისე ძნელია, რომ ნუ იკითხავ. ისეა ხალხით გაძეძგილი, რომ სუნთქვა გიჭირს კაცს და ტანზე

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ხომ აქეთ-იქიდან ვიღაც ვიღაცების ქამრების რკინები გჩხვლეტს. არა, ისევ ფეხით წასვლა ჯობია. რასაკვირველია, ზოგჯერ ისე იღლები, რომ მზად ხარ პირდაპირ გზის პირას წამოწვე და, ეგრევე, გრილ მიწაზე წაუძინო... მაგრამ შიკრიკობა, ჩვენში დარჩეს, მაინცდამაინც ძნელი საქმე არაა. ჯერ ერთი, სიარული, მოძრაობა, ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებლის თქმისა არ იყოს, სხეულს აკაჟებს, მეორეც - სამას მანეთს თხუთმეტიც ემატება, ეს თხუთმეტი მანეთი კი თხუთმეტი ღვეზელია, ბატონო ჩემო, როგორც იტყოდა ჩემი კოლეგა, შიკრიკი პანოსი, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებს ემსახურება.
მე ღვეზელი არაფერში მჭირდება. ფული მჭირდება. ამიტომ იყო, როცა მეზობლის ბიჭმა კოლიამ ერთხელ თქვა, პროკურატურაში შიკრიკის ადგილი აქვთო, ჩვენების უკითხავად, გაკვეთილების შემდეგ მივედი პროკურატურაში და მოვძებნე საერთო განყოფილება (გავიკითხე და მითხრეს, ამ განყოფილებაში უნდა მიხვიდეო). ფართო ოთახი იყო, რომელშიც ოთხი დეიდა იჯდა და ოთხ დიდ მაგიდაზე ეწყო უამრავი სქელი და თხელი საქაღალდე და რაგინდარა საკანტორო წიგნი.
- თქვენ შიკრიკის ადგილი გაქვთ?
ოთხი დეიდა ისეთი გულისყურით მსწავლობს, თითქოს ჩემი სუფთა, აკურატულად დაკემსილი ტანსაცმლისა და ფრონტიდან ბაბკენის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი, წიგნებითა და რვეულებით სავსე სამხედრო ზურგჩანთის ყურებით ნეტარებენო. გული გამალებით ფეთქავს: მიმიღებენ - არ მიმიღებენ? მიმიღებენ - არ მიმიღებენ? ეჰ, მოვეწონო მაინც ამ ხალხს, ამიყვანონ და მერე ჯანდაბას. არა, ესენი ისე მიცქერიან, არ ამიყვანენ. ძალიან მკაცრი სახის, გამხდარი ქალისკენ ვიხრები და ვევედრები:
- ამიყვანეთ, ძალიან გთხოვთ!
- რამდენი წლისა ხარ? - მეკითხება იგი და ისე, შევატყვე, ცდილობს უფრო კეთილი გამოჩნდეს.
- თხუთმეტისა, - სულმოუთქმელად ვპასუხობ და ვწითლდები.
ქალის ხმაში ირონია ისმის:
- თუ ცამეტის?
თავს ვხრი და უფრო ვწითლდები. სულელი ვარ!
უკვე ცრუპენტელობაში გამომიჭირეს და სამუშაოზე ვინ მიმიღებს!
- რომელ კლასში ხარ?
- მეექვსეში.
- ბევრი კუდიანი გყავს? ორიანი, ესე იგი... - ახლა უკვე სხვა ქალი მეკითხება ოთახის მეორე კუთხიდან.
ჩემი თავმოყვარეობა შელახულია:
- ერთი სამიანიც კი არ მირევია, - ყინჩად ვპასუხობ.
- აბა, ერთი მითხარი, ა კვადრატს პლუს ბ კვადრატი რას უდრის?
- ა კვადრატს პლუს ბ კვადრატი უდრის ა კვადრატს პლუს ბ კვადრატს.
- შენ გეგონა, არ ეცოდინებოდა? - ტაში შემოჰკრა კარის ხელმარჯვნივ მიმჯდარმა ქერათმიანმა გოგონამ.
- გაჩუმდით, - გააჩერა იგი გამხდარმა დეიდამ და ისევ მომიბრუნდა, - მამა გყავს?
- კი.
- ფრონტზეა?
- არა, ძმები არიან ფრონტზე.
- დედა?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- დედაც მყავს, სახლშია, - ვპასუხობ მე და მიკვირს, რატომ მეკითხება, რად უნდა ამეების გაგება. ეს რა შეკითხვებია: „მამა გყავს? დედა გყავს?“ რატომ არ უნდა მყავდეს დედ-მამა. აბა, უდედოდ და უმამოდ როგორღა უნდა იყოს ადამიანი...
- აბა, თუ დედაც გყავს და მამაც, - უცებ ბრაზდება ქალი, - რატომ გამოგიშვეს აქ? რატომ ანებებ სწავლას თავს?
- მე... მე...
- ყური დაუგდე, როცა გელაპარაკებიან! ერთი ამათ დამიხედეთ, სწავლა არ უნდათ, არ უნდათ, და! ჩემი ბიჭიც ასეა - ქარხანაში მინდა ვიმუშაოო, ნაღმები უნდა დავამზადოო! არა, ერთი მოგასმენინათ, რა ენად გაიტლიკნენ?! მინდა, რომ ჩემმა ჭურვებმა მტერს მუსრი გაავლოსო! თვითონ კი ჯერ მიწას არ ასცილებია! ერთ გვერდზე ხუთ შეცდომას უშვებს. ამისთანა მოდის და ჩუმად, შეცვლილი ხმით მეკითხება: - რატომ არ გინდა ისწავლო, ა? შენ ხომ მამა გყავს... შენ მამა გყავს, მამა, - რამდენჯერმე იმეორებს, - შენ გყავს მამა...
ვხვდები, რომ რაღაცით გუნება წავუხდინე და თავს საშინელ დამნაშავედ ვგრძნობ. ენის ბორძიკ-ბორძიკით, რის ვაი-ვაგლახით ვუხსნი, რომ სკოლისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ, - ჩვენი გაკვეთილები პირველ საათზე მთავრდება და ხუთამდე შემიძლია მათთან ვიმუშაო. დამიჯერეთ, დამიჯერეთ, ისე ვიმუშავებ, რომ კმაყოფილი დარჩეთ, ყველაფერს დროზე გავაკეთებ-მეთქი. სწავლის მიტოვებას კი სულაც არ ვაპირებ, არა, მე, უბრალოდ, მუშაობა მინდა-მეთქი...
აქამდე მე არ ვიცოდი, შიკრიკობა რა იყო. ისიც კი არ ვიცოდი, რომ ამქვეყნად „მისაგზავნ-მოსაგზავნი ბიჭები“ არსებობდნენ. მაგრამ ორიოდ-სამიოდე კვირა რომ ვიმუშავე, დავრწმუნდი, რომ ასეთი ბიჭები არსებობენ და, არსებობენ რომელია, ძალზე ბევრნიც არიან. მე იმათ ვხვდებოდი ჩვენთან, ქუჩაზე, დაწესებულებებში, სადაც საქმეები და ქაღალდები მიმქონდა. შიკრიკების უმრავლესობა ფეხით სერავდნენ ქალაქს თავიდან ბოლომდე ან ტრამვაის საფეხურზე მდგარნი მგზავრობდნენ, მრისხანე კონდუქტორებს ერიდებოდნენ. ჩვენ უკვე გვქონდა ერთმანეთში სალამ-ქალამი, საკანტორო წიგნაკების ქნევით ვუწევდით ხელს ერთმანეთს, ყველანი ვუჩიოდით ჩვენს უფროსებს და ყველანი გასაოცარი ერთსულოვნებით გამოვხატავდით მოკრძალებას ჩვენი „რანგების ტაბელისადმი“. მაგალითად, ყველანი შურითა და მოწიწებით ვეკიდებოდით მინისტრთა საბჭოს შიკრიკს, რომელიც, ჩვეულებრივ, მანქანით მგზავრობდა, მაგრამ როცა ქვეითად იყო, მაშინაც ამაყად თავაწეული, ღირსების გრძნობით გამსჭვალული დაალაჯებდა. რანგით დაბლა იყვნენ ქალაქის საბჭოს, სამინისტროების, რაიაღმასკომების შიკრიკები. მეც ცოტა საბაბი როდი მქონდა თავმოწონებისათვის, რამდენადაც მე და პანოსს ჩვენი უწყების ხაზით ხელმძღვანელი თანამდებობები გვეჭირა, - ჩვენ ხომ რესპუბლიკის პროკურატურის შიკრიკები გახლდით. სამსახურებრივი კიბის გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ საქალაქო, სარაიონო პროკურატურებისა და სახალხო სასამართლოების შიკრიკები...
ოღონდ, იყო რაღაც, რითაც ჩვენ ერთმანეთისგან არ განვსხვავდებოდით: ჩვენ ყველანი „ჩუტოები“ ვიყავით - თითოეული ცალ-ცალკე და ყველანი ერთად. „ჩუტოს“ გვეძახდნენ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, კანის ფერისა, საქმიანობისა და მდგომარეობისა. ჩვენ „ჩუტოს“ გვეძახდა თვითონ ამხანაგი ვაგანიც კი, ალბათ, მსოფლიოში უხუცესი „ჩუტო“, რომელიც შიკრიკად მუშაობდა ჯერ კიდევ მეფის ნაცვლისა და მერე დაშნაკების ხელისუფლების დროს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შიკრიკად მისი ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობისათვის რამდენჯერმე სცადეს დაეწინაურებინათ, მაგრამ არამც და არამც არ ცვლიდა თავის სამუშაოს სხვა რამეზე. იგი წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის კურსებზე გაგზავნეს, შვიდწლედის დამთავრების მოწმობაც ჩააბარეს, მაგრამ

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ამხანაგმა ვაგანმა შიკრიკის ჩანთა არ დათმო, ფარ-ხმალი არ დაყარა და როცა ერთხელ კიდევ, უკანასკნელადაც სცადეს მისი უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა, რესპუბლიკის პროკურორს თავისი ხელით დაუდო მაგიდაზე თავისივე ხელით გაშანშალებული თორმეტგვერდიანი საპროტესტო განცხადება. ამ განცხადებაში ამხანაგი ვაგანი მოითხოვდა, თუ უკვე აღარ მენდობით, პირდაპირ მითხარით და ამით გათავდება საქმე, ჩემი ხელით დავწერ განცხადებას და წავალ, მადლობა ღმერთს, სხვა დაწესებულებები იხვეწებიან, ოღონდ მივიდეო. მიკიბულ-მოკიბული საუბარი და ამნაირი შემოვლითი მეთოდებით მოქმედება რა საჭიროა, თუ აღარ მენდობით, წავალო და ა.შ.

შეეშვნენ კაცს.

გავიდა წლები, პროკურატურის უფლებებიც გაფართოვდა და მოვალეობებიც, რასაც მიმოწერის გაზრდაც მოჰყვა. ამხანაგი ვაგანი დაბერდა, იგი ვერ ასწრებდა ყველგან მასალების დროზე მიტანას და პროკურატურის მუშაკები იძულებულნი გახდნენ აეყვანათ ახალი შიკრიკი, თოთხმეტი წლის ბიჭი, რომელიც, ბუნებრივია, ამხანაგ ვაგანზე უკეთ ართმევდა თავს საქმეს. ამ გარემოებამ გულის სიღრმემდე შეძრა ბერიკაცი, შელახა მისი თავმოყვარეობა. იგი ავად გახდა, ყოველგვარი წესისა და რიგის გვერდის ავლით, სსრკ პროკურატურას თხოვნით მიმართეს, სომხეთის სსრ პროკურატურას მთავარი შიკრიკის განსაკუთრებული შტატი გამოუყავითო. მოსკოვში ამხანაგ ვაგანს იცნობდნენ და შტატი გამოუყვეს...

ახლა ამხანაგ ვაგანს, რომელსაც საფოსტო ოპერაციების ჩატარება და ჩვენი რიგითი შიკრიკების ზედამხედველობა აკისრია, ლამის გული წაუვიდეს, როცა ხედავს, თუ როგორ დაუდევრად, უყაირათოდ ვხმარობთ მე და პანოსი წებოს მიმოწერის საქმეებისა და ქაღალდის პაკეტების დაწებებისას და გაუთავებლად გვეჯაჯღანება:

- ე, ე, ჩუტოებო, რას აკეთებთ, ერთი, რას? ამხანაგო ესთერ, ერთი შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მუშაობენ! ამაში ფულია გადახდილი, გაიგეთ, ფული! რამდენს უსვამთ, აქ ხომ ერთი, სულ ერთი წვეთი წებო ყოფნის...

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა შეუვალობით წინასწარმეტყველებდა ამხანაგი ვაგანი, თქვენგან ხეირიანი შიკრიკები მისდღემში არ გამოვა, რადგან მუშაობის ყადრი არ იცითო; ეს ჩვენი ხელმძღვანელობა გამაგიჟებს, ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს ასეთ ღლაპებს როგორ ანდობსო და ვერაფრით ვერ გაეგო, ეს სახელმწიფო, ნეტა, როგორა დგას ფეხზე, როცა ამისთანა შიკრიკები ჰყავსო.

ჩვენ კი, ისე რომ ვთქვათ, მონდომებას არ ვაკლებდით, ძალიან ვცდილობდით, სირცხვილი არ გვეჭამა. სკოლიდან პირდაპირ პროკურატურაში მივრბოდი, საქმეებსა და კონვერტებს ვიბარებდი და ყინვასა თუ პაპანაქება სიცხეში, მშიერ-მწყურვალი დავეძებდი ადრესატებს. ერთმანეთის მიყოლებით გულში ზეპირად ვამბობდი ყველა ლექსს, რაც კი მახსოვდა, ერთმანეთის მიყოლებითვე ვმღეროდი ყველა მხიარულ სიმღერას, რომლებიც კი სკოლაში გვასწავლეს და ამით ვცდილობდი შეუმჩნევლად მომეკლა დრო, გზის სიძნელე შემემსუბუქებინა, არადა, რამდენჯერ ყოფილა, რომ ქანცგაცლილს ტირილი ქვეყანას მერჩივნა. ასევე სწრაფად გამოვრბოდი უკანაც, რომ სამუშაო დღის ბოლოსთვის მომესწრო პროკურატურაში, მიმეღო ახალი შეტყობინებები, სადაც ჯერ იყო და ვისთვისაც ჯერ იყო, დასარიგებლად.

- დღეს ბევრი შეტყობინებაა, როდისღა მოასწრებ დარიგებას? - თანაგრძნობით მეკითხებოდა ასია, აი, ის ლამაზი გოგო, კარის ხელმარჯვნივ რომ იჯდა.

- არა უშავს, ამხანაგო ასია, - რიხიანად ვპასუხობდი მე, - იოლი საქმეა, სულ სირბილ-სირბილ ჩამოვივლი...

- კი, მაგრამ, გაკვეთილებს რას უშვრები?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- გაკვეთილებსაც მოვასწრებ, ამხანაგო ასია...
- ეგრე არ გამოვა! მომე, ერთი ის შეტყობინებები... - ასია მართმევდა ქაღალდებს, მისამართებს ათვალიერებდა და ზოგიერთს გვერდზე სდებდა, - ესენი ჩემს სახლთანაა, მე მივიტან...
- ამხანაგო ასია...
- მაგრამ, სამაგიეროდ... - იგი კარს კლიტით კეტავდა, ხელს მაღლა სწევდა და წკრიალა ხმით აცხადებდა, - სამუშაო დღის დამთავრებასთან და ამხანაგ ესთერის აქ არყოფნასთან დაკავშირებით იმართება რესპუბლიკის საერთო განყოფილების თვითშემოქმედებითი წრის გამოსვლა. სოლისტები - უფროსი ჩუტო - შესავალი სიტყვა, ეგინე - პაროდიები, ასია - სიმღერები, გეგუი - ცეკვები, უმცროსი ჩუტო - საკრავ-ინსტრუმენტები...
და იწყებოდა მხიარულება. მთელი დღე მაგიდაზე თავდახრილი, სერიოზული სამუშაოთი და ამხანაგ ესთერის სიმკაცრით დაღლილი ახალგაზრდა მდივნები „ხელ-ფეხს იხსნიდნენ“. მღეროდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, იმდენს იცინოდნენ, ისტერიკამდე მიდიოდნენ. იცინოდნენ, თითქოს, ამდენი რომ არ იცინონ, დაიხოცებიანო. ყველაფრის მიუხედავად იცინოდნენ. გაზაფხულმა დაიგვიანა, მაგრამ მაინც იცინოდნენ. ომი გაჭიანურდა, შტორები ღამღამობით ჩამოშვებული იყო, ბნელ ქუჩებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შუა მიფრინავდა და მაინც იცინოდნენ... და ამათ სიცილ-ხარხარში იყო რაღაც სხვისთვის გაუგებარი, უსაშველო, გულისმომკვლელი ტკივილი და ვარამი...
- შეტყობინებების დარიგება არ დაგავიწყდეს, ჩუტო...
დავიწყებით, რასაკვირველია, არ მავიწყდებოდა, მაგრამ პირველ ხანებში ვერა და ვერ გამეგო, ყველგან, სადაც კი შეტყობინება მიმქონდა, რატომ მხვდებოდნენ ასე შუბლგაუხსნელად, ხშირად კი მტრულადაც? ამის პასუხი მალე მივიღე საღამოსპირს, ძორაგიუხის ქუჩაზე.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეოთხე თავი
სასიხარულო შეტყობინება არ არსებობს

სადაცაა შებინდდება, მაგრამ ვერა და ვერ ვაგნებ მისამართს: ძორაგიუხის ქუჩა, II შესახვევი, სახლი 22. ძორაგიუხის ამ დასახლებაზე არავითარი ქუჩის ხსენება არ არის, მხოლოდ რამდენიმე გზაწვრილი ეშვება ზანგუსკენ და ისინიც ან ეზოებში შედის ან ქარაფთან წყდება. დაბალი ალიზის სახლებია, ტერასებად შეფენილი, არც არსაიდან კვამლი ამოდის, არც რაიმე ხმა ისმის, საერთოდ, კაცსაც წამლად თუ ნახავ. გულისდამამძიმებელი სიჩუმე ჩამოწოლილა ძორაგიუხის თავზე და ზანგუს ყრუ გუგუნი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ სიჩუმეს. როგორ ვიპოვო ოცდაორი ნომერი სახლი? გული ამოვარდნაზე მაქვს, რაღაცისა, არ ვიცი კარგად, რისი, მეშინია. ამ ადგილებზე ისეთ რაღაცეებს ყვებიან, თმა ყალყზე დაგიდგება კაცს... პირველივე სახლის კარზე ვაკაკუნებ. დიდხანს არავინ მეხმიანება. კიდევ უფრო მიპყრობს შიში და ამის გამო უკვე კი არ ვაკაკუნებ, ვაბრახუნებ. რამდენიმე წუთის შემდეგ მესმის ვიღაცის გულმოსული ჯუჯღუნი და გინება.

- ვინა ხარ მანდ? - იკითხა ვიღაცამ კარს იქიდან.
- ბიძია, ოცდაორი ნომერი სახლი მინდა.
- ოცდაორი ნომერი გინდა? - ხმამაღლა მეკითხებიან შიგნიდან. - ოცდაორი ნომერი სახლი რომელია? - ჯერ შიგნით ვიღაცას ჰკითხეს და მერე ისევ მე გამომძახეს, - მაინც ვინ გინდა შენა?
- ვართან ასლანიანი მინდა.
- ვართანი გინდა? რა საქმე გაქვს ვართანთან?
- შეტყობინება მოვუტანე პროკურატურიდან.
- პროკურატურიდან? - აქეთ მეკითხება შიგნიდან ის ვიღაცაა და ჩუმდება. ჩემამდე აღწევს ჩურჩულის ხმა, მერე ისევ ის ხმა მეხმიანება, - აქ ასეთი არავინ ცხოვრობს.
- ოცდაორი ნომერი სად იქნება, ბიძია?
- აბა, მე საიდან ვიცი? მე რა, შენი სამისამართო მაგიდა ვარ, თუ რა? მოუსვი აქედან, თორემ თუ გამოვედი...

ნეტა, რას მემუქრება? დავუშავე რამე, თუ? მითხრეს, შეტყობინება ძორაგიუხის ქუჩის მეორე შესახვევის ოცდაორ ნომერში ვართან ასლანიანს მიუტანეო, მეც აქა ვარ, მოვიტანე. ვითომ, ამისთანა რა ვუთხარი, რომ ის ბიძაკაცი მიბრაზდება? იქნებ, ვერ გავაგებინე, ვინა ვარ და რისთვისაც მოვედი, თორემ, ვითომ, რაზე უნდა მიწყრებოდეს და მემუქრებოდეს? გაკვირვებულმა და გულნატკენმა კიდევ რამდენიმე სახლს მივუკაკუნე, მაგრამ წესიერ პასუხს ვერ ვეღირსე, და, ბოლოს, ერთ ეზოში მდგარ ქალს ვკითხე: დეიდა, ეს მეორე შესახვევია-მეთქი? მეორე შესახვევიაო. ოცდაორი ნომერი სად იქნება-მეთქი? შენა, ვინ გინდაო? ვართან ასლანიანი მინდა-მეთქი. რისთვის გინდაო? - დაიძაბა ქალი. პროკურატურიდან შეტყობინება მოვუტანე-მეთქი.

- არ არის, არ არის, გაიგე! - უცებ ბრაზდება ქალი, - არავითარი ასლანიანი-მასლანიანი აქ არ ცხოვრობს!
- იქნება, სახლმმართველი სად ცხოვრობს, ეს მაინც მასწავლოთ, - შევევედრე, - აგერ, უკვე ორი საათია დავეძებ ამ ასლანიანს, სახლმმართველი წამიწერს მაინც, რომ ასეთი კაცი აქ არ ცხოვრობს და მეც ჩემს გზას დავადგები.
- მომე, ერთი, ის ქაღალდი, - მითხრა ქალმა და შეტყობინება თითქმის გამომტაცა ხელიდან. შავი, დახეთქილი ხელები აქვს, ბლუზის მარცხენა სახელო გამოხევია, ფეხზე ხის ქოშები აცვია, გეგონება აბანოშიაო.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- შეტყობინების ყუაზე ხელი მომიწერეთ და მომეცით.
- წადი, წადი აქედან, - მიყვირის ქალი, - წადი და შენი ფეხი არ დავინახო ამ არემარეზე.
სადღაც შიგნიდან ბურთივით რაღაც მაწვება და მახრჩობს.
- დეიდა, - ვემუდარები, - მომეცი, დეიდა, შეტყობინების ყუა და გამიშვი, მომეცი, თორემ, იფიქრებენ, რომ მე...
- გეშინია, რომ გაგაგდებენ, არა? - დამცინის ქალი, - ის კაია, ამ ქაღალდით კაცი ციხეში რომ ჩაჯდეს?
ეტყობა, ვიღაცაში შევეშალე.
- მე პროკურატურიდან ვარ, დეიდა, რა ციხე, რის ციხე, ციხე ვახსენე, რო?! ბლანკზე ხომ წერია...
- ვიცი, როცა წერია, - კბილებში სცრის ქალი, - ვიცი, ვიცი! ქვევით რა წერია, ქვევით, ის თუ წაიკითხე? „გამოუცხადებლობის შემთხვევაშიო...“ ჰო, რა გინდათ უყოთ, რა „გამოუცხადებლობის შემთხვევაში“. მოდით, რაღას ელოდებით? მოდით და წაიყვანეთ, მეც წამიყვანეთ, მეც... ჩემი ხუთი შვილიც წაიყვანეთ, არავინ დაგვტოვოთ! წაიყვანეთ, ჰო, თავისით მაინც ვერ მოდის, ფეხს ვერ ადგამს...
და უცებ, ქალი ტირილს იწყებს, შავ, დამსკდარ ხელებში რგავს თავი და მოთქმით ტირის. მისი ქვითინი რაღაცნაირ შემზარავ, ენით გამოუცემელ გოდებას მაგონებს.
არ ვიცი, რა მემართება. თავში თითქოს კომბალი ჩამარტყესო, ისე მტკივდება, თითქოს რაღაცა ხერხემალში მამტვრევსო. ვერაფერი გამიგია, რატომ მიკრავს ეს ქალი მკერდში და რატომ მეცემა სახეზე მისი ცრემლები?..
- დედა, დედიკო! - ვუყვირი მე - დედა!
რაღაც ხმები მესმის. ერთი - ყრუ, გაბრაზებული კაცის ხმაა, მეორე, - ქალისა, - წვრილი, ათრთოლებული...
- ეს ხო მთლად ბავშვია, ღმერთო კი მომკალი. ვერ ვიხედები ამ თვალში და არა გჯერათ! ვართან, ვართან, ბავშვი ყოფილა, მთლად ბავშვი! გოგო, მოიტა წყალი, რას გაშტერებულხარ, არ გესმის! დალიე, შვილო, დალიე, დალიე, გენაცვალე, დალიე...
ხარბად ვსვამ და თანდათან მოვდივარ გონს. თვალს ვახელ, - ბნელ ოთახში სკამზე ვზივარ. ჩემს პირდაპირ, რკინის საწოლზე წევს ფერმკრთალი, გაუპარსავი ხნიერი კაცი. დიდი, კეთილი თვალები აქვს. მაგიდაზე ნავთქურა ხრჩოლავს და მის მკრთალ შუქზე ვხედავ ბავშვებს: ერთს, მეორეს, მესამეს... მეოთხე მაგიდას უზის, წინ რვეული, წიგნი და სამელნე უდევს.
- აბა, როგორა ხარ, ყმაწვილო? - ხვნეშით მეკითხება მამაკაცი, - კარგად ხარ უკვე? ვხედავ, კარგადა ხარ, კარგად. შენ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ, - მის გვერდით მჯდარ დამწუხრებულ ქალზე მანიშნებს თავით, - ქალები ხო იცი, ესეთები არიან. ამათ ყოველთვის ჰგონიათ, შეტყობინება თუ მოუვიდა კაცს, მაინცდამაინც დაჭერაზეა საქმე მისული. ყველა შეტყობინება დაჭერას არ ნიშნავს, ხო ესეა, ხო მართალს ვამბობ, უთხარი, ერთი, ამათ. მომისმინე, ამას წინათ ფეხი გადამიბრუნდა, შემიშუპდა, ძალიან მტკივა, გავლა არ შემიძლია, - ლოგინიდან გამოჰყო მართლაც ძალზე გასიებული, რაღაც ძველმანებში გახვეული ფეხი, - უკვე სამი დღეა სამსახურში არ ვყოფილვარ, ჰოდა, ეტყობა, იფიქრეს, ეგა უმიზეზოდ აცდენსო, გაიგე? ამიტომაც, ადგნენ და პროკურატურას მისწერეს, ესაო, ისაო. ექიმს გამოვუძახეთ, მაგრამ აქამდე არა და არ ჩანს, ალბათ, ვერ გამოაგნო. ჩვენ ხომ ნორმალური მისამართი არა გვაქვს...
- პროკურატურამ ხომ მაშინვე მოგაგნო, - ხმადაბლა დაიჩივლა ქალმა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ამისთვის მიბარებენ, ხომ ასეა? - მკითხა კაცმა, - სხვა არაფრისთვის. ახლა უმიზეზოდ გაცდენა ყველაზე საშინელი დანაშაულია, მაგრამ მე არ შემიძლია სამსახურში სიარული, გესმის თუ არა, ფეხზე ვერ ვდგები. მომე ის შეტყობინება, - უბრძანა ცოლს, - კალამი და მელანიც მომიტანე და პირდაპირ აგერ წავაწერ, რატომაც არ შემიძლია იქ მისვლა. მაშინ ხომ საყვედური არ შეგხვდება, ხო ასეა? შენ რა, შენი რა ბრალია... - ხველება აუტყდა, სიტყვა ბოლომდე ვერ ჩაათავა; პირთან ცხვირსახოცი მიიტანა და ჩუმად, მთელი სხეულით ახველებდა შიგ, - აი, ამის გამო ომშიც არ წამიყვანეს, - ხველება-ხველებით ძლივს მითხრა სათქმელი.

- რასაკვირველია, რასაკვირველია, - ვამშვიდებ მას და ვგრძნობ, რომ გულისამრევად ფორმალურ სიტყვებს ვლაპარაკობ, - აბა, მე რა შუაში ვარ. მითხრეს, ეს შეტყობინება აქა და აქ, ამას და ამას მიუტანეო და მეც მოვიტანე. მე რომ არ მომეტანა, პანოსი მოიტანდა, ან, სულაც... ამხანაგი ვაგანი მოგართმევდათ. ახლა რას ვიზამ მე? წაიქცა კაცი-მეთქი, ჩემი თვალით ვნახე-მეთქი. ჩვენი მეკუჭნავეც წაიქცა, სამსახურში არ დადის, მაგრამ სიტყვასაც არავინ ეუბნება...

- აი, ხომ ხედავ, - ვართან ასლანიანი გამარჯვებული კაცის სახით შესცქერის ცოლს, - ხომ გეუბნებოდი... ფეხი რა დღეშიცა მაქვს, ყველა ხედავს... აიღე, შვილო, ის შენი ქაღალდი და წადი, წადი... თუმცა, მოიცა, მოიცა...

მე კარებში ვჩერდები, ვართანი კი ცოლს ხელით იხმობს და ყურში რაღაცას ეჩურჩულება. ქალი მას სახეში შესცქერის, კაცი კი უკვე ხმამაღლა ამბობს: „არაფერია, არაფერი“. ქალი იკუზება, ლოგინის ქვემოდან რაღაც გამოაქვს, ჩემკენ მოდის და ხელს მიწვდის. ხელისგულზე პატარა წითელი ვაშლი უდევს.

დავცქერი ვაშლს და ვგრძნობ, რომ თვალზე ცრემლი მადგება.

- ნუ წუხდებით, ბატონო, რატომ წუხდებით? დიდი მადლობა, სახლში ბლომად გვაქვს, - ვყვირი მე და გამოვრბივარ სახლიდან, - იმ ვაშლის ყურება აღარ შემიძლია! სირბილით მივუყვები გზაწვრილს. მივფორთხავ ქვებზე, ვვარდები ღრანტეებში, ისევ ვდგები ფეხზე, მივრბივარ და თან ცრემლებს ვაღვარღვარებ, სუნთქვა მეკვრის, ვიხუთები. ყურებში ქარი მიწივის, ხან სახეში მირტყამს, ხან უკნიდან მიტლაშუნებს, ცელქი ბალღივით აქეთ-იქით მათამაშებს, წინ მიმაქანჩალებს და... მე გავდივარ ჩვენს ქუჩაზე, ჩემს ციხე-კოშკთან, ჩვენს სახლთან, რომელიც ტიგრან-ახპარის პატარა ბაღს მიჰკვრია.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეხუთე თავი
მივდივარ კაცის გასათავისუფლებლად

- ჩუტო-ჯან, რაღაც გინდა მითხრა? - მეკითხება ამხანაგი ასია.
იგი განგებ წერს ნელა, რომ მე ცოტა სული მოვითქვა, შევისვენო, მაგრამ ამას ისე აკეთებს, რომ ვერავინ ამჩნევს. მე მასთან ახლოს მივდივარ და ჩუმად ვეკითხები:
- ამხანაგო ასია, ვისთანაც მე შეტყობინება მიმაქვს, ყველას იჭერენ?
- არა, რას ამბობ? - იცინის ასია, - ასე რომ იყოს, სად წავიდოდა... არა, ყველას არა, ზოგიერთს იჭერენ. ვისი დაჭერაც გადაწყვეტილი აქვთ, იმას ჩვეულებრივ შეტყობინებას არ უგზავნიან.
- ესე იგი, ვართან ასლანიანს არ დაიჭერენ?
- ვართან ასლანიანი ვიღაა? - მხრებს იჩეჩს ამხანაგი ასია.
- თქვენ მე იმასთან გუშინ შეტყობინება გამატანეთ, არ გახსოვთ?
- მე დღეში ოცდაათ-ორმოც შეტყობინებას ვაგზავნი და, აბა, ყველას როგორ დავიმახსოვრებ?
- გაიხსენეთ, ამხანაგო ასია, ძალიან გთხოვთ, ვართან ასლანიანი
გაიხსენოთ, - ვემუდარები, - მას არაფერი დაუშავებია, ფეხი გადაუბრუნდა, შეუშუპდა, გაუსივდა და სამსახურში ვერ დადის. ხუთი შვილი ჰყავს, ცოლიც სულ ტირის და ტირის, ექიმი კი იმათ სახლს ვერასგზით ვერ აგნებს.
ამხანაგი ასია ერთხანს ყურადღებით მიყურებს და მის მუდამ მოღიმარე თვალებში სერიოზულობა იბუდებს.
- კარგი, - მეუბნება, - ახლავე მოვძებნი მის საქმეს, მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა იყოს. სერიოზულ საქმეებში ნუ ჩაეჩრები, ჩუტო, გაიგე, თუ არა? ქაღალდები მიიტანე, სადაც დაგავალებენ და, ჰაიდა, სხვა შენ არაფერი გეკითხება.
იგი ალერსიანად, ნაზად მიყურებს, რადგან იცის, რომ ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს პრინციპით „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“. თვითონაც ხომ ყველაფერი გულთან მიაქვს. ახლა, მას რომ ვუსმენ, არ ვიცი, მე მმოძღვრავს თუ თავის თავს. მელაპარაკება და თან სწრაფად, სწრაფად ფურცლავს საქმეების შეკვრას, რომელიღაც ქაღალდს გულისყურით ათვალიერებს და სიხარულით წამოიძახებს:
- არა, სხვა არაფერი ყოფილა. თუ შეძლებს და დაამტკიცებს, რომ მართლა ავადაა, ცუდი არაფერი მოელის. აბა, გაიხარე, ყმაწვილო, გაიხარე! - მიღიმის ამხანაგი ასია, - ახლა მე შენ გაგიშვებ, მერე პოლიკლინიკაში დავრეკავ და ვთხოვ, რომ იმ შენს ასლანიანს ექიმი გაუგზავნონ. კიდევ რამე საქმე გაქვს ჩემთან?
ეს ქალი გამაგიჟებს. როგორ მიხვდა, რომ კიდევ რაღაცის კითხვა მინდა. როცა რამეს ვფიქრობ, ნეტა, ტუჩებს ხომ არ ვაცმაცუნებ!
- ამხანაგო ასია, - ვეკითხები, - აა, ამხანაგო ასია, ყველა ჩემი შეტყობინება ამისთანა... უსიხარულო იქნება?
ამხანაგი ასია თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს და არაფერს მეუბნება.
- აბა, ამხანაგ ვაგანს მთელი თავისი ცხოვრება ასეთი უსიხარულო შეტყობინებები მიჰქონდა ხალხთან?
- გააჩნია, ჩემო ჩუტო, გააჩნია, - მპასუხობს ის, - რაც ერთისთვის უსიხარულო, სამწუხარო ამბავია, სხვებისთვის შეიძლება სასიხარულო იყოს. თუ ის ერთი ხალხს სისხლს უშრობს და ამწარებს, მას ციხეში სვამენ და ეს ბევრს უხარია. არ ვიცი, უკეთ როგორ აგიხსნა. ჯერჯერობით შენ ბოლომდე მაინც ვერ გაიგებ. დრო მოვა და ყველაფერს მიხვდები.
- თუ არსებობს ისეთი დაწესებულება, საიდანაც მხოლოდ სასიხარულო, სასიამოვნო შეტყობინებები ეგზავნება ხალხს?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ამხანაგი ასია წუთით დაფიქრდება.
- არა, ასეთი დაწესებულება არ არსებობს, - მეუბნება იგი, - სასიხარულო, სასიამოვნო ამბებს ადამიანი შეტყობინების ფურცლის გარეშე გებულობს. კიდევ ხომ არაფერი გინდა?
სხვა არაფერი მინდა, ამხანაგო ასია, დიდი მადლობა-მეთქი.
გაგიჟებით მინდა ვკითხო, ისეთი დრო თუ დადგება, როცა ადამიანები მხოლოდ სასიხარულო შეტყობინების ქაღალდებს მიიღებენ, უფრო სწორად, შეტყობინების ქაღალდებს სულ არ მიიღებენ და მთელ მსოფლიოში არც შეტყობინების ქაღალდები იქნება და არ შიკრიკები-მეთქი. მაგრამ იმ წუთში გამიელვა: არა, არა, მაშინ ამხანაგმა ვაგანმა რა უნდა აკეთოს? - და ამაზე ფიქრს შევეშვი.
- ჩუტო, აქეთ მოდი, - ამხანაგი ესთერი მეძახის. იგი მკაცრია, არასოდეს იღიმება, ამიტომ მისი ძალიან მეშინია და ვცდილობ თვალში არ შევეჩხირო. ახლაც ცხვირჩამოშვებული და რაღაცით უკმაყოფილოა, შესაძლოა იმით, რომ ამდენი ხანია ვეჩურჩულები ამხანაგ ასიას, - ჩუტო! ყველა შენი საქმე ახლა გვერდზე გადადე და აი, ეს კონვერტი ციხეში წაიღე. ციხის უფროსს ჩააბარე. ასია, რეგისტრაციაში გაატარე!
ამხანაგი ასია რაღაც ქაღალდს ართმევს, კონვერტში დებს, კიდეებზე ბეჭედს არტყამს და შუაში ლუქავს. ეტყობა, ძალზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით საიდუმლო უწყებაა.
- იცი, როგორ სულმოუთქმელად მიგელიან ახლა იქ? - ჩურჩულით მეუბნება ამხანაგი ასია, - ამ კონვერტში ერთი პატიმრის განთავისუფლების ბრძანება დევს.
- იმ პატიმარმა იცის, რომ უნდა გაათავისუფლონ?
- ალბათ... აბა, გაიქეცი.
გამოვდივარ ჩვენი საერთო განყოფილებიდან და მართლა მინდა გავიქცე, გავიქცე, რომელია, მინდა გავფრინდე. ამწუთას რანაირი ფიქრი არ მომდის თავში! ერთი წარმოდგენა წარმოვიდგინე, ვიღაც არამზადებს განზრახული აქვთ, თავს დამესხან და კონვერტი წამართვან. მე მარჯვედ ვუსხლტები მათ და მივრბივარ, თითქმის მივქრი, რანაირ ილეთებს არ ვაკეთებ, ოღონდ კი იმ არამზადების მიერ ნასროლი ტყვიები ავიცდინო. ხან შეშფოთებით ვფიქრობ: ვაითუ, ახლაც გუშინდელივით გრძნობა დავკარგო ან ტრამვაის ჩავუვარდე, ის პატიმარი კი ინერვიულებს, რომ კონვერტი ამდენ ხანს აგვიანებს. „პროკურატურიდან შიკრიკი კიდევ არ მოსულა? არ მოსულა? არ მოსულა?.."
დერეფნის ბოლოში შალმოხურული დედაბერი, გრძელულვაშა მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი დგანან.
- ჩემო ძამიკო, შენ ხომ არ მოგაქვს ჩვენი სარქისის ქაღალდი? - მეკითხება ახალგაზრდა ქალი.
- რა ქაღალდი? - გაოცება მინდა სახეზე დამეწეროს, - არავითარი ქაღალდი მე არ მომაქვს.
- შენ შემოგევლე, ძვირფასო ამხანაგო, - ხელს მკიდებს დედაბერი, - სარქისის ქაღალდი თუ მოგაქვს, ნუ დამიმალავ, დედა ვარ, შენს გაზრდას.
მე, რასაკვირველია, ფრიად ნაამები დავრჩი. ჩემს სიცოცხლეში პირველად დამიძახეს „ამხანაგო“ და უკვე არაფერს ვმალავ:
- არ ვიცი, თქვენ რა ქაღალდზე მელაპარაკებით, - ვპასუხობ ამ ხალხს, - მაგრამ მე ციხეში მივდივარ ერთი პატიმრის გასათავისუფლებლად.
მეც კაი ვინმე ვარ, ისე ვბაქიბუქობ, თითქოს მართლა მე ვათავისუფლებდე ვინმეს ციხიდან.
- ჩვენს სარქისზე ამბობს, ჩვენს სარქისზე! - სიხარულით არ იციან, რა ქნან, სამივეს უნდა ხელი მომკიდოს, - წამო, ძვირფასო ძმაო, ძვირფასო ამხანაგო, ძვირფასო უფროსო, წამო, წამო. „ძვირფასო უფროსოო“, გესმით!
- წავიდეთ! - რიხიანად ვამბობ მეც.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

კიბეზე ვეშვები და ამაყი და ბედნიერი მოვალაჯებ ქუჩაში. მივდივარ და ეგენიც აქეთ-იქიდან მომყვებიან. გრძელულვაშა მამაკაცი პატიმრის მამაა, ნამდვილად. იგი ასფალტზე თავკაუჭა ჯოხის ბაკუნით მიცუხცუხებს, პატიმრის დედა და ცოლი კი ლოცვა-ლოცვით მომდევენ გვერდში.

- წამო, შენ შემოგევლე, წამო! იცოცხლე, იბედნიერე, სულ ია-ვარდით იყოს შენი ცხოვრების გზა მოფენილი. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ღმერთი...

არა მგონია, ერევნის ქუჩებში ასე ამაყად, ასეთი ბედნიერი სახით, ასეთი მაღმერთებელი ამალის თანხლებით ვინმეს გაევლოს!

ციხესთან იმათ ვეუბნები, თქვენ აქ, ქვევით დამელოდეთ, მე კი ადმინისტრაციული კორპუსის მეორე სართულზე უნდა ავიდე-მეთქი. კონვერტს ვაბარებ ციხის უფროსს, რომელიც, ასე მეგონა, ცეცხლივით წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი პირქუში კაცი უნდა ყოფილიყო, ის კი ერთი ვერცხლისწყალივით მოძრავი, სასაცილო ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა - არავითარი ცეცხლივით წითელი ტანსაცმელი, მილიციის კაპიტნის ფორმა ეცვა. მან მაშინვე გასცა საჭირო განკარგულება, ჩემს ჟურნალში ხელი მოაწერა და მე ქვევით დავეშვი. ის ჩემი თანამგზავრები წუთში შემომეხვივნენ:

- რაო, რა თქვა, ძამია, ჰა?

- აბა, მაგას რა უნდა ეთქვა, - თან ისე ჩავიცინე, ვითომ ციხის უფროსს არაფრად ვაგდებდი, - ცოტა ხანში გამოუშვებენ. წამოდით, ჭიშკართან დაველოდოთ.

არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა. ქალები დაიღალნენ და კედელთან ქვაზე ჩამოსხდნენ, მოხუცი მიწაზე რაღაცას ხატავდა თავისი თავკაუჭა ჯოხის წვერით, რკინის ჭიშკარს თვალს არ აშორებდა და თან გაუთავებლად მელაპარაკებოდა თავის მთებზე, რომლის ბადალი ამქვეყნად არაფერია და თავის სარქისზე, რომელიც მგლებს ბევრჯერ შებმია კომბლის ამარა.

- გინდ დაიჯერე და გინდ არა, ერთხელ ისე მოხდა, რომ ერთმა ოხერმა მამაძაღლმა შენს დაიკოს თვალი ჩაუპაჭუნა...

- ვინ ჩემს დაიკოს? - ვერაფერი გამიგია. ჯერ ერთი, ჩემს დას ესენი საიდან უნდა იცნობდნენ?

- ამაზე ვამბობ, ჩვენს რძალზე, - მოხუცი ჯოხს იშვერს ახალგაზრდა ქალისკენ, - სარქისმა როგორც კი ეს გაიგო, დედა უტირა იმ ოხერ მამაძაღლს და... ერთი წელი აიკიდა. აბა, როგორ! სასუნელი მოკვდება, მაგრამ თავის ღირსებას არავის შეალახვინებს!

შემდეგ ბერიკაცი მეუბნება, თეთრ, შუბლზე შავხალიან ბატკანს გაჩუქებ, თუ გინდა, ამ წუთში შემიძლია მოგიყვანო, მაგრამ ჯერ ძალზე პატარა და საცოდავია და აჯობებს შემოდგომამდე მოვიცადოთო. რას ბრძანებთ, არა, ბატონო, არ მინდა-მეთქი, მაგრამ ვინ გისმენს, თავისას გაიძახის...

ამ დროს კედლის ძირში მიმსხდარი ქალები სიხარულის კივილით დგებიან ზეზე და ყელზე ეხვევიან თავგადაპარსულ ტანხმელ ახალგაზრდას, რომელიც ეს წუთია გამოვიდა ციხის შენობიდან და, თითქოს ეშინია, ჩახჩახა მზემ არ დააბრმავოსო, ბეჩავად ჭუტავს თვალებს და დამნაშავე კაცის ღიმილით იღიმება. ეხვევიან, კოცნიან, ერთმანეთს ასწრებენ, ხან აქედან ათვალიერებენ, ხან იქიდან, ჩასცქერიან აცრემლებულ თვალებში და ისევ კოცნიან, ეხვევიან. ბიჭი იცინის, ცდილობს თავი დაიხსნას დედისა და ცოლის მკლავებისგან, მაგრამ ვერ ახერხებს. ასე, ერთმანეთს გადახვეულნი, სიცილ-სიცილითა და ტირილ-ტირილით შორდებიან აქაურობას და მე და თავიანთ მწუხარებას ერთად გვტოვებენ ამ ციხის კედლებთან.

რამდენიმე წამით თვალს ვაყოლებ მათ, შემდეგ გავრბივარ, ჩამოვლილ ტრამვაის ვახტები, სახელურს ჩაფრენილი ისევ გავყურებ მათ, სანამ ტრამვაი ცირკთან ბაზრისაკენ მოუხვევს და მერე ისინიც თვალთახედვიდან მეკარგებიან.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

და, არ ვიცი, რატომ, უცებ, თავში გამიელვა აზრმა, რომ სიხარული უფრო ძლიერი, უფრო ნათელია სწორედ მაშინ, როცა იგი მწუხარებას ენაცვლება, ისევე, როგორც წკვარამიდან გამოსულს სინათლე უფრო ჩახჩახა გეჩვენება.
და ვფიქრობ იმაზე, თუ რა სიხარული დაისადგურებს ირგვლივ, როცა ეს წყეული ომი დამთავრდება...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეექვსე თავი
წითელი ველოსიპედი

ჩქარი ნაბიჯით მივუყვები აბოვიანის ქუჩას, მარჯვენა ხელს ჯიბიდან არ ვიღებ, მივდივარ და, მთელი ორკესტრი მიმაცილებს-მეთქი, ასე მგონია. საზეიმოდ, ხმამაღლა ჟღერენ ფანფარები, საამო ხმებს გამოსცემენ წინწილები, ჩემი გულივით ხმამაღლა ბრაგუნებს დაფდაფები. ხის ტოტებს ჟივილ-ხივილით წყდება ჩიტების გუნდი...
ჩქარი ნაბიჯით მივუყვები აბოვიანის ქუჩას, გზა მაღლა და მაღლა მიიწევს, მარჯვენა ხელი ჯიბეში მიდევს და ვერავინ, ვერავინ ამომაღებინებს! ვერავინ ამომაღებინებს-მეთქი! ჯიბეში პირველი ჯამაგირი მიდევს. რამდენჯერ მიცდია წარმომედგინა ეს დღე, რამდენჯერმე გამივლია წარმოსახვით აბოვიანის ქუჩაზე პირველი ჯამაგირით ხელში, რამდენჯერ მიოცნებია, ქუჩის კუთხეში მდგარი მოხუცისგან მეყიდა ბევრი, ძალიან ბევრი შაქარყინული და წითელი მამალოები. მიოცნებია, რომ რკინის მანეთიანი ჩამედო ბრმა მათხოვრის ასფალტზე ჩამოდებულ ქუდში, წიგნის მაღაზიაში მეყიდა ავტოკალამი, რომელშიც მელანი არასოდეს თავდება, მეყიდა დედაჩემისთვის ოქროს ბეჭედი, რადგან, მამაჩემისგან ვიცი, რომ დედას თავისი ნიშნობის ბეჭედი შიმშილობის წელს ორ ფუთ ფქვილში გადაუცვლია...
მაგრამ მე დღეს ჩქარა, ჩქარა მივუყვები ქუჩას, თითქმის მივრბივარ და ვცდილობ, აქეთ-იქით არ გავიხედო, მაღაზიის ვიტრინებში არ შევიხედო.
მხოლოდ ერთადერთხელ ვერ ვუძლებ ცდუნებას და ვჩერდები კუთხის მაღაზიასთან, სადაც ადრე, დიდი ხნის წინათ, ომამდე, საბავშვო სათამაშოებს ყიდდნენ. ახლა იმ მაღაზიის კარზე დიდი ბოქლომი კიდია, ვიტრინები კი ხის დაფებითაა აჭედილი. ისეთი სათამაშოები იყიდებოდა, ისეთი, რომ სკოლიდან სახლამდე მისვლას ორ საათს ვანდომებდი. ვიტრინასთან ყველაფერი მავიწყდებოდა. რაღა არ იყო იმ ვიტრინაში: ფარშევანგები, ფერად-ფერადი ბურთები, პატარა მატარებელი, რომლის კუდიც ხავსით დაფარულ გვირაბში იყო შეკარგული, ავტომობილი, რომლის უშველებელი გასაღებიც ჭკუაზე მშლიდა და პატარა წითელი ველოსიპედი... ყველაზე დიდხანს მე ამ ველოსიპედს ვუყურებდი... მერე ღამით მესიზმრებოდა ის. როცა მე და მამაჩემი ამ მაღაზიას ვუახლოვდებოდით, უნებლიეთ ნაბიჯს ვუნელებდი და მამას ხელზე ვქაჩავდი...
- ნუ მეკონწიალები, - ჩუმად მეტყოდა მამაჩემი და ცდილობდა ვიტრინისკენ არ გაეხედა. ვერ ვუბედავდი მეთხოვა, რომ ველოსიპედი ეყიდა: ვიცოდი, რომ ფული არ ჰქონდა. რომ ჰქონოდა, უთქმელადაც მიყიდდა. ფული რომ ჰქონოდა, ყოველი ხელფასიდან მხოლოდ თხუთმეტ კაპიკს კი არ მომცემდა ტკბილეულობით მოვაჭრე ალისგან „მამალო“ კანფეტის საყიდლად, მეტს მომცემდა - მან ხომ იცოდა, რა ძალიან მიყვარდა „მამალო“.
მაგრამ მაინც მინდოდა მამას სცოდნოდა, თუ როგორ ვოცნებობდი პატარა ველოსიპედზე. ისევ და ისევ ვქაჩავდი მამას ხელზე და ვეხვეწებოდი, ცოტა ხანიც, ცოტა ხანიც ვუყუროთ-მეთქი,
და დიდხანს ვუცქერდი. ვუყურებდი და სულ ველოდი, რომ მკითხავდა, რას მივშტერებოდი ამდენ ხანს. მაგრამ მამა არაფერს მეკითხებოდა, მხოლოდ ჩურჩულით მეტყოდა რამდენჯერმე: „წავიდეთ, შვილო, წავიდეთ, გენაცვალე“...
მივდიოდით ხელიხელჩაკიდებულნი, მივდიოდით თითქოს დაუბრებულნი. მეორე დღეს კი, სკოლიდან შინისაკენ მომავალი, მე ისევ ვჩერდებოდი ვიტრინასთან და დიდხანს, დიდხანს ვუყურებდი პატარა წითელ ველოსიპედს.
ახლა ვდგავარ ფიცრებით აჭედილ ვიტრინასთან და გული მეკუმშება. მართალია, მე ველოსიპედს მაინც არ ვიყიდდი, მაგრამ, მაინც უკეთესი იქნებოდა, ის ველოსიპედი იქ

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

დებულიყო. ვიფიქრებდი მაინც, რომ მინდოდეს, ახლავე, ამ წუთში, ჩემი ჯამაგირით ვიყიდი-მეთქი.
კიბეზე ავრბივარ. ყველანი შინ არიან. მამა თვითნაკეთი დანით თამბაქოს ფურცლებს ჭრის, დედა კუთხეში მიმჯდარა და ფრონტზე გასაგზავნ თბილ ტანსაცმელს ქსოვს, ჩემი დაც ეხმარება. შიმშილით ვკვდები-მეთქი, ვყვირი. დედა საკერავ მანქანას თავს ანებებს და სამზარეულოდან ბალახის ფხალი გამოაქვს. არც კარტოფილის პიურე აქვს და არც კარაქი. დედა ბალახსაც ტიგრან-ახპარის პატარა ბაღში კრეფდა, მას მერე, რაც დიდი რიდითა და კრძალვით ითხოვდა მისგან ამის ნებას.
- პური სადაა? - ვღრიალებ.
- ერთი ნაჭერი ვახშმისათვის გადაგინახე, შვილო, - დედაჩემი დაბნეულია, ჩემი ტონი აოცებს.
- პური დღისითაც უნდა იყოს ოჯახში და საღამოთიც, - ვიღრინები მე,
- საიდან, რანაირად, შვილო? - კიდევ უფრო ხმადაბლა მეკითხება დედა, - ჩვენს ტალონს მეტი რომ არ უწევს?!
მამაჩემს მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა.
- ფული, ფული, საიდან მოვიტანოთ, შვილო?
- ოჰ, ფული... სულ დამავიწყდა... - სათქმელი გავწელე, - აბა, ფულია საჭირო? მერედა, ვერ მეტყვით? დედაჩემო და მამაჩემო, დიდი უცნაური ხალხი ხართ, ღმერთმანი.
ესა ვთქვი, ზოზინით ჩავიყავი ჯიბეში ხელი, სამას თხუთმეტი მანეთი - მთელი ჩემი ჯამაგირი - დავაძრე და დაუდევრად დავყარე მაგიდაზე.
- ფული თუ გინდათ, აგერ არაა?!
მაგრამ შუბლი არავის გაუხსნია, ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ მეზობლების ტუტუნიც კი ისმოდა.
მამაჩემი ფეხზე დგება.
- საიდან მოიტანე? - მეკითხება და ხმაზე ვატყობ, რომ ცოტაც და, კარგი დღე არ დამადგება.
მუხლი მიკანკალებს, მაგრამ თავს ძალას ვატან, ვცდილობ ისევ ღიმილით ჩავათავო ეს თამაში:
- ფული ფულია, მამაჩემო...
- საიდან მოიტანე-მეთქი? - გადარევას არაფერი უკლია.
არა, საკმარისია, თორემ მხია ყბაში და ესაა... წამოვხტი, დედასთან მივირბინე, ზურგს უკან მოვეფარე და იქიდან გამარჯვებული კაცის რიხიანი ხმით განვაცხადე:
- თქვენ რასაც ხედავთ, ჩემი ფულია! ჩემი ჯამაგირია, მამიკო! შენ თავს ვფიცავ, დედიკოს გეფიცები, ჩემი ჯამაგირია! შიკრიკად ვმუშაობ პროკურატურაში, აბა!
და სულ წვრილად მოვუყევი, რა კარგი ხალხია ამხანაგი ესთერი, ამხანაგი ასია, ამხანაგი ეგინე, ამხანაგი გუგული, ამხანაგი ვაგანი...
მაგრამ რატომ არ უხარიათ ყველაფერი ეს ჩემიანებს, კიდევ უფრო მეტად რატომ მოიქუფრა მამაჩემი, რატომ ტირის დედა? ნუთუ, ამათ ჩემი არა სჯერათ, ნუთუ ჰგონიათ, რომ მართალს არ ვამბობ?..
- გძინავს, არტაკ-ჯან? - ჩურჩულით მეკითხება დედა.
- არ მძინავს.
- როგორ იღლები, შვილო, - ოხრავს იგი, - შენ ხომ ჯერ პატარა ხარ, შვილო, არ გამაგრებულხარ... გაანებე სამსახურს თავი, დედა გენაცვალოს, როგორმე გავიტანთ თავს...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

იგი ჩუმდება და, ისე, როგორც პატარაობისას, თავზე და შუბლზე ხელისგულით მეფერება. მე მას ხელისგულს ვუკოცნი, ვუკოცნი ძვლად და ტყავად ქცეულ ხელებს და უსახელო თითს, რომელზეც ოდესღაც ოქროს ბეჭედი ეკეთა.
არა, მე სამუშაოს თავს არ გავანებებ, დედიკო! სწორედ შენი გულისთვის, შენ რომ კარგად მყავდე, იმიტომ არ გავანებებ. შენ გგონია, რომ ძალიან მძიმე სამუშაო მაქვს? შიკრიკი ვარ, დედი, შიკრიკი! დავრბივარ ქალაქში და კიდევ ვირბენ, ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, ბევრ ფულს მოვაგროვებ და გიყიდი პრიალა ლაქის ფეხსაცმელს, კარგ ყვავილებიან კაბებს და ბევრ, ბევრ ბეჭედს, ყველა თითისთვის გიყიდი ოქროს ბეჭედს, რადგან შენ ამქვეყნად ყველაზე კეთილი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე საყვარელი არსება ხარ, დედიკო!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეშვიდე თავი
როგორ შეიძლება, არ ენდო?

- აბა, წადი, არტაკ-ჯან, დაიძინე, თორემ უკვე მაგიდასთან გეყვინთება!
ყვითელი ბეჭდები უკვე აღარ რიალებენ ჩემ თვალწინ, ისინი ელვის უმალ ერთ ბეჭდად იკვრებიან და ამ წუთში შევყურებ დედაჩემის თითზე ჯერჯერობით ერთადერთ თხელ, სიფრიფანა პატარა ბეჭედს.
- ღამე მშვიდობისა, დედი!
სამზარეულოდან გამოვდივარ და ფრთხილად, რომ მამა არ გავაღვიძო, ვაღებ ჩვენი ოთახის კარს. მამამ რამდენჯერმე ყრუდ დაახველა. პაპიროსის შუქმა წამით გაანათა მისი გაანათა მისი დაღარული სახე და ფართო, მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები.
- შენა ხარ, არტაკ? - მეკითხება მამა, თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ იგი ჩემს შესვლას ელოდა.
- ჰო, მე ვარ. საღამო მშვიდობისა, უფრო ზუსტად, დილა მშვიდობისა, მამა!
- თუ წერას აპირებ, აქ აანთე შუქი, სამზარეულოში ნუ გახვალ, - მეუბნება იგი.
- კი, მაგრამ შუქზე...
- არაფერია, არაფერი, თუ გინდა, დაჯექი და იმუშავე...
ყველაფერი გასაგებია! მამას ჩემი ფელეტონი წაუკითხავს. პირველად ხდება, რომ შუქის ჩაქრობას კი არ მთხოვს, პირიქით, - გესმით! - აქეთ მეუბნება, რომ ჩვენი ერთადერთი ლამპა ავანთო და ვწერო, არა, ნამდვილად წაკითხული აქვს ჩემი ფელეტონი, ნამდვილად. იქნება, თავის ქარხანაშიც ყველას აჩვენა.
- არა, მამი, მეძინება, - ვეუბნები გულაჩუყებით.
ალბათ მართლა ჩავყვინთე სამზარეულოში, იმიტომ, რომ ახლა ნამდვილად არ მეძინება. უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე იმდენი სასიხარულო, ჩემთვის მნიშვნელოვანი ამბავი გადამხდა, რომ მინდა ისე, ნებივრად გავიშოტო და ჩემს ბედნიერებაში ჩავიძირო, მინდა ვიწვე და ვიოცნებო.
- ბიჭო, ყური მიგდე, ერთი! შენა, რა დღე აყარე იმ ვეზირიანს? - იცინის მამაჩემი და ვგრძნობ, რომ საუბრის გუნებაზეა, - ნუთუ ის, რაც დაწერე, სიმართლეა?
- სიმართლეა, აბა, რა!
- თავიდან ბოლომდე თუ მხოლოდ ხუთი პროცენტი? ოსტატი მუხაილი ამბობს, შენს ნათქვამში ხუთი პროცენტი მაინც თუა სიმართლე, დაბეჭდვის ნებას გაძლევენო.
- არა, მამა, ასი პროცენტით მართალი უნდა იყოს.
- ხედავ, კაცო, ხედავ! - მეჩვენება, რომ მამაჩემი სიბნელეში თავს აქეთ-იქით იქნევს, - ეგ ოხერი, ეგა. ერთი მითხარი, რა ჯანდაბად უნდა ამ კაცს ამხელა ფული? ამდენს ჩახეთქავს, რო? ეჰ, მამაჩემო... მთელ შენს ხელფასს ჩვენ მართლაც უკანასკნელ კაპიკამდე საჭმელში ვხარჯავთ. მინდა წარმოვიდგინო, როგორ ნთქავს ვეზირიანი ყველაფერს, რისი ყიდვაც შეიძლება მისგან მოხვეჭილი ათი ათასებით და სიცილს ძლივს ვიკავებ. მამა, ეტყობა, მიმიხვდა და გაკვირვებული, გაოგნებული ქოთქოთებს:
- კარგი, ჰო! სახლი მოიწყო? მოიწყო. ცოლი და შვილები კოვერკოტში გამოპრანჭა? გამოპრანჭა. ყოველდღე ტოლმას ჭამენ? ჭამენ. ყოველდღე კინოში დადიან? დადიან... მეტი რა უნდათ? არა, კიდე რას შვრებიან? ისე, გინდა მომკალი, არ მჯერა, რომ ასეთი ხარბი კაცი ბედნიერად ცხოვრობდეს, - ასკვნის იგი, - ალბათ იმ ფულების შიში სულ აკანკალებს, აცაცახებს და ერთ მშვენიერ დღესაც ფეხს გაჭიმავს, ის მისი ფულები კი ოხრად დარჩება. მოვა ვიღაც, იმ ფულებს თავის გემოზე მოიხმარს და შენს ვეზირიანსაც კაი გულიანად დასცინებს.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მომისმინე, შენ თუ იცი, ჩვენმა სოფლელმა ჰანესმა რა გვიამბო? ჰანესი ხო იცი? იცი. იმან რა გიამბო, არ იცი? თუ არ იცი, აბა, მომისმინე... ერთხელ ის ჩვენი ჰანესი ბაქოში... მამაჩემისგან იმ ჰანესის ამბავი ჯერ კიდევ აკვანში მოვისმინე, სიტყვა არ შემეშლება, სულ ზეპირად ვიცი, თუ რა გადახდა ერთ ხარბ კაცს, მაგრამ არ მინდა მამას გული დავწყვიტო და სიტყვა შევაწყვეტინო - ისეთი შთაგონებით, ნეტარებით ჰყვება ამ ამბავს!

- მაგარია, არა, არტაკ!

- ჭკუის სასწავლი ამბავია, მამი!

მამამ ხველებით გული იჯერა და გვერდი იცვალა. და, აი, მე დავრჩი ჩემი სიამაყის, ჩემი ფელეტონის პირისპირ. ჩვენ ორნი ვართ: მე და ჩემი ფელეტონი. „ა. ლევონიანი“. ლამაზი გვარია, ზოგი ფსევდონიმადაც კი მიიჩნევს. „ჟღერს!“ - როგორც თქვა ჩვენმა ლექტორმა, ხოლო ის ლექტორი - ოვიკ სარიანი ჩვენი რესპუბლიკური პარტიული გაზეთის რედაქტორი გახლავთ.

ერთი თვის წინათ რედაქციაში პრაქტიკას გავდიოდი. სულ პაწია რაღაცებს მავალებდნენ და ერთხელ, რედაქტორმა რომ გამომიძახა, იმედი მომეცა: იქნებ, რამე სერიოზული დავალება მომცეს-მეთქი. როცა აღელვებული და აგზნებული შევედი განიერ, გრძელ კაბინეტში, რედაქტორი ტელეფონზე ლაპარაკობდა. ეტყობა, მას იქიდან არ ეთანხმებოდნენ, ამიტომაც ეს აქ ყველაფერს იბრდღვნიდა, თავს გაბრაზებით აკანტურებდა. ერთი-ორჯერ ვცადე ოთახიდან ჩუმად გავსულიყავი, მაგრამ ორივეჯერ ხელით მანიშნა და შემაჩერა. ბოლოს, როგორც იყო, ლაპარაკი გაათავა და ყურმილი დაახეთქა.

- შენ გგონია, რედაქტორობა ადვილი საქმეა? ძნელია, ძნელი! - მარჯვენა ხელი ფართო მელოტ შუბლზე გადაისვა, თითქოს ცდილობს გუნება გამოიკეთოსო. შემდეგ მაგიდიდან რაღაც წერილი აიღო და მომაწოდა.

- წადი, შეამოწმე და თუ საჭიროდ ჩათვლი, რომ დაწერა აუცილებელია, დაწერე. პასუხი ხუთი დღის შემდეგ მომახსენე. სამშენებლო სამმართველოს უფროსს, ვეზირიანს ეხება საქმე. და, აი, კიდევ რა - შესაძლოა, წერილის ავტორი ვერც იპოვო. ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ - ზოგჯერ ეშინიათ და წერილზე სხვის გვარს აწერენ. აბა, მიხედე საქმეს!

შემდეგ დიდხანს ვიმტვრიე თავი. როგორ მიხვდა რედაქტორი, რომ ამ წერილს სხვისი გვარი ჰქონდა მიწერილი? დიდხანს ვეძებე მუშა, რომელიც სამშენებლო სამმართველოს უფროსს სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა, მაგრამ გაირკვა, რომ ამ გვარისა და სახელის კაცი აქ არ მუშაობდა. ყველა, ვისაც კი ველაპარაკე, უნდობლად იხედებოდა განზე, თვალს მარიდებდა და ცდილობდა ჩქარა გამცლოდა. როდესაც ერთ ახალგაზრდა ქვისმთლელს ვთხოვე, რამდენიმე წუთი დამითმე-მეთქი, მან აშკარად ყასიდი უხეშობით მომიშორა, თან, ხმამაღლა, სულ რომ არ იყო საჭირო, ისე ხმამაღლა, სხვების გასაგონად დამიწყო ყვირილი:

- რა გინდათ, რა, რას გადამეკიდეთ? ვერ ხედავთ, რომ ვმუშაობ? ნუ მაცდენთ, გაიგეთ? ხელისშემშლელები ისედაც გვყოფნის. თუ რაიმეს გაგება გინდათ, წადით და ვეზირიანს ჰკითხეთ. აქ ისაა ხაზეინი.

ლამის გავცოფდი. ეს დევივით ახალგაზრდა კაცი, დავით სასუნელის ბეჭების პატრონი, ალბათ, გუშინდელი კომკავშირელი, კურდღელივით იხედება აქეთ-იქით და თავის პატრონს „ხაზეინს“ ეძახის.

- იცით, რა გითხრათ? თქვენ დედალი ხართ, დედალი, - პირში მივახალე, - თქვენი საქმე ანონიმური წერილების წერაა, მეტი არაფერი. თუმცა, რა გასაკვირია, თუკი თქვენი უფროსი „ხაზეინად“ მიგაჩნიათ, თქვენ, რაღა თქმა უნდა, მისი მსახური ხართ.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მივაყარე და მივაყარე თუ არა, მაშინვე, ვინანე. ნეტა, რას ვაკეთებ, რას? ახლა ესეც გადაირევა და... შარი და ხათაბალა მაშინ ნახე! მაგრამ სასწაული მოხდა. ქვისმთლელი არც გადარეულა და არც არაფერი, პირიქით, გულიანად იცინა, იცინა რომელია, იხარხარა:

- რამდენი წლისა ხარ შენ?

ვერ ვიტან, რამდენი წლისა ხარო, რომ მეკითხებიან. ამ კითხვაში ყოველთვის არის რაღაც დამამცირებელი.

- ეს საქმეს არ ეხება, - ცივად ვუპასუხე მე.

- ეხება, - უცებ სერიოზული კილოთი თქვა, მან, - ეხება და მერე როგორ!

ქვისმთლელი ჩამოჯდა ლოდზე, რომელსაც ეს-ესაა თლიდა, ქვემოდან ზემოთ ამომხედა და ნათქვამს ნაღველი და ტკივილი ამოაყოლა.

- შენი ხნისა რომ ვიყავი, მეც ასე ვფიქრობდი. შემდეგ, დრო გადის, ამისთანა ვეზირიანს უვარდები ხელში და მიჩუმდები, წელშიც მოიდრიკები, დამფრთხალი თვალებით აქეთ-იქით ყურებასაც ისწავლი. „არაო!“ შეუძახებ და, ასე, ჩემსავით, ათ წელიწადს ათისთავად მუშაობის შემდეგ, რიგითი ქვისმთლელი გახდები.

ყველაფერი ნათელი ხდება: ეს კაცი ერთი იმათგანია, ვისაც სამსახურში პირველივე წარუმატებლობისთანავე ყველაფერზე გული უტყდება, ენამყრალი და ჭორიკანა ხდება, თავის თავსაც და სხვებსაც სიცოცხლეს უმწარებს.

შევატყვე, რომ ჩემს სახეზე წაიკითხა, რაც მასზე გავიფიქრე. არც გამკვირვებია. ასეთ რამეებს შევეჩვიე.

- შენ ახლა ჩემზე გაიფიქრე, რა გულნამცეცა, სულმდაბალი ვინმე ყოფილაო, არა? - ჩაიცინა ქვისმთლელმა, - კარგია, რომ არ უარობ. გეტყობა, ჯერ ტყუილების თქმა არ გისწავლია, ამიტომ გკითხე, რამდენი წლისა ხარ-მეთქი. ჩამოჯექი, თუ კაცი ხარ, და ყური დამიგდე. დაჯე, დაჯე! ეგ შენი ბლოკნოტი აგერ ჩამოდე და ზედ დაჯექი, ჩასაწერად რომ გამოგადგეს, ისეთს მაინც არაფერს გეტყვი. მართალი ხარ, ძმაო, მართალი. ეგრეა, სულმდაბალი, ღობემძვრალასავით კაცი გავხდი, არ უარვყოფ. უფრო სწორად, გამასულმდაბლეს, ღობემძვრალად მაქციეს... და, იცი, ვინა? აზრადაც რომ არ მოგივა! - ჩემმა შვილებმა, ჩემმა ანგელოზებმა, როგორც დედამისი ეძახის იმათ... გიკვირს? ნუ გიკვირს, აქ გასაკვირი არაფერია...

გაჩუმდა, ფეხსაცმლის წვერით მიწას ჩიჩქნა დაუწყო.

- ადრე, უსამართლობას რომ დაინახავდი, არ ვდუმდი, ხმას ვიმაღლებდი. ხმამაღლა ვამბობდი სათქმელს, მაგრამ ვინ გიგდებდა ყურს. კრებებზე ხმის ჩახლეჩამდე არ ვჩერდებოდი და, ბოლოს და ბოლოს ჩემსას ვაღწევდი. რა უნდა ექნათ ჩემთვის? სამსახურიდან დამითხოვდნენ? მერე რა? ვფიქრობდი: თუ მომხსნიან, მომხსნან, ამ ჩემს ჩაქუჩს ხომ ვერავინ წამართმევს-მეთქი. სხვადასხვა ინსტანციაში ვივლი ერთი-ორი თვე და დავამტკიცებ, რომ მართლები არ არიან-მეთქი. აი, ახლა ეს უკვე არ შემიძლია. სამი შვილი მყავს, სამი, გესმის, ჩემო ძმაო, გესმის თუ არა? იმათ შენი პრინციპებისა არაფერი გაეგებათ. იმათ ჭამა უნდათ, დღეს უნდათ ჭამა, დღეს, და არა ორი-სამი თვის შემდეგ.

- და თქვენ პურის ნაჭრისთვის ჰყიდით თქვენს პრინციპებს?

- ეგრეა! - ისევ გაბრაზდა იგი, - ჰო, ვყიდი, ვყიდი და შენ იყიდი? რა გინდა ჩემგან, რა? ახლა ამისთანა რამეები ძალიან გაძვირდა, ყველას კი არა აქვს გასაყიდად. პრინციპებიო! თითქოს, თქვენ კი თავზესაყრელად გქონდეთ პრინციპები! გიცნობთ, ვინცა ხართ, გიცნობთ! იარეთ წინ და უკან, იარეთ, თქვენი ჭია ახარეთ, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერს! ჩემზე დაწერილ ათობით ნარკვევსა და სტატიას წაგაკითხებ, დიახ, ყველა ჩემზეა დაწერილი და არცერთში მე არა ვარ, არა ვარ, არა! ვკითხულობ მე იმათ და, გააჩნია, რა გუნებაზე ვარ, ხან ვიტირო მინდა,

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ხანაც მეცინება. ამასწინათაც მოვიდა ერთი. მიღიმის, მხარზე ხელს მიპარტყუნებს. „როგორაა საქმეებიო?“ - მეკითხება. ცუდადაა, სამშენებლო მასალები არ შემოაქვთ, ვცდებით-მეთქი. „გეგმებს თუ ასრულებთ, გეგმებსო?“ აბა, გეგმებს როგორ შევასრულებთ, როცა სამშენებლო მასალები არა გვაქვს-მეთქი. „მაგრამ მაინც ასრულებთ, ხომ ასეაო?“ - ისევ მეკითხება და ზედ არც მიყურებს, ისე წერს რაღაცას თავის ბლოკნოტში. ორი დღის შემდეგ კი გაზეთში რას ვკითხულობ, ჩემზე წერია: ეგაო, ესე იგი, მე, „საქმით ეხმიანება რა რაიონის მოწინავე მშენებელთა მოწოდებას, ფართოდ ჩაება საპირველმაისო შეჯიბრებაში და დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწიაო“. ა-ბა! არა, ძმაო, არა, მე შენთან ხმის ამომღები არა ვარ... თუ ძალიან გულით გინდა, აგერაა ყველა უბნის მუშების ხელფასების უწყისები, გადმოიღე ის უწყისები, ნახე, ვის რა თანხა აქვს მიღებული, მაგრამ ის მუშებიც მოიძიე, იქნებ, რომელიმე მაინც იპოვო, ოღონდ, თუ იპოვი, მეც მაჩვენე, ნუ დამიმალავ. ახლა კი ერთი-ორი ცოტა უფრო იოლი კითხვაც მომეცი, ვთქვათ, გეგმებზე და ამისთანა რაღაცებზე და მოვრჩეთ... - უცებ დაბნეული და ყალბი ღიმილი დაეფინა სახეზე, - ჩვენი სამუშაოთა მწარმოებელი მოდის. ნუ მიხედავ... მეც დავიბენი და, დანაშაულზე წასწრებულ კაცსავით, კრინტი ვერ დავძარი. ისევ ქვისმთლელმა მიხსნა.

- აი, ამხანაგი სოლახიანი ეს გახლავთ, - წარმომიდგინა მან მაღალი კაცი, რომელსაც ლურჯი სატინის ხალათი ეცვა და ყურთანაც ტრადიციული ფანქარი ჰქონდა გაჩრილი, - თქვენს კითხვებზე მე რა პასუხი უნდა გაგცეთ? ყველა მონაცემი ამხანაგ სოლახიანს აქვს. მინდოდა მისთვის რაიმე კითხვა მიმეცა საპირველმაისო შეჯიბრებასთან დაკავშირებით, მაგრამ, ააშენა ღმერთმა, აქეთ დამასწრო.

- თქვენ რედაქციიდან ხარ? ამხანაგი ვეზირიანი გთხოვთ.

- კი მაგრამ, საიდან იცის, რომ აქა ვარ? - უკმაყოფილოდ და გაოცებით ვკითხულობ მე.

- ვერ გეტყვით, - მიპასუხა სამუშაოთა მწარმოებელმა, იჭვნეული მზერა ესროლა ქვისმთლელს, შეტრიალდა და წინ წამიძღვა.

სამმართველოს უფროსის გაკრიალებული, ფართო კაბინეტი გემოვნებით იყო გაწყობილი. თვითონ ვეზირიანი ძველებურ „ბოიარულ“ ჩუქურთმიან სავარძელში იჯდა და ქაღალდებზე ხელს აწერდა. მისი სახე ნაცნობი მეჩვენა. ოდნავადაც არ მეეჭვება, რომ სადღაც მინახავს ეს ფართო, კვადრატული ნიკაპი და ეს კეთილი, შუქიანი თვალები, რომლებიც მოსაუბრეს, თითქოს, ეუბნებიან: „მე თქვენი ჩინებულად მესმის, თვითონაც ასეთი კაცი ვარ“. ალერსიანად მომესალმა, წამოდგა, ჩემკენ წამოვიდა.

- მოგესალმებით, ამხანაგო კორესპონდენტო, მოგესალმებით! ვიცნობდეთ ერთმანეთს. ლევონიანი ბრძანდებით? მოხარული ვარ, დიდად მოხარული ვარ, მიყვარს თქვენი პროფესია. ზოგჯერ მეც ვჯღაბნი რაღაცას, უფრო სწორად, ქაღალდს ვაფუჭებ, მაგრამ რაც არ შეგიძლია, არ შეგიძლია კაცს, რაღა თქმა უნდა, ამ საქმეში ტალანტია საჭირო, ნიჭი... მაპატიეთ, ჩვენ, მგონი, სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს? ხომ არ ვცდები? აჰა, გამახსენდა. ჯერ ჩემთვის, რაც მართალია, მართალია, მეხსიერებას არ უღალატია... ბადამიანთან შევხვდით ერთმანეთს, ხომ სწორია? მახსოვს, კომკავშირის ქალაქკომში მაშინ თქვენ კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგედ დაგამტკიცეს... ახლა, რაო, რედაქციაში გადახვედით?

ხომ ვამბობდი, სადღაც მინახავს-მეთქი!

...ქალაქკომის მდივნის, ბადამიანის მისაღებში ჩემს რიგს ველოდი - უნდა ამეღო ამონაწერი ბიუროს გადაწყვეტილებიდან რაიკომის განყოფილების გამგედ ჩემი დანიშვნის შესახებ. ეს კვადრატულნიკაპიანი და კეთილთვალება კაცი მისაღებში შემოვიდა და, რიგისკენ არც გაუხედავს, ისე უკითხავად შევიდა კაბინეტში. იქიდან აღტაცებული შეძახილი მოისმა და ბადამიანს მთელი ნახევარი საათი არავინ შეუშვია. შემდეგ დაიწყო მომლოდინეთა

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

გამოძახება. როცა მე შევედი კაბინეტში, ის კაცი შინაურულად, ნებივრად იყო გართხმული ფანჯარასთან მდგარ სავარძელში და რომელიღაც ჟურნალს ფურცლავდა.
- მაშ, ასე, ამხანაგო ლევონიან, წადით და იმუშავეთ. გახსოვდეთ, ჩვენ თქვენ გამონაკლისის წესით დაგნიშნეთ ამხანაგ სარიანის რეკომენდაციით. საერთოდ კი, დასწრებული განყოფილების სტუდენტებს მუშაობის უფლება არა აქვთ. თქვენ ხომ ჯერ ისევ სტუდენტი ხართ, სახელმწიფო გამოცდა გაქვთ დარჩენილი, ხომ ასეა?
- დიპლომიც...
- გასაგებია. ჰო, ისე, სარიანს საიდან იცნობთ?
- ჩვენი ლექტორია.
- აბა, თქვენ იცით, ყოჩაღად იმუშავეთ. რაიკომში მუშაობა დიდი პატივია! - მითხრა ქალაქკომის მდივანმა და მისმა ხმელმა გრძელმა სახემ საზეიმო იერი მიიღო, - შეეცადეთ გაამართლოთ კომკავშირის ნდობა.
- გაამართლებს, გაამართლებს, კარო! ეგრევე ეტყობა, რომ კარგი ბიჭია!
ეს სიტყვები სავარძელში გართხმულმა კაცმა თქვა. იგი სიმპათიის გამომხატველი თვალებით მიყურებდა და მიღიმოდა. მადლობის ნიშნად რაღაც ჩავიბურდღუნე და მდივნის კაბინეტიდან გამოვედი. შემდეგ, ქუჩაში რომ გამოვედი, გამიკვირდა: რატომ არ უთხრა კარო ბადამიანმა იმ კაცს, რომ ჩვენ თითქმის ნათესავები ვართ და ჩვენი მშობლები თანასოფლელები არიან? რატომ იყო იგი ჩემდამი ასე ოფიციალური? იქნებ, ვერ გამიხსენა? როცა ზაფხულობით ერევნიდან სოფელში ჩავდიოდით, მე მას ხშირად ვხვდებოდი. ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. მახსოვს, ან რატომ არ უნდა მახსოვდეს, რა ასი წლის წინათ ეს იყო, წოწოლას, გამხდარს ქალამანი ეცვა, კამეჩებს მისდევდა, ხანდახან სახრეს გადაჰკრავდა და თან წვრილი ხმით „ხიო-ხიოო!“ შეუძახებდა. მე კამეჩები მეცოდებოდა, ვბრაზობდი, რომ ასე თვინიერად, უშფოთველად ითმენდნენ ამდენს. რატომ არ მოუბრუნდებიან და არ წამოიგებენ რქაზე? სახრისა ეშინიათ?
გუნება წამიხდა, სახლში რომ მივედი, მამას ვუამბე ყველაფერი. მოიქუფრა.
- ვისზე ამბობ? ბადალის შვილზე? ეგ მამას თუ ჰგავს, შორს წავა! ალბათ ვერ გიცნო, თორემ არც მიგიღებდა.
- გაზეთის რედაქტორმა, ჩვენმა ლექტორმა დაურეკა.
- ა, ეს სხვა საქმეა! ახლა გასაგებია...
- მამა! - ვერაფერი გავიგე. - რატომ ლაპარაკობ ასე? ბადამიანის გამოსვლა ბევრჯერ მომისმენია. იცი, რა მაგრად, რა ჭკვიანურად ლაპარაკობს? ამასწინათ უნივერსიტეტის კრებაზე ისე ილაპარაკა ამერიკაში ზანგი ბავშვების მდგომარეობაზე, რომ დარბაზში ზოგიერთებმა ტირილიც კი დაიწყეს!
- მამამისის შვილი ყოფილა! - ესღა თქვა მამაჩემმა და გაჩუმდა.
- ვიზე ამბობ? - ჰკითხა დედამ, რომელიც ეს წუთია შემოვიდა.
- ჩვენი სოფლელი ბადალის შვილზე... არტაკის უფროსი ყოფილა, - ჩაიქირქილა მამამ.
- ამოწყდა და ამოიძირკვა იმათი ჯიში და გვარი, - აცახცახდა დედაჩემი, - რამდენი ადამიანი დაღუპა შეჩვენებულმა მამამისმა!
- რატომ, დედა?
- აბა, ვინ იცის, შვილო? ყველას „კონტრას“ ეძახდა და...
მშობლებს ვაღმერთებ, მაგრამ გულახდილად გეტყვით, კაროსადმი მათმა დამოკიდებულებამ გამაკვირვა. სოფელში რამდენი რამე შეიძლება მოხდეს, ხან შენ წაეკიდები მეზობელს, ხან ის წაგეკიდება. ანდა შესაძლოა ბადალ ბადამიანი მართლა ცუდი კაცი იყო, მაგრამ კარო რა შუაშია? კარომ ბრწყინვალედ დაამთავრა უნივერსიტეტი და იმხელა ნდობაც

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მოიპოვა - კომკავშირის რაიკომის მდივნად აირჩიეს. გამახსენდა, როგორი ანთებული, რისხვიანი თვალებით გვესაუბრებოდა იგი ამერიკის იმპერიალიზმზე და გული დამწყდა, რომ მამას კაროზე ჩამოვუგდე საუბარი. რა მოხდა მერე, დიდი ამბავი, თუ ოფიციალურად მიმიღო! აბა, როგორ, უნდა გადამხვეოდა და მშობლების ავან-ჩავანი უნდა გამოეკითხა? ეგ ხომ ქალაქკომის მდივანია და მე მასთან სახლში კი არა, კაბინეტში, მიღებაზე ვიყავი.
... - კარგი იყო, მაშინ მხარი რომ დაგიჭირეთ, არა? - გაიცინა ვეზირიანმა და ფიქრებიდან გამომიყვანა, - ახლა, ხომ გაგახსენდათ?
ბოდიში მოვუხადე, რომ მაშინვე ვერ ვიცანი, ერთხელაც მოვახსენე მადლობა და ვუთხარი, ისევ რაიკომში ვმუშაობ, მაგრამ დღეს რედაქციის დავალებით ვარ მოსული-მეთქი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვეზირიანის წინაშე დამნაშავედ ვიგრძენი თავი. რედაქციაში შემოსული წერილისა და მუშებთან საუბრის მიხედვით, სამშენებლო სამმართველოს უფროსის მიმართ უკვე ზიზღით და სიძულვილით ვიყავი გამსჭვალული და იგი პირქუშ, დაბღვერილ არამზადად წარმომედგინა. ვეზირიანი კი თურმე მომხიბვლელი, ხალისიანი კაცი ყოფილა, რომელიც მზადაა, პირველსავე შემხვედრს დახმარების ხელი გაუწოდოს.
- მოდი, საქმეზე გადავიდეთ, - სერიოზული სახე მიიღო ვეზირიანმა, თუმცა მისი თვალები ისევ ისე სითბოს აშუქებდა, - ძვირფასო ამხანაგო ლევონიან, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! ნება მომეცით გკითხოთ, ვინ მოგცათ უფლება, რომ დაწესებულების ხელმძღვანელის, ამ შემთხვევაში, ჩემი ნებართვის გარეშე მიდი-მოდიხართ სამშენებლო მოედანზე, ესაუბრებით მუშებს და, რაც მთავარია, ჩემი ავტორიტეტის შემლახველ კითხვებს აძლევთ მათ?
„ოპერატიულად მოუხსენებიათ“, - გავოგნდი მე.
- გიკვირთ? - შემწყნარებლურად გაიცინა ვეზირიანმა, - დიახ, მე უკვე ყველაფერი ვიცი. მე შემიძლია მთელი დღე ფეხი არ მოვიცვალო ამ ოთახიდან, მაგრამ ზუსტად, დაწვრილებით მეცოდინება ყველაფერი, რაც ხდება მშენებლობის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში. მე შემიძლია სულ დაწვრილებით გითხრათ, ვისთან და რაზე გქონდათ საუბარი. ასე რომ არ იყოს, წლებისა და წლების მანძილზე წარმატებით ვერც ვუხელმძღვანელებდი ასეთ უზარმაზარ დაწესებულებას. და მე თქვენ გულწრფელად რომ არ გცემდეთ პატივს, თქვენს ახალგაზრდობას რომ არ ვუწევდე ანგარიშს, და მე თვითონ რომ არ მქონდეს შეტანილი გარკვეული წვლილი თქვენს, ასე ვთქვათ, კარიერაში, შემეძლო სუფთა სინდისით მიმეწერა პატარა ბარათი ცეკასთვის, ასლი კი თქვენი რედაქტორისათვის გადამეგზავნა. მე შემეძლო მომეთხოვა, მკაცრად დაესაჯათ კორესპონდენტი, რომელმაც დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, რომელიც მუშებს სამუშაო საათებში აცდენდა, განაწყობდა მათ დაწესებულების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, მოითხოვდა მათგან აშკარად შეთითხნილ, არასწორ ცნობებს, გამოხატავდა უკმაყოფილებას მთავრობისგან დაკანონებული, შრომის ანაზღაურების ამჟამად მოქმედი სისტემით... ჰოდა, მითხარით, ამხანაგო ლევონიან, რა დღე დაადგებოდა იმ კორესპონდენტს?..
გავოგნდი და დავიბენი. მართლაც, ეგ რომ ასეთი კეთილი კაცი არ იყოს, ხომ რაცა თქვა, ყველაფერს მისწერდა ცეკასაც და რედაქტორსაც. მე ხომ ზუსტად ასე მოვიქეცი, ოღონდ, გაუცნობიერებლად, რასაკვირველია. არ მიფიქრია, ასეც თუ შეიძლებოდა ჩემი საქციელის აღქმა. აი, შარი! რა ვქნა ახლა მე, როგორ მოვიქცე! რა ველაპარაკო ამ კაცს რედაქციის დავალებაზე, შემოსულ წერილზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც ლოდივით მიმძიმებს შარვლის ჯიბეს?.. თუ აქ გავჩუმდები და არაფერს ვიტყვი, რედაქციას რა ვუთხრა? არა! აუცილებლად უნდა ვაჩვენო წერილი. ხომ ცხადია, რომ იგი ვიღაც ცილისმწამებლის დაწერილია. ვეზირიანისთანა კეთილი, რბილი კაცი შეუძლებელია ნამუსგარეცხილი იყოს!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

სევდიანი, კეთილი ღიმილით მისდევს წერილის მრუდე სტრიქონებს და ხანდახან გულნატკენად აქნევს თავს. ამის შემხედვარეს ჩემი მემართება. ჩემი თავიც მეჯავრება და რედაქციის დავალებაც.
ბოლომდე ჩაიკითხა და ნაღვლიანად გაიღიმა.
- როგორი ადამიანები არ დადიან ამ დალოცვილ მიწაზე, - ვეზირიანმა წერილი გამომიწოდა, - კაცს საქმისთვის თავი გადადებული გაქვს, არც ოჯახი გახსოვს, არც ახლობლები, დღე და ღამე მტვერსა და ტალახში იტიტყნები, ხალხს სახლებს უშენებ და, აი, ბატონო, ჯილდოდ ამას, აი, ამას იხვეჭ! ვიღაც არაკაცი, ზარმაცი, უსაქმური, რომელიც შეიძლება მშენებლობიდან ოდესაც გაგიგდია, ცდილობს ლაფში ამოსვაროს შენი სახელი, შენი ღირსება, და ამას სახეზე ნიღაბაფარებული აკეთებს, ბუჩქებშია შემალული და იქიდან გიმიზნებს. მე თქვენ გეკითხებით, ამხანაგო ლევონიან, რაღად დასჭირდა ამ წერილის ავტორს, თუ ის პატიოსანი ადამიანია, თუ მას სახელმწიფოს ინტერესებისათვის მართლა გული შესტკივა, რომ სხვის გვარსა და სახელს ეფარება? და მერე, როდის? ჩვენს დროში, როცა კრიტიკა და თვითკრიტიკა პროგრესის მძლავრ, ნაცად იარაღადაა აღიარებული? გულწრფელად ვწუხვარ, რომ თქვენს რედაქციაში ასეთ ცილისმწამებლურ გამოხდომებს რაღაც მნიშვნელობას ანიჭებენ. გიცხადებთ: ამაზე, სადაც ჯერ არს, მექნება საუბარი!
უკვე საბოლოოდ წელმოწყვეტილმა და მიწასთან გასწორებულმა შევლუღლუღე, სავსებით გეთანხმებით, სავსებით-მეთქი, მე უბრალოდ, დამავალეს სიგნალი შემემოწმებინა და მეც მოვალე ვიყავი...
- თქვენ რა გაქვთ საბოდიშო, ჩემო მეგობარო, პირადად თქვენ მე არაფერში გადანაშაულებთ, - დამამშვიდა ვეზირიანმა, - თქვენ თქვენს მოვალეობას ასრულებთ. აბა, სხვანაირად როგორ იქნება? თქვენ მოგწერეს, თითქოს მე მიწერებს ვახდენდე, ერთსა და იმავე სამუშაოზე სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა თანხას ვუწერდე, მოგწერეს, თითქოს „მკვდარი სულები“ მყავდეს, ესე იგი, თითქოს არარსებულ მუშებზე ვაფორმებდე უწყისებს და მთელ თანხას ვითვისებდე... ჰოდა, თქვენც მოხვედით, რომ თქვენი თვალით ნახოთ ამდენი გაუგონარი ბოროტების ჩამდენი დამნაშავე!
მან ხმამაღლა გაიცინა, შემდეგ დაიხარა და მაგიდის ქვემოთ, ზარის ღილაკს ხელი დააჭირა.
- ხელფასის უწყისებს შემოვატანინებ, გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და შეამოწმოთ!
- რას ამბობთ! არავითარ შემთხვევაში... - დასაბმელი გავხდი მე, - დარწმუნებული ვარ, რომ აქ რაც წერია, ყველაფერი შეთითხნილია... ჩემს თავს არც მივცემ უფლებას, რომ...
- ზალიბეკ! - ვეზირიანი კარებთან ატუზულ ბუღალტერს მიუბრუნდა, - გასული თვის ხელფასის უწყისები შემოიტანე!
მთავარმა ბუღალტერმა თავი ჩაღუნა, წუთით ასე გაირინდა, მერე ერთი კი შეხედა თავის უფროსს კითხვის თვალით, მაგრამ მაშინვე, წამის უმალ, გავიდა ოთახიდან და ასევე სწრაფად შემოუტანა და ვეზირიანს მაგიდაზე დაუდო უწყისების დასტა.
თითქოს, ვიღაც ჩაქუჩით ლურსმანს მირჭობდა თავში. ვეზირიანს ვთხოვე, არ გინდათ, უწყისების ნახვა რა საჭიროა, ჩემთვის ყველაფერი ისედაც ცხადია და რედაქტორსაც ასევე მოვახსენებ-მეთქი.
მაგრამ იგი ადგა, უწყისები დაგრაგნა და ნაღვლიანი ღიმილით ჩამჩარა პიჯაკის შიგნითა ჯიბეში.
- წაიღეთ, წაიღეთ და აუჩქარებლად შეამოწმეთ, - მითხრა მან, - მე თქვენ სავსებით გენდობით. შესაძლოა მამხილოთ და პასუხი მაგებინოთ. თქვენ ხომ დამნაშავესთან გაქვთ საქმე!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

თითქოს ჩემს თავში, როგორც ხმელ ხეში, ისევ არჭობდნენ ლურსმანს ჩაქუჩით და ამდენს უკვე ვეღარ გავუძელი.

- რატომ გინდათ შეურაცხყოფა მომაყენოთ? - ჯიბიდან გორგალი ამოვიღე და მაგიდაზე დავაგდე.

ვეზირიანი დერეფანში დამეწია, მხარზე ხელი მომხვია, ჭიშკრამდე მიმაცილა და გამომშვიდობებისას ხმამაღლა მითხრა: „გმადლობთ, რომ მენდეთ. მე ყველაფერს მოვუყვები კაროს. წარმომიდგენია, როგორ ესიამოვნება“.

ალაყაფთან წელამდე გაშიშვლებული რამდენიმე მუშა უცნაურად მოღუნული მილიდან მჩქეფარე წყლის ძლიერ ნაკადს ქვეშ უდგებოდა და შხაპუნით იბანდა ტანს. გვერდით რომ ჩავუარე, ერთი მათგანი წელში გასწორდა და ზიზღით სავსე თვალები გამომაყოლა. ეს იყო ის ყველაფრით უკმაყოფილო, მშიშარა, ათისთავობიდან გაგდებული ქვისმთლელი. მეც თვალი გავუსწორე და ზიზღს ზიზღი შევაგებე, კაი ვიღაცა შენა ხარ-მეთქი!

მან მობანავეებს რაღაც უთხრა, ყველამ ჩემკენ მოიხედა და ერთი ხარხარი ატეხა. არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია მათთვის, არხეინად გამოვედი მშენებლობის ეზოდან. რაღაცნაირ შვებას ვგრძნობდი, უსაშველოდ მიხაროდა, რომ წერილში რაც ეწერა, სულ ცილისწამება აღმოჩნდა. რა გადასარევი კაცია ეს ვეზირიანი, როგორი გულთბილი, როგორი ინტელიგენტური. მადლობაც რომ მითხრა! გმადლობთ, რომ მენდეთ, მერწმუნეთო! რატომ არ უნდა ვენდო?! როგორ შეიძლება არ ენდო ადამიანს?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მერვე თავი
ბანჯგვლიანი ხელი

მინდოდა, ჩემი სიხარული ვინმესთვის გამეზიარებინა და პირდაპირ თოჯინების თეატრში წავედი ნანარის სანახავად. სპექტაკლის დაწყებამდე ცოტაღა იყო დარჩენილი. მოლარეს უკვე უნდოდა სარკმლის მიხურვა, რომ ფულის მიწოდება მოვასწარი და ერთი ბილეთი ვთხოვე.
- ბავშვსაც უნდა აუღოთ ბილეთი, - მითხრა მან, - თუ თქვენ არ შედიხართ?
- რომელ ბავშვს?
- როგორ, თქვენ მარტო შედიხართ? - გაუკვირდა ქალს.
არა, დღეს ყველას თითქოს პირი შეუკრავს, რომ როგორმე გამახარონ და მასიამოვნონ. ახლაც, ხედავთ, რა გამოდის: ისეთი დავაჟკაცებული ვეჩვენები ხალხს, რომ ბუნებრივიც იქნებოდა, გვერდით შვილი - პატარა ბიჭუნა ან ბაფთიანი გოგონა მედგას! აი, სეირი თუ გინდა, ესაა! ნანარი რას იტყვის, რომ გაიგებს? ზედა ტუჩი ავწიე და თვალები დავბრიცე, რომ საკუთარი ულვაშების წაწვეტებული ღერები დამენახა და იმავ წუთს შევამჩნიე, რანაირი გაოცებით და შიშით შემომცქეროდა მოლარე. სიცილი ძლივს შევიკავე და მესამე ზარს დარბაზში შევყევი. ორკესტრი მხიარულ, საზეიმო მელოდიას უკრავდა. ფარდა პროჟექტორებისგან მონათებული მოლივლივე ფერებით რიალებდა და ოდნავ ირხეოდა.
უცებ სული მშობლიური, მივიწყებული სურათების მოგონებებით ამევსო. თითქოს დავპატარავდი, ცეროდენა, დაბალზე ქოჩორშეჭრილ ბიჭუნად ვიქეცი, რომელსაც სასწაულის მოლოდინში თავისი სუნთქვის გაგონებისაც ეშინია. ფარდა გაიხსნა. სადღაც შორს, თვალით უხილავ სივრცეში ვიღაც გოგონა მღეროდა და როცა იგი ბოლოს და ბოლოს სცენაზე შემოვიდა, გაირკვა, რომ გოგონა კი არა, მხარზე ხურჯინმოგდებული სოფლელი პაწია ბიჭი ყოფილა. იგი სასტიკად, რაღაცნაირად გვერდულად შემონარნარდა სცენაზე, უშველებელი თვალებით მიიხედ-მოიხედა, იატაკზე დაეცა, რათა ხურჯინი მხრიდან ჩამოეღო და თავის ქანქარით გააბა:
- ეჰ, დავიქანცე, დავიქანცე და წყურვილისგან ვიხუთები, გზა კი, ეს დალოცვილი, არა და არ თავდება. რა ვქნა, არ ვიცი, მაცა, მაცა, ეს კი კარგად მოვიფიქრე - წამოვწვები ამ ხის ძირში, ცოტას წავუძინებ და მერე ისევ დავადგები გზას.
ვეებათვალება ბიჭუნა სცენის გვერდით კედელზე მიწვა, მაგრამ უცებ სადღაც გაქრა, ეტყობა, ძირს ჩავარდა. მაშინვე, უმალ, ვიღაცის დიდმა ბანჯგვლიანმა ხელმა იგი ჰაერში აიტაცა და ახლა უკვე ისეთი ძალით მიაწვინა კედელზე, რომ ხის გამომსახველი მუყაოს ნაჭერი ლამის ჩაიქცა.
რატომღაც სირცხვილის ოფლმა დამასხა, მგონი, გავწითლდი კიდეც და მაშინვე ისევ იმ ყმაწვილად ვიქეცი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გარკვეული სიამაყით იხედებოდა ულვაშებზე.
მეგონა, მაყურებლები აღშფოთდებიან, სტვენას დაიწყებენ, ახმაურდებიან-მეთქი. მსგავსი არაფერი მომხდარა. დარბაზში სიჩუმე იდგა. თითქოს, არავის არაფერი შეუნიშნავსო. ჩემ გვერდით მჯდარ წრიპა გოგონას გადავხედე: ნათურასავით ანთებული, ვეება თვალებით მოჯადოებულივით მისჩერებოდა სცენას, მღელვარებისგან ქვედა ტუჩი უთრთოდა და ქვეყანაზე სცენის გარდა არაფერი ახსოვდა.
კედელთან მიწოლილმა დიდთვალა ბიჭუნამ თვალი დახუჭა თუ არა, საშინელი ღრიალი გაისმა, რამაც პატარა მაყურებლების ჟრიამული გამოიწვია და მეც კი გამეღიმა. კულისიდან გამოვარდა რაღაც უშველებელი და წითელი, სცენაზე რამდენიმე წრე დაარტყა, ბოლოს დადგა, ჰაერს დაყნოსა და დაიღმუვლა:

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ადამიანის სუნი მცემს... ხრ-ხრ-ხრ... ადამიანის სუნი მცემს-მეთქი, ხრ-ხრ-ხრ...
მაშინვე მივხვდი, რომ ის ბანჯგვლიანი ხელიცა და ეს ხმაც ერთი და იმავე კაცისა იყო.
- ალბათ, ის ბიჭუნა მოდის, - იხავლა იმავე ხმამ, - მალე, სულ მალე დავიჭერ და შევსანსლავ, ხა-ხა-ხა!..
მართლა რომ სასაცილო იყო. წითელი ურჩხული რამდენჯერმე ზედ ბიჭუნას დაეცა, მაგრამ ვერცერთხელ ვერ დაინახა იგი. შევსანსლავო, იმუქრებოდა, მაგრამ ხახა არ ჰქონდა. რომ არ ავხარხარებულიყავი, სახე ხელებში ჩავიმალე და მაშინვე ვიგრძენი, ვიღაცამ რბილად მომქაჩა მკლავზე:
- ნუ გეშინია, ძია, ურჩხული ღაზარს ვერ შეჭამს, ახლა ბიჭს ჩიტუნია გააღვიძებს. ნუ ტირი, ძია, დედას გეფიცები, მართალს გეუბნები, მე ნანახი მაქვს!..
გოგონამ გული ამიჩვილა, მაგრამ მივხვდი, რომ ამ თეატრისთვის უკვე „გადავბერდი“, რადგან აქ აწი ვერც ვერასოდეს ვიტირებ და ვერც ვერასოდეს ვიცინებ, დიდებულთა სამოსელი აღარასოდეს მომეჩვენება ზღაპრულად მდიდრული და არც მეფის გვირგვინი იქნება ბაჯაღლო ოქრო. ალბათ, შევხედავ ყოველივე ამას და, უწინარეს ყოვლისა, იმას შევამჩნევ, რომ ფარდა უკვე დაძველებულა, რომ ზემოდან მთვარე კი არ დაქათქათებს მიდამოს, არამედ ოცსანთლიანი ნათურა, რომ მეფის გვირგვინი ჩვეულებრივი თუნუქისგან არის გაკეთებული და ხის ნაცვლად მწვანე მუყაოა იატაკზე დარჭობილი. დალახვროს ეშმაკმა!
უკვე ქუჩაში მომავალს ეჭვმა გამკრა, იქნებ ჩემს დროს სულ სხვაგვარად იყო ეს ყველაფერი-მეთქი. უწინ, რამდენადაც მახსოვს, თოჯინებიც გაცილებით უკეთესი იყო, ისინი თვალს ხუჭავდნენ და ახელდნენ, ისე კოხტად აღებდნენ პირს და ისე კარგად ლაპარაკობდნენ, რომ გასუსული, მოჯადოებული ვუსმენდი... როგორც ის წრიპა გოგონა, დღეს რომ გვერდით მეჯდა.
არა, ალბათ, ათიოდე წლის შემდეგ ეს გოგონაც ჩემსავით მოიწყენს. „ჩემს დროს თოჯინების თეატრი სულ სხვანაირი იყოო“, - გადაჭრით იტყვის ეგეც. სინამდვილეში თვითონ გახდება სხვანაირი, ისევე, როგორც მე.
კუთხეში პაპიროსს ყიდდნენ და გადავწყვიტე, მორიგი ხუთი ღერი მეყიდა - მხოლოდ ნანართან ვეწეოდი, აქაოდა, უკვე კაცი ვარ, პატარა ბიჭი არ გეგონო-მეთქი. პირველ ხანებში, როცა ახალი გაცნობილები ვიყავით, ორ-ორ ღერს ვყიდულობდი და ვცდილობდი, ბოლო არ ჩამეყლაპა, იმიტომ რომ თავბრუ მეხვეოდა და ხველება მახრჩობდა. შემდეგ თანდათან ნაპასებსაც მივეჩვიე და უკვე ხუთ-ხუთი ღერის ყიდვაზე გადავედი.
ფულის ამოსაღებად ჯიბეში ხელი ჩავიყავი და რაღაც ქაღალდი ამომყვა. გავშალე და რას ვხედავ: სამშენებლო სამმართველოს ერთ-ერთი უწყისი მეჭირა. ოცდათხუთმეტი გვარი და სახელი, ოცდათხუთმეტი მისამართი, ოცდათხუთმეტი ციფრი, ოცდათხუთმეტი ხელმოწერა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ახლავე მივიტან სამმართველოში, შეიძლება ეძებენ-მეთქი. მაგრამ ნანარი ალბათ გამოვიდა თეატრიდან და მელოდებოდა და სამმართველოში მისვლა ხვალისთვის გადავდე. უცებ, აზრად მომივიდა, რომ გაზეთისთვის კარგი იქნებოდა, უწყისის რამდენიმე მისამართს მაინც თუ შევამოწმებდი. ნანარსა და მე მაინც წასასვლელი არსად გვაქვს, ალბათ, უარს არ მეტყვის და ერთი-ორგან მიმყვება-მეთქი. წავალ, ნამუსის მოსაწმენდად, ფორმალურად მაინც შევივლი ორიოდე მუშასთან.
ნანარი ტრამვაის გაჩერებასთან იდგა, მაგრამ კაცი ადვილად მიუხვდებოდა, რომ არავითარ ტრამვაის არ ელოდებოდა. ფრთხილად მივეპარე უკნიდან და ყურში ჩავღმუვლე: „ღმ-მ-მ! ადამიანის სუნი მცემს...“~
შეშინებული ნანარი შემოტრიალდა, მე რომ დამინახა, გაიცინა, მაგრამ უცბადვე დასერიოზულდა, პიჯაკის ღილზე წამეტანა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- რაო, დარბაზში იყავი?
- აჰა.
- „აჰა“ კი არა, „დიახ“-მეთქი.
- აჰა.
- მეც მომისმინე, არტ?
- არა, - მივუგე მე, - გამახსენდა, რომ სასწრაფო საქმე მქონდა და მაშინვე გამოვედი: შენ რომელი თოჯინა იყავი?
- ჩიტუნია.
- ა, ღაზარი შენ უნდა გაგეღვიძებინა?
- შენ საიდან იცი? - გაუკვირდა ნანარს.
- ერთმა გოგონამ მითხრა.
- ვინ გოგონამ გითხრა? ჩვენ გოგონა არავინა გვყავს...
- ერთი წრიპა გოგონა იყო. გვერდით მეჯდა.
ნანარმა ისევ გაიცინა და ჩვენ ქუჩას გავუყევით, ყველაფერი ადგილზე იყო გარინდული, ხეებიც, ადამიანებიც, მანქანებიც, სახლებიც... მთელ დედამიწაზე ჩვენ ორნი ვმოძრაობდით, მხოლოდ ჩვენ ორნი.
- რაო, ღაზარმა მიაღწია გზამდე?
- ვერა, - მითხრა ნანარმა, - მაგრამ მან მიაღწია იმ ადგილამდე, სადაც ადამიანები ბედნიერად ცხოვრობენ და დარწმუნდა, რომ მზე იგივე თავისუფლებაა.
- ვერაფერს იტყვი... მართალი ბრძანებაა, - ღაზარივით ლამის საბუდიდან გადმოვყარე თვალები და თავიც მასავით გავაქანქარე, - ღაზარის მაგივრად მე რომ წაგეყვანე მზისკენ, რა დაშავდებოდა?
„ეჰეი, ლამაზო ბიჭო, ნუ აყოვნებ, ახლავე წადი აქედან, ახლავე, თორემ ურჩხულები და გრძნეულები გახვევიან ირგვლივ და ცუდი დღე მოგელის. ჩქარა დაადექი გზას, ჩქარა! იარე და უკან არ მოიხედო, არ მოიხედო, რაც არ უნდა დაგიძახონ, როგორც არ უნდა გაცდუნონ, როგორც არ უნდა მოგაჯადოვონ! გაიგონე, გაიგონე, თორემ გაქვავდები, იცოდე!“
“„ეთილო, კეთილო ჩიტუნია! რატომ უნდათ, რომ გამაქვავონ? მე ხომ არავისთვის არაფერი დამიშავებია? - ღაზარის ხმით ამბობს ნანარი, - მე, უბრალოდ, მზეს მინდა მივეახლო~“.
„თუ ეგრეა, გზას დაადექ, ბიჭუნი, გზას დაადექ და მეც შენი თანამგზავრი ვიქნები“.
- მზისკენ წასვლა ჯერ არ ღირს, ნანარ, - ვუთხარი მე, - და თუ გინდა, თანამგზავრობა გამიწიო, გამყევი, თუ ხათრი გაქვს, კონდის ქუჩა ნომერ ას სამოცდასამში, სადაც ცხოვრობს მშენებელი მუშა სარქის კიურეგის ძე ბაბაიანი.
- ეგ ვიღაა? - მკითხა ნანარმა.
- ერთი ოცდათხუთმეტთაგანი, ვისაც ხელი აქვს მოწერილი ამ უწყისზე. წამო და ყველაფერს მოგიყვები.
კიდევ კარგი, რომ თავის დროზე შიკრიკი ვიყავი. ქალაქს საკუთარი სახლივით ვიცნობ, ჩვენს სახლში კი, - დედა გიჟდება! - თვალდახუჭული ვაგნებ სად და სად მიმალულ მურაბებს, ჩირს და ჩამიჩს. ჩემს ადგილზე სხვა მთელი ორი საათი მოუნდებოდა ამ მისამართის მიგნებას, ჩვენ კი, არც მეტი, არც ნაკლები - თხუთმეტ წუთში უკვე ას სამოცდასამი ნომერი სახლის ეზოში ვიყავით. ნანარი ქვევით დარჩა, მე კი კიბეზე ავედი, ღილს ხელი დავაჭირე და წარმოსადეგ ყმაწვილს, რომელმაც კარი გამიღო, ვკითხე, სარქის ბაბაიანი სად ცხოვრობს-მეთქი.
- აქ ცხოვრობდა. მე მისი შვილი ვარ, შემოდით.
- როგორ თუ ცხოვრობდა. გადავიდა სადმე?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- დიახ, - ბიჭს სახეზე ჩრდილი გადაეფინა, - ორი თვის წინ გადავიდა მამაჩემი აქედან... გარდაიცვალა.
მოიცა, მოიცა!.. რაო, ეს კაცი შეიშალა თუ მე მამაიმუნებს? როგორ თუ ორი თვეა მოკვდაო? ორი თვის წინ როგორ მოკვდებოდა, თუკი ამ თვეში სამშენებლო სამმართველოში ხელფასი აიღო? რა ხდება, ვერაფერი გამიგია, ხან უწყისს დავცქერი შტერივით, ხან ასევე შტერივით ვუყურებ სახეში მასპინძელს და ისევ და ისევ ვკითხულობ უწყისში სარქის ბაბაიანის გვარს, სახელს, მამის სახელს, მისამართს...
- დიახ, სარქის ბაბაიანი მამაჩემი იყო. თქვენ რაზე შეწუხებულხართ?
- მამათქვენი სამშენებლო სამმართველოში მუშაობდა ხომ? - იქით ვეკითხები.
- მშენებლობაზე? კი შარშან ერთი თვე იმუშავა ყარაულად. მერე წამოვიდა. რვა თვე გვეწვა სახლში.
კიბეზე რომ ჩამოვედი, ნანარისთვის ისე მომიჭერია ხელი, თანაც, ეტყობა, სახეზე ისეთი ფერი მედო, რომ გამიგიჟებია ადამიანი: „რა მოხდა, არტაკ?“
ვგრძნობ, რომ ძალიან მინდა, გავიქცე აქედან, სადმე შორს გადავვარდე ან მიწა გამისკდეს და შიგ ჩამიტანოს. ეს რა ხდება, ღმერთო, როგორ შეიძლება ასე ცხოვრება, ამის შემდეგ როგორ გინდა იცხოვრო, როგორ?
- დამაცადე, არტაკ, ხომ ხედავ, ვერ გეწევი.
ნანარი ჩემთანაა, ჩემ გვერდითაა და ცოტათი ვმშვიდდები. ვუყვები, რაც მოხდა და როგორც მოხდა. ერთსა და იმავეს მერამდენედ ვუმეორებ, რომ მან გაიგოს, გაიგოს და მეც გავიგო, ეს რა ხდება ჩემ გარშემო და აქამდე როგორ ვუყურებდი ყოველივე ამას. თითქოს ის პატარა გოგონა ვიყო, თოჯინების თეატრში გვერდით რომ მეჯდა და ბანჯგვლიან ხელს ვერ ამჩნევდა. მე ვეუბნები ნანარს, რომ ესაა საშინელი, ენით უთქმელი, წარმოუდგენელი ამბავი: ერთი კეთილთვალება, კვადრატულნიკაპა, ძალზე ინტელიგენტური, დახვეწილი მანერების კაცი, თურმე სხვა ვინმე ყოფილა. თურმე, ამ ერთ კაცს სხვა, მეორე კაცის ღიმილი, მანერები, თვალები მოუპარავს და ამ სხვისი, მოპარული ღიმილით, მანერებით, თვალებით მატყუებდა მე, ატყუებდა სხვებსაც, მთელ ქვეყნიერებას.
- შეუძლებელია, შეუძლებელი!
არ ვიცი, ნანარი ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობს, თუ ასეთი რამ მართლა შეუძლებლად მიაჩნია. მაგრამ ამ წუთში მე, წყალწაღებული, ხავსს ვეჭიდები - ნანარის შეეჭვებას და, რადგან როგორც ძველმა შიკრიკმა, ვიცი, რომ ყველაფერს სახლმმართველობაში შეიძლება მოეფინოს ნათელი, უკანვე ვბრუნდები. სახლმმართველი, ხანდაზმული ქალი, რომელსაც სათვალე თეთრი ძაფითა აქვს მიმაგრებული ყურზე, ფერგახუნებულ საბინაო წიგნს აუჩქარებლად ფურცლავს და ასევე აუჩქარებლად აყოლებს თვალს გვარებსა და მისამართებს. როგორც იქნა...
- აგერაა, ბატონო, ა, - მეუბნება, - ჩვენ სხვა სარქის ბაბაიანი არ გვყოლია. ა, ნახეთ, თავის დროზე ამოვწერე.
ქუჩაში სახეზე თბილი წვეთი მეცემა და უნებლიეთ ცისკენ ვიხედები. ცა მრუმეა, მრუმე, ღრუბლების ჰორიზონტალური ფარდა მხოლოდ ერთგანაა ცოტათი ჩახეული და იმ პატარა სივრცეზე ციცინათელებივით კრთის რამდენიმე ვარსკვლავი და მიმცხრალი მთვარეც იქვეა. ახლა ეს მთვარე საოცრად მახინჯი, არაბუნებრივი, პირდაპირ თოჯინების თეატრის ოცსანთლიანი ნათურა გეგონებათ.
- გინდა, გავიქცეთ? - მეკითხება ნანარი.
ჩვენ ნელა ვეშვებით კონდის ქუჩაზე.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ჯიბიდან ვიღებ უწყისს, ერთი ხის ქვეშ ვჩერდები, რომ ქაღალდი არ დამისველდეს და თვალს ვავლებ სხვა გვარებსა და მისამართებს. ყველაფერი უნდა შევამოწმო, სულ დეტალებში უნდა გავარკვიო ყველაფერი.
სახლში რომ მივიდე, მერე ვერ გამოვალ, ჯობია, ამხანაგს გამოვართმევ ველოსიპედს და კარდაკარ ვივლი, სანამ არ წავიქცევი... ჩვენ აქ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს.
- სახლში წადი, ნანარ, - ალერსიანად ვთხოვ.
- არა, ჯერ შენ წადი და მერე მე წავალ.
ეს ჩვენი ყოველდღიური შეხვედრების ტიპური ფინალია. ათი წუთი მაინც ვდავობთ, პირველი ვინ უნდა შებრუნდეს თავისი სახლისკენ. მაგრამ დღეს მე მოთმინების ძაფი მიწყდება:
- გეყოფა, გესმის! - ვუყვირი, - წადი!
ეგრევე ვტრიალდები და მარჯვნივ, ლენინის ქუჩისკენ ვეშვები. მივლასლასებ გამორეტებული, გაძაღლებული, შემდეგ თანდათან ვანელებ ნაბიჯს და უკან ვიხედები. ნანარი არ ჩანს. წარმოვიდგინე, როგორ მიდის ქუჩაში მარტო, თვალცრემლიანი და ლამის მეც ვიტირო. იმან რა დააშავა, ნეტა რას ვუყვირე! და ვივსები იმათი სიძულვილით, ვინც ადამიანებს ასე ცინიკურად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე უწამლავს ცხოვრებას და სულში აფურთხებს.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეცხრე თავი
როგორ მოვიქცე, ამხანაგო სარიან?

სიმშვიდე არც ამ ოთახშია, რომელსაც გარე სამყაროსგან ორმაგ ფანჯრებზე ჩამოშვებული მძიმე ფარდები ყოფს. გარედან აღწევს საწვიმარი მილების კონცერტის ხმა. წვიმა ისეთი თქაშანით და ხმაურით მოხშუის მილებში, გეგონებათ, რაც ციდან წყალი ჩამოდის, ყველამ ამათში უნდა გაიაროსო.

- ახალს რას გვეტყვით, ლევონიან? - სარიანი ამას თავაუწევლად მეკითხება, მარცხენა ხელით რაღაც გაურკვეველ მოძრაობას აკეთებს, ეტყობა, დაჯექი, დაჯექიო, მანიშნებს, თან წერას განაგრძობს. ვიცი, რომ ისე, წესისთვის მკითხა და პასუხს არც ელოდება. ამიტომ არც ვპასუხობ, არ მინდა ხელი შევუშალო, ფანჯარასთან მივდივარ, შტორს გვერდზე ვაჩოჩებ და გავყურებ ქუჩას, სადაც ცა ფეხად ჩამოდის. გამვლელ-გამომვლელებს თავიანთი სახე დაუკარგავთ: ქუჩაში არ არის არცერთი წელში გამართული, არცერთი ამაყად თავაწეული კაცი, არცერთი ქალი არ მიარხევს ტანს ვნებიანად. მიმოდიან მობღუნძულნი, მხარში თავჩარგულნი, ახტებიან გუბეებს, ავ თვალს აყოლებენ მანქანებს, რომლებიც ვეება ხოჭოებივით, ულვაშების ცმაცუნ-ცმაცუნით, ხვნეშა-ხვნეშით მიგრუხუნებენ და წყლის მარაოსებურ ხალიჩებს შლიან და კეცავენ ყოველ ნაბიჯზე. ხალხი პანიკურად აჰკვრია კედლებს, ზოგი თავზეხელაღებული, უკვე თხემით ტერფამდე სველი, ნელა მიაბიჯებს ამ თავსხმაში. სადაა მზიანი დღეების ფერად-ფერადი სამოსელი... პლაშები, პლაშები, პლაშები... წვიმამ ყველაფერი წაშალა, უფრო სწორად, ყველა ფერი ერთი, მუქი ფერით გადაღება, ყველა და ყველაფერი სარეცხივით გასაწური გახადა და, ახლა, რახან თავის საქმეს კარგად გაართვა თავი, ხარხარებს და ხარხარებს თავისი საწვიმარი მილებით.

- რას წვიმს!

მე ვკრთები და მინდა ფანჯარას მოვცილდე, მაგრამ ამხანაგი სარიანი მხარზე ხელს მადებს და ფეხს ვერ ვიცვლი.

- გადასარევი წვიმაა, - ვამბობ მე და თან მხარზე ვგრძნობ ჩემი მასწავლებლის ხელის სითბოსა და სიცივეს, და ეს კიდევ უფრო მახალისებს.

ეტყობა, სარიანი ფიქრშია წასული და ისეთი კილოთი, როგორც ალბათ მამამისი, მხვნელ-მთესველი კაცი იტყოდა, ამბობს:

- ოღონდ არ გადაამლაშოს და... თესლი შეიძლება სულ ჩალპეს მიწაში...

სავარძელთან მივყავარ, შიგ მსვამს, კართან მიდის, მდივანს აწვდის მოწინავეს, მბეჭდავს მიეციო და აფრთხილებს, არავინ შემოუშვაო.

შემდეგ ჩემ გვერდით ჯდება, ჩაციებით მიყურებს და მეკითხება:

- აბა, როგორაა საქმე, ამხანაგო ლევონიან, სახელმწიფო გამოცდები ჩააბარე? - და პასუხს არ ელოდება, რადგან მან, ჩვენი კურსის მეცნიერ-ხელმძღვანელმა ჩინებულად იცის რა ჩავაბარე და რა არა.

მერე სხვა რამ მკითხა: - რაიკომში როგორაა საქმე, პიონერებთან მუშაობაში რევოლუცია მოახდინე თუ ვერა?

მის თვალებში ღიმილის ნაპერწკალი ქრება და ვამჩნევ, რომ თვალები უღრუბლო, მოწმენდილი ცის ფერი აქვს.

- ყველა ფაქტი დადასტურდა, ამხანაგო სარიან, - ვეუბნები მე.

- მიამბე ყველაფერი, შეეცადე, რამე არ გამოგრჩეს, გაიგე, დაწვრილებით მომიყევი...

მე ვუყვები, რა უკანონობაც ხდება სამშენებლო სამმართველოში, ვეუბნები, რომ ვეზირიანი, სამუშაოს მწარმოებლებთან, მთავარ ბუღალტერთან, მოლარესთან დანაშაულებრივი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

შეთანხმებით, ყალბ უწყისებს ადგენს და ჯამაგირს უწერს რეალურად არარსებულ დაახლოებით ორმოც კაცს, მთელ ამ თანხას ითვისებს და...
აქ სარიანი მაწყვეტინებს.
- ეს „დაახლოებით“ რას ნიშნავს? „დაახლოებით“ როგორ შეიძლება? ასეთი ციფრები „დაახლოებით“ კი არა, ზუსტად უნდა დაასახელო...
- ოცდათვრამეტ კაცს... - ვაზუსტებ მე.
- მერე, მერე? განაგრძე...
ვუყვები, როგორ ვიყავი ყველა ამ „მუშის“ ოჯახში და გავარკვიე, რომ ოცდათვრამეტიდან ზოგიერთი ოდესღაც მართლაც მუშაობდა მშენებლობაზე, შემდეგ ამა თუ იმ მიზეზით სხვაგან გადავიდნენ, უწყისებში კი ჯამაგირი დღემდე ეწერებათ. ზოგიერთები, უბრალოდ, მშენებლობის უფროსის, სამუშაოთა მწარმოებლების, ბუღალტრისა და მოლარის ოჯახის წევრები ან ნათესავები არიან და მშენებლობასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. როცა ვუთხარი, მეამწედ ბუღალტერ ზარიბეკის სამოცდაათი წლის სიდედრია გაფორმებული, ხოლო მიწისმთხრელად სამუშაოთა მწარმოებელ სოლახიანის შვიდი წლის დისშვილი-მეთქი, მეგონა, სარიანი იცინებდა, მაგრამ მას ბრაზისგან სახეზე სისხლი აწვება, შუბლი ეჭმუხნება და ნერვიულობისგან მაგიდაზე თითების კაკუნს იწყებს.
- განაგრძე, განაგრძე...
კიდევ რამდენიმე ფაქტს ვაცნობ: მშენებლობაზე არ ტარდება მატერიალური ფასეულობებისა და სამშენებლო მასალების აღრიცხვა, ათისთავები იმდენ მასალას ითრევენ, რამდენიც მოესურვებათ; მთელი წელია მშენებლობას მასალები არ მიუღია, ესენი კი რაღაც მანქანებით სადღაც შოულობენ და საქმეში უშვებენ. ყოველ ნაბიჯზე თვითნებობენ, ერთი და იმავე მოცულობის სამუშაოში სხვადასხვა პირს სხვადასხვა თანხა ეწერება.
- ჰო, ერთი პატარა ფაქტიც გამახსენდა, - განვაგრძობ, - გასულ თვეში სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ბრძანა, მღებავების ბრიგადირისათვის ჯამაგირის 30 პროცენტი დაექვითათ და პრემია მოეხსნათ იმისთვის, რომ მან სამუშაოთა მწარმოებელს შეკამათება შეჰბედა. თანაც ბრიგადირი მართალი იყო.
რა ეშმაკი შემაჯდა მხარზე, რომ ამ შემთხვევას პატარა ფაქტი ვუწოდე? სარიანი წამოხტა და ვხედავ, კაცი ლამის გაცოფდეს, იმდენად აღშფოთებულია ამ უმსგავსოებებით. ასეთი განრისხებული არასოდეს მინახავს და ახლა ეს იმდენად არ მწყინს, რამდენადაც მიკვირს.
- ესე იგი, შენი აზრით, ამხანაგო ლევონიან, უკანონობის ჩადენა შეიძლება „პატარა ფაქტად“ გავასაღოთ, არა? ესე იგი, ადამიანს პატიოსანი შრომით გამომუშავებული ჯამაგირი რომ ჯიბიდან ამოაცალო, სამსახურებრივი ტერორის მეთოდით იმოქმედო ადამიანის მიმართ და მის სულში ურწმუნოების თესლი გააღვივო, ეს „პატარა ფაქტია“ და მეტი არაფერი, არა? იცი თუ არა შენ, რომ ეს გაცილებით უფრო საშიში მოვლენაა, ვიდრე ის ქურდობა და მითვისებები, რაც იმ მშენებლობაზე, როგორც შენ ამბობ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხდება? დიახ, დიახ! ასეა, ასე და შენ სწორედ ამაზე, ამაზე უნდა დაწერო, თუმცა, მე ვკვე არ ვიცი, შეძლებ თუ არა ყოველივე ამის დაწერას ისე, როგორც საჭიროა. ის შენი ვეზირიანი კი კაი ხვითოა, კაი... კონფერენციებზე ისეთ მქუხარე სიტყვებს ამბობს, რომ...
მადლობა ღმერთს, ქარიშხალი ჩადგა!
თითქოს არ მესმის, რას ამბობს ამხანაგი სარიანი, ახლა ჩემს საფიქრალს ვფიქრობ: აი, ვეზირიანმა კიდევ ერთ ადამიანს აუმღვრია სული, კიდევ ერთი ადამიანი აიძულა, ისეთი რაღაცეები ეთქვა, რაც შემდეგში სანანებლად გაუხდება, იმიტომ, რომ ვიცი, ეს კაცი კეთილია და ყველაფერი გულთან მიაქვს. მე მას კარგად ვიცნობ. ოთხი წელია სარიანი მასწავლის. ესაა ადამიანი, ვინც სხვის ჭირსა და ვარამს ისევე მწვავედ განიცდის, როგორც თავისას, ვისაც

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

საოცრად ახარებს სხვისი სიკეთე. ეს ხომ ის კაცია, ბავშვივით რომ ახარებს, სტუდენტმა მასალას კარგი სათაური თუ მოუნახა, მარჯვე ეპითეტს თუ მიაგნო, სტუდენტის უბრალო საგაზეთო ინფორმაციაც კი ახარებს ამ კაცს...
ასეთი აღელვებული არასოდეს მინახავს.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეათე თავი
პატარა სიხარული

დიდი, ვარდისფერი სახლების გვერდით დგანან, ჯერ კიდევ დგანან ერთსართულიანი მიწური სახლები - გალიები, რომლებიც ნაღვლიანი თვალებით - პატარა ფანჯრებით შესცქერიან სამყაროს. კაცმა შეიძლება რამდენჯერმე აუარ-ჩაუაროს ამ სახლებს და შესასვლელს ვერ მიაგნოს. მაგრამ, რასაკვირველია, სახლების კარებთან მიდის გზაწვრილი, ჰოდა, მეც ამ უცნაურად მიკლაკნილ-მოკლაკნილ გზას პირდაპირ ნანარის სახლთან მივყავარ. მე, ვისაც კოლოსალური ძალის მოხმობა დამჭირდა იმისთვის, რომ ლექსის წერაზე სამუდამოდ ხელი ამეღო, ეშმაკს მივაფურთხე და რამდენჯერმე სტუმრობის შემდეგ ამ თიხატკეპნილ შუკას პოლიტეკონომიის ლექციაზე ლექსი ვტყორცნე:

ო, ჩემო შუკავ, ვიწრო შუკავ, თვალის ნათელო,
წარსულში შენთა მკვიდრთა მიერ ნატკეპნ-ნათელო,
უწინ ხმიერო, დღეს მიმქრალო, მიჩუმებულო,
სხვისგან არ ვიცი... ჩემგან ალალ ლექსით ქებულო...

ამას ამნაირივე ორი სხვა სტროფიც მოსდევდა, რომლებშიც უნამუსოდ ვამახინჯებდი ფაქტებს, გულშეღონებული ვწუწუნებდი, ქალაქის ხმაურმა და აურზაურმა, მოასფალტებულმა ქუჩებმა და ხალხმრავალმა რესტორნებმა თავი მომაბეზრა და ჩემი ფილოსოფიური სულის მყუდრო სავანედ ეს ვიწრო შუკა ამირჩევია-მეთქი.

ამაზე ბინძური და საძაგელი ქუჩა ალბათ დედამიწის ზურგზე არაა და არაფრის დიდებით მეორედ არ დავადგამდი ამ არემარეზე ფეხს, ნანარს რომ არ ეცხოვრა. მაგრამ აქ ნანარი ცხოვრობს, ჩემი ნანარი! ამიტომაც, თვინიერად ვდგავარ ქუჩის თავში, ჭუჭყსა და მტვერში, და დაუდევრად ვუსტვენ ჩვენს სასიგნალო მელოდიას.

დღეს ნამდვილად მარცხენა ფეხზე ვარ ამდგარი. ცოტას წავუსტვენ თუ არა, ვიღაცის მძიმე ფეხის ბრახაბრუხი მესმის ზურგს უკან და ვჩუმდები, ვიდრე ის დალოცვილი ცოტას არ გაივლის. ისევ თავიდან ვიწყებ და ისევ ვიღაცის სუნთქვა მესმის ყურისძირში! რა ამბავია, ესეც აბოვიანის ქუჩაა თუ რა! პირი ხომ არ შეკრა ამ ხალხმა! არა, ისე რომ ჩაგივლიდნენ, კიდევ ჰო, გაგიგონია! ჩაგივლიან თუ არა, აუცილებლად უნდა შემოგიტრიალდნენ და უნდა აგათვალიერ-ჩაგათვალიერონ. დავიჯერო, ასეთი საეჭვო ტიპი ვარ? აქვე, მეზობელ ეზოში კი ცხოვრობს წითელყელსახვევიანი არსება, ერთი პიონერი, ჰო, რომელმაც სისხლი გამიშრო, ჯვარს მაცვა! არ ვიცი, სად მნახა, რაიკომში, სკოლაში თუ რომელიღაც შეკრებაზე, მაგრამ, ეტყობა, სულ წუთებში იცის ჩემი განრიგი. საკმარისია ამ არემარეზე გამოვჩნდე, რომ ეზოდან ასკინკილით გამოსკუპდება, პიონერულ სალამს მაძლევს და კივის: „გამარჯობათ, ამხანაგო ლევონიან!"

შემდეგ ეზოში შევარდება, აივანზე შემოსკუპდება და ერთს არ გაიხედავს გვერდზე, სულ მიზანში ვყავარ ამოღებული. რასაკვირველია, სტვენის ვარიანტი გამორიცხულია. სასკოლო-პიონერული მუშაობის დარგში რაიკომის განყოფილების გამგის ავტორიტეტს ასე არაფრისთვის, ერთი ჩასტვენის სიამოვნებისთვის ხომ არ შევლახავ. ერთი გამოსავალიღა დამრჩენია. გავდივარ ქუჩის ბოლომდე, მერე იქიდან ნება-ნება მოვსეირნობ და ვითომ ჩემთვის, ისე, სხვათაშორის, ვუსტვენ რომელიღაც მელოდიას! და, ბოლოს და ბოლოს, მესმის ხის კიბეზე ნანარის ფეხსაცმლის ბაკაბუკი.

ჩვენ, თითქმის კედელს აკრულები, მივუყვებით ჩემგან ლექსით ხოტბაშესხმულ, „თვალის ნათელ“ საძაგელ შუკას და ვიწყებ:

- ნანარ-ჯან, გუშინდელ ამბავს მაპატიებ?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ნანარი არაფერს ამბობს, მაგრამ ჩემი შეკითხვის პასუხი მისი ღიმილიანი კრიალა თვალებია.
- ხო, რა გამოვიდა? - მეკითხება იგი.
ყველაფერს ვუყვები და ვუკითხავ ფელეტონს, ჩემს ცხოვრებაში პირველ ფელეტონს, რომელიც დღეს თერთმეტ საათზე მაგიდაზე დავუდე რედაქტორს. სხვათა შორის, რედაქტორმა მასალა წაიკითხა, ჩემთვის არაფერი უთქვამს და მაშინვე დაუძახა პასუხისმგებელ მდივანს, აი, ეს მასალა სტამბაში ჩაგზავნეთ და კვირის ნომერში დაგეგმეთო.
- ჯან! - ტაში შემოჰკრა ნანარმა, მაგრამ მაშინვე მოეღრუბლა სახე და მკითხა, - არ გეშინია, არტაკ, მითხარი?
- ვისი? - ვიცინი. ყველა ფაქტი შემოწმებულია.
- არ ვიცი, არ ვიცი, - ამოიოხრა ნანარმა, - შენ მაგივრად მე მეშინია.
და ამ დროს რამ მომიარა, არ ვიცი - გადავწყვიტე, ნანარისათვის ხელკავი გამეკეთებინა, დღის სინათლეზე ასეთი რამ ჯერ არ გამიბედავს. იგი ცდილობს მკლავი წამართვას, მაგრამ მე უფრო მეტად ვუჭერ. ნანარი წითლდება, თავს დაბლა ხრის და თრთოლით ჩურჩულებს:
- ვაიმე, უხერხულია, არტაკ, ხალხი დაგვინახავს...
- კარგი, ერთი, „უხერხულია, უხერხულია“, რაა უხერხული? - ვბრაზდები მე. გვეყოფა, ბოლოს და ბოლოს! დაგვინახავენ და დაგვინახონ, რა! ისე ლაპარაკობ, თითქოს...
ის იყო, საუბრის ეშხში შევდიოდი, რომ თითქოს დენმა დამარტყა ან მდუღარე გადამესხაო, ნანარს ხელი სწრაფად შევუშვი და მთელი ნაბიჯით ჩამოვრჩი - პირდაპირ ჩვენკენ ჩემი ძმა ბაბკენი არ მოდის! ჩვენკენ არ იხედება, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ დაგვინახა და ახლა თავს იკატუნებს. მერე ნანარის უჩუმრად მარცხენა მუშტს მუქარით მიღერებს, - „აი, ხო ჩაგავლე, რა კრებებზეც დადიხარ! გოგოებში დაძვრები, არა?“
- რა მოგივიდა? - შეეშინდა ნანარს.
დაბნეულად ვიქნევ თავს ბაბკენისაკენ.
- იქ ჩემი ძმაა.
ახლა უკვე ნანარი იშმუშნება.
- ხომ გითხარი, - მეუბნება იგი, - ხალხი დაგვინახავს-მეთქი. გამოვიდა, რაღა, გმირი! „დაგვინახავენ და დაგვინახონ!“ - გამომაჯავრა და მე გამეცინა. ნამდვილი მსახიობია, ღმერთმანი! ნანარიც იცინის და მე ახლა უკვე გადაჭრით, - მორჩა, გათავდა! - ვუყრი მკლავში ხელს.
ახლა გვიყურეს, ვისაც უნდა და რამდენიც უნდა!
- მოდი, თეატრის ბილეთები ავიღოთ, - ვთავაზობ, - ანდა, კინოში შევიდეთ, რას იტყვი?
- არა, ოღონდ თეატრში არ შევიდეთ, ოღონდ... - შეშფოთდა ნანარი, - კინოში, კი, ბატონო...
ისე გამწარებით და თავგამეტებით ამბობს უარს თეატრში შესვლაზე, რომ ბრაზი მომდის. რატომ არ უნდა თეატრში შესვლა? ვერ გამიგია, იქნება, ერიდება, ვაითუ ნაცნობმა მსახიობებმა დამინახონო? არა, სისულელეა. იქნება, რამე სხვა მიზეზია? და უცებ, ვამჩნევ, რომ ამ სიგრილეშემდგარ შემოდგომის დღეს ნანარს მაშიები აცვია!
- როგორც გინდა, - ვეუბნები.
არა, აქამდე როგორ ვერ შევნიშნე, რა ეცვა ფეხზე ნანარს? თვალს ვაპარებ მისი პატარა ფეხებისკენ... ვხედავ, როგორ ფრთხილობს ნანარი, რომ ფეხი არ დაუსველდეს და ხელს ხელზე მაგრად ვუჭერ და ვიხუტებ.
იგი არასოდეს არ ლაპარაკობს თავის სახლზე, არასოდეს დაუწუწუნია, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან უჭირს, ვიცი, რომ მისი მცირე ჯამაგირით ცხოვრობენ ის და დედამისი. მხოლოდ ერთხელ თქვა, მამა ექვსი წლისას მომიკვდა და თითქმის არ მახსოვსო. ბუნდოვნად, ძალზე ბუნდოვნად ვხედავ პატარა ფიცრულ ჯიხურს, რომელშიც მამაჩემი - ყოველთვის მხიარული,

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

სალმიანი და ენაწყლიანი დალაქი თავის კლიენტებს თან პარსავდა და თან ლაპარაკით იქცევდაო. სამუშაოს შემდეგ თურმე პატარა ნანარს მხარზე შეისვამდა და რწევა-რწევით, თამაშ-თამაშით მიჰყავდა თიხატკეპნილი გზის ბოლოში მდგარი სახლისკენ, თან რაღაც სევდიან სიმღერას ღიღინებდა.
დღისით თუ რამეს იშოვიდა, საღამოს ხარჯავდა - ღვინოსა და საჭმელს მოიტანდა, ღარიბულ, მაგრამ ალალ სუფრას გაშლიდა, ხმამაღლა გადმოიპატიჟებდა მეზობლებს, ნანარს მუხლზე შემოისვამდა და... თავის ჭიას ახარებდა კაცი, უკვე შექეიფიანებული, ამღვრეულ თვალებს მიაჩერებდა გოგონას და ჩუმად დრტვინავდა:
- ეჰ, ნანარ, ნანარ, შენ რომ ბიჭი მყავდე, წავიდოდით და ჩვენს სისხლსა და ხორცს გამოვიხსნიდით ურჯულოებისგან...
მამის სიკვდილის შემდეგ დედა არ გათხოვილა, ერთდროულად ორ ადგილას მუშაობდა დამლაგებლად და შვილს ზრდიდა.
ახლა კი შვილი ინახავს დედამისს. ნანარს არ უთქვამს, მაგრამ მე ვიცი: სასწავლებელში იმიტომ შევიდა და უმაღლესს იმიტომ არ დაელოდა, რომ მალე მიეღო სტიპენდია და დედას მხოლოდ ერთგან მუშაობა შეძლებოდა.
ლენინის მოედანთან არ ვიყავით მისული, რომ შუბლზე ვიტკიცე ხელი.
- ხედავ, ნანარ, კინაღამ არ დამავიწყდა?
- რა, - შეწუხდა იგი.
- დღეს ჩემი დის დაბადების დღეა, - ვეუბნები ნანარს. - ამ დილას ამიჩემა რამე საჩუქარი მიყიდეო. რა ვქნა, რა ვუყიდო?
- ფული გაქვს? - მეკითხება ნანარი და ჯიბეში იყოფს ხელს, - მე მაქვს ცოტა...
ხელზე ხელი ვუტაცე:
- ფული მაქვს. დღეს ჯამაგირი ავიღე, მაგრამ რა ვუყიდო, არ ვიცი. ვერაფერი მომიფიქრებია. მომისმინე, ფეხსაცმელი ხომ არ ვუყიდო? წესიერი ფეხსაცმელი არცა აქვს.
- კარგია! - უხარია ნანარს, - ფეხის ზომა იცი?
- ფეხის ზომა? საიდან უნდა ვიცოდე?
ახალი თავსატეხი გამიჩნდა: - რა ვქნათ?
გულშეჭირვებული, მის ფეხებს დავყურებ.
- იცი, რა, ნანარ? მე მგონი, ზუსტად შენი ზომა ფეხი აქვს.
ნანარი წითლდება და ფეხს უკან დგამს.
- თუ არ მოუვა?
- არ მოუვა და ხვალ მოვალ და გამოვცვლი. მთავარია, დღეს მივართვა საჩუქარი. იმ წუთში ხომ არ ჩაიცვამს, ადამიანო...
იქვე, მოედანზე, პატარა მაღაზიაში შევდივართ და დახრილ თაროებზე ჩამოწყობილ ფეხსაცმელებს ვათვალიერებთ და უცებ, ორივეს თვალი გვრჩება რეზინისძირიან ფეხსაცმელზე, - ლურჯია, ყველაზე მოდური, ისეთი, ისეთი ფეხსაცმელია, რომ ცოდვაა, ეგ არ იყიდო.
ოღონდ ფასი არ ჩანს და... ნანარი გამყიდველს სთხოვს, აი, ეგ, ზუსტად ეგ ფეხსაცმელი მომაწოდეთო, ფრთხილად ართმევს, თითქოს თხელი, თხელი შუშისაა და ეშინია, არ დამემსხვრესო, აღტაცებით ატრიალებს ხელში, რატომღაც თვალს ხუჭავს და სუნს უსინჯავს...
- რა ღირს?
გამყიდველი ისეთ თანხას ასახელებს, რომ ერთი გაფითრება ვფითრდები, ნანარი კი შიშნარევად მაშინვე დახლზე დებს და უკან იწევს. გამყიდველი ზოზინით იღებს ფეხსაცმელს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

დახლიდან, თან იქედნურად, ზიზღშეპარულად იღიმება და... ყველაფერი ამ ღიმილმა გადაწყვიტა.
- მოიზომე, ნანარ, - ბოღმა მახრჩობს, თან ჯიბეში ხელით ვაწვალებ ჯამაგირს.
- შენ, რა, ხომ არ შეიშალე? - კიდევ უფრო მეტად იწევს უკან ნანარი.
- რა შენი საქმეა? - განრისხებით ვეჩურჩულები, - რაო, უფლება არა მაქვს, ჩემს დას ფეხსაცმელი ვუყიდო?
ნანარი ისეა შეცბუნებული, რომ დიდხანს ვერ იძრობს მაშიებს და როცა იცვამს დიდებულ რეზინისძირიან ლურჯ ფეხსაცმელს, პირველად ვამჩნევ, თუ რა ნატიფი, საოცრად ლამაზი ფეხები ჰქონია. დაუდევრად ვყრი მაგიდაზე მთელს ჩემს ჯამაგირს, გეფიცებით, ოდნავაც არ დამნანებია, სწორედ რომ პირიქით - პირდაპირ დახატა ჩემი ნანარი! შემდეგ, როცა დავინახე, როგორ დაიხარა იგი ფეხსაცმლის გასახდელად, მეც დავიხარე და ჩუმად, ბედნიერი ხმით ჩავჩურჩულე ყურში:
- მშვიდობაში, ნანარ!
- რაო?..
თითქმის ჯიკავ-ჯიკავით გამომყავს მაღაზიიდან და აბა, რას შვრები, აბა, რას შვრებით გული რომ არ შემიწუხოს, კარგა მანძილით ვიტოვებ უკან, მთელი ძალით ვიქნევ ჰაერში მის ძველ გაცვეთილ მაშიებს და ისინი ტყაპუნით ეცემა კუთხის სახლის ბრტყელ სახურავზე.
- ძლივს არ მოვიშორეთ! - ვხარხარებ.
- გიჟი ხარ, გიჟი, გადარეული! - ძლივს მოდის გონს ნანარი.
...სახლში თითქმის სირბილით ვბრუნდები, მოვრბივარ, თან რაც შემიძლია, მაღლა ვხტები, - აბა, თუ შევწვდები სველ ტოტებს, თუ შევწვდები! მთლად სველი ვარ, გასაწური, სიხარულითა და ალუბლის სურნელით მთვრალი მივრბივარ სახლისკენ, მივრბივარ და სველ ტოტებს ვახტები და ვარხევ. მხოლოდ ჩვენს ჭიშკართან ვჩერდები ერთხანს, ვფიქრობ, რა ვთქვა, ჯამაგირი რა უყავიო, რომ მკითხონ. ვიშოვი სადმე, ვისესხებ და თანდათან ჩავასესხებ- მეთქი, გადავწყვიტე და მოვრჩი ამაზე ფიქრს. ჰო, მოიცა, მოიცა, მე ხომ ფელეტონის ჰონორარიც ასაღები მაქვს. ოხ, ფულებო, ფულებო! რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებით, როგორ! არადა, ხომ არის ხალხი, ვინც მრავალმნიშვნელოვნად თუ ღრმააზროვნად, - როგორც გინდათ, დაარქვით, - აცხადებს: „ფული მხოლოდ ცუდ კაცს უყვარსო“, „ფული რაა - ხელის ჭუჭყიაო“, ტყუილია, გულისამრევი, ფარისევლური სიცრუეა! ასე ლაპარაკი მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც უსაზღვროდ ბევრი ფული აქვს, ვინც ფულს იოლად, გაურჯელად ხვეტავს და ვინც არ იცის, რომ ფულის საშუალებით შეგიძლია ადამიანები ცოტათი მაინც უფრო გააბედნიერო და ამით შენც, ვიდრე ხარ, იმაზე ბედნიერი გახდე.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეთერთმეტე თავი
გაცნობა

კომკავშირის რაიკომის შენობაში შესვლამდე ერთხანს ქვევით ვყოვნდები და აქეთ-იქით ვიხედები: რაიკომის თანამშრომელთაგან ვინმემ ხომ არ დაინახა, რომ სამსახურში ისევ ველოსიპედით მოვედი. კაცმა რომ თქვას, არ მინდა, რომ რაიკომის მდივნის თანაშემწემ, ბელა გრიგორიევნამ დამინახოს. ეგ რომ ველოსიპედზე მხედავს, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრის.

- შენ... შენ რაიკომის მუშაკი ხარ თუ ცირკის არტისტი, - კივის იგი, - იცი, თუ არა, რომ ამით მთელ რაიკომს ჩრდილს აყენებ? რას იფიქრებენ კომკავშირელები, ან პიონერები, რას იფიქრებენ პიონერხელმძღვანელები? შენ გინდა, რომ ველოსიპედითაც ისეირნო და ხალხმაც პატივი გცეს? ვერ მოგართვეს!

ვერაფერს ვპასუხობ, რადგან რუსულად მესხაპასხუპება, მე კი რუსულში ძალიან მოვიკოჭლებ, რაღა მოვიკოჭლებ, ვკოჭლობ. ისე, მართალი თუ გინდათ, დიდი მორუსულე არც ეგა მყავს, სიტყვებს ამახინჯებს, მახვილებს ხომ, სადაც მოეპრიანება, იქა სვამს, როცა გაუჭირდება, სომხურ სიტყვებსა და ფრაზებსაც იშველიებს, მაგრამ იმას არაფრისა ერიდება, მე კი, როცა იძულებული ვარ, რუსულად ვთქვა რამე, ჩემი მემართება. მხოლოდ ერთხელ კი ვეღარ მოვითმინე:

- ბელა გრიგორიევნა, რა არის ამაში სამარცხვინო? მთელი მსოფლიო ველოსიპედით დადის. ტულაში, მაგალითად, დიდი და პატარა ველოსიპედზე ზის. ქვეყანა იქცევა ამით, თუ?!.

- კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენ ნიმუშად არ გამოგვადგება, - მაწყვეტინებს ბელა გრიგორიევნა.

მაგრამ დღეს რაიკომის მდივნის თანაშემწე არ ჩანს. კარს ვაღებ, ველოსიპედიც შიგნით შემომაქვს და ჩვენი კარისკაცის, დეიდა პაშას საკუჭნაოსკენ მივრბივარ.

- დეიდა პაშა, დეიდა პაშა...

- ვიცი, ვიცი, - იცინის დედაბერი, - აქ შემოიტა, ბელა გრიგორიევნა ვერ დაინახავს. რაიკომში არავინაა. ჯერ არ მოსულან. შორიდან გავცქერი ჩემს მაგიდას. მის თავზე კიდია პიონერთა ორგანიზაციის საქალაქო საბჭოს გარდამავალი დროშა, რომელიც მე მემკვიდრეობით მივიღე ამ ადგილზე ჩემი წინამორბედისგან. აი, დროშის ქვეშ გაკრული ის ორი საპატიო სიგელი კი განყოფილებამ უკვე ჩემს დროს მიიღო. პიონერთა და მოსწავლეთა საგაზაფხულო სპარტაკიადაზე ჩვენმა რაიონმა პირველი ადგილი დაიკავა, ჯართის შეგროვებაში მეორე ადგილზე გავედით, ეს კრემლის მაკეტი კი თბილისის პიონერთა დელეგაციამ გვისახსოვრა.

ჩემი სამუშაო ძალიან მიყვარს. ეს სიყვარული გადმომედო ჩემი წინამორბედისგან, ქალაქის პიონერთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მუშაკისგან, ამხანაგ ლიზასგან. ხუთი წელი ვიმუშავე მასთან შტატგარეშე კორესპონდენტად და სხვა არავინ მეგულება, თავისი საქმე ასე რომ ჰყვარებოდეს. პიონერულ მუშაობაში წლიდან წლამდე ბევრი რამ მეორდება, ვთქვათ, შეკრებების ფორმა არ იცვლებოდა, მაგრამ ამხანაგი ლიზა ყოველთვის ისე ღელავდა, თითქოს პირველ შეკრებას ატარებს და არ იცის, საქმეს თავი როგორ მოაბასო. მას ყველგან და ყოველთვის წითელი ყელსახვევი ეკეთა და ვაი იმ პიონერხელმძღვანელის ბრალი, ვისაც უყელსახვევოდ დაინახავდა.

ან ყველას როგორ იცნობდა! მარტო პიონერებს კი არა, მათ და-ძმებს, მშობლებს, ნათესავებსაც იცნობდა. სულ იცოდა, ვინ სად მუშაობდა, ვის რისი გაკეთება, რანაირი შეფობის გაწევა შეეძლო პიონერთა ორგანიზაციისთვის. ქუჩაში რომ მიდიოდა, სულ აქეთ-იქით იქნევდა

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

თავს, რადგან ყოველი მხრიდან გაუთავებლად ესალმებოდნენ: „სალამი, ამხანაგო ლიზა“ და „სალამი, ამხანაგო ლიზაო“.
- გამარჯობა. ჩემთვის ხომ არ დაურეკავთ? - მესმის მოგუდული ბანი.
ჩვენი საინფორმაციო განყოფილების გამგეა, პართევი, რომელთანაც ერთად ვზივარ ოთახში. პართევი დაცინვით დაარქვეს: სინამდვილეში გამხდარი, ჩხირივით ბიჭია. დიდი გემოვნებით იცვამს, რაღაც წარმოუდგენლად აკურატულია, რითაც, გასაგებია, შურს იწვევს. მისი შარვლის ნაკეცები ფოლადივით პრიალებს. ისეთი თეთრი, ქათქათა ხალათი აცვია, ზედ რამე გინდა წერო ფანქრით. ყელსახვევი მაგრად აქვს მოჭერილი. მაგიდას მიუჯდება თუ არა, პართევი სამკლავეებს იკეთებს და ვიდრე სადმე დარეკავდეს, საგულდაგულოდ წმენდს ნაჭრით ყურმილს. ნამდვილი მეგობარია, სული და გული კაცი, ნანატრი მსმენელი, ყოველგვარ ანგლობაზე ისე როხრეხობს, რომ კაცს მოგინდება, კიდევ მოჰყვე რამე. თვეში ორჯერ, ხელფასზე, მორიგეობით ვპატიჟებთ ერთმანეთს რესტორანში. გუშინ ჩემი რიგი იყო და ჩინებულად გავატარეთ დრო. ვუამბე, საზაფხულო არდადეგებზე როგორ ვიმუშავე ორი თვე საკონსერვო ქარხანაში მტვირთავად. როცა ვუთხარი, პირველ დღეს, იმდენი ყუთისა და ტომარის თრევის შემდეგ, პაემანზე მოსულ ნანარს მთვრალი ვეგონე-მეთქი, პართევი კინაღამ სიცილით გაიგუდა.
- ბრანცალებდი, აბა? - ძლივს მოითქვა სული მან.
- ბრანცალი სად შემეძლო? ჩვარივით ჩამოვეკიდე იმ საწყალს კისერზე.
პართევმა ბევრი ეროხრეხა და შემდეგ ცნობისწადილით მკითხა:
- ასეთი მძიმე სამუშაოა?
- ადვილი არაა, - ვუთხარი მე, - ეს ჩემთვის, თორემ პროფესიონალი მუშები სტვენა-სტვენით დაათრევენ ყუთებსაც და ტომრებსაც. შეჩვეული არიან. მერე და მერე, თანდათან, მეც შევეჩვიე. ოღონდ, ცუდი ეგ იყო, უბნის უფროსი მუშებს ატყუებდა, ნაკლებ ხელფასს უწერდა, რომ ეკონომიის ხარჯზე პრემია მიეღო, მუშები კი ამას ვერ ხვდებოდნენ. რამდენჯერმე ვუთხარი, ავდგეთ, ვუჩივლოთ-მეთქი, არაო, ეშინოდათ, უფროსი შავ დღეს გვაყრისო. ბოლოს და ბოლოს, ავდექი, მე თვითონ მივედი პარტბიუროს მდივანთან და ეს საკითხი მისი მეოხებით მოვაგვარე. წარმოიდგინე, რა მოხდა, როცა შემდეგ თვეში ბიჭებმა მაღალი ხელფასი მიიღეს? ირგვლივ შემომეხვივნენ და თხოვნა დამიწყეს, ესა, ისაო, ბრიგადიდან ნუ წახვალო.
„თუ კაცი ხარ, სად უნდა წახვიდე? - მეჩიჩინებოდა ბრიგადირი გასპარი, - დარჩი, ნეტავ იმ შენს უნივერსიტეტში რა დაგრჩენია, რომ დაამთავრებ, ხომ არ გგონია, რომ ამდენს მიიღებ?“
პართევს თვალიდან სულ ცრემლი სდიოდა, იმდენი იცინა. მთელი რესტორანი გააყრუა მისმა ხარხარმა. რა კარგი, რა მხიარული ბიჭია...
- არა, პართევ-ჯან, არავის დაურეკავს...
- გასაოცარია, - მხრებს იჩეჩავს პართევი, ჯიბიდან იღებს ქათქათა პირსახოცს და ყურმილს ადებს, - სამკერვალო ფაბრიკიდან უნდა დარეკონ, იმათი საკითხი ბიუროზე გაგვაქვს.
პართევს ძნელი, უფრო სწორად, ერთფეროვანი სამუშაო აქვს: საწევრო გადასახადების უწყისებს ეგ აგროვებს, ბიუროებსა და პლენუმებს ეგ ამზადებს, რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებებს ეგ აწვდის ორგანიზაციებს განსახილველად...
- უკვე ერთი წელია, რაც აქ ვმუშაობ, მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციაში ერთხელაც არ ვყოფილვარ, - საგონებელშია კაცი, - აქედან რომ გამაგდონ, ახი იქნება, აბა, რა?..
მთელი დღე ზის და მუშაობს, თავს მაღლა არ სწევს. სწამს, რომ რთული და საპასუხისმგებლო საქმე აკისრია და თავს არ იზოგავს, ცდილობს ხელმძღვანელობის ნდობის გამართლებას. ასეთი მომთხოვნი მხოლოდ თავისი თავის მიმართ როდია. თავიდან მეგონა, ხუმრობს-მეთქი,

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

როცა მავანს და მავანს მეტისმეტად სერიოზული სახით აძლევდა დავალებას, შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ ასეთი ხასიათი ჰქონია.
დავუშვათ, რომ რაიკომი რომელიღაც შეკრებას ატარებს და მოსაწვევი ბილეთებია დასაგზავნი. შიკრიკი ჩვენ არა გვყავს. ისღა დაგვრჩენია, ამა თუ იმ საქმეზე რაიკომში შემოვლილ კომკავშირლებს ვთხოვოთ დახმარება. პართევის ადგილზე სხვა ასეც მოიქცეოდა, მაგრამ ის სხვაა, სხვანაირი კაცია. წრიალებს, წუხს, ღელავს, გულისყურით სწავლობს რაიკომში მოსულ ახალგაზრდებს, რომელიმე მათგანს თვალს დაადგამს და ჩვენს ოთახში შემოჰყავს.
- კომკავშირელი ხართ? - ეკითხება მკაცრად.
- დიახ! - პასუხობს ახალგაზრდა და თან უნებლიეთ წელში სწორდება.
პართევი კარგა ხანს დუმს, თვალს არ აცილებს ახალგაზრდას, რომელიც უკვე უხერხულობისგან იშმუშნება და ხმადაბლა, საზეიმო კილოთი ეუბნება:
- ერთი სერიოზული დავალება გვაქვს. და მე მგონია, რომ მისი შესრულება თქვენ შეგიძლიათ, - ისევ პაუზა, - ამ კონვერტებს ხომ ხედავთ? ერთი აკადემიაშია მისატანი, მეორე - უნივერსიტეტში. გვარები კონვერტებზე აწერია. გასაგებია? შეგიძლიათ ამ დავალების შესრულება? თუ არ შეგიძლიათ, პირდაპირ გვითხარით.
- შემიძლია, ამხანაგო პართევ, - გულაჩუყებით პასუხობს კომკავშირელი.
პართევი დგება, მიდის ახალგაზრდასთან და მაგრად ართმევს ხელს.
- აბა, თუკი ეგრეა, წარმატებას გისურვებთ, ამხანაგო!
და ამ სიტყვებს ისეთ სითბოს აქსოვს, ისე აღელვებულია, თითქოს ახალგაზრდას აკადემიაში კი არა, მტრის ზურგში აგზავნიდეს და ახალგაზრდაც ისე აღგზნებულია, რომ ეჭვი არ მეპარება: მოკვდება და მოსაწვევი ბარათებით გატენილ კონვერტებს ადგილებზე მიიტანს, საღამოს კი, თავის ოთახში ჩაკეტილი, ჩაწერს დღიურში: „195... წლის სამი მაისი... რაიკომი... დიდმნიშვნელოვანი კონვერტები... აკადემია... უნივერსიტეტი... დავალება შესრულებულია...“
ადრე მეგონა, ამგვარი დავალების მიცემის შემდეგ პართევი მომიბრუნდებოდა, თვალს ჩამიკრავდა, გაიცინებდა და როხროხით მკითხავდა. „როგორია, ა?“ მაგრამ იგი ჩემკენ არ ტრიალდება და საქმეს ისევ ისე, სერიოზულად, ყურადღებით განაგრძობს. წუთით ვწყვეტ საქმეს.
- პართევ, - ვეუბნები, - მე გრიბოედოვის სახელობის სკოლაში მივდივარ შეკრებაზე, თუკი ვინმეს დავჭირდები, იქ დამირეკოს.
- მშურს შენი, - ამოიოხრებს პართევი.
დერეფანში გასული ვხედავ, რომ ჩვენი მეორე მდივნის ტყავგადაკრული კაბინეტის კარი გამოღებულია. ესე იგი, მესროპი მოსულა. ნაძლევს ჩამოვდივარ, რომ ქარხანაში თავის მეგობრებს ურეკავს. ეგრეა, აბა, რა ვთქვი?
- კატია, კატია-ჯან! მე ვარ, მესროპი... რა მიჭირს, ვარ. კატია, ერთი, კომიტეტს შემაერთე. რაო, არ მოსულა? რაო, რაო, არ მოსულან რას ნიშნავს? რომელი საათია? აა, უბანში არიან? აბა, უბანს შემაერთე, თუ ქალი ხარ...
მესროპი ელოდება, მეც მომენტით ვსარგებლობ, ნახევრად გამოღებული კარიდან ვესალმები, ისიც მარცხენა ხელს მიწევს, თან ღიმილიანი თვალით შემომცქერის, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღიმილი მე არ მეკუთვნის.
- ვარპეტ სარო! მესროპი ვარ, მესროპი. გამარჯობა. თქვენ როგორა ხართ, ვარპეტ სარო, როგორ? გმადლობთ, ვარ. რაო, უკვე ხსნით? როდის მოასწარით? რომელ საათზე? მოვალ, როგორ შეიძლება არ მოვიდე? მოკითხვა ჩვენს ბიჭებს, ყველას, და მიულოცე! მოვალ, აბა, არ მოვალ?!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

უკვე ექვსი თვეა, რაც რაიკომის პლენუმმა მესროპი მეორე მდივნად აირჩია. ასეთი რამ იშვიათად ხდება. მესროპი ჩვენი რაიონის კომკავშირული მუშაკი არ ყოფილა. აქამდე ის სხვა რაიონში მდებარე დაზგათმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო. მაგრამ მას მთელ ქალაქში იცნობდნენ, ყველგან უყვარდათ. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა ქარხანაში ხარატად და სულ ერთ წელიწადში ქალაქში ლამის საუკეთესო ჩქაროსანი ხარატი გახდა. დაუსწრებლად, სულ ორ წელიწადში, დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თავისივე საამქროს უფროსად დაინიშნა. მაგრამ საამქროს უფროსად რამდენიმე თვეღა იმუშავა. ქარხნის კომკავშირლებმა იგი ალკკ კომიტეტის გათავისუფლებულ მდივნად აირჩიეს. ჩვენებმა სწორედ იქიდან მოიტაცეს. ჩინებული ორგანიზატორი და პროპაგანდისტია, კარგად მუშაობს, ყველა ემადლიერება... ოღონდ, თვითონ არ არის თავისი თავის კმაყოფილი. აქამდე მთელი არსებით თავის ქარხანაშია, ყოველ დილას რეკავს და გებულობს იქაურ ახალ ამბებს. ყოველ გამოსვლას ერთი და იმავე ფრაზით იწყებს: „ჩვენთან, ესე იგი, დაზგათმშენებელ ქარხანაში, როცა ასეთი საკითხი განიხილებოდა...“ კეთილსინდისიერი, ნიჭიერი ახალგაზრდა დიდებულად ართმევს თავს რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობას, მაგრამ... მისი გული ქარხანაშია დარჩენილი. და თითქმის ყოველ თვეს, როცა იგი მორიგი განცხადებით შედის პირველი მდივნის სარქისიანის კაბინეტში, უნებლიეთ, ძველი, მარადი ზღაპარი მახსენდება. მახსენდება, ნაპირზე ამოგდებული თევზი როგორ ევედრება ბერიკაცს: მოიღე სიკეთე და ზღვაში გადამაგდეო და მესროპიც სულ იმედოვნებს, რომ სარქისიანი ყურად იღებს მის თხოვნას და იმ ბერიკაცივით ეტყვის: გიშვებ ლურჯ ზღვაში, გიშვებ და ინავარდეო.
მაგრამ ბერიკაცი, უფრო სწორად, ამ შემთხვევაში ამხანაგი სარქისიანი, მსგავსს არაფერს ეუბნება, მესროპიანს განცხადებას ართმევს და გაკრული ხელით აწერს: „ადგილზე დარჩეს ულაპარაკოდ! ჩვენ უკეთ ვიცით, სადაცა ხართ უფრო საჭირო!“
ასე კი აწერს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მისი ნება რომ იყოს, სხვა რამეს წააწერდა. მისი რეზოლუციის საფუძველია ქალაქკომის პირველი მდივნის - კარო ბადამიანის გადაწყვეტილება და სარქისიანიც ყოველთვის ღიმილით უბოდიშებს მესროპს:
- ეს პოლიტსწავლების წელიც დამთავრდეს, ამხანაგო მესროპ, განვაზოგადებთ ჩვენი მუშაობის შედეგებს და შემდეგ რამეს მოვიფიქრებთ.
ორივეს ჩინებულად ესმის ერთმანეთისა, ორივე პატიოსანი კაცია. დიდხანს ვერ გამეგო, ამხანაგი სარქისიანი, რომელმაც ასე ზედმიწევნით იცის თავისი საქმე, კომკავშირული მუშაობის დიდი გამოცდილებაც აქვს და ასეთი ავტორიტეტითაც სარგებლობს, რატომ იყო ასე დამოკიდებული სხვაზე და სულ წვრილმან რამეებსაც კი რატომ უთანხმებდა ქალაქკომს, რატომ ხტებოდა ფეხზე, როცა ბადამიანი რეკავდა. სარქისიანი სახელობით სტიპენდიას იღებდა, უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა, ასპირანტურაშიც ტოვებდნენ, მაგრამ მან მუშაობა ირჩია და კარგადაც მუშაობდა. ჰოდა ნეტა, ვისი ან რისი ეშინოდა? ეს საიდუმლო მე ერთხელ რესტორანში გამიხსნა ცოტა შეჭიკჭიკებულმა პართევმა:
- შეშინდება, აბა, რა იქნება? შენ, რაო, არ იცოდი, რომ მამამისი სისხლის სამართლის საშიში დამნაშავე იყო?
- რას ამბობ, - შევცბი მე, - ვინმე მოკლა?
პართევს გაეცინა.
- ესე იგი, შენა გგონია, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე მხოლოდ მკვლელია? არა, ჩვენი სარქისიანის მამა ბუღალტერი იყო, თავის უფროსს შეეკრა და დიდძალი სახელმწიფო თანხა მიითვისა. ისინი დააპატიმრეს და ათი წელი მიუსაჯეს.
- კი, მაგრამ, შვილი რა შუაშია? ეგეც ხომ წილში არ გადიოდა?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ეგ ხომ კომუნისტია, რაიკომის მდივანი და როგორ შეურიგდა ამისთანა მდგომარეობას, სისხლის სამართლის დამნაშავესთან ერთ ჭერქვეშ როგორ ცხოვრობდა? - გაბრაზდა პართევი. სახეზე სისხლიც კი მოაწვა, - სად იყო სიფხიზლე? მან პირველმა რატომ არ ამხილა მამამისი და ორგანოები რატომ არ ჩააყენა საქმის კურსში? არ იცოდა? ამას მნიშვნელობა არ აქვს. უნდა სცოდნოდა, უნდა! პავლიკ მოროზოვი როგორც მოიქცა, ხომ გახსოვს? ან გრიშა აკოფიანი? ისინი ჯერ ისევ პიონერები იყვნენ, როცა თავიანთი სიცოცხლის ფასად ამხილეს მშობლები, ნათესავები...
უნებლიეთ მამაჩემი გამახსენდა და დამბურძგლა. მეც ხომ კომუნისტი ვარ, მაგრამ არასოდეს დავინტერესებულვარ, იქნებ, წარსულში... მამაჩემიც... ჰა? წუთით თვალწინ დამიდგა მამაჩემის კეთილი, დაღლილი სახე, მისი წლების მანძილზე ლითონთან ჭიდილით დაკოჟრილი, აგურივით გამკვრივებული ხელები. ბავშვობაში ერთხელ, როგორღაც, მეზობლის ერთ ჩერჩეტ ბიჭს წავეჩხუბე. დედამისმა მამაჩემის ქარხანაში იჩივლა: ჩემს ბიჭს იმიტომ სცემენ, რომ მამამისი აქ არ არის, ფრონტზეაო, და მაშინ მამაჩემმა, პირველად თავის ცხოვრებაში, ისეთი ძლიერი ალიყური მაჭამა, რომ თვალიდან ალბათ ნაპერწკლები წამომცვივდა. ძალიან მეტკინა და, მახსოვს, ცრემლიანმა, როგორ შევტირე მამას:
- მაგრამ ეგ ხომ ყოველდღე მინგრევს სილის სახლს და შენთვის ხომ არ შემომიჩივლია? შენ კიდე, არც არაფერს მეკითხები, ისე მირტყამ შენს... მუშის ხელს...
მამას გაეცინა. დიდხანს იცინოდა, შემდეგ ცრემლმორეულმა დამიყვავა, შესაძლოა, შევებრალე კიდეც:
- ასეთი ხელები მაქვს, შვილო, მე... მუშის ხელები, და სხვა ხელები, აბა, საიდან მოვიტანო? მითხარი, თუ კაცი ხარ?
არა, მამაჩემი დამნაშავე ვერ იქნებოდა. ეს გამორიცხულია და თუ... და თუ ეგ რამეს გააკეთებს, ალბათ, ასეც უნდა გაეკეთებინა.
- ორი წლის წინათ, როცა ბიურო სარქისიანის საკითხს განიხილავდა, მე ქალაქკომის ინსტრუქტორად ვმუშაობდი, - განაგრძობდა პართევი, - უნდა გენახა, რა დღეში იყო. ყველანი მოითხოვდნენ მის გათავისუფლებას სამსახურიდან და პარტიიდან გარიცხვას. და, იცი, ვინ დაიცვა? ბადამიანმა! „მე ვფიქრობ, უნდა მივცეთ საშუალება განაგრძოს მუშაობა, თუკი იგი აქ, საჯაროდ ზურგს შეაქცევს მამამისს...“
- მერე, რაო, რა თქვა სარქისიანმა? - შევძრწუნდი მე.
- ჯერ თითქო გაქვავდაო კაცი, მერე, როცა ბადამიანმა მოსთხოვა, თქვი უარს ამბობ თუ არა მამაშენზეო, - უსიტყვოდ დაუქნია თავი, სახე ხელისგულებში ჩარგო და ოთახიდან გავარდა. ასე იყო, აბა! თუ იცი, ბადამიანმა რატომ დაიცვა ამხანაგი სარქისიანი? აბა, მითხარი, მითხარი, ამხანაგო მომავალო ჟურნალისტო! ბადამიანმა ხომ მისი საკითხი თვითონვე დასვა ბიუროზე.
- შეეცოდა, ალბათ, იფიქრა, რომ მართლა არ იყო საჭირო მეტისმეტი სიმკაცრის გამოჩენა. პართევმა აგდებული ღიმილით გაიღიმა.
- გეგონოს. ყველაფერი ეს იმისთვის გააკეთა, რომ სარქისიანი მთელი ცხოვრება ვალში ჰყავდეს, ეშინოდეს მისი. სარქისიანს სულ უნდა ახსოვდეს, რომ ბადამიანს, როცა მოეგუნებება, მაშინვე შეუძლია სამსახურიდან მისი დათხოვნა. და რამდენადაც ჩვენი სარქისიანი მთლად მტკიცე ხასიათისა ვერაა... ამიტომაც ეპირფერება ბადამიანს. გაიგე? იცი, რა გითხრა? ოღონდ, ჩვენში დარჩეს... სარქისიანს ჩემიც ეშინია. აგრეა და! - პართევმა ჩუმად, მთვრალი კაცის სიცილით გაიცინა, - არ შეგიმჩნევია, როგორ ალერსიანად მელაპარაკება?..
- ახლა კი გადაამლაშე, - არ დავეთანხმე მე, - შენი მაინც რატომ უნდა ეშინოდეს? ადამიანი თუ მოკრძალებული და ზრდილია, რა, გამოდის, მშიშარაა? ეგ მეც ასე მელაპარაკება. იქნება, ჩემიც ეშინია, რას იტყვი?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- შენი არ ვიცი და ჩემი ნამდვილად ეშინია. და მერე, იცი, რატომ? ერთხელ ეგ ციხის კართან დავინახე, მამასთან ამანათი მიჰქონდა! აბა, რა გეგონა! ბიუროზე კიდე უარი თქვა მამამისზე. მე რომ პატიოსანი კაცი არ ვიყო და იმას პატივს არ ვცემდე...

ალბათ მეც ზომაზე მეტი დავლიე, თავი მიბრუოდა და გული მერეოდა. ღმერთო, რაღა არ ხდება ამ ქვეყანაზე, რას არ გაიგონებ კაცი! მიდი და გაარკვიე, თუ ბიჭი ხარ, ვინ პატიოსანია და ვინ არა? ვის უნდა ერწმუნო, ენდო კაცი? თუ იქნებ, ყველა პატიოსანი ადამიანი, უბრალოდ, ვერ უგებს ერთმანეთს? ასეა, ალბათ. ჰო, ალბათ, ასეა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეთორმეტე თავი
შავი წყლის მოტანილი გადასარევი ატამი

რაიკომიდან გამოსული აბოვიანის პროსპექტს ავუყევი. გზის ორივე მხარეს არხები გაზაფხულის ნაწვიმარ წყალს პირთამდე აუვსია, ალაგ-ალაგ ტროტუარზეც გადმოსულა და ღვარად მოთქლიშინებს, მაგრამ ეს შეჩვენებული ქალაქის თხრილები მაინც ჭუჭყიანია. ბინძურ, შავ წყალს რაღა არ მოაქვს: ნაფოტებიც, ტოტებიც, რაღაც ჩვრებიც, დახეული კალოშებიც, კარტოფილის ნაფცქვენიც, პურის ნაჭრებიც... ჰო, პურის ნაჭრებიც მოაქვს! იმ წლებში კი ამ თხრილებში წყალს ჯოხები და ძველმანი, შავი ბინტებიღა მოჰქონდა. ერთხელ კი თხრილში ნამდვილი, გასაოცარი ატამი დავინახე. ლოყაწითელი იყო, ტაატ-ტაატით მოჰქონდა შავ წყალს ეს საოცრება. აღტაცებისგან ადგილზე გავშეშდი, ის კი ყურყუმალობა-ყურყუმალობით მოგოგმანებდა ჩემკენ, აგერ, ჩემამდე მოვიდა, გვერდზეც ჩამიარა და აბოვიანის პროსპექტზე თავქვე დაეშვა. იმ წუთში დას მოვწყდი და მეც ქვაფენილზე დავეშვი, დავეწიე და გადავუსწარი ატამს, დავიკუზე, შავ, ჭუჭყიან წყალში ხელი ჩავყავი და გავინაბე. წავეტანე, მაგრამ, თითქოს დამცინისო. ხელიდან გამისხლტა და ისევ თავქვე დაუყვა. მაგრამ სანამდე უნდა გამექცეს? ისევ გავეკიდე, ხელები უკვე იდაყვამდე ჩავყავი წყალში და დავიჭირე, გადასარევი ატამია! მონაკბეჩიც კი არაა! ხელით გავამშრალე, ტანსაცმელზე შევიწმინდე და უკანვე, დისკენ გავიქეცი, რომ მისთვისაც მეჭმია: ნახე, ევგინე, ნახე, ნამდვილი ატამია-მეთქი. მეგონა, მასაც გაუხარდებოდა, მაგრამ ატამი ხელიდან გამომტაცა და ისევ მღვრიე ღვარში ჩაუძახა. ჩემზე ადრე ჩემი და ატირდა:

- შენ რომ ჭუჭყიანი ატამი შეჭამო და ავად გახდე, დედიკოს და მამიკოს რა ვუთხრა?
- სულელო, ატამი შიგნით ჭუჭყიანი ხომ არაა?

მამა და დედა კი ამ დროს ფიქრობენ, რომ ჩვენ ჩვენი და იმათი სასურსათო ბარათებით არხეინად ვცხოვრობთ. შემოდგომაა, ომიანობის პირველი შემოდგომა. ჩემი ძმები ფრონტზე არიან. ყველანი ფრონტზე არიან. პური არაა. მამამ მორიგი შვებულება აიღო და დედასთან ერთად სოფელში წავიდა, რათა თამბაქოს პლანტაციაში რამდენიმე შრომადღე გამოიმუშაოს და ზამთრისთვის ცოტა პროდუქტი ჩამოგვიტანოს. თანაც, თქვენი და ჩვენი ბარათებით რამდენჯერმე გვარიანად გაძღებით მაინცო, გვითხრა მამამ. რახან ევგინე ორი წლით ჩემზე უფროსი - თორმეტი წლისა იყო, უფროსობაც მას დააკისრეს. ახლა მე და ჩემი და ხელიხელჩაკიდებულნი ავდივართ აბოვიანზე, მივდივართ ჩემს უფროს დასთან, ლუკისთან, რათა მშობლების ჩამოსვლამდე ცოტა ფქვილი ვესესხოთ. სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ საშინელი უბედურება დაგვატყდა თავს, როგორც ჩვენი მეზობელი, ნაზიკი ამბობს, „ამისთანა რამეს მტერსაც არ ვუსურვებ“. ჩვენი ბარათები დამეკარგა - პურისაც და სხვა პროდუქტებისაც. დამეკარგა თუ მომპარეს, ვერ ვიტყვი. ქვითრები ქარხანაში უნდა ამეღო. დილაადრიან ავდექი. ქარხანაში მიცნობდნენ, რადგან ბევრი მუშა ჩვენს მეზობლად ან სულაც, ჩვენს სახლში ცხოვრობდა. მიმიყვანეს, სადაც საჭირო იყო, ჩვენი პეტროსის შვილიაო და მომცეს ბარათები, დიდი ტკიცინა ქაღალდის ფურცლები, რომლებიც კოხტად დავკეცე და გარეთა ჯიბეში ჩავიდე... ჭიშკრიდან რომ გამოვედი, ტრამვაიმ ჩამოიარა, დროის დაკარგვა არ მინდოდა, გავეკიდე და საფეხურს შევახტი. წამით გული გადამიქანდა, მაგრამ ჯიბე მოვისინჯე - ის ქაღალდი ატკიცინდა, ესე იგი, ადგილზე მაქვს. კნუნიანცის ქუჩაზე ბევრი მგზავრი ჩადიოდა, მაგრამ ბევრიც ამოდიოდა. მეც რამდენჯერმე ჩავედი და ამოვედი - ხალხს გზას ვუთმობდი. მაგრამ ჩვენს გაჩერებაზე რომ ჩავედი და ჯიბეზე ხელი მივიდე... ჯერ გამიკვირდა, რომ ტკიცინა ქაღალდი ვეღარ ვიგრძენი. მერე ერთი გაფიქრება გავიფიქრე, რა მოხდა, მერე თუ არ ტკიცინებს-მეთქი. შემდეგ სუნთქვა შემეკრა და ისევ ჯიბისკენ წავიღე ხელი, მერე... მერე...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ციებ-ცხელებიანივით ყველაფერი მოვსინჯე - ხელი, ფეხი, ჯიბე, ყველა ჯიბე (რა იმდენი ჯიბე მე მქონდა!), არსად არაფერმა გაიშრიალა! შევატყვე, რომ წამიც და, ტრამვაი დაიძვრებოდა, უკვე აღარაფერი მახსოვდა, არაფერზე ფიქრის თავი არ მქონდა, ვაგონიდან გადავხტი და რელსებს შუა ჩავხტი. როგორც კი დაიძვრება ტრამვაი, ჩემი და ჩემი დის უკანასკნელი იმედი, ლუკმა ჩვენი არსობისა, ჩვენი სიცოცხლე, შეიძლება თან გაიყოლოს. გაისმა ყურთასმენის წამღები ღრჭიალი და, მახსოვს, ხალხი ცდილობდა, მიწას ავეწყვიტე, მე კი არ მინდოდა ეს, მიწას მივაკვდი სახით, სხეულით, კბილებით.

...არ ვიცოდი ამას იქით რა მექნა, როგორ მეცოცხლა...

- შენ, რაო, გააფრინე, ბიჭიკო? - მიყვირა მკვდრისფერდადებულმა ვატმანმა.
- ბნედიანია, ალბათ, ეს უბედური, - დამატირა ერთმა ქალმა.
- დამაცათ, დამაცათ, ამას მე ვიცნობ, ეგ ხომ ჩემი ამხანაგის შვილია, - ჩამესმა ჩვენი მეზობლის, ძია აიროს ხმა, - რა დაგემართა, არტაკ-ჯან, რა დაგემართა, შვილო?

მე კი იმ წუთში მეგონა, რომ ყველაფერი ცხადი იყო, მეგონა, ყველამ ყველაფერი იცოდა... მე ვუამბე ძია აიროს, რაც მჭირდა... იქნებ, ის ბარათები, კიბეზე რომ ვიდექი, მაშინ ამომივარდა, ან იქნებ, შიგ ვაგონში აგდია. ახლა, ამ წუთში, აქამდე ხომ რამდენჯერ გავისინჯე და სულ ჯიბეში მიშრიალებდა-მეთქი...

- კარგი, დამშვიდდი, ახლავე ყველაფერს გავარკვევთ, - მითხრა ძია აირომ და რელსებიდან გადამიყვანა და როცა ტრამვაიმ ჩაიხრიგინა, ისევ თრთოლამ ამიტანა. ძია აიროს მაგრად ჩაევლო ხელი ჩემთვის და ხვეწნა-ხვეწნით და ყვირილ-ყვირილით მიმათრევდა კნუნიანცის ქუჩით. შენაო, მეუბნებოდა, ვაჟკაცი ხარ და ბედის დარტყმებს ვაჟკაცურად უნდა დახვდეო, შენხელა რომ ვიყავი, უკვე ბაქოს ნავთის სარეწებში ვმუშაობდი და ოჯახს ვინახავდიო. თქვენ კი ამისთანა რა გიჭირთ, განა მე, მეზობლები, ქარხანა დავუშვებთ, რომ კარპეტ პეტროსის შვილებმა იშიმშილონ? რაო, ყველანი ამოვწყდით, თუ რა გგონიათო?! ხვალვე ყველაფერს მოვაგვარებ ქარხანაში და ახალ ქვითრებს მიიღებთო. უკვე აღარ ვტიროდი და ძია აიროს იმედის თვალით შევყურებდი. სახლს რომ მივადექით, ძია აირომ დამიყაბულა, ჩემს სადარბაზოში შევსულიყავი, თვითონ კი თავისაში შევიდა და, აი, მაშინ ვიფიქრე, გამოვა ახლა ევგინე და სადაა ბარათებიო, მკითხავს-მეთქი და ისევ კანკალმა ამიტანა, უსაშველოდ უბედურად, ყველასაგან მიგდებულ-მიტოვებულად ვიგრძენი თავი, ტიგრან-ახპარის სახლის თიხის კედელს მივეყრდენი და მწარედ ავტირდი.

ისევ შემომეხვივნენ, ოღონდ ახლა უკვე მეზობლები ქოთქოთებდნენ ჩემ ირგვლივ. როცა გაიგეს, რაც დამემართა, მე კი მამშვიდებდნენ და მაჩუმებდნენ, მაგრამ თვითონაც ტიროდნენ, დეიდა ნაზიკმა კი თქვა: „ამისთანა რამეს მტერსაც კი არ ვუსურვებდიო“. ეს საშინელი ამბავი, ეტყობა, ჩემს დასაც შეატყობინეს, იმიტომ, რომ დავინახე, როგორ გულამოვარდნილი, აცრემლებული ჩამორბოდა იგი კიბეზე და სირცხვილისა და სიბრალულისგან შემოვტრიალდი. მაგრამ თურმე ჩემი პატარა დაიკოს მკერდშიც დედური გული ფეთქავდა. ჩემზე სულ ორიოდე წლით უფროსმა დაიკომ მაგრად ჩამჭიდა ხელი და სახლისკენ გამიძღვა. ცრემლი ღვარღვარით ჩამოსდიოდა სახეზე, მაგრამ, იმავდროულად, დიდი ღირსების გრძნობით მამშვიდებდა და მისი ხმა რაღაც საოცრად ჰგავდა დედაჩემის ხმას:

- ჩემო სულელო ძამიკო, როგორ შეიძლება ამის გამო ასე იტირო? ხომ არ ვიხოცებით, რა დაგემართა? წამო, არ გრცხვენია, ამდენი ხალხის დასანახად რომ დგახარ აქ და ტირი? დიდი ამბავი, ბარათები დაკარგე! ჩემი ბეჩავი პატარა ძამია!

ავედით სახლში და დიდხანს, დიდხანს ვიღრიალეთ ამ ბარათების გამო.

საღამოს ჩვენთან რიგრიგობით შემოდიოდნენ მეზობლები. დეიდა ნაზიკმა წინსაფარში შემალული თეფშით ლობიო შემოგვიტანა, დეიდა ასმიკმა ორი ცალი შემწვარი კარტოფილი,

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

დეიდა აიასტანმა, პირველ სართულზე რომ ცხოვრობს, ერთი მოხარშული კვერცხი ამოგვიტანა, უცნობმა დედაბერმა კი - ერთი კოვზი კარაქი. იმან ჩვენი სახელებიც კი არ იცოდა. გვკითხა, ბალღებო, ეს თქვენ დაკარგეთ პურის ბარათებიო? ჰო-თქო, რომ ვუთხარით, კარაქი თეფშზე დადო, პირჯვარი გადაიწერა, წაუტირა და წავიდა. ვინ იყო ის ქალი, ან სად ცხოვრობდა, მაინც ვერ გავიგეთ, მას არც ჩვენი კარის მეზობლები იცნობდნენ. ყველაზე ბოლოს დეიდა ნაზიკი წავიდა, მაგრამ წასვლის წინ გვირჩია, რომ ხვალვე ჩვენს უფროს დასთან, ლუსიკთან წავსულიყავით.

- მართალია, ეგ თქვენი ალალი და არაა, - გვითხრა დეიდა ნაზიკმა, - ბიძაშვილია, მაგრამ თქვენს სახლში გაიზარდა და თქვენი მშობლების ამაგს ვერასოდეს გადაიხდის. იგი ახლა, მადლობა ღმერთს, კარგად ცხოვრობს. თვითონაც მუშაობს და მისი ქმარიც, ნორკში ხეხილი აქვთ, შვილები არ აწუხებთ და არც სხვა ვინმე ჰყავთ სარჩენი, ასე რომ, წადით ლუსიკთან, უცხო ხომ არაა, ერთი სისხლისა ხართ, როცა ყველაფერს გაიგებს, აუცილებლად დაგეხმარებათ.

მართლა, ჩვენით როგორ ვერ მივხვდით ამას? ლუსიკი ძალიან კარგი დაიკოა და ჩვენ ძალიან ვუყვარვართ. ჩვენთან როცა მოდის, სულ ზღაპრებს გვიყვება. ერთხელ პატარა სკამები მოგვიტანა საჩუქრად. რასაკვირველია, ჩვენს ამბავს რომ გაიგებს... ისეთი სიხარულით გავიმსჭვალეთ ხვალინდელი დღის მოლოდინში, რომ დედაბრის მორთმეული კარაქი ვუყავით ლობიოსაც, კარტოფილსაც, კვერცხსაც, ისე გავძეხით, რომ სული ვიცხონეთ და ბედნიერი, უშფოთველი ძილით დავიძინეთ.

დილით კი ერთმანეთს ჩავავლეთ ხელი, აბოვიანზე ავედით და გავუყევით თხრილს, რომელშიც მოჩქრიალე ღვარს მოჰქონდა მტვერი და ჭუჭყი, ბინტები და კიდევ ატამი, ის წითელლოყება ატამი, რომელიც მოკბეჩილიც კი არ იყო და სულ რამდენიმე წამით მეჭირა ხელში, ევგინემ ისევ წყალში ჩამიგდო და... წავიდა, გაქრა.

შუადღისთვის, დაქანცულებმა და მოშიებულებმა, როგორც იყო, ავაღწიეთ ნორკში. თუმცა, მოშიებული, ის სიტყვა არაა, რაც უნდა მეთქვა, რადგან დანაყრებულს, მაძღარს შეიძლება მოშივდეს, ჩვენ კი გუშინდელს აქეთ არაფერი გვეჭამა. უხმაუროდ ავედით ლუსიკის სახლის კიბეზე და დავაკაკუნეთ. კარი ღია იყო. შევედით და, პირველი, რაც თვალში გვეცა, იყო იქვე, კარს უკან მიწვენილი ფქვილით სავსე ტომარა. აღტაცებულნი მივჩერებოდით ამ სასწაულს. შემდეგ დავინახეთ, რომ კუთხეში, გამორთულ ნავთქურაზე იდგა პატარა ქვაბი, რომელიც თავბრუდამხვევ, ჩვენგან უკვე თითქმის დავიწყებულ სურნელს აფრქვევდა ირგვლივ.

- აი, ხომ გეუბნებოდი, ლუსიკთან წავიდეთ-მეთქი, - ტაში შემოჰკრა ევგინემ და ისე მომიგო ნიშნი, თითქოს მე აქ მოსვლის წინააღმდეგი ვყოფილიყავი.

ორივე ოთახი დავიარეთ. სახლში არავინ იყო. ვიფიქრეთ, რომ ლუსიკი ბაღში იქნებოდა და მე და ევგინე ეზოში ჩავედით, კუტიკარი გავაღეთ და ისეთი რიდითა და კრძალვით შევედით ბაღში, თითქოს ჩვეულებრივი კი არა, ჯადოსნური ბაღი ყოფილიყოს. ბაღში შემოდგომა იდგა და ომი არ იყო. ყურძნის მტევნები რიგებად იწვა მარგილებზე და მარცვლები ყვითლად ანთებულ ფოთლებში მარგალიტის თვლებივით კამკამებდა. ატმის ტოტებს ბიჯგები ჰქონდა შეყენებული, ცოტა მოშორებით კი, დიდი ხის ძირში, იდგა ჩვენი ბიძაშვილი ლუსიკი, ჩვენს სახლში გაზრდილი ლუსიკი, რომელსაც ჩვენ ყოველთვის დას ვეძახდით, იდგა, წინსაფარი ფართოდ გაეშალა და ზევით იყურებოდა, საიდანაც მსხვილი შავი ქლიავი ცვიოდა და ცვიოდა თქარათქურით.

ჩვენ ისევ ისე ვიდექით ხელიხელჩაკიდებულნი, რამდენიმე ნაბიჯი წავდგით წინ, მაგრამ ლუსიკისთვის დაძახება ვერ გაგვებედა. არ გვინდოდა მისთვის ხელი შეგვეშალა, ველოდით,

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

რომ თავისით შეგვამჩნევდა, მაგრამ პირველად ხეზე გასულმა მისმა ქმარმა, ძია ენოკმა შეგვნიშნა.
- ლუშიკ, - გაბრაზებით ჩამოსძახა ხიდან, კუტიკარი ისევ ღია დაგიტოვებია.
ლუსიკმა შიშით აიკეცა წინსაფარი და ჩვენს მხარეს გამოიხედა. რაღაცნაირად გაკვირვებით შემოგვხედა, თითქოს, ვერ გვიცნოო, შემდეგ დაბნეულად გაიღიმა.
- ბალღებო, კარი მიხურეთ და შემოდით, კარგი? - მოგვაძახა მან, - ოღონდ, ფრთხილად, კვლებს არ დააბიჯოთ.
როცა კარი მივხურეთ და ისევ ბაღში შემოვედით, ძია ენოკი ხიდან ჩამოსულიყო, ლუსიკს გვერდით ედგა და ცალყბა ღიმილით შემოგვცქეროდა.
- აბა, რაშია საქმე, ამხანაგო ნათეშავებო? - გვკითხა მან, - მოგვიყევით, მოგვიყევით, ახალი რა ხდება მშობლიოში?
- ძია ენოკ, - დარცხვენით შევლუღლუღე მე, - ევგინეს თქვენთვის რაღაცის თქმა უნდა.
- აბა, მითხარით, თქვენ ორივემ, რიში თქმა გინდათ ჩემთვიშ?
ერთი სიკვდილი გავათავეთ, მაგრამ მაინც ვუთხარით, რისი თქმაც გვინდოდა.
- კი მაგრამ, მაინჩდამაინჩ ჩემთან რატომ მოხვედით?
ერთმანეთს არ ვაცლიდით ლაპარაკს, და რის ვაივაგლახით გავაგებინეთ, რაც დაგვემართა, ვუთხარით, რომ ცოტა ფქვილის სასესხებლად მოვედით. მამა და დედა სოფლიდან რომ დაბრუნდებიან, ჩაგასესხებთ-მეთქი. სახლში არაფერი გვაქვს და ამიტომ...
- ჯვირფასო ბავშვებო, ცუდ დროს მოხვედით, ცუდ დროს, - დამტკბარად გაგვიღიმა ლუსიკმა და მწუხარე სახით შემოგვწუწუნა, - თქვენ გგონიათ, ჩვენ კი რამე გვაქვს? აი, ქლიავს ვკრეფთ, რომ გავყიდოთ და პური ვიყიდოთ. ჩვენ თვითონაც არაფერი გვაბადია, ჩემო კარგებო. რა ვქნა, ახლა, რითი გიშველოთ? აი, ერთი ათი დღის შემდეგ თუ შემოივლიდით...
- თუ არ დამჭიფდა, ნუ დამჭიფდა, რა ვქნა ახლა! მკვახეშ ხომ არ გაჭმევთ, მუჩელი რომ აგტკივდეთ! - შემოგვიღიმა ძია ენოკმა.
ევგინე ხომ საერთოდ ჩემზე უფრო მტირალაა. თვალი მაშინვე ცრემლით აევსო და რომ არ აღრიალებულიყო, დაჭიმულმა, მაღლა, ხეების კენწეროებს დაუწყო ყურება. ზურგსუკან შემოჭერილი ხელებით ფეხზე ძლივს იმაგრებდა თავს. მე ვიხრჩობოდი. ჰაერი არ მყოფნიდა. მინდოდა მეყვირა, აბა, ის ფქვილით სავსე ტომარა რაღაა, ან ის კერძი-მეთქი.
მაგრამ ჩვენ დინჯი, წესით და რიგით გაზრდილი ბავშვები ვიყავით. უკვე მიჩვეულები შეურაცხყოფის გადაყლაპვას. უარესი რამაც გვახსოვდა და შეგვეძლო ხალხის, თუნდაც ახლობლებისა და ნათესავების წინაშე ცრემლების შეკავება. ამაყებიც ვიყავით და თავს სხვაზე მაღლა ვაყენებდით, რადგან ვხედავდით, როგორ იტყუებოდნენ სხვები, ვხედავდით, რომ ისინი ღიმილ-ღიმილით იტყუებოდნენ. ჰოდა, ჩვენც გავიღიმებთ, გაღიმება ჩვენც შეგვიძლია, აბა!
ევგინეს თვალში ცრემლი გაუშრა. მე ვახველებ და ვახველებ, რომ თავი შევიკავო და ტირილი არ წამსკდეს. ისევ ხელში ხელს ვკიდებთ ერთმანეთს და, როგორც ეს კარგად გაზრდილ ბავშვებს შეჰფერით, ხმადაბლა ვამბობთ:
- გვაპატიეთ, ძია ენოკ. ნახვამდის, დაიკო ლუსიკ!
შემდეგ ლუსიკი ამბობს კიდევ რაღაცას, ეტყობა, გვთავაზობს, ძირს ჩამოცვენილი ქლიავი მოაგროვეთ და შეჭამეთო, მაგრამ ჩვენ ბაღიდან გამოვრბივართ, ერთმანეთს თვალებში არ ვუყურებთ, მაგრამ ერთმანეთს მიკრულნი, ისევ ხელიხელჩაკიდებულნი ვადგებით გზას. ნორკიდან ჩვენს სახლამდე გრძელი, გრძელი გზაა და ამ გზაზე ნათესავი არავინ გვყავს...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

...ახლა მე აბოვიანს მივუყვები. გრიბოედოვის სახელობის სკოლაში მივდივარ კრების ჩასატარებლად. მივუყვები შემოდგომის წვიმისგან გადარეული თხრილის პირს. რაღა არ მოაქვს ნიაღვარს: გახეული კალოშები, ტოტები, კარტოფილი, პურის ნაჭრები.
პურის ნაჭრები მოაქვს, პურის ნაჭრები!..
დრო მქონდეს და მოთმინება, ავუყვებოდი თხრილის პირს და იქამდე ვივლიდი, სანამ თავზე არ წავადგებოდი იმას, ვინც წყალში პურის ნატეხებს ყრის. წავავლებდი ქეჩოში ხელს, წავართმევდი მთელ პურს, და მთელი დღით, ოღონდ მხოლოდ ერთი დღით ვაშიმშილებდი. გამადიდებელი შუშის ქვეშ ამოვუდებდი პურის ნაჭერს, მთელი დღე ასე, შორიდან ვაყურებინებდი და ვიცინებდი მის ჭიფხვა-ჭინთვაზე, იმიტომ, რომ მე ვიცი, რაა შიმშილი, იმიტომ, რომ მოწმე ვარ, თუ ღამეებს თეთრად როგორ ათენებდნენ პურის ნაჭერზე ოცნებაში მშიერი ადამიანები, იმიტომ, რომ ჩემი თვალით მინახავს, პურის ნაჭერს როგორ უქცევია ნათესავები უცხოებად, უცხოები კი - ნათესავებად და ძმებად...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეცამეტე თავი
ხალიჩის ვიწრო ბილიკზე

სკოლაში მისვლით კი მივედი, მაგრამ კრებაზე დასწრება არ მომიწია. სკოლის ჭიშკართანვე შემომეგება უფროსი პიონერხელმძღვანელი და ისეთი სახით, თითქოს რაღაც განსაკუთრებულ დავალებას ასრულებსო, გამომიცხადა, დაუყოვნებლივ კომკავშირის ქალაქკომში უნდა მიხვიდეო. არა, ბადამიანს არ დაურეკავს, რაიკომის მდივანმა სარქისიანმა დარეკა და თქვა, რომ ლევონიანი, როგორც კი იქ გამოჩნდება, მაშინვე, დაუყოვნებლივ მივიდეს ბადამიანთანო.

საინტერესოა, რა მოხდა? რატომ მიბარებს? - თითქმის ცარიელი ავტობუსის უკანა სკამზე რომ ჩამოვჯექი, ცოტა არ იყოს, ვღელავდი. ქალაქკომის მდივანი ასე პირადად პირველად მიბარებს. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, კარგს არაფერს ველოდი. ფიქრით სულ მივიძიე-მოვიძიე, რამე ხომ არ დავაშავე ან ვინმესთან ისეთი რამე ხომ არ წამომცდა, რაც შეიძლებოდა გადაბრუნებულად მიეტანათ ქალაქკომის მდივნისთვის-მეთქი, მაგრამ მსგავსი ვერაფერი გავიხსენე. მაინც ვერა და ვერ დავმშვიდდი. ისე ვიყავი შეფიქრიანებული, არ მახსოვს, როგორ გადავკვეთე სკვერი და როგორ აღმოვჩნდი შუაგულ ქუჩაში, პირდაპირ სამგლოვიარო პროცესიის თავში. მოულოდნელობისგან შევკრთი, გვერდზე გადავედი, ქუდი მოვიხადე და თავი ჩავქინდრე, რათა არაფერი დამენახა. ორკესტრი ალბათ ისვენებს-მეთქი, გავიფიქრე და შეძრწუნებით ველი, რომ გულისმომკვლელ შემზარავ სამგლოვიარო მარშს წამიწამზე დაუკრავენ. სათქმელადაც უხერხულია, მაგრამ სამგლოვიარო პროცესიებისა და განსაკუთრებით სამგლოვიარო მუსიკის, ამ თეფშების ნელი, მონოტონური, გულისშემძვრელი ჟღრიალის ბავშვობიდანვე მეშინია.

- კაი კაცი იყო, ცხონებული, - თითქოს, თავისთვის ამბობსო ჩემს გვერდით მდგარი სასტუმრო „ინტურისტის“ პროფესორის წვერებიანი შვეიცარი, - ყოველ შემოვლაზე სამმანეთიანს მიტოვებდა.

მის ხმაში წრფელი გულისტკივილი იგრძნობა და უცებ მეჩვენება, თავის დაკარგულ სამმანეთიანებს ხომ არ მისტირის-მეთქი. ამის გაფიქრებაზე თავი მეჯავრება. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ვიბნევი და რაღაცნაირი სულელური აზრები მომდის თავში.

- შეხედეთ, ერთი შეხედეთ, - ისევ თითქოს თავისთავს ესაუბრებაო იგივე ბერიკაცი, - მის ძმებს შეხედეთ. იმდენი არბენინეს სასამართლოდან სასამართლოში, რომ კაცს სიცოცხლე გაუმწარეს, სულ მაგის ქირდვაში იყვნენ, ახლა კიდევ გაუდიათ მხარზე და მიასვენებენ. კაცი სიცოცხლეში უნდა ატარო ხელისგულზე, თორემ ახლა რად გინდა, რა? - ბერიკაცის ხმაში რაღაცნაირი გაუგებარი ტკივილი ისმის, მე ფიქრით პატიებას შევთხოვ და მასთან საუბრის დაუძლეველი წყურვილი მეუფლება: რა ბედენაა, ორიოდ-სამიოდე სიტყვით შევეხმიანები კაცს, ოღონდ, მიცვალებულს არ შევხედო და მუსიკასაც სმენა მოვარიდო-მეთქი.

- მე, ჩემო ბატონო, უბრალო გამვლელი ვარ, მიცვალებულს არ ვიცნობდი, ახლა, ამ ზღვა ხალხს, ამდენ დამწუხრებულ სახეს, ამდენ მანქანასა და გვირგვინს რომ ვუყურებ, ბედნიერად, მშვიდად უცხოვრია ამ კაცს-მეთქი, ვფიქრობ...

- ის, რომ კაცი მოკვდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ცოცხლობდა, - მპასუხობს მოხუცი. ეჰე, კარგადა თქვა!

- თქვენ კარგად იცნობდით განსვენებულს, ბატონო? - ვეკითხები.

მოხუცი მომღიმარი თვალებით მიყურებს:

- მე ჩემი თავის ცნობასაც ახლაღა ვიწყებ, შვილო, იმას კი მხოლოდ სალმით ვიცნობდი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

უცებ, სიცილი მომინდა; ეს შერეკილი ბერიკაცი, თითქო ნამდვილად გადაცმული პროფესორია!
- იმდენი ფული საიდან ჰქონდა, რომ ყოველდღე სამმანეთიანს გიტოვებდათ?
- ყოველდღე მიტოვებდა-მეთქი, არ მითქვამს, ყოველ მოსვლაზე მიტოვებდა-მეთქი. ისე, გულით თუ მოისურვებ, ყოველთვის აღმოგაჩნდება სხვისთვის რაღაც... - ერთხანს ჩუმად იყო, მერე ამოიოხრა და... - ეჰ, ბოლოს ჩვენც, ყველანი, ამ გზას შევუდგებით.
ერიჰა, ესე იგი, შენც სიკვდილზე ამდენს იმიტომ ლაპარაკობ, რომ გინდა, შენივე შიში დამალო, შენც იმიტომ ალაპარაკდი სიკვდილზე, რომ არ გინდა, მიცვალებულისკენ გაიხედო, ხომ ასეა? თავი ვერ შევიკავე და ვკითხე კიდეც.
- სული ტკბილია, შვილო, - მშვიდად მიპასუხა მოხუცმა, - შიშით იმისი უნდა გეშინოდეს, რაც შეგიძლია აიცდინო. სიკვდილი კი გარდაუვალია, შვილო, გარდაუვალი.
კრივში იმ მდგომარეობას, როცა დარტყმის შემდეგ ბარბაცს იწყებ, „გროგი“ ჰქვია. მე წავბარბაცდი და ფიქრს მივეცი თავი. შემდეგ იმ კაცივით, ვინც, ბოლოს და ბოლოს მიიღო პასუხი მის მტანჯველ კითხვაზე, ვუთხარი ბერიკაცს „გმადლობთ, მამილო!“
მას არ გაკვირვებია, გაიღიმა, მე კი ქუჩა გადავჭერი, ქალაქკომის შენობაში შევედი, ხტომა-ხტომით ავუყევი კიბეებს და თან ვფიქრობდი ამ განსაცვიფრებელ სამყაროზე, სადაც ზოგი შვეიცარი მავან და მავან პროფესორზე ჭკვიანია, მავანი და მავანი პროფესორისთვის კი შვეიცრობა უფრო უპრიანი იქნებოდა.
კარგ გუნებაზე შევედი კარო ბადამიანის მისაღებში და, როცა მდივანმა ქალმა რაღაცნაირი იდუმალი ღიმილით მთხოვა, პირდაპირ კაბინეტში შევსულიყავი, უცებ ვიგრძენი, რომ ქალაქკომის მდივანი კი არა, ვეზირიანის მეგობარი მიბარებდა. არა, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, როგორ? ვეზირიანმა, უეჭველია, ყველაფერი უამბო ბადამიანს და კარო ახლა რამენაირი ფორმით მთხოვს, რომ ფელეტონი არ დავწერო. მან ხომ არ იცის, რომ ფელეტონი უკვე სტამბაშია.
- მოიწი ახლოს, არტაკ, - საქმიანი სახით მომესალმა ბადამიანი, - ახლავე მოვრჩები...
კარიდან მაგიდისკენ მიმავალ ხალიჩის ვიწრო ბილიკს დავადექი და თან ტვინი მებურღება ფიქრით, რა ვქნა, რა ვუპასუხო, ახლა ბადამიანმა ფელეტონს ნუ დაწერო, რომ მთხოვოს. რომ ვუთხრა, ეგ პრინციპის საქმეა და ჩემი პარტიული სინდისი ნებას არ მომცემს, რომ დამნაშავეს ბოლომდე არ მივყვე კვალში და იგი დაუსჯელი დარჩეს-მეთქი, დეკლამაციაში ჩამეთვლება. თუმცა, ჩვენში ბევრი ვინმე სწორედ ასე ლაპარაკობს. ყოველგვარი სხვანაირი პასუხი მევე შემომიტრიალდება ცუდად. მაგრამ, მით უმეტეს, ნუთუ შეუძლია ასეთი რამ შემომთავაზოს? რაღაც არა მჯერა.
- აბა, როგორაა საქმეები, ამხანაგო ლევონიან? - ქაღალდები გვერდზე გააჩოჩა ბადამიანმა და შინაურულად გადმოეყრდნო მაგიდას, - მუშაობ და ხარ შენთვის და ხანდახან რომ კაროს შეუარო, არც ფიქრობ, მეგობრულ ურთიერთობას არ აბამ ჩემთან, ყმაწვილო, - ალერსით დამტუქსა მან, - ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის უცხოები არა ვართ, თანასოფლელები ვართ, თანასოფლელები და ცოტა რომ მივჩხრიკ-მოვჩხრიკოთ, ნათესავებიც აღმოვჩნდებით, მერე ნათესავებსაც გააჩნია, როგორც იტყვიან, იქნებ, ორივე ხაზით ნათესავებიც აღმოვჩნდეთ. გუშინ ველაპარაკე დედაჩემს და იცი თუ არა, რომ პაპაშენი - დედის ხაზით მამაჩემის ბიძა ყოფილა? ასე რომ, შენ ფაქტობრივად ჩემი უმცროსი გარეგბიძაშვილი ხარ.
კარომ გაიცინა და ამ „გარეგბიძაშვილობისგან“ სითბო ვიგრძენი. თვალწინ დამიდგა ჩვენი მშობლიური სოფელი, საღამოს საძოვრებიდან ზოზინით მომავალი ნახირი, ყელაღერილი მზესუმზირები და ჩვენებური შუკები. სავსებით გულწრფელად ალალად ვუთხარი, რომ

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ძალიან მინდოდა, მომენახულებინეთ, მაგრამ სულ ვფიქრობდი, რომ ხელს შეგიშლიდით, გაგაცდენდით, ხომ ვიცი, როგორი მოუცლელიც ხართ-მეთქი.
- ეჰ, - ხელი ჩაიქნია კარომ, - მხოლოდ საქმეზე ფიქრი არ გვარგებს, ჩემო ძმაო. საქმე არასოდეს გამოილევა, „ამხანაგო ბადამიან!“ იცოდე, მეორეჯერ არ მომმართო ასე! როდის აქეთ გავხდი შენთვის ამხანაგი ბადამიანი! გარეშეებთან კიდევ ჰო, მაგრამ როცა მარტო ვართ, მე შენთვის უბრალოდ კარო ვარ, გაიგე? სინდისს გეფიცები, მეწყინება. არც იფიქრო, რომ შეგიძლია ხელი შემიშალო და მომაცდინო. პირიქით, აქაც უნდა შემომიარო და სახლშიც უნდა იარო. ერთმანეთთან უფრო ახლოს უნდა ვიყოთ, გაიგე თუ არა? მე უნდა ვიცოდე, რომ ამა და ამ რაიონში ჩემი მეგობარი, ჩემი კაცი მუშაობს. მე შენ უნდა დაგეყრდნო, ადამიანო!.. აბა, ნათესაობა სხვა რაღაა? და შენც უნდა იცოდე, რომ ყოველთვის, სადაც არ უნდა ვიყო, აქ თუ... - კარომ მრავალმნიშვნელოვნად ასწია თითი ზევით, - ყოველთვის მზად ვიქნები ყველაფერი გავაკეთო შენთვის. მე შენი „ზურგი“ ვარ და უნდა ვიყო, გესმის!
სირცხვილით გაწითლებულმა მადლობის ნიშნად რაღაც ჩავიბურდღუნე.
- მადლობა არაა საჭირო, - მითხრა კარომ, - ეს ჩვენ ორივეს წინ დაგვხვდება. მეგობრობა და სიახლოვე ცხოვრებაში ბევრს ნიშნავს, არტაკ! უნდა ვეცადოთ, რომ ერთმანეთი არ დავკარგოთ.
უცებ ვიფიქრე, რომ კარო ახლა უკვე დამიწყებს ვეზირიანზე საუბარს-მეთქი. დივნისკენ შევბრუნდი კიდეც. მომეჩვენა, რომ ვეზირიანი მაშინდელივით იმ დივანზე ზის და კეთილი, გამამხნევებელი ღიმილით შემომცქერის. მაგრამ ბადამიანი არც აპირებდა ვეზირიანზე სიტყვის დაძვრას. ალბათ, მე ვარ ასეთი ცუდი კაცი.
- კიდევ, აი, რას გეტყვი, - დასძინა მან, - მე შენს მუშაობას თვალს ვადევნებ და კმაყოფილი ვარ. შენგან ნამდვილი კომკავშირული მუშაკი გამოვა. მე შენს მიმართ გარკვეული გეგმები მაქვს. მგონი, უნდა გვექნეს საშუალება, რომ ჩვენთან, ქალაქკომში გადმოგიყვანოთ. მოკლედ რომ ვთქვათ, თითქმის ორჯერ მეტი ხელფასი გექნება. კარგი, კარგი, ვიცი, რომ თავზე არ გადაგდით... უნივერსიტეტში ჯერ განაწილება არ ყოფილა?
- არ ყოფილა, - მივუგე გულაჩუყებით, ყელამდე მადლობელი ვიყავი, - მაგრამ გადაწყვეტილია, რომ ყველანი რაიონებში დაგვაგზავნონ...
- არც იფიქრო... შენ ვერსადაც ვერ გაგაგზავნიან, - მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა კარომ, - მოვითხოვ, რომ ქალაქკომის განკარგულებაში დაგტოვონ. სახლში, მშობლებთან შენღა ხარ დარჩენილი, ხომ ასეა? ჰოდა, არსადაც არ გავაშვებინებ შენს თავს. აქ, ჩვენთან იმუშავებ, წერით კი ყველგან შეგიძლია წერო.
ეჰ, როგორ მწყურდა ამგვარი გულწრფელი, გულითადი ზრუნვა მეგრძნო ვინმესგან, როგორ მინდოდა ვინმესთვის გული გადამეშალა. ჯამაგირი გაგიორმაგდებაო! იცით, ეს რას ნიშნავს? რას და იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, მამაჩემი შეძლებს სამსახურისთვის თავის დანებებას და დედაც თავისი საკერავი მანქანის გაუთავებელი ტრიალით თვალებს არ ამოიღამებს. მე შევძლებ, ნანარს ვუთხრა, რომ მორჩა, დროა, ჩვენთან გადმოვიდეს. აი, რას ნიშნავს, ნანარ, ეს, აი, რას ნიშნავს! ახლა, რამდენიც უნდა ილაპარაკოს მამაჩემმა: „ვინა, კარო? ეგ მამამისის შვილია!“ ვისიც გინდა, იმისი შვილი იყოს, მე დღეს სწორედ ამ კარომ მაქცია ბედნიერ, უბედნიერეს ადამიანად. და ყოველთვის მადლობელი ვიქნები მისი ამის გამო.
- აბა, გამოტყდი, ყმაწვილო, რა გაქვს გულში? - ეშმაკურად თვალს მიკრავს კარო, - ერთ ლამაზ გოგონასთან გხედავ ხშირად. ეტყობა, მალე მოგვიწევს ქორწილში ცეკვა!
სახე მიხურს, მეწვის. ნეტა სად დაგვინახა, ან ჩვენ როგორ ვერ შევამჩნიეთ?
- ვინაა ის ქალიშვილი, ჩვენი მომავალი რძალი?
- ნანარი ჰქვია, თოჯინების თეატრში მუშაობს, - ჩურჩულით ვპასუხობ.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

კარო დგება და მეც ვდგები. იგი ხელს მიწვდის, მე კი მინდა სასიამოვნო, გულს მოწოლილი სიტყვები ვუთხრა, იცოდეს, რომ არასოდეს დავუვიწყებ სიკეთეს. ბევრი, ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ ვერაფერს ვეუბნები, მხოლოდ თავს ვუკრავ და მაგრად ვუჭერ ხელზე ხელს.

- გმადლობთ, ამხანაგო ბადამიან, მე... მე...
- რაო, ისევ „ამხანაგო ბადამიანო“? - გამძვინვარებით მაწყვეტინებს კარო.
- გმადლობთ, დიდად გმადლობთ, კარო-ჯან...
- აი, ეს უკვე მესმის, - მიღიმის იგი და მომაცილებს, ხალიჩის ბეწვის ხიდივით ვიწრო ბოგირით მომყვება თავისი კაბინეტის ტყავგადაკრულ კარამდე.
- აბა, ჩვენი მეგობრობა არ დაივიწყო, - ამ სიტყვებით მემშვიდობება ბადამიანი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეთოთხმეტე თავი
მოულოდნელი სტუმარი

შინ რომ დავბრუნდი, ათი საათი უკვე გადასული იყო. ამჟამად მეზობლის შეწუხება და მისი გაბრაზებული ზურგისთვის მადლობის გადახდა არ დამჭირვებია. კარი ღია დამხვდა. დერეფანშივე შემომესმა ჩვენი ოთახიდან ხმამაღალი საუბარი და ეჭვი არ შემპარვია, რომ ჩვენთან სტუმრები იყვნენ. ამის მიხვედრა არ გამჭირვებია. მამაჩემი თავის სტიქიაში იყო. საკმაოდ გრძელი ცხოვრების მანძილზე მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ყველაფერი გადაუტანია და უყვარდა, განსაკუთრებით უცნობებისთვის, საინტერესო ამბების მოყოლა. თუ სასაცილო ამბავს ჰყვებოდა, თითონაც გულით იცინოდა. ოთახში შესული არ ვიყავი, რომ ყველაფერი ნათლად წარმოვიდგინე. მამაჩემი თავის ამოჩემებულ ადგილზე ზის ფანჯარასთან. მისგან ხელმარცხნივ სავარძელში მოკალათებულან სტუმრები, მარჯვნივ კი, როგორც იტყვიან, ეკლებზე ზის დედაჩემი, რადგან წარამარა უხდება ადგომა და სუფრისთვის რაღაც-რაღაცეების შემომატება. მაგიდაზე, საჭმლის გარდა თავდაცობილი ბოთლით შინდის არაყი დგას. მამაჩემს არაყს რეგულარულად, უღალატოდ უგზავნის სოფლიდან მისი ხუთი და და ხუთასი ნათესავი. მამა ყველას აძალებს, შესვას ერთი პატარა ჭიქა, როგორიც ეს წუთია თვითონ უკვე გამოცალა და აცხადებს: პირადად მე ერთ ჭიქაზე მეტს არასოდეს ვსვამ (რასაც, დედაჩემის გამოხედვას თუ ვერწმუნებით, არ დაეჯერება), მაგრამ თქვენ, მიირთვით, რამდენიც გნებავდეთო (ანუ, რამდენიც ბოთლში დგასო, რასაც დედაჩემი კმაყოფილი ღიმილით ხვდება).
საინტერესო კაცია მამაჩემი, უქმე დღეს, განსაკუთრებით სადილობამდე, სტუმრები თუ არ ჰყავს, წრიალებს, ნერვიულობს, სულ უბრალო მიზეზით ჯაჯღანებს, წუხს, ამ ბოლო ხანს მადა რატომ დავკარგე, ვერ გამიგიაო და დედაჩემს ემუქრება: „იცინე, იცინე, ქალო და ერთ მშვენიერ დღეს ფეხს რომ გავფშეკ, ნახავ, მაგრამ უკვე გვიანი იქნებაო“.
როცა ჯერ ისევ პატარა ვიყავი და კნუნიანცის ქუჩაზე სტამბის პირდაპირ ვცხოვრობდით, მამას ასე არ უჭირდა. თუ უქმე დღეს შემთხვევით სტუმარი არ მოვიდოდა, მამაჩემი სადილობის წინ კოლმეურნის სახლთან ჩადიოდა, იქ ნაცნობ დიალექტს მოკრავდა თუ არა ყურს, უცნობს ჩააფრინდებოდა, ესა და ეს კაცი ვარო, ეტყობა, ვედრებით თუ ძალით, სახლში მოჰყავდა. ასე იქარვებდა მშობლიური სოფლის მონატრების ნაღველს, თავისი სოფელი კი, წუთი არ იყო და წამი, რომ არ ხსომებოდა. სტუმარი და მამაჩემი დიდხანს უსხდნენ ღარიბულ სუფრას, ამბობდნენ აქეთურს, იქითურს, ამ მთისას, იმ ბარისას... იმ ხანებში, ჩვეულებრივ, უფრო მეტს მამაჩემი ლაპარაკობდა და თითქმის ყოველთვის ირკვეოდა, რომ მათ საერთო ნაცნობები და ნათესავები ჰყოლიათ, სამოქალაქო ომში თითქმის ერთმანეთის გვერდით უბრძოლიათ და ერთმანეთზეც ბევრი რამ სმენიათ. ეს უკვე მორიგი ბოთლის გამოცლისა და ვახშმად დარჩენისთვისაც იძლეოდა საბაბს და, ბოლოს, ახალშეძენილ მეგობარს მამაჩემი ჩვენსა უშლიდა ლოგინს: ვიწროდ კი ვართ, მაგრამ კაი გულით დავეტევითო.
მე გულმოდგინედ ვიბან ხელს და თან საუბარს ვაყურადებ.
...მამაჩემი გაბმით იცინის და მე ეს მიხარია. მასთან ერთად ვიღაც სხვაც იცინის, მაგრამ სტუმრის ხმას ვერ ვცნობ. ალბათ, რომელიღაც ჩვენი თანასოფლელია. კარს ვაღებ და გაოცებისგან ლამის ჭერს ავარტყა თავი:
...მამაჩემის გვერდით ვეზირიანი ზის და იცინის. ჩემს დანახვაზე სწრაფად წამოხტა, დაბნეული, დამნაშავე კაცის ღიმილით, და მაინც, ღირსების გრძნობით შემომღიმა.
 - მე და ღრმად პატივცემულ მამათქვენს საუბრით გული არ გვიჯერებია, ამხანაგო ლევონიან. თქვენ ჭეშმარიტად დიდებული მშობლები გყავთ.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ვიცი, - ვცდილობ, გონს მოვიდე, - ოღონდ ის ვერ გამიგია, ჩემს პატივცემულ მშობლებთან თქვენ რა გესაქმებათ.
- არტაკ, - აღშფოთდა მამაჩემი, მიტკლის ფერიც კი დაედო, - სტუმრებთან ასეთი ლაპარაკი სად ისწავლე?
- სამშენებლო მოედანზე.
- არა უშავს, ბატონო, არა უშავს, - გულდაწყვეტით გადააქნია თავი ვეზირიანმა, - ამხანაგ ლევონიანს აქვს ამის უფლება, დიახ, აქვს. ახლა მე მას ხელში ვყავარ, დიახ, გამოჭერილი ვყავარ და შეუძლია, რაც მოეგუნებება და როგორც მოეგუნებება, თქვას. ეგრეა, ბატონო, ეგრეა. მამას ვერაფერი გაუგია, ხან მე მომჩერებია, ხან კი დიდებულ კოსტიუმსა და პრიალა ფეხსაცმელებში გამოწკეპილ ვეზირიანს. ეტყობა, ხვდება, რომ მე და ამ კაცს რაღაც სერიოზული ამბავი გვაკავშირებს და უკვე ხმადაბლა, გულისტკივილით ამბობს:
- მე მუშაკაცი ვარ და არ მეხება, ვინ ვის ხელშია და რას ნიშნავს ყოველივე ეს. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემს სახლში ამნაირ ლაპარაკს არ დავუშვებ. თუ თქვენ ერთმანეთისთვის რაიმე სათქმელი გაქვთ, დასხედით და ადამიანურად ილაპარაკეთ. ჩვენ თუ გიშლით, შეგვიძლია გავიდეთ და მარტო დაგტოვოთ.
არა, მამაჩემი მართალია. ასე მოქცევის უფლება არა მაქვს, ვეზირიანი ხომ ჩვენი სტუმარია. პირისპირ დავუჯექი. რაზე უნდა ველაპარაკო? რა შემიძლია ვუთხრა ამ კაცს? კაცს, რომელსაც არაფერი წმინდა არ სცხია, რომელმაც ჯერ მე გამაცურა, მერე კი ჩემი მშობლები. იგი იჯდა იქ და ყალბად, ნაძალადევად იცინოდა მამაჩემის მონაყოლ ამბებზე, სახეგაბადრული სვამდა შვინდის არაყს და თან სულ იმაზე ფიქრობდა, ამ ერთხელაც როგორ გავეცურებინე. რა ვუთხრა ამ კაცს, რა?
მძიმე, გულისწამღები სიჩუმე საუკუნესავით დიდხანს გაგრძელდა. დედამ ამდენს ვეღარ გაუძლო, ერთი ჩუმად ამოიხვნეშა და სამზარეულოში გავიდა. მამა ჩუმად, თვალის დაუხამხამებლად იჯდა და ჩვენ შემოგვცქეროდა. ვეზირიანმაც თავი ასწია.
- დაწერეთ? - თითქმის ჩურჩულით მკითხა მან.
- უკვე დავწერე.
იგი დიდხანს დუმდა და როცა ისევ ალაპარაკდა, ხმა უთრთოდა. ნუთუ ახლაც თვალთმაქცობს?
- თუ დაიბეჭდება, იცით, რა მომივა?
- სამსახურიდან რომ მოგხსნიან, ეჭვი არ მეპარება.
მან ხელი ჩაიქნია, აქაოდა, მოხსნა რააო.
- დამაპატიმრებენ, - ამოიგმინა მან, - დამიჭერენ და...
- ამაზე ადრე რატომ არ იფიქრეთ?
- იცით, რა? - ხმა უკანკალებდა ვეზირიანს, - მე არ მინდა, თავის მართლება დაგიწყოთ, ოღონდ მინდა დამერწმუნოთ, ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ თავგზა ამირიეს, შემაცდინეს, ბნელ საქმეებში გამხვიეს. ქაღალდებზე ისე ვაწერდი ხელს, რომ არც ვკითხულობდი. ადამიანებს ვენდობოდი და იმიტომ! ამიტომაც ჩავეფალი წუმპეში, აქედან დაიწყო ჩემი დაცემა. შემდეგ და შემდეგ უკვე დაპატიმრებისა მეშინოდა და შევტოპე და შევტოპე. ყველაფერი ასე იყო, მერწმუნეთ, ამხანაგო ლევონიან.
- სიამოვნებით დაგიჯერებდით, მაგრამ ამით უკვე არაფერი შეიცვლება. როდისმე თუ გიანგარიშიათ, რამხელა თანხა გაქვთ მიტაცებული ამ ხნის მანძილზე?
- ორი მოსწრებული შვილი მყავს, ამხანაგო ლევონიან, ორი მოსწრებული შვილი და ორივეს თავისი მოთხოვნილება აქვს, ორივეს თავისი წრე ჰყავს. მე კი მამა ვარ, ამხანაგო ლევონიან, და მევალება მათი შენახვა. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ სამმართველოს უფროსი ვარ, მაღალი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

თანამდებობა მიჭირავს და... არა, თუ იცით, როგორი ხელფასი მაქვს?! მე რომ რესტორანში ათ კაცს გავუმასპინძლდე, ხელფასიდან შინ მანეთსაც ვერ მივიტან. მე კი ათობით და ასობით მეგობარი მყავს, მოვალე ვარ, რიგიანად ჩავიცვა და დავიხურო და ჩემმა ცოლ-შვილმაც სხვაზე უარესად ჩაცმულ-დახურულმა არ უნდა იაროს. მე მინდა, რომ კარგად ვიცხოვროთ, ფუფუნებით მინდა ვიცხოვროთ-მეთქი, არ ვამბობ, კარგად, ადამიანურად ვიყოთ... ბოლოს და ბოლოს, ერთხელ ვცხოვრობთ, ერთადერთხელ...

დიახ, ეს უკვე სხვა ჰანგზე ჭიკჭიკი იყო... ხელი მიკანკალებდა, როცა არაყი დავასხი და დავცალე, მაშინვე ვიგრძენი, რომ ძარღვებში ცეცხლივით მომეკიდა ბოღმა და გაავება.

- იქნებ, მეც დამისხათ ცოტა? - შეწყვიტა თავისი მონოლოგი ვეზირიანმა, - ჩინებული არაყია.

დავუსხი და მანაც დალია, სახე დაეღმიჭა და შუბლი შევჭმუხნე, მწნილიანი თეფში მივუჩოჩე, მან თავი გადააქნია, რაღაცნაირი სიბრალულით შემომხედა და უცებ მეუბნება:

- აი, მაგალითად, თქვენ რომ ცხოვრობთ, ეს ცხოვრებაა? პატივცემული მამათქვენი ორმოცდაათი წლის სამუშაო სტაჟის მქონე მუშაა, ასე ვთქვათ, მატერიალური ფასეულობების შემქმნელი. თქვენ რაიკომის თანამშრომელი და ჟურნალისტი ხართ... ჰოდა, თქვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა, თუ კაცი ხარ? - კიდევ ერთხელ მოავლო მან თვალი ჩვენს ღარიბულ სუფრას და ერთადერთი ოთახის შიშველ კედლებსა და რკინის საწოლებს.

მამამ ჩაახველა. ვიცი, რომ ახლა იტყვის თავისას. მართლაც, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, ეტყობა...

- თქვენ მოულოდნელად მობრძანდით, ამხანაგო ვეზირიან, სადილობისას რომ მწვეოდით, რაღაცას მოვახერხებდით, დაგანაყრებდით...

ვეზირიანი შეცბა.

- მაპატიეთ, ბატონო, მაპატიეთ, მე ამის თქმა არ მინდოდა, - მიუბრუნდა მამაჩემს, - მე საერთოდ ვამბობ, ზოგადად. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ღირსი ხართ, უკეთ ცხოვრობდეთ. ამის თქმა მინდოდა, მეტი არაფრის. აი, თქვენი შვილი ცხოვრებას იდეალისტის თვალით უყურებს. მისთვის არაფერს ამას მნიშვნელობა არა აქვს, მას თქვენსავით არ უმუშავია და საიდან ეცოდინება, რა საშინელებაა, თვის ბოლოს ამდენი ხნის ლოდინის მერე ჯამაგირს რომ აიღებ და არ იცი, როგორ იმყოფინო...

- აი, ამაში კი თქვენ ცდებით, - შევაწყვეტინე ვეზირიანს და ვიგრძენი, რომ გულმა ძალუმად, აჩქარებით დამიწყო ძგერა, - ცდებით, ამხანაგო ვეზირიან, ცდებით. მე თქვენ არ მომეცით საშუალება, რომ არ მემუშავა.

- მე? - გაოგნდა ვეზირიანი.

- დიახ, თქვენ, სახელდობრ თქვენ. თქვენ გამო მე, თერთმეტი წლის ასაკიდან დღემდე ვმუშაობ. უკვე მუშაობის ათი წლის სტაჟი მაქვს, იცით თუ არა?

- კი, მაგრამ, მე თქვენს მუშაობასთან რა კავშირი მაქვს, ან იქნებ ვიღაცაში გეშლებით, ამხანაგო ლევონიან?

- არც თქვენ მეშლებით ვინმეში და არც არაფერი მეშლება, პირიქით, ახლაღა ვიწყებ რაღაც-რაღაცეებში გარკვევას. თქვენისთანა უფროსი, „ხაზეინი“, ასე ვთქვათ, - გამახსენდა ზორბა ქვისმთლელის სიტყვები, - ჰყავდა მამაჩემსაც, და იმასაც უნდოდა ჰქონოდა საშუალება, თავისი ასობით მეგობრისთვის სუფრები ეშალა, თავისი ცოლ-შვილი სხვებზე უკეთ ჩაცმულ-დახურული ეტარებინა და მამაჩემსა და მამაჩემისთანებს ჯიბიდან ჯამაგირს აცლიდა. რა კეთილი ხართ, ამხანაგო ვეზირიან, - გებრალებით კიდეც და ამისთანა ცხოვრებისთვის არ გემეტებით, არა? რამდენი გყავთ მამაჩემისთანა მუშა, ერთი მიბრძანეთ? ბევრი გყავთ, ბევრზე ბევრი. ჰოდა, რატომ იმათზე კი არ ძრავთ კრინტს, რატომ არ მოგდით ფიქრად, რომ ისინიც

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

უკეთესი ცხოვრების ღირსნი არიან? თუ, როგორ გგონიათ, იმათ არა ჰყავთ შვილები? ვარპეტ სეროს ხუთი შვილი ჰყავს, მაგრამ თქვენ სინდისის ქენჯნის გარეშე ამოაცალეთ მას ჯიბიდან ხელფასის 30 პროცენტი, იმიტომ, რომ მან გაბედა და სიტყვა შეუბრუნა თქვენს ლაქია სოლახიანს... თქვენ... თქვენ... საძაგელი ადამიანი ხართ, ამხანაგო ვეზირიან...

- არტაკ! - მამამ ჩახველებით მიმანიშნა, რომ საზღვარს გადავდიოდი, და სკამზე აცმუტდა.

- ილაპარაკოს, ბატონო, არაფერია, არაფერი, - პირქუშად, მაგრამ აუღელვებლად უთხრა ვეზირიანმა მამაჩემს, - ამხანაგი ლევონიანი ჯერ ახალგაზრდაა. მიპატიებია მისთვის ასეთი გაცხარება. მის ასაკში, შესაძლოა მეც ასე ვლაპარაკობდი. ახია ჩემზე. თავს ვერაფრით ვიმართლებთ. თქვენ მართალი ხართ, სიტყვა არ ამომეღება. მე გზასაცდენილი, დაღუპული კაცი ვარ, ესეა, მაგრამ თქვენ ხომ შეგიძლიათ, სულგრძელობა გამოიჩინოთ. პატიებას ვითხოვ, გევედრებით თქვენ, ყველას, მთელ ქვეყნიერებას, რომ მაპატიოთ ყველაფერი. ოღონდ ახლა კი დამინდეთ, მაპატიეთ და გეფიცებით, რომ ხვალვე დავწერ სამსახურიდან გათავისუფლების განცხადებას და მუშად ვიმუშავებ, ოღონდ კი შვილების, ნათესავების, მეგობრების წინაშე ნუ შემარცხვენთ, ნუ მომჭრით თავს. ისინი მე პატიოსან კაცად მთვლიან. გევედრებით, გემუდარებით, ისე ნუ გამიხდით საქმეს, რომ საკუთარმა შვილებმა ზურგი მაქციონ. მე ჯერ მთლად ისე ნამუსგარეცხილი კაცი არა ვარ, რომ ამის შემდეგ თავი ვიცოცხლო!

ადგა, სკამი გვერდზე გასწია და ჩემკენ წამოვიდა. მომეჩვენა, რომ დარბაზში ვზივარ, ვეზირიანი კი სცენაზე დგას და მის თამაშს ვუყურებ-მეთქი. მაგრამ ამ დროს მამაჩემი წამოდგა, ერთხანს უყურა ამ კაცს და მის თვალებში ცრემლი დავინახე. მამაჩემის ცრემლის დანახვამ სულ მომიღო ბოლო. მართლა არ მოიკლას თავი ამ ოჯახქორმა ვეზირიანმა-მეთქი. ასეთი შემთხვევა ერთი და ორი კი არ წამიკითხავს წიგნებში. მამაჩემმა ვეზირიანს დამშვიდება დაუწყო, რას ბრძანებთ, თავის მოკვლა რა შუაშიაო და ასე შემდეგ.

- გეფიცებით, არ ვიცოცხლებ თავს, - ვეზირიანი მოწყვეტით დავარდა სკამზე და სახე ხელებში ჩაირგო, - იმიტომ, რომ... თუ ეგ მასალა გამოქვეყნდება, ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნება, არა, არა...

- არტაკ! - მომიბრუნდა მამაჩემი. მას ხელი უცახცახებდა და ვერა და ვერ მოეხერხებინა ამისთვის რამე, - არტაკ, მე ამ საქმეში სიტყვის თქმის უფლება არა მაქვს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ადამიანის აქამდე მიყვანაც არ შეიძლება. თუ შეგიძლია, ნუ იზამ, შვილო, ამას, ნუ იზამ...

- მაგრამ ჩემზე ხომ არაფერია დამოკიდებული, მამა! - სასოწარკვეთით ვიყვირე მამაჩემის ამ დღეში ნახვით თავზარდაცემულმა. გაშტერებული შევცქეროდი ვეზირიანს და, ჩემდა გასაოცრად, ვგრძნობდი, რომ მის მიმართ სიძულვილი უკვე გამქრობოდა. ზიზღისა და სიბრალულის იმ უცნაურ ნარევს შეეპყრო ჩემი სხეული, როგორიც გიპყრობს, როცა მორიელს გასრეს, - მე რა შემიძლია გავაკეთო? მასალა ხომ უკვე სტამბაშია!

- ესე იგი, ხვალ შეიძლება გამოვიდეს? - ვეზირიანი წამოხტა, ლამის თვალები გადმოსცვივდა.

- ხვალ არა, - ვუთხარი მე, - ფელეტონი კვირის ნომერში დაიბეჭდება. ასეა დაგეგმილი.

მან ისევ თავზე შემოიხვია ხელები. მამაჩემი გაფითრებული იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. ეტყობა, არ შეეძლო იმის ყურება, რომ კაცი ასე იმცირებდა თავს და მეც ვერ მოვითმინე, არ დამეყოლებინა:

- აი, თქვენ თვითონაც ხომ ხედავთ, რომ მე უკვე აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია.

- თუ მოისურვებთ, შეძლებთ, - თავაუღებლად ამოიხრიალა ვეზირიანმა.

- არტაკ! - ჩუმად შემევედრა მამა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- რა გინდათ, რა, რა? - ვიღრიალე მე. ამ საძაგელმა სცენამ ისე მომითავა ხელი, რომ ყველაფერზე მზად ვიყავი, ოღონდ კი ამ საზიზღარი ვეზირიანისთვის და მამაჩემის ბეჩავი, საწყალობელი სახისთვის მეტად არ მეცქირა, - რა ვქნა, მითხარით, რა? ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, რასაც მეტყვით, ოღონდ... ოღონდ...
- გეტყვით, ახლავე გეტყვით, - თავი ასწია ვეზირიანმა. იმავ წუთს შევნიშნე, როგორ ჰგავდა იგი თავისი როლის წარმატებით კმაყოფილ მსახიობს და ამან ისევ გონს მომიყვანა. ვეზირიანის სახიდან დაძაბულობა გაქრა, თვალები გაუბრწყინდა. მან იგრძნო, რომ გამარჯვება შორს არ იყო, - გეტყვით, ამხანაგო ლევონიან. თქვენ შეგიძლიათ აცნობოთ რედაქტორს, რომ ფელეტონში მოყვანილი ზოგიერთი ფაქტი დასაზუსტებელია, გადასამოწმებელია და... თქვენს მასალას დაგიბრუნებენ შემდგომი დამუშავებისთვის. ამასობაში ერთი ჩემი მეგობარიც ჩამოვა და რაღაცას მოვიფიქრებთ. გთხოვთ, გევედრებით, მომეცით სიტყვა, რომ ასე მოიქცევით.
- კი მაგრამ, ამით თქვენთვის რა შეიცვლება, - თავი ჩავქინდრე, - დიდი-დიდი, რამდენიმე დღით იქით გადასწიოთ...
- ეს ჩემთვის სრულიად საკმარისი იქნება, - პირში მეცა ვეზირიანი, - მთელი ჩემი ცხოვრება თქვენს ვალში ვიქნები. მე თქვენ გაგაგებინებთ, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობრობა. ძვირფასო მეგობარო, - დასძინა მან ამ ორიოდე წუთის წინანდელი კმაყოფილებით და ისეთი საქმიანი კილოთი, რომ გამეცინა, - ჩვენს ცხოვრებაში მეგობრობა ბევრ რამეს წყვეტს და ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება. მთას ჩქარა ვერ გადაივლით, თუ გვერდით მეგობრები არ გეყოლებათ. მარტო შორს ვერ წახვალთ. თქვენი დღევანდელი სულგრძელობისთვის, მართალია, რამდენიმე მანეთ ჰონორარს კი დაკარგავთ, მაგრამ ამ დანაკარგს არამარტო ასმაგად აგინაზღაურებთ, არამედ ისეთ მეგობრებსაც შეიძენთ, როგორიც მე და კარო ბადამიანი ვართ.
- იცით, რა, - აღვშფოთდი მე, - ბადამიანს შეეშვით, ეგ რა თქვენი ამხანაგია...
- ვინა, ბადამიანი? - ვეზირიანის ღიმილი ღირსების გრძნობით იყო სავსე, - ძვირფასო მეგობარო, მე რომ ერთი ვუთხრა კაროს, მოკვდი-მეთქი, მოკვდება, თანაც, იცოდე, არც კი მკითხავს, რათა და რისთვის. მეც რომ მითხრას, მოკვდიო, ასევე, მოვკვდები. მე შემიძლია მას ვთხოვო თქვენი დაწინაურება და ერთი თვე არ გავა, რომ ქალაქკომში ამოყოფთ თავს. განა თქვენ ვერ დარწმუნდით ამაში ამ დილით, როცა ეგ გესაუბრათ?
ვეზირიანისგან ჩვენი ამდილანდელი გულახდილი საუბრის ხსენება ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გველნაკბენივით წამოვხტი, გამახსენდა, ამ დილას რამდენჯერმე გამიელვა თავში, ბადამიანმა ვეზირიანის საქმეზე ხომ არ გამომიძახა-მეთქი. მაგრამ ბადამიანს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია გაზეთი და ვეზირიანი და ჩემი ეჭვი უსაფუძვლოდ მივიჩნიე. ახლა კი ირკვევა, რომ ეს ყველაფერი თამაში, მდარე კომედია ყოფილა, რომელშიც მე, ბაიბურში არ ვიყავი, ისე, გაცუცურაკებული გულუბრყვილო, მიამიტი კაცის როლი მითამაშია.
ღმერთო, ასე ხომ ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით უნდა უცქირო? საიდან ვიცი, რომ ახლაც, ამ წუთში, ვეზირიანი მართალს ამბობს თუ ცრუობს? იქნებ ბადამიანი სულაც ვერ ხვდება ვერაფერს და მას ხელს ახოცავენ? და, საერთოდ, მთელი ჩემი ცხოვრება ამ დღეში უნდა ვიყო? ყოველთვის, როცა კი ვინმე რამეს მეტყვის, აუცილებლად, თავი უნდა ვიმტვრიო: რატომ მითხრეს, რაც მითხრეს, რა მიზნით მითხრეს, ან გუშინ რატომ არ მითხრეს და დღეს რატომ მითხრეს და ა. შ. ასე ხომ შეიძლება შეიშალო ადამიანი? ესე იგი, არავის არ უნდა ვენდო, არც მამას, არც ძმას, არც ნანარს? არა, ისევ ის აჯობებს, რომ მხოლოდ შენ არ მოგენდობი, ამხანაგო ვეზირიან, და ეს იქნება ყველაზე სწორი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

და, როგორც ეს ხშირად მოსდის ადამიანს მეტისმეტი ნერვიული დაძაბულობის შემდეგ, მყისვე დავმშვიდდი, თითქოს რაღაც ტვირთისგან გავთავისუფლდიო, და ვეზირიანს თავაზიანად, ხმისაუწევლად ვუთხარი:

- ახლა კი მიბრძანდით, ამხანაგო ვეზირიან.

- დროა, რასაკვირველია, - წამოდგა ვეზირიანი, - ისე აგაწრიალეთ, რომ ნამდვილად საბოდიშოდ მაქვს საქმე. ბოდიში, დიდი ბოდიში... თქვენც ჩემი გულისთვის ასე ინერვიულეთ, ბატონო, - მიუბრუნდა მამაჩემს. ახლა ჩემს თვალწინ ისევ ის კაცი იყო, რომელიც ადრე მენახა ქალაქკომსა და სამშენებლო სამმართველოში. მისი თვალები სიკეთეს აფრქვევდა, ძლიერი ნიკაპი კი თითქოს მის ყოველ სიტყვას ბეჭედს ასვამდა, - მაგრამ, არა უშავს, ვალში არ დავრჩები, - წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, დედაჩემის საკერავ მანქანასთან მივიდა და ზედ ცისფერი ლენტით შეკრული რაღაც დიდი შეკვრა შემოდო, - ეს კი, - თქვა მან, - გთხოვთ, ყოველგვარი სხვაგვარი აზრის გარეშე, უბრალოდ ჩვენი მეგობრობის ნიშნად დაიტოვოთ. ეს ისე, დიდი კი არაფერია, წვრილმანია... - ერთხელაც მომიბრუნდა და რაკი მე გაუნძრევლად ვიჯექი და ხმას არ ვიღებდი, მკითხა, - მაშ, ასე, შევთანხმდით, ხომ, ჩემო მეგობარო, ამხანაგო ლევონიან?..

მამას შევხედე და მივხვდი, რომ ორივენი ახლა, ამ წუთს ერთნაირად ვფიქრობდით.

და არც დამიყოვნებია.

- მამაჩემმა მასწავლა, რომ სტუმარს პატივი უნდა ვცე, - ვუთხარი მე, - ამიტომ, გთხოვთ, უსიტყვოდ აიღოთ თქვენი ავანსი და მიბრძანდეთ. ოღონდ, გთხოვთ, სწრაფად, სწრაფად გააკეთოთ ეს, ამხანაგო ვეზირიან, ჩემო მეგობარო...

ვეზირიანს ამჯერად ნამდვილად წაუვიდა ფერიფური. სკამის საზურგეს ჩააფრინდა, ხვანჩი რამდენჯერმე შეუთამაშდა, და, როდის-როდის, დაუფარავი სიძულვილით, მუქარით ამოიხრიალა:

- კეთილი. მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. მორჩა. აწი ყველაფერი შენს თავს დააბრალე. შენ ამ დღეს კიდევ გაიხსენებ. მე ვეზირიანი ვარ, ეს კარგად დაიმახსოვრე, როცა შენი ფელეტონი დაბეჭდილი ნახო, მაშინ დაიტრაბახე. ხშირად მიხილავ შენ გვერდით. მე ჩემი მითქვამს და ახლა კარგად მეყოლე, ნახვამდის, მამილო, ნახვამდის და მოწმედ მყავდე - ამას იქით შენი შვილი მე ნურაფერს დამაბრალებს.

- შენ, შენ... - ძლივს ამოთქვა მამაჩემმა, - შენ ცუდი ადამიანი ხარ, ცუდი...

- მაცალეთ, მაცალეთ, გაიგებთ, ვინცა ვარ, - უკვე დერეფნიდან მოგვაძახა ვეზირიანმა.

დიდხანს ვდუმდით. დედა სამზარეულოდან შემოვიდა, უნდოდა რაღაცა ეკითხა, მაგრამ დაზაფრულნი რომ გვნახა, არაფერი უთქვამს, ისე ჩამოჯდა სკამზე.

- ხომ ყველაფერი შენი თვალით დაინახე, მამა?.. შენ კიდევ იმას შენი ცხოვრების ამბებს უყვებოდი, იმისი ცოდვით ლამის დაიწვი და ცრემლიც მოგადგა თვალზე, - შევბედე ბოლოს, როგორც იქნა.

- შენ კიდე ის თუ გაიგონე, ბადალის შვილზე რაცა თქვა? - მკითხა მამამ.

- გავიგონე, - მივუგე მე.

მამამ ამოიხვნეშა:

- არ ვიცი, არ ვიცი, რა გითხრა... გაგიჭირდება ამ ცხოვრებაში, შვილო, გაგიჭირდება.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეთხუთმეტე თავი
მაპატიეთ, ნახვამდის, გმადლობთ

- ალო, ალო, რედაქციაა? ვინ ლაპარაკობს? მე ამხანაგი სარიანი მინდოდა. რაო? ძალიან კარგი, დაველოდები.
თითქმის მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ჩემს წამებას ისიც აძლიერებდა, რომ ვგრძნობდი, მამასაც არ ეძინა. ორჯერ ადგა და სამზარეულოში გავიდა. იქიდან მესმოდა მისი ხველების ხმა. ალბათ სიგარეტს ეწევა და წინ და უკან ბოლთას სცემს.
თავი გადარეული სკას მიგავს. ფიქრები ერთმანეთში ირევა. ოღონდ, ზუსტად ვერც კი გამირკვევია, რაზე ვფიქრობ, უბრალოდ, ესაა - თავი მისკდება, ტვინი წამითაც არ ისვენებს, გიჟივით მუშაობს.
- ელოდებით? - მეკითხება რედაქტორის მდივანი.
- დიახ, დიახ.
- წუთიც მომითმინეთ, თუ შეიძლება. ამხანაგი სარიანი მთავრობის ტელეფონით ლაპარაკობს. ახლავე აიღებს ყურმილს.
- გმადლობთ.
ვიხსენებ ყველაფერს, რაც იმ საღამოს ვეზირიანმა მითხრა და რაც მე ვუთხარი. არა, მე არ მითქვამს ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა და ეს მტანჯავს. მე მეშინოდა, მეშინოდა, თუმცა, ამაში ჩემს თავს არ ვუტყდებოდი. ვეზირიანისა მეშინოდა. მან მითხრა: ხშირად მიხილავ შენ გვერდითო. ასეთი კაცი ყველაფერზე წავა, ყველაფერს იკადრებს. მას ისიც კი შეუძლია, ნომრიდან ამოაღებინოს ფელეტონი. „როცა შენი ფელეტონი დაბეჭდილი დაინახო, მაშინ დაიტრაბახეო“. მაშასადამე, თავის ძალაში დარწმუნებულია. თქმა არ უნდა, ვიღაცას ელოდება. ნეტა ვის უნდა ელოდებოდეს? მაგრამ რეალურ ფაქტებს ვინ დაუდგება წინ? ამ ფაქტებს ხომ ვერაფრით გააბათილებ? ასლები სულ ხელთა მაქვს. აბა, რისი მეშინია? რისი? ასეა თუ ისე, ამხანაგ სარიანს უნდა მოველაპარაკო. შესაძლოა მიმიღოს, ანდა, შესაძლოა, მიმიღოს, ანდა, შესაძლოა, ასეთი სიტუაციები მისთვის უცხო ხილი არაა და აქედანვე იცის, რაც უნდა გაკეთდეს! კარგი იქნება მოვასწრო და დაველაპარაკო, ვიდრე პართევი ან სხვა ვინმე მოვიდოდეს.
- ალო, გისმენთ.
- გამარჯობათ, ამხანაგო სარიან. არტაკ ლევონიანი გაწუხებთ.
- გისმენ, გისმენ. რაშია საქმე, ლევონიან?
- რამდენიმე წუთით მინდოდა თქვენთან შემოსვლა, თუ დრო გექნებათ...
- დრო ნამდვილად არა მაქვს, ლევონიან. თუ რაიმეს თქმა გინდა, შეგიძლია ტელეფონით მითხრა.
- მე მინდა ფელეტონის თაობაზე...
- რა გამიწყალე გული ამ შენი ფელეტონით! - აშკარაა, რომ რედაქტორი გაღიზიანებულია, - კარგი ვინმე ხართ, ღმერთმანი, ლევონიან, ჯერ არაფერი დაგიბეჭდავთ და იმ თქვენი ფელეტონის ამბავი მთელ ქვეყანას მოსდეთ! ეს რომ პირველი შემთხვევა არ იყოს, ცოტა მკაცრი ლაპარაკი მექნებოდა თქვენთან. დიახ, დიახ, საკითხი ჟურნალისტურ ეთიკას შეეხება. უნდა იცოდეთ, უნდა იცოდეთ, რომ...
- რას მეუბნებით, ამხანაგო სარიან, რას? სინდისს გეფიცებით, მე არავისთვის არაფერი არ მითქვამს.
- როგორ თუ არავისთვის არაფერი გითქვამთ? აბა, ყველამ ყველაფერი საიდან იცის? უკვე ათმა ვიღაცამ დამირეკა... ჩივიან, რომ თქვენ უხეშობდით, ბაქიბუქობდით, ხალხს აშინებდით

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

თქვენი ფელეტონით, - აქაოდა, დამაცათ, რა დღე გაყაროთო. თქვენგან ამას არ ველოდი, ამხანაგო ლევონიან, როგორც ჩანს, მეც ავჩქარდი, ავჩქარდი...
- ვაიმე, ამხანაგო სარიან...
- რა „ამხანაგო სარიან“, „ამხანაგო სარიან“. აბა როდის გითხარით, მწვავედ, სუსხიანად დაწერეთ მასალა და იმ... ვეზირიანთან მე ძველი ანგარიშები მაქვს-მეთქი. მადლობა ღმერთს, ეგ კაცი ჩემს სიცოცხლეში თვალითაც არ მინახავს.
- მაგრამ... მაგრამ ყველაფერი ეს ხომ სიცრუეა... სინდისს გეფიცებით, ისინი... ისინი თქვენ...
- არ ვიცი, არ ვიცი, იმ ხალხმა წერილებიც მოიწერა, მოწმეებიც მოვიდნენ, ათამდე კაცი იყო. გუშინ ცეკას განყოფილების გამგემაც დამირეკა. აგრე არ შეიძლება, ამხანაგო ლევონიან...
- მე არავის არ დავმუქრებივარ, - ხმა მიკანკალებს, - დამიჯერეთ, არც არავისთან არაფერი დამიტრაბახია. მე ხომ ბავშვი არა ვარ, ამხანაგო სარიან... ან თქვენი სახელით რატომ უნდა დამეწყო ვინმესთან ლაპარაკი. იმათ უნდათ, თქვენ შეცდომაში შეგიყვანონ და...
- ჩემი შეცდენა არც ისე ადვილია, ლევონიან... ჯერ შემაცდინონ და მერე დაიკვეხონ. შენ კიდე... (მადლობა ღმერთს, გაუარა, ეტყობა და ისევ „შენობით“ მელაპარაკება, გულზე მომეშვა) - ნუ გგონია, რომ მაშინვე ანკესზე წამოვეგე. რომ იცოდე, მეტსაც ველოდი, ოღონდ ჯერ არა, შემდეგ... ახლა ნუ მეკამათები, აღიარე, რომ ყველაფერი შენი ბრალია. ენას კბილს ვერ დააჭერ, შე კაცო!
- ამხანაგო სარიან, მე არავისთვის...
- არავისთვის არაფერი გითქვამს, არა? მე კი გეუბნები, გითქვამს-მეთქი. შენ არ უთხარი იმ ხალხს, ფელეტონი კვირის ნომერში იბეჭდებაო? მომისმინე, ყმაწვილო, მომისმინე, ძვირფასო, უფრო ნუ გამაბრაზებ ახლა, ჩვენ ორს გარდა ვინ იცოდა, რომ ფელეტონი კვირის ნომერში იბეჭდებოდა!
ხედავთ, რა ამბავი დატრიალდა?
- მართალია, ეგ მე ვთქვი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. როცა ის ჩემთან მოვიდა სახლში...
- ვინ მოვიდა სახლშიო?! - შემაწყვეტინა სარიანმა.
- ვეზირიანი.
- ოჰო! საინტერესოა.
- დიახ, ამხანაგო სარიან, გუშინ საღამოს მოვიდა ჩვენსა, ერთი შეკვრაც მოიტანა (სირცხვილის ოფლმა დამასხა, ამის თქმა ალბათ აუცილებელი არ იყო!), ითხოვა, ფელეტონს ნუ დაბეჭდავო, მერე დამემუქრა, თუ დაბეჭდავ, თავს მოვიკლავო, მამაჩემიც კი აატირა (რა სისულელეებს ვლაპარაკობ?..).
- მამაშენი რა შუაშია? იცნობდა, თუ?
- არა, უბრალოდ, შეაბრალა თავი. მე ვუთხარი, მასალა უკვე სტამბაშია-მეთქი...
- ჰმ! ჰმ! განაგრძე, განაგრძე...
- ბოლოს უკვე პირდაპირ დამემუქრა. ეგ ფელეტონი დღის სინათლეს ვერ ნახავს, შენი რედაქტორი იმას თავისი ხელით დახევსო, რამდენჯერმე ახსენა ვიღაც თავისი მეგობარი, ხვალ-ზეგ ჩამოვა და ნახავთ თქვენსასო...
- მართლა ასე ილაპარაკა?
- დიახ, ზუსტად ასე.
- რას იტყვი, ყველაფერი ესეც ხომ არ შევიტანოთ ფელეტონში? რას იტყვი, ყველაფერი ეს ფელეტონს რომ მოვაყოლოთ რუბრიკით „როცა მასალა უკვე აწყობილი იყო“? ერთი, კარგად დაუფიქრდი. კარგი, კარგი, ჯერ როგორც არის, ისევე დარჩეს და მერე ვნახოთ...
- ამხანაგო სარიან, ესე იგი, ხვალ...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ვნახოთ, ვნახოთ, თუ ოფიციალური მასალა არ წაიღებს ადგილს... თუმცა, შენთვის რაიმეს თქმა სახიფათოა, შენ ხომ ენას ვერ აჩერებ პირში...
- ამხანაგო სარიან...
- კარგი, ო, კარგი, შევხედავთ საქმეს... ჰო, როგორ აწერ ხელს ფელეტონზე?
- ა. ლევონიანი.
- თუ გეშინია, ფსევდონიმით დაგვებეჭდა.
- არა, ამხანაგო სარიან, არ მეშინია.
- კარგი, ა. ლევონიანი თუ გინდა, ა. ლევონიანი იყოს. ცუდი არაა.
- დიდი მადლობა, ამხანაგო სარიან. ბოდიში, ნახვამდის!
- კარგი, ენად ნუ გაიკრიფე, ამხანაგო ლევონიან! აბა, ჰე!

ყურმილი რომ დავკიდე, ერთხანს გონმუკრებლად ვიმეორებდი: „მაპატიეთ, ნახვამდის, გმადლობთ“. არ ვიცი, რამდენხანს ვიბურტყუნებდი ასე ჩემთვის, რომ ოთახში შემოსული სარქისიანის სიცილი რომ არ გამეგონა:

- არტაკ, რას დეკლამატორობ, თუ კაცი ხარ?
- ნახვამდის, მაპატიეთ, გმადლობთ, - ერთხელაც ვთქვი მე.
- ვინაა მაგ სიტყვების ადრესატი, არტაკ?
- ვინა და თქვენ იქნებით, ამხანაგო სარქისიან, თუკი ნებას დამრთავთ, რომ უნივერსიტეტში წავიდე და უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდაც ჩავაბარო.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეთექვსმეტე თავი
ხალხის ცნობას ვიწყებ

უნივერსიტეტის ძველ კორპუსში მრავალი გამოცდა ჩაგვიბარებია. ეს გამოცდა სხვას არ ჰგავდა, ეს ყველაზე ნაღვლიანი გამოცდა იყო. არც კი ვკითხულობთ, ვინ რა მიიღო, ჩათვლის წიგნაკით ხელში არავინ გამოდიოდა. ჟურნალისტიკის განყოფილების მეხუთე კურსი ასე დისციპლინირებული არასოდეს ყოფილა.
ამ უკანასკნელ კურსზე ჩვენი ჯგუფი უწინდელივით მეგობრული ვეღარ იყო. კინოში ან კონცერტებზე ყველანი ერთად კი აღარ დავდიოდით, არამედ პატარ-პატარა ჯგუფებად. სესიებზე გამოცდას ვინც ჩააბარებდა, სხვას უკვე აღარ ელოდებოდა, დაადებდა თავს და გარბოდა. კორპუსის ჭიშკართან ჩვენს გოგონებს უცხო ბიჭები და ჩვენს ბიჭებს უცხო გოგონები ელოდებოდნენ. ჩვენმა გოგონებმა კი, რომლებიც აქამდე ჩერნიშევსკის ესთეტიკურ შეხედულებებს იზუთხავდნენ, სამოქალაქო ომისდროინდელ ფრონტულ პრესას სწავლობდნენ, პრინციპული პოზიციიდან აფასებდნენ სტენდალისა და ფლობერის გმირებს და სულ იცოდნენ, ვის რაში უკეთესი კონსპექტი ჰქონდა, უცებ, ერთბაშად გაიგეს, რომ უკვე უნივერსიტეტს ამთავრებდნენ და, გინდა ასე თქვი და გინდა ისე, სულ ცოტა, ოცდაორი წლისანი მაინც იყვნენ!.. უკვე დაიწყეს სულ სხვაგვარად, უკვე მიზანსწრაფულად, ჩაცმის თადარიგის დაჭერა, თმების ასევე მიზანსწრაფულად დაყენება, კოსმეტიკაში საფუძვლიანად გაცნობიერება. მათი ღიმილი უფრო მომხიბვლელი (თუმცა, უფრო „გონებისმიერი“) გახდა. დღეს ყველაფერი სხვანაირად იყო. ვინც გამოცდა უკვე ჩააბარა, ჩუმად გამოდიოდა და კედელთან დგებოდა. მომეჩვენა, რომ ჩვენ ყველანი ერთბაშად მოვმწიფდით. სახელმწიფო საგამოცდო კომისიაც გამოვიდა აუდიტორიიდან. დაღლილმა და შეფიქრიანებულმა პროფესორ-მასწავლებლებმა უსიტყვოდ ჩაგვიარეს. ველოდით, რომ რაღაცას გვეტყოდნენ, ერთად მოგვიყრიდნენ თავს, გადაგვეხვეოდნენ, იქნებ, ჩვენც და მათაც გულისტკივილი გამოგვეთქვა, რომ ვიყრებოდით. ასე არ მოხდა. მათ გვერდით ჩაგვიარეს, ჩვეულებრივი „კარგადო“ გვითხრეს და გაუჩინარდნენ იმ ოთახში, რომელსაც „საპროფესორო“ ეწერა. ამ უგულო ხალხს თუ ჰგონია, რომ ხვალაც ისევე შევხვდებით, როგორც ამ ხუთი წლის განმავლობაში ვხვდებოდით. ნუთუ არ იციან, რომ ყველაფერი გათავდა, რამდენიმე დღეში დიპლომებს მივიღებთ და დავიფანტებით. და ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს.
- შურისძიება! - იყვირა ლუიზამ, ჩვენს კურსზე ყველაზე მოკრძალებულმა გოგონამ.
- შურისძიება! - ვიხუვლეთ ყველამ ერთად და გავემართეთ ეგრეთწოდებული „საპროფესოროსკენ“ და კართან მივხროვდით. ვარდკეს აშტარაკელმა კარი შეაღო და ძალიან მოკრძალებული კილოთი, თითქოს დაკარგული სტიპენდიის აღდგენას მოითხოვსო, იკითხა:
- შეიძლება?
- არ შეიძლება, - დაიძახა დეკანმა, რომელსაც ძალიან ვუყვარდით, მაგრამ ეშინოდა, არ გავთამამებულიყავით - არა, არ შეიძლება, დეკანატის სხდომაა.
- ჩვენ დეკანატის სხდომა არც არაფერში გვაინტერესებს!
- რასა ჰგავს ეს!
- ბიუროკრატიზმსაც უნდა ჰქონდეს საზღვარი!
- ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ. ვიჩივლებთ, სადაც ჯერ არს! - ერთსულოვნად და, რაღა თქმა უნდა, ყასიდად ავღნავლდით ყველანი.
დეკანმა შუბლი შეიჭმუხნა და გაოგნებული წამოდგა. მასწავლებლებიც წამოდგნენ. გაუგონარი ამბავია!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- რას ნიშნავს ყოველივე ეს? - იქუხა დეკანმა.
ვარდკესს ხელი ვკარით და ეგეც წინ წადგა.
- ძვირფასო ამხანაგო დეკანო, პატივცემულო პროფესორებო და დოცენტებო, - პიონერის წკრიალა ხმით დაიწყო ვარდკესმა, - ჟურნალისტიკის განყოფილების ყოფილი მეხუთე კურსის ყოფილი სტუდენტებისგან უფლებამოსილი ვარ განგიცხადოთ, რომ... - აქ ჩვენმა დელეგატმა, როგორც მიღებულია, ხმას დაუწია და პაუზა გააკეთა... - გვინდა მოგახსენოთ დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც თქვენ გააკეთეთ, რათა ჩვენ, შესაძლებლობის ფარგლებში, განვითარებული და განათლებული ადამიანები გამოვსულიყავით. გთხოვთ გვაპატიოთ, თუკი როდისმე თქვენთვის ტკივილი მოგვიყენებია. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საპასუხისმგებლო და მძიმე შრომაში, დაე, ჩვენს შემცველად ჩვენზე უკეთესი სტუდენტები მოგსვლოდეთ. თქვენ კი შეგიძლიათ გვისურვოთ ჩვენ წარმატებები, რამეთუ ყველანი, - მთელი კურსი, - ფრონტზე მივემგზავრებით.
- გმადლობთ! - ვიხუვლეთ ერთხმად.
და ჩვენი ლექტორები გავაწითლეთ და ვაცინეთ. დეკანატის სხდომა ვიღას ახსოვდა, უკვე ყველანი ჩვენ შორის იდგნენ, ყველა აირია, უფროსი, უმცროსი, ყველა ერთად იცინოდა, ზოგს თვალზე ცრემლი უბრწყინავდა და ყველანი ისეთი კარგები იყვნენ, ისეთი კეთილები, ისე გულაჩუყებულნი! სულ ათიოდე წუთის წინათ „კარგადო“ რომ გვითხრეს და თავიანთი ჭკუით ასე დაგვემშვიდობნენ, ის მასწავლებლები ახლა გვეხვეოდნენ, გვკოცნიდნენ და ათასნაირ რჩევა-დარიგებას გვაძლევდნენ.
- აბა, ახლა კი „კარგად“, - ვუთხარით ჩვენ.
უნივერსიტეტის ეზოდან გამოვედით, ერთიმეორის მიყოლებით გავემართეთ დაბალი შადრევნისკენ და რიგის სრული დაცვით დავეწაფეთ უნივერსიტეტის წყალს. ასევე რიგის სრული დაცვით მოკრძალებით ჩამოვართვი ხელი განცვიფრებულ
ყარაულს - უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმკაცრეს თანამშრომელს, ქუჩა გადავჭერით და გუკასიანის სახელობის სკვერში შევედით. იქ, ხეივნის ბოლოში, წესისა და რიგის ყოველგვარი ნორმის დარღვევით, ერთმანეთს მივადგით გრძელი სკამები და მივსხედ-მოვსხედით. სკვერში მორიგ მსხვერპლს ჩასაფრებული ფოტოგრაფი მიხვდა, რაც ხდებოდა და წუთში ჩვენთან გაჩნდა, დააყენა შტატივი, ხელი ჰაერში შემართა და უნდოდა წარმოეთქვა ტრადიციული... მაგრამ ინიციატივა მე ავიღე ხელში.
- ოღონდ არ თქვათ „გაიღიმეთო“, თორემ მოგკლავთ, - გავაფრთხილე, - როგორებიცა ვართ, ისე გადაგვიღეთ.
ყველამ გაიცინა. მე სურათზე ყველაზე სერიოზული გამოვედი და ამიტომ მის მნახველს სულ სხვა ვინმე, ამ ხალხში შემთხვევით გარეული ვეგონებოდი.
- მოდით, რამე მხიარული ვიმღეროთ, - გვთხოვა ლიდამ, მხიარულებით მეორე გოგონამ ჩვენს კურსზე (პირველი ვადამდე გათხოვდა და ნალბანდიანის ქუჩის ერთ-ერთ ბინაში ახლა იავნანას მღეროდა). ლიდამ თავისი ზურმუხტოვანი თვალები ცას ააპყრო და ჩვენი საყვარელი სიმღერა წამოიწყო.
სხვა დროს, როცა ამ სიმღერას ვმღეროდით, მთელი ორი საათი შეგვეძლო შეუსვენებლად გვეცეკვა და გვეგიჟა, ახლა კი ლიდას ორიოდე-სამიოდე კაცმა კანტიკუნტად, უჟმურად ააყოლა ხმა და რადგან ამ საქმეს კარგი პირი არ უჩანდა, მაშინვე თავიც მიანებეს.
- ბავშვებო, - დაიწყო ვარდკესმა, - მინდა სერიოზული რაღაც შემოგთავაზოთ. საამისოდ უფრო მარჯვე დრო ჩვენ არ გვექნება. თქვენ ვერ ამჩნევთ, რომ ამ ბოლო წლის მანძილზე არტაკ ლევონიანი პირველად ესწრება ჩვენს თავყრილობას? და რაკი ჩვენ არაერთგზის დავადგინეთ, რომ განგვეხილა არტაკ ლევონიანის ლექციებსა და ჩვენს თავყრილობებზე დაუსწრებლობის

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

საკითხი, მაგრამ ეს ვერცერთხელ ვერ განვიხილეთ, რადგან ამხ. ლევონიანი ჩვენს თავყრილობებზე ვერ დავიჭირეთ, მოდით, დღეს, აქვე განვიხილოთ...
- სწორია! - იყვირეს კრებებზე ჭიპმოჭრილმა ჩემმა ამხანაგებმა.
ისეთი სახე მივიღე, თითქოს, გაქცევა მინდოდა და მიშველეთ!-მეთქი, ვიღრიალე, მაგრამ ჰაიკმა ჩამკუჭა ორ თანაკურსელ გოგონას შორის, რომლებსაც ყველანი ბაჭიებს ვეძახდით.
- ჩემი საკითხის განხილვის უფლება არა გაქვთ. მე რაიკომის წევრი ვარ, ხელშეუხებელი პიროვნება, - პროტესტი განვაცხადე.
- ყველანი რაიკომის წევრები ვართ! - უშფოთველი კილოთი განაცხადა კურსის მამასახლისმა შავარშმა. თავისთან, მარტუნში, ეგ „დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა“ და პირველ კურსზე „სავსებით საიდუმლოდ“ ეუბნებოდა თითოეულ გოგონას ცალ-ცალკე, რომ წიგნებში გამოყვანილი გმირი - პარტიზანი შ. მე, შავარში ვარო. ახლა შავარშმა რომელიღაც წიგნი ისე აიღო ხელში, თითქოს დასწრების აღრიცხვის ჟურნალი უჭირავსო და მოგუდული ხმით დაიწყო:
- არტაკ ლევონიან, ვილაპარაკოთ ფაქტების ენით. პირველ სემესტრზე გამოტოვე ოცდაოთხი საათი, აქედან ოცდასამი - არასაპატიო მიზეზით.
- ის ერთი საათი რა საპატიო მიზეზით გააცდინე, ვითომ? - ძლივს ასწია ქუთუთოები ფენომენალურად ზარმაცმა ვილენმა.
- ეს ის ერთადერთი საათია, როცა ლევონიანი დეკანატში გამოცხადდა თავისი გაცდენების გამო, - მოახსენა მამასახლისმა დამსწრეთ, - წლის მეორე ნახევარში მან თოთხმეტი საათი გააცდინა.
- პროგრესი აშკარაა, - სულზე მომისწრო ჯავადმა. ჯერ კიდევ მეოთხე კურსზე იყო, ჯავადს თავისი რაიონის ხელმძღვანელობამ რაიონული გაზეთის რედაქტორობა რომ შესთავაზა. მას აქეთ, როცა თავის კონსპექტებში რომელიმე სტრიქონს გახაზავდა, ფრჩხილებში უთითებდა - „ხაზგასმა ჩემია - ჯ.ს.“.
- მცირე განმარტება, - შეაწყვეტინა მას მამასახლისმა, - მეორე სემესტრში ჩვენ სულ ორი თვე გვქონდა მეცადინეობა.
- ეს დიდი გაუგებრობაა, - მოვასწარი წამოხტომა, ვიდრე ბიჭები ჩემს გაკავებას შეძლებდნენ, - ეს რა გამოდის, ძვირფასო ამხანაგებო? რაიკომში იმისთვის მაკრიტიკებენ, რომ ლექციებზე ვიპარები. გამოყავით კომპეტენტური კომისია და გაარკვიეთ ბოლოს და ბოლოს ეს პრობლემა. სადმე, ან ერთგან, ან მეორეგან ხომ უნდა ვყოფილიყავი, რას იტყვით?
- თოჯინების თეატრში იქნებოდით, - თვალის დაუხამხამებლად წამოიკნავლა აიკანუშმა.
- თავმართლოს! - მოითხოვა რობერტმა. ის ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ მასწავლებლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე დაეწერათ მისთვის ნიშანი, რათა ყოველ წუთს „რა თქვით, რა თქვით?“-ის კითხვა-კითხვით არ გატანჯულიყვნენ, - თავმართლოს!
- მოვითხოვ თარჯიმანს! მე არ მევალება ვუპასუხო კითხვას, რომელსაც ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო.
- პატივცემულო, რობერტის მშობლიურ ტარაბარულ ენაზე ეს ნიშნავს „თავი იმართლოს!“ - თარგმნა ვარდკესმა.
რობერტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
და ჩემმა უმაღლესდამთავრებულმა ამხანაგებმა სიყვარულის საკითხში ისეთი უვიცობა გამოამჟღავნეს, რომ მათთან ამ თემაზე საუბარს წყლის ნაყვის სუნი უდიოდა, მაგრამ პროცესი პროცესი იყო და თავი უნდა მემართლებინა.
- მე თავის გასამართლებელი არაფერი მჭირს. მოგეხსენებათ, შეთავსებით ვმუშაობ და ამ მიზეზით...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ჩვენ ყველანი ვმუშაობთ, - ვინ მაცალა ლაპარაკი, - საზოგადოებრივ საწყისებზე.
- მაგრამ მე შეყვარებული ვარ.
- ჩვენ ყველანი შეყვარებულები ვართ.
- ამ ბოლო ხანს კეთრის ნიშნები გამომაჩნდა.
- კეთრის ნიშნები ჩვენ ყველასა გვაქვს, - ოდნავადაც არავის შეეშინდა კეთრისა.
- თუკი ასეა, წინადადებით შემოვდივარ, რომ ყველამ საკუთარი ხელით დავიწვათ ჩვენი თავები. ჩვენ ხომ გმირული თაობა ვართ, ჩვენმა წინაპრებმა ხომ მოგვცეს თვითშეწირვის დიდებული მაგალითები!
- ეს დემაგოგიაა, - პროტესტი განაცხადა მამასახლისმა, პარტიზანმა შ.-მ. - დაე, სასამართლომ გამოიტანოს განაჩენი.

და სასამართლომ დაადგინა: ყოველი კურსდამთავრებული მოვალეა, მარჯვენა ხელის ორი თითი დამკრას აკაპიწებულ მაჯაზე.

როცა ჩემი ხორციელი გვემის აქტი აღასრულეს, შეშუპებულ მაჯაზე ოფლს ვიწმენდდი და სიხარულით ატანილი ვფიქრობდი, რომ ვიწყებ ხალხის ცნობას, თანდათან ვგებულობ, ვინ ვინაა. ჯერ კიდევ ამ ეგზეკუციამდე ვიცოდი, ჩემი მეგობრებიდან ვინ ძლიერად დამარტყამდა და ვინ - სუსტად, ვინ ეცდებოდა ყასიდად დაერტყა და ვინ გამეტებით. და მხოლოდ ერთხელ შევცდი.

ჩვენი კურსის მამასახლისმა, რომელსაც ვერ ვიტანდი და ვიცოდი, ჩემს ამ გრძნობას ისიც სავსებით იზიარებდა, თავისი ცივი თვალებით ერთხანს მიყურა და მერე ოდნავ მომითათუნა ხელზე. გამიკვირდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მან თავისი დარტყმა უფრო შესაფერისი მომენტისთვის, უფრო სერიოზული სიტუაციისთვის გადაინახა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეჩვიდმეტე თავი
ეს გასაოცარი ოჯახი

უნებურად გავიხედე „ჩვენი“ საათისკენ - მის ქვეშ ნანარი ხომ არ დგას-მეთქი. თუმცა, დაბეჯითებით ვიცოდი, რომ იგი სახლში იყო. ნანარი არა და მანუკი კი დავინახე.
- სად იკარგები, თუ კაცი ხარ? - მეცა იგი, - რაიკომში თქვეს, უნივერსიტეტშიაო, უნივერსიტეტში - ეს-ესაა წავიდაო, თოჯინების თეატრში - ჯერ არ მოსულაო. სახლში კიდევ გსაყვედურობენ - ეგ როდის მოდის, კაცი გაიგებსო? რედაქციაში...
- შენ, რაო, ჩემი საკავშირო ძებნა გამოაცხადე, თუ? რა მოხდა?
- დავიღუპე, - მითხრა მანუკმა და ღვთის გლახასავით ბეჩავი თვალები მომაშტერა, - მე რომ მჭირს, ნუ იტყვი, ჩემს მტერს...
- რა მოხდა, ნვარდს ხომ არ წაეჩხუბე? - მშვიდად ვკითხე მე, რაკი მისი ფეთიანობის ამბავი კარგად ვიცოდი, - შეგარიგოთ?
- არა, სულ სხვა რამე მიჭირს. დავიღუპე. რა ვქნა, არ ვიცი...
ახლა უკვე მეც შევწუხდი.
- რა ამბავია შენს თავს, ვერ იტყვი? იქნებ, ნვარდი ვინმესთან?..
მანუკი მაშინვე მოიღუშა და მკლავში ჩამაფრინდა.
- რაო, ხომ არაფერი გაგიგია?
კარგი ხანი დამჭირდა დამერწმუნებინა, რომ არც არაფერი გამიგია, ოღონდ, ისეთი სახე გაქვს, რა ვიფიქრო არ ვიცი-მეთქი. როგორც იყო, დავაშოშმინე.
- ეგ როგორ იფიქრე, - შერცხვა მანუკს, - ნვარდს მე ვუყვარვარ, წყალი არ გაუვა. ახლაც, ალბათ, ზის სახლში და ტირის. მამამისი თურქეთიდანაა ჩამოსული. რა თვალით შემხედა არ ვიცი, ვატყობ კი, რომ გულზე არ ვახატივარ. წარმოგიდგენია, ნვარდს შევუარე, მამამისი კიდე ეგრევე, მიუკიბ-მოუკიბავად მიცხადებს: თქვენაო, ყმაწვილო, ნვარდთან შეხვედრის უფლება არ გაქვთ, რადგან არ მქონია პატივი, რომ შენი მშობლები ჩემს სახლში მეხილაო.
- ჰოდა, შენც მიუყვანე მამაშენი.
- გაგიჟდი, არტაკ! - გაუკვირდა მანუკს, - თითქო მამაჩემს არ იცნობდე! გინდა, მამაჩემი ჩემი ხელით მოვკლა? მოკვდება, კარგი, თუ არ მოკვდება, ლოგინად მაინც ჩავარდება, უპარტიო კაცის შვილის შერთვას რომ ვაპირებ...
- აბა, ადექი და ნვარდის მამა დაიყაბულე, რომ პარტიაში შევიდეს...
მანუკმა უილაჯოდ გაშალა ხელები და მე მაშინვე სერიოზულად შევფიქრიანდი. გამახსენდა მანუკის მამა. მე ის კარგად მახსოვდა პროკურატურიდან. მაშინ ეს საკმაოდ პირქუში კაცი სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებლად მუშაობდა.
- მოდი, ნანარი გამოვიყვანოთ, რამდენიმე ბოთლი ღვინო ავიღოთ და ნვარდის სახლში ავიდეთ, ა, არტაკ! მივალ და შენზე ვიტყვი, ეგა ჩემი ცოლიანი მეგობარია-მეთქი, საკმაოდ რიგიანად გაცვია და თავიდან მაინც შეიძლება სერიოზულ კაცად ჩაგთვალონ. წამომყევი, არტაკ-ჯან, მიშველე!
- ქათინაურებისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ნანარი არ წამოგვყვება, - შევყოყმანდი მე.
- ჩვენც ვუთხრათ, ნვარდი ავადაა და უნდა ვინახულოთ-თქო. აბა, რა ვქნა, ძმაო, რა ვუყო იმ ნათურქეთალს...
„ნათურქეთალი“ კი კეთილი, ხალისიანი კაცი აღმოჩნდა. თავად ისიც კი ვიფიქრე, ნვარდის პაპა იქნება-მეთქი. ჭაღარა მეჩხერი ულვაში ჰქონდა, სახე ნაოჭებით დაღარვოდა. ცისფერი, წყლიანი თვალები სითბოს აშუქებდა. ისე სერიოზულად მიგვიღო, თითქოს, მართლა მძახალი მიუვიდაო ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. მაგიდასთან დაგვსვა, თვითონ კი თურქულად

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მოირთხა ფეხი ტახტზე, კრიალოსანი დაიჭირა ხელში და... ისეთი დაკითხვა ჩაგვიტარა, მანუკის მრავალნაცადი მამაც შურისგან მოკვდებოდა! ორი საათიც კი არ იყო გასული, რომ მან სულ დაწვრილებით იცოდა ჩვენი ბიოგრაფიები, ისე დაწვრილებით, რომ თვითონაც ვერ გაგვეგო, რა ენად გავიკრიფეთ და ყველაფერი ჩავუკაკლეთ.
მე და მანუკი შეთანხმებული ვიყავით, რომ, ჩვენი მხრიდან, საუბარს მე წარვმართავდი, მაგრამ „ნათურქეთალმა“ სწრაფად და იოლად მოახერხა ჩემი იზოლირება და მანუკი დაიტოვა თხემით ტერფამდე შესასწავლად. და ჩვენი მანუკი, - იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი მანუკი, პატარა ბალღივით, სულ ერთსა და იმავეს ლუღლუღებდა:
- იურიდიული თვალსაზრისით... იურიდიული თვალსაზრისით...
- მოდით, იურიდიულ თვალსაზრისს შევეშვათ და ადამიანური თვალსაზრისით შევხედოთ საქმეს, - წარამარა აწყვეტინებდა მას პეტროს-აირიკი.
ერთადერთ ნუგეშად ისღა გვრჩებოდა, რომ ამ ჯვარცმას ნანარი და ნვარდი არ ესწრებოდნენ. ბაღში გამავალი ფანჯრიდან დროდადრო შემოდიოდა მათი სიცილის ხმა. ოთახში რომ შემოვიდნენ, მაგიდასთან სრული სიმშვიდე სუფევდა, მე და მანუკმა კარის ჭრიალი რომ გავიგონეთ, არც კი გვესიამოვნა, რადგან ამ დროს პეტროს-აირიკი თავის ოდისეას გვიყვებოდა.
საშინელ, გულისმომწყვლელ ამბავს ჰყვებოდა.
თუმცა, ამ ამბავს ოდისეას როგორ დაუძახებ კაცი. ოდისევსს ბევრი ტანჯვა-წვალების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ის ბედნიერება მაინც ეღირსა, რომ თავის შვილსა და ერთგულ ცოლს შეეყარა. პეტროს-აიკის ცოლი და ვაჟიშვილი კი თურმე ასკერებმა მის თვალწინ აკუწეს, მრავალ სხვა დედა-შვილთან ერთად. ოდისეაო!.. ოდისეის ფათერაკიანი მოგზაურობა ნებივრობა და არხეინი სეირნობაა პეტროს-აირიკის ტანჯვა-წამებასთან შედარებით. პეტროსმა ჯოჯოხეთი მიწისქვეშ კი არა, მიწაზე ნახა. ეს ოდისეა არ იყო, იმიტომ, რომ ოდისევსი შინ ბრუნდებოდა, პეტროს-აირიკისთვის კი მისი მშობლიური კუთხისკენ მიმავალი ყველა გზა სამუდამოდ გადაკეტილი იყო სახელმწიფო საზღვრით.
- მამა, – ჩუმად დაუძახა ნვარდმა.
- რა იყო, ჩემო კარგო? – მაშინვე გამოეპასუხა პეტროს-აირიკი, წელში გაიმართა, შვილს ალერსიანი, სევდიანი ცისფერი თვალები მიაპყრო და დაამშვიდა, – ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლე, არ ვიტირებ, არა...
- ჩემს ბიჭს ვარდი ერქვა, ხუთი წლისა იყო, – თრთოლით განაგრძო პეტროსმა მცირე პაუზის შემდეგ და ერთხანს კიდევ იყუჩა, რომ ყელში მომდგარი გორგალი უკანვე ჩაებრუნებინა... პეტროსს უსაშველო მწუხარება მოკლავდა, მაგრამ შურისძიების გრძნობამ წამოაყენა ფეხზე, ძლივს დაუძვრა მკვდრების გორას და გაზაფხულის თბილ და სველ მიწას, რომელიც მათ მიერ დახოცილ ხალხს სახელდახელოდ მოაყარეს თურქმა ასკერებმა. როცა იგი სიბნელეში გიჟივით მირბოდა, შეძრწუნებული ფიქრობდა, იქნებ, მართლა გავგიჟდიო. ესმოდა ყრუ კვნესისა და ქვითინის ხმები, რომლებიც ბორცვებიდან მოჰქონდა ქარს და ეჩვენებოდა, რომ ცოცხლად დამარხული ამ ადამიანების გმინვა-ქვითინისგან შავი ბორცვები გადარეული ტალღებივით ყალყზე დგებოდნენ.
იგი მირბოდა მთებისკენ – სომეხი კაცის ერთადერთი, მშობლიური თავშესაფრისკენ, მირბოდა, მიფორთხავდა და იმხელა გზაზე თავისი სისხლის კვალს ტოვებდა. შემდეგ მოეჩვენა, რომ სადღაც, უფსკრულში ვარდებოდა, დიდხანს, დიდხანს ინთქმებოდა წკვარამში, მაგრამ რაღაცნაირ სიმსუბუქესაც გრძნობდა, უტკივილოდ, თოვლის ფანტელივით მიფარფატებდა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ხელის აუტანელმა, ჯოჯოხეთურმა ტკივილმა გააღვიძა. სიზმარში ცოლს ხელს უწვდიდა, უნდოდა მოხვეოდა ვარდიკს, მაგრამ ცოლმა შვილი არ დაანება და ზიზღით, სიძულვილით უთხრა:

- შენ უნამუსო, შენა, ჩვენ დაგვტოვე და თავს უშველე?..

ვიღაც შავტყაპუჭიანი დაიხარა მისკენ და პეტროს-აირიკმა ქურთული ლაპარაკი გაიგონა.

- მშვიდად იყავ, სომეხო, მშვიდად. ჩვენ ხომ ძმები ვართ. შენ აქამდე ჩემმა უფროსმა შვილმა მოგაღწევინა. ნუ გეშინია, სომეხო, ნუ გეშინია.

პეტროს-აირიკმა დაიგმინა და თვალები გაახილა. ოთახში გამხმარი უკვდავასა და ქონდარას სუნი ტრიალებდა, ღიობიდან დაბალი, ცისფერი ზეცა მოჩანდა. ესე იგი, ჯერ არ უნათია. მაგრამ მთელი ღამე რომ მორბოდა, მთელი ღამე!.. აქეთ-იქიდან კვნესა და გმინვა მოესმა და მაშინვე იგრძნო, რომ სომხები გმინავდნენ. და უცებ გაისმა გულის დამთუთქველი, ჩუმი სიმღერის ხმა. ახალგაზრდა დედა ახალი სიტყვებით ძველებურ მოტივზე მღეროდა იავნანას. პეტროს-აირიკს უნდოდა შებრუნებულიყო, მაგრამ ძალა არ ეყო და ატირდა, ატირდა უმწეოდ, უნუგეშოდ, და ჩვენ ვხედავდით, როგორ იკარგებოდა მის თმა-წვერში მდუღარე, მუხუდოს მარცვლისხელა ცრემლები. იგი ტიროდა და ეს ტირილი იყო წყევლა და კრულვა იმ გაუგებარი, უღმერთო ბედისა, რომელმაც ასეთი სასჯელი მოაგო მის თანამემამულეებს, ეს იყო წყევლა და კრულვა იმ ცისა, რომელიც ახლა, ეშმაკმა იცის, ვისთვის, რატომ, რისთვის ნათდებოდა.

დედა კი ღუღუნებდა და ღუღუნებდა იავნანას და კაცი ვერ გაიგებდა, მღეროდა თუ ტიროდა.

- გაჩუმდი, დაიკო, გაჩუმდი, რაც იყო, იყო. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, გვაკმარე, რაცა გვჭირს. ეგ ბალღი კი, ეგ ანგელოზი მე მომეცი...

- არ მოგცემ, – ოხვრას გული ამოაყოლა ქალმა, – არავის მივცემ, არავის. ახლა გაიღვიძებს ჩემი ანგელოზი, ჩვენი ოჯახის ბურჯი და იმედი. ჩვენს ფესვსა და ძირს, ჩვენს ბუდეს ეგღა დარჩა, ეგღა... ჩვენი კაცებიდან ეგღა გადარჩა. გაიღვიძე, შვილო, ხომ გაიღვიძებ, შვილო, ხომ გაიღვიძებ?

ისევ გაისმა გმინვა და ქვითინი, პეტროს-აირიკმა ვეღარ გაუძლო და ჯოჯოხეთური ტკივილის ფასად გადაბრუნდა. მის გვერდით ქურთიც შეინძრა...

- რა გინდა, სომეხო, რას ტრიალებ?

- ვინაა, რომ მღერის? – იკითხა პეტროს-აირიკმა.

- ნუ იკითხავ, ჩემო ძმაო, – უჩურჩულა ქურთმა, – სომეხი ქალი მღერის, ჰო, მღერის. ბავშვი მკვდარია, დედას კი არა სჯერა, ელაპარაკება, უმღერის. ხალხს ახლოს არ აკარებს, რომ დამარხონ. გაგიჟდა ეგ უბედური. ამისთანა ღმერთის...

- მამი, – ხმადაბლა შეევედრა ნვარდი.

- რა იყო, შემოგევლე, – ისევ შეეპასუხა პეტროს-აირიკი და თითქოს ახლაღა მოვიდა გონსო, გაოცებული, მწუხარე თვალები მოგვავლო, შემდეგ, მანუკს მიუბრუნდა – რამდენი წლისა ხარ, შვილო?

- ოცდაორისა ვარ, პეტროს-აირიკ.

- ჰოო! თქვენი პეტროს-აირიკიც ოცდაორი წლისა იყო, შვილო, მაშინ.

კიდევ კარგი, რომ მე არ მკითხა, თორემ მეც ავტირდებოდი ნანარივით, რომელმაც სახეზე ხელისგულები აიფარა. ნუთუ მანუკმა ამ კაცისა არაფერი იცოდა? როგორ შეიძლებოდა ჩვენ, მანუკსა და მე, ყველაფერი ეს არ გვცოდნოდა? ჩვენ ხომ სკოლაც დავამთავრეთ და უნივერსიტეტიც – სომხური უნივერსიტეტი დავამთავრეთ. ათობით საგანი ვისწავლეთ და უამრავი წიგნი წავიკითხეთ. მე ზეპირად ვიცოდი ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია და ზუსტად შემეძლო მეთქვა, ესა თუ ის ომი როდის მოხდა. შემეძლო დამესახელებინა ყველა

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მნიშვნელოვანი მოვლენა და თარიღი, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ჩვენი რევოლუციის ცხოვრებითა და მოღვაწეებით დამთავრებული, ვიცოდი, რისი პატრონი ვიყავით, რა შეგვეძლო რევოლუციამდე და რას მივაღწიეთ დიადი ხუთწლედების მანძილზე... მაგრამ არ ვიცოდი, არც გამეგონა, რომ ოდესღაც, შორეულ წარსულში კი არა, ჩემს დაბადებამდე ოცდაათიოდე წლის წინათ, ჩემი ერევნიდან რამდენიმე ვერსზე არსებობდა სხვა სომხეთი და იმ სომხეთში რამდენიმე დღის განმავლობაში გაჟლიტეს, გაჟუჟეს მთელი ხალხი – ქალიან-კაციანად, დედა-წულიანად. არ ვიცოდი, რომ თურქეთის მთავრობის ბრძანებით მოსპეს ორი მილიონი უდანაშაულო, შეუიარაღებელი სომეხი, ანუ დაახლოებით იმდენი ადამიანი, რამდენიც, სტატისტიკის თანახმად, ცხოვრობს დღევანდელ სომხეთში. რატომ არაფერი ეწერა ამაზე ჩვენს სახელმძღვანელოებში, რატომ იგუბებდნენ პირში წყალს ამაზე ჩვენი ლექტორები?

არადა, ყველა სომეხი უიარაღო ხომ არ იყო, ისეთებიც ხომ იყვნენ, ვინც, ჩვენი პეტრო-აირიკის მსგავსად, ვიდრე პირში სული ედგა, წინააღმდეგობას უწევდა მტერს. ხომ მოქმედებდნენ სახალხო შურისმაძიებელთა რაზმები, ხომ ჰყავდათ იმ რაზმებს ორგანიზატორები – თავისი გენერლები და გმირები? რატომ არ იყო იმათი პორტრეტები ჩვენს სახელმძღვანელოებში? პეტროს-აირიკი ჰყვება ვიღაც მხედართმთავარ ანდრანიკზე, სომეხთა შურისძიების ღმერთი იყოო, მრისხანე და სამართლიანი, როგორც ღმერთს შეჰფეროდაო. თურქი ფაშები მისი სახელის გაგონებაზე თავქაჯშეყრილნი გარბოდნენო.

- ღმერთო, გაანათლე იმის სახელი! - პეტროს-აირიკის თვალებში გარდასულ დღეთა ცეცხლი ბრიალებს, თურქულ ტახტზე ფეხმორთხმული ეს ძვალი და ტყავი კაცი წელში იმართება და იმ მხედართმთავარს ჰგავს, რომელსაც პარადზე გამოუტანია თავისი სამხედრო მოგონებების ნაფლეთებად ქცეული ბაირაღები.

- რა კაცი იყო, რა კაცი! აი, თქვენ რომ გხედავთ ახლა ისე მინახავს ასჯერ მაინც, და მაინც შემეძლო, მწყუროდა, გაუთავებლად მეცქირა მისთვის! ცეცხლში გადავარდითო, რომ ეთქვა ჩვენთვის, დაუფიქრებლად გადავცვივდებოდით, იმიტომ რომ სამშობლოსთვის გვაბრძოლებდა და სამშობლოს გარდა მისთვის არაფერი არსებობდა. წმიდა სარქისივით, თეთრ ცხენზე იჯდა ეგ სულგანათლებული!

ისევ გაიღო კარი და შემოვიდა ნვარდის ბებია. თავზე წაკრული შავი მანდილიდან ჭაღარა თმა ქათქათებდა. შეხედულებით ვერ დაადგენდით მის ასაკს, დროჟამს ისე გამოეშრო და გაეხმო მისი სხეული, რომ ვერ იფიქრებდით, თუ ოდესმე ახალგაზრდა იქნებოდა, გეგონებოდათ, სულ ასეთი სახედანაოჭებული იყო და სულ ასეთი, გვალვისგან დახეთქილ თიხასავით სახე ჰქონდა.

ამ ჯურის ხალხი დიდხანს ცოცხლობს, არც არასოდეს ავადმყოფობს, ასეთები ერთხელ, ერთადერთხელ უწვებიან ავადმყოფობას, რათა აღარც ადგნენ.

დედაბერს ლანგარზე რაღაც-რაღაცეები ეწყო და მაგიდისკენ მოჰქონდა. ნვარდი წამოხტა და ბებიას ლანგარი ჩამოართვა, პეტროს-აირიკმა კი სიხარულით წამოიძახა:

- რა კარგ დროს მოხვედი, დედი, რა კარგ დროს! მოდი, ახლოს დამიჯექი, ახალგაზრდებს ანდრანიკზე ვესაუბრებოდი, მოდი, დედი, ამათ ანდრანიკზე უმღერე რამე!

არ ვიცი, რატომ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დედაბერი თავპატიჟს დაიდებდა, მაგრამ არა, მაშინვე მიუჯდა შვილს გვერდით, ჩუმად ჩაახველა, თვალები ჭერს ააპყრო და აღიღინდა. ხმა, რაც შერჩენოდა, ისიც გაბზარული, ხრინწიანი ჰქონდა და თითქოს, ეს სიმღერა შორიდან, შორეული წლების სიღრმიდან მოისმოდა.

პეტროს-აირიკიც აჰყვა და ისიც მთელი თავისი არსებით იმ შორეული წლების წიაღში გადასახლდა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

უფრო გულშიჩამწვდომი სიმღერა ჩემს დღეში არ მომესმინა. დიდხანს ვისხედით უხმოდ ჩვენ-ჩვენს ფიქრებსა და მოგონებებში ჩაძირულნი, მაგრამ ეს სიჩუმე სულს არ გვიწიწკნიდა, არ გვტანჯავდა, პირიქით, იგი სრულ ჰარმონიას ქმნიდა იმ განწყობილებასთან, რომელიც, ჩვეულებრივ, მშობლიური სახლის კედლებში, ძალზე, ახლობელ ადამიანთა შორის გეუფლება.

- არტაკ, – მიჩურჩულა მანუკმა, – იცი, თქვენი სახლის გარდა ასე კარგად არსად, არასოდეს მიგრძვნია თავი.
- აბა, „თურქიო“ და „ნათურქეთალიო“ რომ გააბი, ის რა იყო? – ვუკბინე მე.
- აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, – სახეზე სიწითლემ აჰკრა მანუკს.

ნვარდმა ნამცხვარი და ყავა მოგვაწოდა.

- ნამცხვარი მიირთვით, დედაჩემის გამომცხვარია... - პეტროს-აირიკმა ჯერ დედამისს შეხედა საოცრად ალერსიანი თვალებით, მერე – ნვარდს და მოულოდნელად მოგვიბრუნდა:
- სხვათა შორის, ნვარდი გამოხატული ბებიამისია. ხომ ძალიან ჰგავს სახით, რას იტყვით? ბებია და შვილიშვილი მართლაც ჰგავდნენ ერთმანეთს სახის ნაკვთებით, თვალების ჭრილით, განსაკუთრებით – პირდაპირი, წრფელი გამოხედვით. ოღონდ, ბებია გაცილებით უფრო თვალშავა იყო. ალბათ, ეს დალეული, ვერცხლისწყალივით დედაბერი თავის დროზე ძალიან ლამაზი იქნებოდა.
- არა, ხომ ჰგვანან ერთმანეთს? - რატომღაც ძალიან გახალისდა პეტროს-აირიკი და როდესაც ყველა ერთხმად დავემოწმეთ, დასძინა, – მეც ხომ მგვანან? მითხარით, ვინ უფრო მგავს, დედაჩემი თუ ნვარდი?

აქ კი ჩვენი შეხედულება გაიყო. მანუკი და ნანარი ამტკიცებდნენ, ერთიცა ჰგავს და მეორეცო, მე კი მეჩვენებოდა, რომ ისინი, სამივენი, უფრო შინაგანად ჰგავდნენ ერთმანეთს, ვიდრე გარეგნულად. პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ ერთნაირად იცინოდნენ, ერთნაირად ლაპარაკობდნენ, ერთნაირი მოძრაობები ჰქონდათ.

- აბა, ძალიან ვგავართ ერთმანეთს, არა? – ისევ გვკითხა პეტროს-აირიკმა და მის თვალებში ეშმაკუნები ათამაშდა, – მართალი ბრძანებაა. აბა, რას იტყვით, როცა გაიგებთ, რომ ჩვენ ნათესავებიც კი არა ვართ.
- როგორ თუ ნათესავებიც არა ხართ? – გავოცდით ჩვენ.
- როგორ და ისე. ჩვენს შორის არც სისხლისმიერი კავშირია და არც ნათესაური. უბრალოდ, ერთ ჭერქვეშ შეყრილი სომხები ვართ. ჰოდა, ვცხოვრობთ ასე, ერთად.

საოცარი ამბავი ის იყო, რომ არც ნვარდს და არც დედაბერს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ, უბრალოდ, ერთნაირი ღიმილით გაიღიმეს.

- ღვინო დამისხით, - ბრძანა პეტროს-აირიკმა, შემდეგ მანუკს მიუბრუნდა, – მე შენ ისედაც მოგიყვებოდი ყველაფერს, შვილო. მე მინდა, რომ შენ აუცილებლად იცოდე ყველაფერი.

იგი დიდხანს, დიდხანს, ნება-ნება წრუპავდა ღვინოს, მერე კი ასევე დიდხანს, წინასწარმეტყველივით აკვირდებოდა ცარიელ ჭიქას.

გრძელი, უსაშველოდ გრძელი, უკაცრიელი ქუჩა.

ღამის სიჩუმეს არაფერი არღვევდა, მხოლოდ ჩვენგან ოდნავ მარცხნივ ყრუდ გუგუნებდა რელსები, ალბათ, უკანასკნელი ვაგონები შედიოდა პარკში. მივუყვებოდით გრძელ, ცუდად განათებულ ქუჩას და ჩვენი ნაბიჯების არარიტმული ხმა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს ღამეულ მყუდროებას.

მანუკი ჩამოგვრჩა და უკნიდან მისი ქვითინი შემოგვესმა. იგი ელექტრობოძს მიყრდნობოდა, თავი ხელებში ჩაერგო, ქვითინებდა და ბალღივით თრთოდა.

- ვაიმე, ტირის! - გაოცდა ნანარი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ვიცი.
- მთვრალია?
- დიახ.
- მე მთვრალებისა მეშინია, მაგრამ მანუკისა – არა, – თქვა და მისკენ წავიდა, მიუახლოვდა, მხარზე წაეტანა, – რა მოხდა, მანუკ? – ალერსიანად ჰკითხა, – რა დაგემართა?
მანუკმა მხარი წაართვა.
- გამიშვი ხელი! გამიშვი, გამიშვი!
- წამო, მანუკ! - ხმადაბლა სთხოვა ნანარმა.
- თქვენ წადით, – ამოიგმინა მანუკმა, – თქვენ წადით და მეც გამოგყვებით, წადით-მეთქი, რა გინდათ ჩემგან, რა?
- მოეშვი, – ვუთხარი ნანარს.
- კი მაგრამ, რომ ტირის? – ცრემლი გაერია ხმაში ნანარსაც.
- ეგ არაფერი, – ვუთხარი მე, – ეგ არაფერი. წაუტიროს ცოტა, გულს მოიოხებს და დამშვიდდება.
მანუკი ბოძს მოწყდა, ჩემკენ წამობანცალდა. თვალებზე ისევ ისე აეფარებინა ხელები - ჯერ ისევ ტიროდა.
- დავმშვიდდები, არა? - ხრინწიანი ხმით მკითხა, - დავმშვიდდები... გეგონოს... რა დამამშვიდებს, რა? არა და არა! მე განწირული, დაღუპული კაცი ვარ.
- მორჩი, ერთი! - ვუყვირე, – რა გააწყალე გული. რა ვაი და ვიში დააყენე. რა მოხდა ამისთანა, რა მოხდა-მეთქი?
- მეტირება და ვტირი. ქვეყანა დავაქციე? თუ ვტირი, ჩემთვის ვტირი. თქვენ ციხე-კოშკები გენგრევათ ამით?
- არა, სატირალი რა გვაქვს, თორემ, კი! - ისევ სცადა მანუკის დამშვიდება ნანარმა.
- არა, ნანარ-ჯან, არა, შენ არ იცი, ახლავე გეტყვი, რაც მატირებს. შენ ხომ ნახე ნვარდის ოჯახი. ნახე ხომ? ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ სისხლით სხვადასხვა ადამიანები. ისინი რომ ასი წელი გცნობოდა და თვითონ არ ეთქვათ, ფიქრად თუ გაივლებდი, რომ ერთმანეთის ნათესავები არ არიან, სისხლით სხვადასხვანი არიან? არასოდეს! ნვარდის მამა მხოლოდ მდგმური იყო ამ დედაბრისა. მან ნვარდი საბავშვო სახლიდან გამოიყვანა. გესმის, თუ არა? ჰოდა, ცხოვრობენ ისინი ერთად, უგებენ ერთმანეთს, ერთად მღერიან. თქვენ ხომ არ გესმით, რამხელა ბედნიერებაა ეს, არ გესმით და ვერც ვერასოდეს გაიგებთ!
- რატომ ლაპარაკობ ასე, ჩვენც გვესმის ეს, მანუკ, - შეესიტყვა ნანარი.
- არა, ნანარ-ჯან, არა, ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც უბედურია. მე შემიძლია ამის გაგება. ვიცი, ნანარ-ჯან, - უცებ ალერსი ჩაეღვარა ხმაში მანუკს, - ვიცი, ჩემო დაია, ვიცი, რომ მამა არ გყავს. მაგრამ შენ ხომ უმამო არ გქვია, ხომ ასეა? მამაშენზე რომ გეკითხებიან, რას იხსენებ, მითხარი? რას და იმას, რომ იგი კეთილი, ძალიან კეთილი იყო, სამსახურიდან რომ მოვიდოდა, მუხლზე შემოგისკუპებდა, მღეროდა და ამ სიმღერით თავის დაკარგულ, უცხოეთში დარჩენილ სამშობლოში ტიროდა. აი, შენ ახლა ტირი, მე კი მშურს შენი, მშურს ეს ტირილი, რადგან შენ თვალწინ გიდგას შენი კეთილი, პატიოსანი მამა. მე კი არაფერი მაქვს მოსაგონარი, არაფერი! - და ძალზე ჩუმად, ჩურჩულით დასძინა, - წინა შაბათს ჩემს თანაკურსელს დედა მოუკვდა. სასაფლაოდან ყველანი წამოვიდნენ, ბუნებრივია, ჩემი ამხანაგი კი დარჩა, საფლავს ძლივს ააგლიჯეს. ქვითინებდა, რაღაც საოცრად ალერსიანი სიტყვებით ეფერებოდა დედამისს. უშენოდ როგორ უნდა ვიცოცხლოო, ჩემთვის ყველაფერი გათავდაო. მეც თუ გული არ გამისკდებოდა, არ ვიცოდი, მერე მოვერიე თავს, ავაყენე ფეხზე ის ჩემი ძმაკაცი. „შენ სატირალი რა გაქვს-მეთქი, შენ დედა გყავდა, გიყვარდა, უყვარდი, შენით

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ხმარობდა, თავს გევლებოდა, თუ ვინმე დაჩაგვრას მოგინდომებდა, გიცავდა. თუ ნამეტანს იცელქებდი, ყურს აგიწევდა. ერთი სიტყვით, ისიც ბედნიერი იყო და შენც. დედაჩემმა კი ჩემთვის ყურის აწევაც ვერ მოასწრო, თუ გესმის-მეთქი? ჩემთვის ნათესაურად ერთხელაც არავის წამოურტყამს თავში, დედა თვალით არ მინახავს, მხოლოდ წიგნებიდან და სხვების დედების შემხედვარემ ვიცი, დედა რაცაა, დედაჩემმა ერთხელაც ვერ მოასწრო ჩემი გულში ჩახუტება-მეთქი“.

ახლა მისი გაჩერება შეუძლებელი იყო. მისი სულის ბორგვას დუმილი არ შველოდა.

- პეტროს-აირიკმა თქვა, ერთმანეთის ნათესავები ჩვენ არ ვართ, უცხონი ვართო. ერთმანეთისათვის უცხო ხალხი იმას თვალით არ უნახავს. ეგ ხომ ჩვენსა, ჩვენს სახლში არ ყოფილა. მე მშობელი მამა მყავს და ყველა მეუბნება, გასაოცრად ჰგავხარო. ძმები მყავს, სულ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით და არც ერთ ჩვენთაგანს არ ესმოდა მეორისა. ერთმანეთისათვის ისე უცხო ადამიანები, ჩვენ რომ ვართ, არასოდეს მინახავს. მე იმათ გავექეცი, საერთო საცხოვრებელში გადავედი, რომ მეგობრები მაინც მყოლოდა. საერთო საცხოვრებელში რატომ უნდა მეცხოვრა? რატომ უნდა დამემალა, რომ ერევანში სახლი მქონდა, რატომ უნდა გადავდიოდე ქუჩის მეორე მხარეს, როცა ჩემს შესახვედრად მოდის კაცი, რომელსაც მე საოცრად ვგავარ, მამაჩემი, რომელიც მე მიყვარს, მაგრამ რომელსაც მხოლოდ შორიდან მინდა ვუყურებდე, რომელთანაც ლაპარაკი არ მინდა, რადგან ყოველი ჩვენი საუბრის შემდეგ ვგრძნობ, რომ უფრო და უფრო უცხო ვხდებით ერთმანეთისთვის.

მანუკს კიდევ უნდოდა რაღაც-რაღაცეების თქმა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო და თავჩაქინდრული, სახეზე ხელებაფარებული, ბორძიკ-ბორძიკით გაუყვა გზას.

- საწყალი ბიჭი, - მანუკის ცოდვით დაიწვა ნანარი, - წამო, არტ-ჯან, დავეწიოთ, მარტოკას ნუ დავტოვებთ...

- წამო...

მალე დავეწიეთ და ერთად გავუყევით გრძელ, უსაშველოდ გრძელ ქუჩას. ახლოს, ჩვენს ფეხებთან ყრუდ, ალერსიანად ღუღუნებდა ტრამვაის რელსები. ალბათ, სადღაც ახლოს, ქალაქში დაქროდნენ გაბრდღვიალებული, მხიარული ტრამვაები.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეთვრამეტე თავი
იქნებ, ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება

უკვე ერთი კვირაა, რაც ფელეტონი გამოქვეყნდა. ამ ერთ კვირაში იმდენი რამ მოხდა, რომ სიხარულისაგან თავი დამავიწყდა. რა სასიამო, მშვენიერი რამაა სახელი და დიდება! არასოდეს მიფიქრია, ჩემს ნათესავებსა და ნაცნობებში ამდენი ვინმე თუ კითხულობდა გაზეთს. ბევრი მათგანი უფრო ალერსიანი, უფრო სალმიანი გახდა ჩემდამი. პირველი, რაღა თქმა უნდა, მამაჩემი იყო: ნება მომცა, ამას იქით ღამღამობითაც მემუშავა არა სამზარეულოში, არამედ ოთახში. შვილო, რანდენ ხანსაც გინდა, იმუშავე, მე კი კედლისკენ გადავბრუნდები, საბანს წავიხურავ და დავიძინებო. მამა, კარგი, გასაგებია, მაგრამ... ბელა გრიგორიევნა!.. ორშაბათ დილით სამსახურში, ჩვეულებრივ, ველოსიპედით გავემართე და თხუთმეტი წუთის დაგვიანებით მივედი, რადგან საკავშირო დათვალიერებაზე გამგზავრების დღე ახლოვდებოდა და ვარჯიშების გაცდენა არ შეიძლებოდა, შეშინებულმა აქეთ-იქით მიმოვიხედე და სწრაფად გამოვაღე ჩვენი ყარაულის, დეიდა პაშას სენაკის კარი, რათა ველოსიპედი მიმემალა, რომ პირისპირ შევეფეთე... ბელა გრიგორიევნას. მოულოდნელობისგან გავოგნდი და მისი რუსულ-სომხური საყვედურების მოსასმენად გავემზადე, მაგრამ ფანტასტიკური რაღაც მოხდა: ბელა გრიგორიევნამ კეთილად გამიღიმა.

- გამარჯობა, არტაკ! - მომიალერსა რაიკომის მდივნის მრისხანე თანაშემწემ, - მიადგი, ეგერ მიადგი, ველოსიპედი, პაშა! - მიუბრუნდა ყარაულს, - გეთაყვა, უარს ნუ ეტყვი არტაკს. უკეთესი ადგილი ველოსიპედის დასაყენებლად არსადაა... ვარჯიშობს კაცი, მალე შეჯიბრებაზე უნდა გაემგზავროს.

- რასაკვირველია, რაღა თქმა უნდა, აბა, როგორ... - ვერაფერი გაეგო დეიდა პაშას.

- დიდი მადლობა, ბელა გრიგორიევნა, დიდი მადლობა, - გული ამიჩუყდა მე.

- არაფრის, - ისევ გამიღიმა ბელა გრიგორიევნამ, - სწორად უნდა გამიგო: როცა მეგობრულად გსაყვედურობდი, ველოსიპედით ნუ დადიხარ-მეთქი, შენს ავტორიტეტს ვუფრთხილდებოდი. მაგრამ სხვა გამოსავალი თუ არაა, რა გაეწყობა, უნდა შევურიგდეთ ამნაირ ვითარებას, - და მხარზე მომითათუნა ხელი.

როცა კიბისკენ წავედი, ბელა გრიგორიევნამ მომაძახა: - ხო, არტაკ, მინდოდა მეკითხა და დამავიწყდა: გუშინდელი ფელეტონის ავტორი მართლა შენა ხარ?

- მე ვარ, ბელა გრიგორიევნა.

- ძალიან კარგია, ძალიან, - გაუხარდა, - არ მეგონა, შენ თუ ასეთი გაბედული იყავი... ფელეტონის გამოქვეყნებიდან ორი თუ სამი დღის შემდეგ ჩვენმა რაიკომის მდივანმა სარქისიანმა შემიყვანა თავისთან და მე, არ ვიცი, რა ბუზანკალი შემიჯდა, მომინდა გული გამეხსნა მისთვის და სულ მეთქვა, რაც არ მასვენებდა. ალბათ იმიტომ, რომ მდივანი დიდხანს, გულთბილად მელაპარაკა ფელეტონზე, ციტატებიც მოიყვანა იქიდან, ბევრი იცინა, სიამოვნებისგან მაგიდას ხელი ურტყა და ბოლოს განმიცხადა, შენგან ნამდვილი ფელეტონისტი გამოვაო.

- შენ ნიჭიერი კაცი ხარ, არტაკ, ნიჭიერი, - მითხრა მან, - შენი ადგილი, რაღა თქმა უნდა, გაზეთშია, მაგრამ ტყუილად იმედი ნუ გექნება, რომ მე აქედან გაგიშვა. კარგად იცი, ჩვენ შენი მუშაობით კმაყოფილი ვართ და ისევ წარგადგინეთ საკავშირო ქების სიგელზე. ახლა ამ ფელეტონის წარმატებით ფრთაშესხმულმა ჩვენგან გაქცევა არ მოინდომო. დამიჯერე, რაიკომში მუშაობა დიდ გამოცდილებას შეგძენს. ეს გამოცდილება კი წინ დაგხვდება, გაზეთში გამოგადგება. ბოლოს და ბოლოს, აქედან წერე სტატიებიცა და ფელეტონებიც, ცოტა გვაქვს დასაწერი, თუ? გულზე ხელი დაიდევი და მითხარი - მართალი არა ვარ?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- მართალი ხართ, ამხანაგო სარქისიან.
- ჰოდა, სხვა რა გინდა? ხომ ხედავ, რომ ყველაფერი კარგად ეწყობა, - გაიღიმა სარქისიანმა, - შეჯიბრებები როდის იწყება?
- თხუთმეტი დღე დარჩა.
- იქაც გაგიშვებ. წახვალ, გაისეირნებ, გულს გადააყოლებ, ჩამოხვალ და ისევ ერთად გავაგრძელებთ საქმეს. ძნელი პერიოდი გველის: ეზოს ბანაკები უნდა დავაარსოთ.
მე გავაცანი ინფორმაცია, უკვე რა გაკეთდა ამ მიმართულებით და როცა პირველი თვის ღონისძიებათა პროგრამა წარვუდგინე, სარქისიანი გაოცდა.
- ამდენი რამე მოასწარი? არა, აქედან შენი გაშვება მართლაც არ შეიძლება! - პროგრამა თითქმის ბოლომდე რომ ჩაიკითხა, უცებ, სიცილი წასკდა, - იცი, რატომ გამეცინა? წუთით დამავიწყდა, რას ვკითხულობდი და გამიკვირდა, - რატომ არ მეცინება-მეთქი, - ისევ გაიცინა, - ძალიან სასაცილოდ დაწერე, სასაცილოდ და მწვავედ, უღმერთოდ მწვავედ. კითხულობ და არ იცი, იტირო თუ იცინო.
აი, ამ დროს იყო, რომ მისთვის გულის გადაშლა მომინდა.
- აი, სწორედ ამისი მეშინია, ამხანაგო სარქისიან, არ ვიცი, ამხანაგი ბადამიანი გაიცინებს თუ გაბრაზდება.
- ვინ ბადამიანი?
- ქალაქკომის მდივანი.
- ქალაქკომის მდივანი?.. კი მაგრამ, ამხანაგ ბადამიანს შენს ფელეტონთან რა ხელი აქვს?
- ვეზირიანი მისი მეგობარია, - ვუთხარი მე.
სარქისიანის სახეს ფანჯრიდან შუქი სცემდა და მე დავინახე, როგორ წამში გაფითრდა, როგორ ჩაუქრა სახეზე ღიმილი და რაღაცნაირად გაეყინა თვალები. უმიზეზოდ გამოაღო მაგიდის შუა უჯრა, დაიხარა და შიგ ჩაიხედა, რათა დაბნეულობა დაემალა. და როცა ლაპარაკი დაიწყო, უკვე სხვა ხმა ჰქონდა:
- ვინ გითხრა?
- ვიცი!
- იმან იცის, რომ შენ იცი?
- იცის.
- და არ სცადა, ფელეტონის დაბეჭდვა დაეშალა?
- გახსნილად არა, მაგრამ ზოგიერთი რამით, საერთო დამოკიდებულებით ვგრძნობდი, რომ ეს უნდოდა.
- პირადად გელაპარაკა?
- შესაძლოა, არ გახსოვდეთ, თქვენი ბრძანება იყო, გრიბოედოვის სახელობის სკოლიდან პირდაპირ, სასწრაფოდ წავსულიყავი ქალაქკომში.
- ხოო! - თქვა სარქისიანმა, – რაღაც ამდაგვარი მახსენდება.
წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან, რომლის მიღმა მზე და გაზაფხული იყო და დიდხანს გასცქეროდა ქუჩას. მომეჩვენა კიდეც, მე სულ დავავიწყდი-მეთქი. წამოვდექი და, განაწყენებული, კარისკენ წავედი.
- საიდან დაასკვნი, რომ იმას ფელეტონის დაბეჭდვა არ უნდოდა? - უცებ მომიბრუნდა სარქისიანი.
- მითხრა, ქალაქკომის განყოფილების გამგედ მინდა დაგნიშნოო. შემდეგ ვეზირიანმა გამომიცხადა, ეგ სულ ჩემ გამო კეთდებაო. საიდან უნდა სცოდნოდა, იმ დილით რაზე მელაპარაკა ქალაქკომის მდივანი?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

სარქისიანი გაოცებით, რაღაც სხვანაირად შემომცქეროდა, თითქოს პირველად მხედავსო. მაგრამ მის თვალებში მარტო გაოცება არ იყო. მე მათში დავინახე ინტერესი და, სინდისს გეფიცებით, რაღაცნაირი შური თუ ნიშნისმოგება, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ იმას კი დაბეჯითებით ვიტყვი, რომ რაღაც სხვანაირი, უჩვეულო თვალით შემომხედა, როცა მკითხა:

- შენ ეს ყველაფერი იცოდი და მაინც გადაწყვიტე, ფელეტონი დაგეწერა?
- აბა, რა უნდა მექნა? - მხრები ავიჩეჩე.

სარქისიანი ისევ ისე, სხვანაირად, უჩვეულო თვალით მიცქეროდა. ისევ მიუჯდა მაგიდას, ისევ გამოაღო უჯრა, მაგრამ აღარ მიუკეტავს, რაღაც ბლოკნოტი გამოიღო და თქვა:

- აბა, შევუდგეთ მუშაობას, თორემ იმდენი საქმე დაგვიგროვდა, რომელი ერთი გააკეთო, არ იცი კაცმა. ხომ ასეა?

არაფერი მიპასუხია, რადგან ამის აუცილებლობა არ იყო. ზურგს უკან ფრთხილად მოვიხურე კაბინეტის ტყავგადაკრული კარი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეცხრამეტე თავი
გადარეული გაზაფხული

გადარეული, გადარეული გაზაფხული. ამინდი დღეში ათჯერ იცვლება. სულ ცოტა ხნის წინათ წვიმდა და მიხაროდა, ჩავიცვამ ჩემს ახალ შავ პლაშჩს და რაიკომიდან გავალ-მეთქი. ახლა კი ცა ისე მოსარკულია, ვერ დაიჯერებთ, სამყაროს შექმნის დღიდან აქამომდე ღრუბლის ფთილა თუ გაფაჩუნებულა ზედ წუთით მაინც. რა გაეწყობა, უნდა გადავიკიდო მკლავზე ის ჩემი ახალთახალი პლაშჩი და ვიარო თაკარა მზეში.
ეშმაკი დამცინოდა, თუ რა იყო, არ ვიცი, ვერცერთხელ ვერ ჩავიცვი ეს ახალი პლაშჩი. როცა წვიმდა, ხელთ არ მქონდა, როცა არ წვიმდა, მაშინ - იცოცხლეთ! შესაძლოა, იმიტომაც, რომ როცა შარშან, ტულაში ვიყიდე, მზიანი დღე იყო. რა ვიცი! პირდაპირ ცრუმორწმუნედ მაქცია კაცი. საკმარისია ჩავიცვა, რომ ღრუბლის ნასახიც გაჰქრეს ციდან.
- რაკი არტაკმა პლაშჩი ჩაიცვა, შეგვიძლია გავიხაროთ, - ანგლობენ ჩვენი გოგოები.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რომ გაიგოს მაგ შენი ჯადოსნური ლაბადის ამბავი, არ მოგეშვება, ყელამდე ფულში ჩაგსვამს, - მაიმუნობენ ბიჭები.
მაგრამ ყველაზე მეტად ვარდკესია ჩემზე გადაკიდებული.
- რატომ მაინცდამაინც მზიან ამინდში იცვამ პლაშჩს? - ხმამაღლა, გამვლელების გასაგონად მეკითხება იგი.
- იმიტომ რომ წვიმაში ჩემი ძმა იცვამს, - მგონი, არ ვიბნევი მე.
რას ერჩი, იცინის ხალხი, სიცილი კი სტუდენტისთვის აუცილებელი კალორიაა, რადგან, როგორც ერთმა მაძღარმა მეცნიერმა ბრძანა, ჯანსაღი სიცილი ქათმის ორ კვერცხზე მეტ კალორიას შეიცავს...
ნანარი ქუჩის გადაღმა მელოდება. ხასხასა წითელი კაბა ძალიან უხდება. თუმცა, რა არ უხდება ნანარს? შორიდანვე მიღიმის და გული ნეტარებით მევსება, იმიტომ რომ ნანარი ამქვეყნად მხოლოდ მე მიღიმის. ნანარი დგას და მე მელოდება!
- მეშინია, არტ! - ოხრავს ნანარი.
- რისი გეშინია? – ვეკითხები, - ევგინე კი არ იკბინება.
- გიჟი ხარ! - პაწია მუშტს მკლავზე მირტყამს, - როგორ ლაპარაკობ შენს დაზე?
- ცოტაც მოითმინე და შენი ყურით გაიგონებ, ეგ როგორ ლაპარაკობს ჩემზე.
ნანარი ჩვენთან, სახლში მინდა მოვიტყუო და ვეუბნები, მამა და დედა სოფელში წავიდნენ და შინ მხოლოდ ევგინეა-მეთქი. ძველისძველი, მრავალნაცადი, უბოროტო ტყუილია. ევგინეს ერთი სული აქვს, როდის გაგიცნობს და ამაზე მარჯვე დროს ვერ ვნახავთ-მეთქი. სხვა გზა არა მქონდა. რამდენჯერ დავაპირე სახლში მიმეყვანა, მაგრამ ვერასგზით ვერ დავითანხმე. როგორც კი ამაზე ჩამოვუგდებდი სიტყვას, ნანარი წითლდებოდა, იშმუშნებოდა და ერთი-ორჯერ ლამის გამექცა. ჩემს მშობლებს კი, ბუნებრივია, მისი ნახვა უნდოდათ.
გუშინ უკვე კი არ მთხოვეს, მიბრძანეს, რომ ნანარი მიმეყვანა. საღამოს პირველი ჰონორარი მივიტანე სახლში. ვიცოდი, რომ საკმაოდ მოზრდილი თანხა იქნებოდა, მაგრამ უწყისში რასაც ხელი მოვაწერე, იმდენი თუ იქნებოდა, ფიქრადაც არ მომსვლია. რედაქციის კიბეზე რომ ჩავდიოდი, მეგონა, საფეხურებიც კი გრძნობდნენ, რომ ამ წუთში მე ერთადერთი უბედნიერესი და უმდიდრესი ადამიანი ვიყავი დედამიწის ზურგზე. და მეც ისე მოვიქეცი, როგორც უნდა მოქცეულიყო უბედნიერესი და უმდიდრესი ადამიანი; მივაფურთხე ეშმაკს, პირველივე ჩამოვლილი მანქანა შევაჩერე, „ძირს სიღატაკე“-მეთქი და მძღოლს დარდიმანდული არხეინობით ვუთხარი, ერთი, თუ კაცი ხარ, კნუნიანცის ქუჩაზე მიმაგდე-მეთქი...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ფული დედას მივეცი და მანაც კიდევ ერთხელ დამიმტკიცა, რომ სასწაულად პრაქტიკული ქალი იყო, მაშინვე შალი მოიხურა და მაღაზიაში წავიდა, საიდანაც რაღა არ მოიტანა. ხალისიანად შემოვუსხედით მაგიდას და მაშინ იყო, რომ ის მოთხოვნა წამომიყენეს, რომელმაც ტყუილი მაკადრებინა.

- შვილო, - მითხრა დედამ, - სანამ ფული გვაქვს, მოიყვანე ის გოგო სახლში, გაგვაცანი. რიგიან სუფრას გაგიშლი, არ შეგარცხვენ... მოიყვანე, არტაკ-ჯან, მოიყვანე.
- ვინ გოგო მოვიყვანო? - ერთი კი მოვიკატუნე თავი.
- კარგი, ჰო, გეყოფა, - თავი გაიქნია დედამ, - მთელმა ქვეყანამ ნახა, ჩვენღა დავრჩით...
- არ მოდის, დედიკო, - ვუთხარი მე, – არ მოდის და რა ვქნა? მრცხვენიაო, ამბობს.
- კარგია, რომ არ მოდის, კარგია, რომ რცხვენია, მაგრამ შენ უნდა მოიყვანო.
- თუ არ მოდის, რა ვქნა?
- თუ მოისურვებ, მოიყვან კიდეც, - არ მომეშვა დედა.

რა ჩემი ბრალია, ყველა დედას თუ ჰგონია, რომ მათ შვილებს ამქვეყნად ყველაფერი შეუძლიათ. მეც სხვა გამოსავალი არ მქონდა. მაპატიე, ნანარ!

...ფიქრებში წასული ნანარი გვერდით მომყვება და ხმას არ იღებს.

- რა დაგემართა, ნანარ?

ნანარმა ერთი შემომხედა და, საგონებელში ჩავარდნილმა, მკითხა:

- სახლში რომ სხვებიც იყონ, რა ვქნათ?
- სხვა ვინ უნდა იყოს? ეს გამორიცხულია, - თვალის დაუხამხამებლად მოვუჭერი მე.
- ვინმე რომ შემოვიდეს?
- ვინ უნდა შემოვიდეს? - ვიცინი, – კარს ჩავკეტავთ და როგორ შემოვლენ.
- თქვენი მეზობელი ქალი რომ...
- იმასთან კარგახანია უბრადა ვართ.

ნანარი ცერად მიყურებს, უნდა დარწმუნდეს, მართალს ვეუბნები თუ არა, მაგრამ სახეზე ერთი ძარღვიც არ შემტოკებია და ისიც მშვიდდება.

ჯერ დღის სინათლეა და, როგორც წესი, ჩვენი სახლის კარი ღიაა. ნახევრად ჩაბნელებული დერეფანი ფრთხილად გავიარეთ, ვგრძნობ, რომ ნანარი უფრო და უფრო იძაბება, მერე ჯიქურ ვაღებ კარს, ჩვენი ოთახის კარს! ვაღებ და ნანართან ერთად მეც ვშეშდები. მაგიდას მამაჩემთან და დედაჩემთან ერთად უსხედან მამიდაჩემები - ვარსენიკ და ნოემზარ - და რაღაცას ჰყვებიან გატაცებით. იატაკზე დევს მათი ხორაგეულითა და შინ ნაქსოვი წინდებით გამოტენილი თავმოკრული ხურჯინები. ჩვენ უკან კი დგას ევგინე, რომელიც ეს-ესაა სამზარეულოდან გამოვიდა. სხვებისგან ჩუმად გვერდში ქიმუნჯს მირტყამს და ძალზე თავაზიანად ამბობს:

- მობრძანდით, მობრძანდით, გთხოვთ!

უკან დასახევი გზა მოჭრილია. შევდივარ, ნანარისთვის მაგრად მაქვს ხელი ჩავლებული და... იწყება რიარია. ვიღაცა ნანარს იხუტებს, მამიდაჩემები კი მე მკოცნიან ქსუტუნ-ქსუტუნით, დიდხანს, დიდხანს მკოცნიან. მათ ტანსაცმელს ქლიავის, თივისა და ახალჩამოწველილი რძის, ჩემი ბავშვობის მოგონებების სუნი უდის, და მეჩვენება, საკმარისია თავი ავწიო, თვალი დავხუჭო და მაშინვე ვიქცევი ფეხშიშველა, მზისგან დახრუკულ ბიჭუნად. თაროდან დავითრევ პურის ნატეხს, ქილიდან ყველის ნაჭერს ამოვიღებ, გავვარდები გარეთ, გზა-გზა ქათმებს შიშის ზარს დავცემ, ერთხანს ყანის შუაგულში გამავალ ვიწრო ბილიკზე ვირბენ სულმოუთქმელად, მერე ყვითელ და მიწარბილ გზაზე გავალ და ყიჟინით მივიჭრები კალოზე, სადაც ჩემი ძმაბიჭები მელოდებიან, სადაც თითქოს ღმერთს შესაწირავს სწირავენო, ოქროს მარცვლებით სავსე ნიჩბებს ისვრიან ცაში...

...და ამ დროს ერთი მამიდა მეუბნება:

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ეს ლამაზი გოგო ჩვენი არტაკის საბედო ხომ არ არის?
არ ვიცი, ვინა სთქვა, „ხო“, პირადად მე ხმა-კრინტი არ დამიძრავს, მაგრამ დავინახე, რომ ნანარი მამიდებმა გულში ჩაიკრეს და ჩაიხუტეს. შემდეგ დედაჩემმა ნანარს შუბლზე აკოცა, შეჰღიმა, რაღაც უთხრა, ჩაიხუტა და უცებ ჩუმად ატირდა. მერე, ვაითუ ცუდად გამიგონო და მაშინვე გაიღიმა, თუმცა, ცრემლი ისევ ჩამოსდიოდა გაბადრულ შემჭკნარ სახეზე. და როცა ნანარი დაიხარა და დედას აკანკალებული ხელები დაუკოცნა, მე დავინახე, რომ ისიც დედაჩემივით ტიროდა, და გულს მომეფონა, რადგან ვიცი, ქალები ერთად მაშინ ტირიან, როცა ერთმანეთს უგებენ, როცა ერთმანეთი უყვართ და, ცოტათი, ალბათ, ებრალებათ ერთმანეთი.
მამამ იგრძნო, რომ უკვე დრო იყო, სადავეები ხელში აეღო, ხმამაღლა ბრძანა, სუფრა გაეშალათ, თავში დაჯდა, ყველას ღვინო დაუსხა, გაახალგაზრდავებულმა, სახეგაბადრულმა, სასმისი ასწია და აღელვებულმა ცას ააპყრო თვალები:
- დიდება შენს სახელს, ღმერთო!
- ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! - მაშინვე აჰყვა ერთი მამიდა.
- ამინ, დაილოცოს მისი სახელი! - არც მეორე მამიდა ჩამორჩა.
დედამ კი მამას მიუჭახუნა ჭიქა:
- გაგიმარჯოს, ადამიანო, გაგიმარჯოს!
- რასაკვირველია, შენი ღმერთი ხომ ჩემი ძმაა, - გადაჰკრა დედაჩემს უფროსმა მამიდამ.
- დიახ, - მიუგო ჩემმა წარმართმა დედამ, - ყველას უნდა ჰყავდეს თავისი ღმერთი.
ბუნებრივია, რომ მთელი სუფრის განმავლობაში, სხვებისგან მალულად ნანარისთვის თვალი არ მომიცილებია. ვწრიალებდი, აქამდე მისთვის ამ უცნობ ხალხში თავი შებოჭილად არ იგრძნოს და სამერმისოდაც არ ჩაეჭრას გულში შიში-მეთქი. მაგრამ, ჩემდა მოულოდნელად, ახლაც, ისევე როგორც ყოველი ახალი და ახალი შეხვედრის დროს, თითქოს სულ სხვა ნანარი დავინახე. მშვიდად, ძალზე ღირსეულად ეჭირა თავი და სულ დამავიწყდა, ან მას ან მე რაიმესი თუ გვეშინოდა. და ისევ აღტაცებით გავიფიქრე, რომ ჩემს ნანარს, ჩემს ფაქიზ და უმწეო ნანარს, შეუძლია მაგრად დახვდეს მოულოდნელობას და იგი ბედის ზიგზაგებს არ შეუშინდება.
ახლა ევგინე შეთქმულივით რაღაცას ჩურჩულით ესაიდუმლება ნანარს და გოგონაც ჩუმად, თავისთვის იცინის. საინტერესოა, ჩემზე ხომ არ უყვება რაიმე სასაცილო ამბავს. არა უშავს, დამაცა, სტუმრები წავიდნენ და მოგივლი მე შენ! მაგრამ სტუმრების წასვლამდე ვერ მოვითმინე და ნანარის შეუმჩნევლად ზურგზე ვუჩქმიტე ევგინეს. მან წამოიკივლა.
- რა მოხდა? - კითხულობს მამაჩემი.
- არტაკმა მიჩქმიტა, - მაშინვე გამყიდა ევგინემ.
- არტაკმა? - გაუკვირდა მამაჩემს.
- აბა, ნუ ყვება ჩემზე სისულელეებს და ხალხს ნუ აცინებს აქ...
ყველა იცინის, მაგრამ ყველაზე მეტად - მამაჩემი. რაღაც სასწაულად გულიანად იცინის მამა: გულიდან მოვარდნილი, ლაღი სიცილით.
- მე კიდე, მგონია, დავაჟკაცდა-მეთქი! არადა, ქალის შერთვა არ მომინდომა!
ეჰ, მამაჩემო, მამაჩემო, აგეთი რამეების თქმა როგორ შეიძლება? ყველა მაშინვე ნანარს მიაჩერდა და იმ საწყალსაც სახე მთლად თავისი ხასხასა წითელი კაბისფერი გაუხდა. ჩვენებს ეჩვენებათ, ნანარს აქამდე საჭირო ყურადღება ვერ მივაქციეთო და აყრიან და აყრიან კითხვებს.
- საიდანა ხარ, შვილო? - ეკითხება უმცროსი მამიდა.
- აქაური ვარ, ერევნელი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- მშობლები ძირით საიდან არიან?
- ვანიდან.
- ვაიმე! - შეიცხადა მამიდამ, - ლტოლვილები არიან?
- ჩვენი ეფრემას გეხუშივით არიან? - ეკითხება უფროსი მამიდა უმცროსს.
- ჰო, - უმოწმებს უმცროსი და ისევ ნანარს ეკითხება, - ჩემო გოგონი, აბა, თქვენც სხვა ენაზე ლაპარაკობთ?
- იქ სხვა დიალექტი აქვთ, - იცინის ნანარი.
- როგორ თუ სხვა აქვთო? - უკვირს უფროს მამიდას, - განა ლტოლვილები ერთ ენაზე არ ლაპარაკობენ?
მამაჩემმა შეატყო, რომ საჭიროა ზოგ რამეს ნათელი მოეფინოს და არაჩვეულებრივი გაცნობიერებით გვიყვება სომეხთა ჟლეტის, მტრისგან მათი ქალაქების დაქცევისა და სოფლების გადაწვის, უდაბნოში ლტოლვილთა ქარავნების ჩახოცვის ამბებს.
- შენ საიდან იცი, ყველაფერი ეს, მამა?
- მეც ვიბრძოდი ყარსში, - ამბობს მამა.
- აქამდე რატომ ერთხელაც არ გვიამბე არაფერი...
- ბრძოლა და ომი ზღაპრები კი არაა, შვილო.
- ნანარის მამა, - ვამბობ მე, - ერთი მათგანია, ვინც შატახის ხიდს გმირულად იცავდა.
- ყველა ვანელი გმირია, - მეთანხმება მამა, - და ჩვენი ბრალი არაა, რომ მთელ დედამიწაზე ვართ დაფანტულნი. რას საქმიანობს მამაშენი, შვილო? - ეკითხება იგი ნანარს.
ნანარი თავს დაბლა ხრის და მე ჩემიანებს ვეუბნები, რომ ნანარს მამა არა ჰყავს, რომ სულ ექვსი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა.
დედაჩემი და მამიდები სინანულით, თანაგრძნობით აქნევენ თავს აქეთ-იქით და ნანარს რომ მწუხარება შეუმსუბუქონ, მაშინვე, თითქმის ერთხმად, აწვდიან ვინ - რას და ვინ - რას და მიირთვიო, აძალებენ. მამიდა ნოემზარი ორ ქათქათა შალის წინდას უწვდის ნანარს და სთხოვს, დედაშენს წაუღეო: თბილებია, სიცივეში ფეხები არ გაეყინებაო.
ნანარს თვალს არ ვაცილებ, ახლა უკვე ძალიან მეშინია, არ აქვითინდეს და თვალს ვუკრავ, ვანიშნებ, ჩვენი წასვლის დროა-მეთქი. მაშინვე დგება, წინდებს ართმევს მამიდაჩემს, მადლობას ეუბნება, მოხდენილად, დედოფალივით გრაციოზულად უკრავს თავს ყველას და კარისკენ მიემართება.
ყველა ფეხზე დგება და მამაჩემი ხმამაღლა ეუბნება ნანარს:
- ამ დღიდან უკვე ჩვენი შვილი ხარ, შვილო და ჩვენი სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღია იქნება.
ჭიშკართან ნანარს ვეუბნები, ამ წუთში მოვბრუნდები-მეთქი და ოთახში შევრბივარ.
- როგორი გოგოა? - ამაყად ვკითხულობ, ვიცი, რა პასუხსაც მივიღებ.
- გაგიჟებასა ვარ, ამისთანა კაი გოგოს შენისთანა შერეკილისა რა მოეწონა, - მამაჩემის ამ სიტყვებს საერთო სიცილ-ხარხარი ფარავს და მეც გახარებული გამოვრბივარ ქუჩაში.
აწითლებული, ანთებული ნანარი დგას ტიგრან-ახპარის თიხის ღობესთან და მელოდება.
თამამად ვკიდებ ხელში ხელს და ნელა, აუჩქარებლად მივუყვებით ჩემი ბავშვობის მწვანე ქუჩას. მაგრამ გული ამოვარდნაზე მაქვს, სიხარულმა და ბედნიერებამ ლამის წამლეკოს.
ნანარს ხელს ვუშვებ, დოინჯშემოყრით ვუდგები წინ და გამომწვევად ვეკითხები:
- აბა, რას იტყვი ჩემიანებზე, ნანარ?
ნანარი იღიმება წყლიანი თვალებით და თავის სიცოცხლეში პირველად მიყრის ხელკავს. მე გაოცებისგან პირს ვაღებ, ის ხელს მაფარებს პირზე და მე ფრთხილად, ფრთხილად ვუკოცნი ხელისგულს.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- შენ გასაოცარი მშობლები გყავს, არტაკ, - ფიქრში იძირება ნანარი, - რა მშვენიერი ხალხია, ღმერთო!..
რა თქმა უნდა, მე ეს უიმისოდაც ვიცოდი.
რასაკვირველია, ისიც ვიცოდი, რომ ნანარს მამაჩემი და დედაჩემი მოეწონებოდა, მაგრამ მე ხომ ის მინდა, რომ ნანარმა ისინი შეიყვაროს, აი, მე რომ მიყვარს, ისე შეიყვაროს. ძალიან მინდოდა, ძალიან, რომ ნანარს ეს სიტყვები ეთქვა. ვის შეუძლია გადმოსცეს, რა ხდება ახლა ჩემს გულში?
მაგრამ ამის მსგავსს არაფერს ვეუბნები, ვითომ ამაყად ვიბზეკ ცხვირს და მედიდურად ვაცხადებ:
- რომ იცოდეთ, მე, საერთოდ, ძალიან მიყვარს კარგი მშობლები...
ნანარი იცინის, როგორც ყოველთვის, ჩუმად, მხოლოდ ჩემთვის იცინის და მე უკვე არ შემიძლია ამდენის მოთმენა. სწრაფად ვიხედები აქეთ-იქით და რაკი ირგვლივ არავინ ჩანს, ნანარს ნახევრად მოშიშვლებულ მხარზე ვკოცნი. ნანარი წამოიკივლებს, ხელს მიშვებს, აქეთ-იქით იხედება შეშინებული თვალებით, მაგრამ, რაკი არც ახლა ჩანს ირგვლივ არავინ, ისევ იცინის და თავის პატარა მუშტებს მიშენს:
- გაგიჟდი, გაგიჟდი?!
თქვენ ხომ არ იცით, როცა ნანარი ამას ამბობს, რანაირად ამბობს? ისეთნაირად ამბობს, ლამის მართლაც გავგიჟდე.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მეოცე თავი
დღეს ჩვენი ქორწილია

დღეს ნანარი ნანარ ლევონიანი გახდება.
ეს გუშინ გადაწყდა. როგორც ყოველთვის, სეფესიტყვა მამაჩემმა თქვა, მოვალეობანიც მანვე გაანაწილა. ჩემი ძმა და მისი ცოლი საღამოს ნანარის დედას უნდა ეწვიონ და ხელმოწერის ნება სთხოვონ. მე და ნანარი დილით მმაჩში უნდა წავიდეთ, რათა დოკუმენტურად გავაფორმოთ ჩვენი ქორწინება; მამაჩემმა თავისთავზე აიღო სუფრის გამართვა, რომელზეც ჩვენი ყველაზე ახლობელი ადამიანები შეიკრიბებიან. ვინც რა უნდა, ისა თქვას, დიდი ქორწილის გამართვის საშუალება ჩვენ არ გვაქვს.
- ყველაზე ახლობლები შევიყაროთო... სათქმელად ადვილია. ყველაზე ახლობელიც კი იმდენი გამოდის, ერთ ოთახში როგორ გინდა დაატიო. ვერ დაატევ. ვინ რა თქვა და ვინ რა. ბევრი დავიდარაბისა და მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ერთი დიდი პურობის ნაცვლად სამი მორჩილი სუფრა გაგვემართა. პირველ დღეს, საღამოთი, ჩემი და ნანარის უახლოესი ნათესავები შეიყრებოდნენ, მეორე დღეს - რაიკომისა და თოჯინების თეატრის თანამშრომლები, მესამე დღეს კი ისინი, ვინც პირველ ორ ჯგუფში ვერ მოხვდა, მაგრამ „ახლობელი ადამიანების“ სიაში მტკიცედ იჯდა.
დღეს წვრთნაზე ვერ წავედი. სამსახურში კი მივედი, მაგრამ თავს ძალა ვერ დავატანე მემუშავა. ვისაც ერთი ცოლი მაინც შეურთავს, გამიგებს. ოთახიდან ოთახში დავბორიალებდი, უჯრებს ვაღებდი და ვხურავდი, წარამარა, ქუჩაში გავდიოდი, გამვლელ-გამომვლელებს ვათვალიერებდი და ვცდილობდი გამომეცნო, ვინ ცოლიანი იყო და ვინ - არა. მერე ეს ტვინის ჭყლეტაც მბეზრდებოდა, ისევ ოთახში ვბრუნდებოდი და ვუსმენდი კედლის საათის გულის შემაღონებლად ნელ ტიკტიკს. პირველზე ნანარი მოვა. ახლა თერთმეტია. აღრიცხვის სექტორის გამგისა და პართევს გარდა არავინაა. სარქისიანი და მესროპი ცხრა საათზე ქალაქკომში გამოიძახეს და როდის მობრუნდებიან, არავინ იცის. სარქისიანი კი ჰაერივით მჭირდება: ჯერ ერთი, ნება უნდა დამრთოს, რომ ხელფასი წინასწარ ავიღო და თან, მინდა დავპატიჟო ხვალინდელ ზეიმზე, როგორც პართევი ხუმრობით ამბობს, ქორწილის „მეორე სეანსზე“.
პართევი ძალიან მოუცლელია, ორგანიზაციებში რეკავს გაუთავებლად, საწევროების გადახდის შესახებ რაღაც ფორმა #3 თხოულობს. პართევი უკვე მოვიწვიე, გაუხარდა და შესვენებაზე კითხვები დამაყარა და დამაყარა.
- თოჯინების თეატრიდან ლამაზი გოგონები მოვლენ?
- კარგი ფირფიტები გექნება? ცეკვები თუ წავა?
- პარტიის რაიკომიდან არავისთვის დაგიძახია? ან რედაქციიდან?
- გინდა, ფოტოაპარატს წამოვიღებ.
დაბნეულად, ორიოდე სიტყვით ვპასუხობ, იმიტომ, რომ მთელი ჩემი გულისყური კარისკენაა მიმართული. სარქისიანი ჯერ არ მოსულა. რა ვქნა? ადგილზე ვერ ვჩერდები, ჩემს ოთახსა და მისაღებს შუა დავბორიალობ და მდივან-მემანქანე რიმას უკვე მერამდენედ ვეკითხები:
- რიმა-ჯან, იქნება, არ მოვიდეს, ჰა?
- როგორ შეიძლება არ მოვიდეს? პირველზე ბიურო გვაქვს, უკვე ყველა
გამოვიძახე, - ქაღალდებისგან თავაუწევლად მპასუხობს აშკარად დაღლილი რიმა.
- კი მაგრამ, ასე რატომ აგვიანებს?
რიმა არ მპასუხობს.
- სარქისიანი და მესროპი ერთად გამოიძახეს?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- დიახ, - მეუბნება რიმა, - გუშინვე, სამუშაო დღის ბოლოს დარეკეს, რაიკომის ბიუროს მთელი შემადგენლობა ხვალ დილით ქალაქკომში გამოცხადდესო.
- რატომო, რა უთქვამთ?
- არაფერი უთქვამთ.
მეტის მოთმენა არ შემიძლია. მესროპის კაბინეტში შევდივარ და ვრეკავ ქალაქკომში. აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე? ქალაქკომის მემანქანე-მდივანი მიცნობს და მეტყვის, სარქისიანი სადაც არის. გავიგე - სარქისიანი ეს-ესაა გამოსულა ქალაქკომიდან. ქუჩაში გავდივარ და სადარბაზოსთან ვდგები. პირველის ხუთი წუთია. ზუსტად 55 წუთის შემდეგ მოვლენ ნანარი, მანუკი და ნვარდი. მანამდე ხელფასის აღებას თუ მოვასწრებ? შემდეგ წავალთ რაიაღმასკომში, დერეფანში მოვნახავთ აბრას წარწერით „მმაჩი“, შევალთ ყვავილებით გამშვენიერებულ ნათელ ოთახში და ლამაზი ხანდაზმული ქალი ღიმილით გვკითხავს:
- არტაკ ლევონიან, თანახმა ხართ თუ არა, შეირთოთ ნანარ შახატციანი, მზადა ხართ თუ არა გაიზიაროთ მისი ჭირი და ლხინი და ბოლომდე უერთგულოთ მას?
- თანახმა ვარ, - ვუპასუხებ მე.
თუმცა, არა, ახლა ასე არ ეკითხებიან. მოიცა, ვინმეს უნდა ვკითხო, ჩვეულებრივ, რას ეკითხებიან მექორწილეებს. ხომ შეიძლება უხერხულ დღეში აღმოვჩნდეთ. ჩემს შემდეგ ხანდაზმული ქალი ნანარს მიუბრუნდება და ნანარი, აქედანვე ვიცი, გაწითლდება.
- ნანარ შახატციან, თანახმა ხართ თუ არა...
მანქანის დამუხრუჭების ხმა ქალს ხელს უშლის შეკითხვის დასრულებაში. მანქანიდან სარქისიანი გადმოდის. მასთან არიან მესროპი და ბიუროს სხვა წევრები: უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტების, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნები - ჩემი ამხანაგები. რამდენიმე წელი ვასრულებდით ერთად საზოგადოებრივ დავალებებს რაიკომში, ინსტრუქტორებიც ვიყავით, პროპაგანდისტებიც.
„ამათაც დავპატიჟებ, - დავინახე თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე და სინდისის ქენჯნაც კი ვიგრძენი, - მოვიდნენ, როგორმე დავეტევით...“
მაგრამ ახლა, ამათ გასაგონად როგორ ვთხოვო სარქისიანს, ხელფასის წინასწარ აღების უფლება მომეცით-მეთქი.
ყოველ მათგანს ვესალმები და ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელივით კარის მიმართულებით ვიშვერ ხელს. მაგრამ ისინი უგუნებოდ არიან, დაბნეულნიც კი ჩანან. გვერდით ისე ჩამიარეს, თვალებში არ შემოუხედავთ, ხმაც არ გაუღიათ. ეტყობა, ქალაქკომში გაჯორეს. არა უშავს, ხვალ კარგ გუნებაზე დადგებიან. მაგრამ ახლა როგორ ველაპარაკო სარქისიანს? მაღაზიაში ერთი პატარა, ლურჯთვლიანი ბეჭედი შევიგულე. ხელფასი თუ არ ავიღე, როგორღა ვიყიდო. უბეჭდოდ კიდევ ხელის მოწერა ვის გაუგონია?
მეც კვალდაკვალ მივყევი მდივანსა და ბიუროს წევრებს და როდესაც მდივანმა კარი გამოაღო და ბიუროს წევრები შეუშვა, დრო ვიხელთე:
- ამხანაგო სარქისიან, მინდა გთხოვოთ...
სარქისიანი ჩემსკენ შემობრუნდა და რაღაც უცნაური, დაბინდული, ვერაფრის დამნახველი თვალებით შემომხედა:
- რაო?..
- ამხანაგო სარქისიან, ხელფასის წინასწარ აღების ნება მინდა გთხოვოთ, იმიტომ, რომ...
- შემდეგ, შემდეგ ვილაპარაკოთ, - მეუბნება და თან გვერდზე იხედება სარქისიანი, - ახლა ამისი დრო არაა. რიმა, ბიუროზე მოწვეული ხალხი გამოძახებულია?
- დიახ, - პასუხობს რიმა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- კარგით...
სარქისიანი შევიდა კაბინეტში და ტყავგადაკრული კარი მიიხურა. სეირი თუ გინდა, ესაა! არა, ცოტა არ მეწყინა-მეთქი, ვერ ვიტყვი! ბოლომდე რომ არც მათქმევინა სათქმელი! რა დაცოფილი და დაზაფრული უნდა იყოს ეს ხალხი, რომ ზრდილი და თავაზიანი სარქისიანიც კი ასე გამოვიდეს წონასწორობიდან? ბოლოს და ბოლოს, ასეთი რა უნდა მომხდარიყო? ჩვენი რაიონი ყველაზე მოწინავე თუ არა, მოწინავეთაგანი მაინცაა. ჩვენს რაიკომს ყველგან სამაგალითო რაიკომთა შორის ასახელებენ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. თუმცა, ამხელა რაიონში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, და თუ რამე ისეთი, ცუდი, მართლაც მოხდა, საბოლოო ანგარიშით, პასუხს რაიკომის მდივანი აგებს. წინა მდივანი იმისთვის მოხსნეს, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ერთმა სტუდენტმა სატრფოს ღალატის გამო თავი მოიკლა. იმ მდივანს კომკავშირელთა შორის სანაქებო ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობისთვის თორმეტი საპატიო სიგელი ჰქონდა მიღებული, მაგრამ ქალაქკომის ბიუროს დადგენილებაში ჩაიწერა, რომ მას ხსნიდნენ ახალგაზრდობაში ავტორიტეტის უქონლობისა და რაიონის მოკავშირულ ორგანიზაციებში აუცილებელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაუტარებლობის გამო.
აქამდე საათის ისრები გულისშემაღონებლად თუ მიზოზინებდნენ, ახლა ძალიან სწრაფად მირეკავდნენ. პირველს თხუთმეტი წუთი აკლია, ამდენი დრო როდის გავიდა? საცაა ჩვენებიც მოვლენ. რა ვქნა? მდივნის მისაღებში გამწარებული ბოლთას ვცემ, და ნერვებს მიშლის პართევის ბანიც კი, რომელიც გვერდით ოთახიდან მესმის. რამდენჯერმე მივედი კართან, ბოლოს, გავბედე და ტყავგადაკრული კარის სახელურს წავეტანე, მაგრამ გამოღება ვერ მოვასწარი, რომ უკნიდან ვიღაცამ წამაქეზა:
- გააღე, გააღე!
ნაცნობი ხმაა, ვტრიალდები. ჩემ წინ დგას ქალაქკომის მდივანი კარო ბადამიანი.
- გამარჯობათ, ამხანაგო ბადამიან! - დაბნეულად ვლუღლუღებ და მის წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავს.
- გამარჯობა, არტაკ, - ბადამიანმა გვერდი ამიქცია და რაიკომის მდივნის კაბინეტში შევიდა. „მომესალმა, ესე იგი, გულში ჩადება არ სცოდნია“, - გავიფიქრე სიხარულით. მე კი მისი მეშინოდა. ნეტა, რისთვის მოვიდა? თუმცა, გასაკვირი რაა, ბადამიანი ხშირად ესწრებოდა ჩვენს ბიუროს. მაგრამ ახლა ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ახლა როგორ გინდა, სარქისიანს რამე სთხოვო?
საათმა ყრუდ ჩამოჰკრა და მე კარისკენ ვიცქირები. დერეფნის სიღრმეში ერთმანეთის გვერდით დგანან ნანარი, მანუკი და ნვარდი, იცინიან და ხელს მიქნევენ. საზეიმოდ აცვიათ და რაღაცნაირად უცხონი მეჩვენებიან. სწრაფად მივვარდი მათთან, მაპატიეთ, სარქისიანთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე-მეთქი (რაღაც ხომ უნდა მეთქვა!).
- სარქისიანთან რა გქონდა სალაპარაკო? - ეტყობა, მანუკი ხუმრობის გუნებაზეა, - რაო, ქორწინების უფლება რაიკომის ბიურომ უნდა მოგცეს, თუ?
- ეჰ, მანუკ, მანუკ... - ვიცინი მე.
- არტ, შენ გეტყობა, რაღაც ვერა ხარ გუნებაზე, ხომ არაფერი მოხდა? - მეკითხება ნანარი.
- არა, ნანარ-ჯან, - ვამშვიდებ, - რა უნდა მომხდარიყო? სარქისიანისთვის მინდოდა მეთხოვა, რომ ხვალ საღამოს ჩვენსა მოსულიყო.
მისაღებში ხმამაღლა რეკავს ზარი.
მაშასადამე, სარქისიანი მდივანს ეძახის. ელვის სისწრაფით გავჩნდი მასთან.
- რიმა-ჯან, - გევედრები, - უთხარი ამხანაგ სარქისიანს, რომ მასთან დალაპარაკება მინდა, შემდეგ უკვე გვიან იქნება.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- კარგი, ვეტყვი, - რიმა ტყავგადაკრული კარის მიღმა უჩინარდება, მაგრამ მაშინვე გამოდის.
- ამხანაგო ლევონიან, - მეუბნება რიმა, - ამხანაგმა სარქისიანმა თქვენზე თქვა, ნურსად წავა, ახლავე დავუძახებთო.
- კი, მაგრამ სადაცაა ხომ ბიურო უნდა დაიწყოს?
- ბიურო უკვე დაწყებულია, - მეუბნება რიმა.
ისევ დერეფანში გამოვრბივარ.
- აი, ხომ ხედავთ, - ვეუბნები მანუკს, - ვერც მოვასწარი სარქისიანისთვის მეთქვა, რომ ცოლს ვირთავ, იმან კიდევ, ეტყობა, იფიქრა, რა უსაქმოდ დგას მანდო და მიბრძანა დავუცადო.
- ბიუროზე დღეს რამე საქმე გაქვს? - მეკითხება მანუკი.
- არა, დღეს სკოლების საკითხი არ გადის. სარქისიანს მე თვითონ ვთხოვე, რომ მივეღე.
- ეს რა ფორმალობებია? - გაუკვირდა მანუკს, - შედი, უთხარი, რაც გინდა და გამოდი.
- მართალი ხარ, ხომ იცი, - ვიღიმები მე, - რანაირად დავიბენი... დამიცადეთ, ახლავე მოვალ.
„მართლა და მართლა, რა მოხდა ამისთანა, - გავიფიქრე კართან მისულმა, - პირველი შემთხვევაა, თუ რა!“ ბიუროს დროს ყოველთვის შევდივართ და გამოვდივართ, როცა ეს აუცილებელია. უცხონი ხომ არა ვართ, ბოლოს და ბოლოს, რაიკომის თანამშრომლები ვართ! და, მაინც, ჯერ რიმას ვეკითხები: „არ დავუძახივარ?“ არაო, მპასუხობს.
უკვე დროის დასაკარგად არა მაქვს საქმე, კარს ეგრევე ვაღებ და შევდივარ. და რაკი ვხედავ, რომ ჩემი შესვლისთანავე კაბინეტში სიჩუმე ჩამოწვა, უხერხულობას ვგრძნობ, ბოდიშს ვიხდი ყველასთან, ფეხისწვერებზე მივდივარ სარქისიანთან და სწრაფად, ჩურჩულით ვეუბნები:
- ამხანაგო სარქისიან, ვერ მოვასწარი თქვენთვის მეთქვა, რომ დღეს ცოლს ვირთავ, ჰო. ფული მჭირდება, ამიტომაც გელოდით, მაგრამ ახლა უკვე გვიანია. ამის დრო არაა. გთხოვთ, ხვალ აუცილებლად მობრძანდეთ ჩვენთან სახლში. კიდევ გთხოვთ, ეს მოპატიჟება ბიჭებსაც გადასცეთ. მაპატიეთ, რომ ხელი შეგიშალეთ. წავედი.
- საით? - რაღაცნაირი ხრინწიანი ხმით მეკითხება სარქისიანი.
- მმაჩში, სხვაგან სად უნდა წავიდე? - ვიცინი მე, - ნანარი დერეფანში მელოდება.
გაოცებისა და დაბნეულობისგან სარქისიანს ისეთნაირად მოექცა სახე, ისეთი გამოშტერებული თვალებით შემომაჩერდა, რომ სიცილი ძლივს შევიკავე.
- რა მოხდა? - მეკითხება მის გვერდით მჯდარი ბადამიანი.
- ამხანაგი სარქისიანი გეტყვით ყველაფერს, - დამორცხვებით ვუღიმი ქალაქკომის მდივანს. - მაპატიეთ, ნახვამდის!
- მოიცადეთ! - უცებ მკაცრად წამოიძახა ბადამიანმა და სარქისიანს მიუტრიალდა.
სარქისიანი აწითლდა, აწითლდა, აილეწა, ყურში რაღაცის ჩურჩული დაუწყო ბადამიანს. კარო აშკარად დაცინვით, აგდებულად უსმენდა, დროდადრო ტუჩებს პრუწავდა, რის გამოც ლოყები სასაცილოდ ებერებოდა. უცებ ვიგრძენი, რომ მისი გამომეტყველება ტანზე ბუსუსებს მიშლის. სადღაც, გულის კოვზთან, მეწყება ყრუ ტკივილი, მერე ის ტკივილი ძლიერდება, ძლიერდება და ბოლოს აუტანელი ხდება. ერთხელ ასეთი რამ დამმართნია, ღმერთო, გამახსენე, სად და როდის იყო? აჰა, გამახსენდა: როცა პურის ბარათები დავკარგე და შარვლისა და ხალათის ჯიბეებს ვიქექავდი.
- დაჯექით, - მესმის ბადამიანის ხმა და გაგონილის აზრს ვერ ვწვდები. უცებ, დაუოკებლად მომინდა სუფთა ჰაერზე გასვლა და სულის მოთქმა. ვგრძნობ, რომ ახლა, ახლავე, აქ ცუდი, საშინელი, გამოუსწორებელი რაღაც მოხდება.
- დაჯექით! - ხმას უწევს ბადამიანი.
ჯერ ისევ ვიტყუებ თავს. არაფერიც არ მომხდარა, არაფერიც არ მოხდება, ალბათ, უნდათ რაღაც მკითხონ და შემეძლება წავიდე-მეთქი, ვიტყუებ თავს, ჰო, უკვე ვიტყუებ თავს.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- არ შემიძლია, მელოდებიან... მმაჩში მივდივართ.
- დაჯექით, ამხანაგო ლევონიან, - უკვე ყვირის ქალაქკომის მდივანი, - აქ რაიკომის ბიუროა, თოჯინობანას კი არ ვთამაშობთ. დაჯექით-მეთქი, გესმით თუ არა? - და იგი მითითებს სკამზე, რომელზეც, ჩვეულებრივ, სხდებიან ისინი, ვისი საკითხიც განიხილება.
- ამ სკამზე დავჯდე? ბრალდებული ხომ არა ვარ? - დაბნეულობისგან რას ვამბობ, არ ვიცი. ვიხუმრე, ჩემი ჭკუით.
- მიდი, დაჯე, ჰო, - მეუბნება ბიუროს ერთ-ერთი წევრი, სამედიცინო ინსტიტუტის მდივანი სურენი, და მეც, ფეხისწვერებზე ვიხევ უკან და ვჯდები.
ამ ახალ ხმას რატომღაც გონს მოვყავარ, თვალს ვავლებ გრძელ მაგიდას შემომსხდარ ჩემს ამხანაგებს და იმედს არ ვკარგავ, რომ ახლა რომელიმე მათგანი გაიცინებს, მერე სხვებიც აჰყვებიან და მეტყვიან, რომ იხუმრეს. მაგრამ არავინ იცინის, თავს მაღლა არავინ სწევს. სამარისებური სიჩუმე ნთქავს იმედის უკანასკნელ სხივს და მესმის, როგორ აჩქარებით ფეთქავს ჩემი გული.
სიჩუმეს ბადამიანი არღვევს:
- ამხანაგო სარქისიან, რაღას აჭიანურებთ, გაუძეხით ბიუროს!
სარქისიანი წამოხტა, ჭარხალივით გაწითლდა, ერთი-ორჯერ ჩაახველა, პირი თეთრი ცხვირსახოცით მოიწმინდა და...
- ამხანაგებო! მაშასადამე, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, დღის წესრიგში დგას კომკავშირული მუშაკის, ჩვენი რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგის, არტაკ ლევონიანის უღირსი საქციელის საკითხი. დღის წესრიგის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?
არავინ ეხმიანება. ბიუროს წევრები ოდნავი თავის დაკვრით უმოწმებენ.
- წინააღმდეგი არავინაა! - შვებით აცხადებს სარქისიანი, - მაშასადამე, ვიწყებთ. როგორც მოგეხსენებათ, ბოლო ხანებში რაიკომის სასკოლო განყოფილებამ შეუწყნარებლად შეასუსტა მუშაობა, თუმცა თითქოს პირიქით უნდა იყოს, რამდენადაც სკოლებში გამოცდები დაიწყო. ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ ცალკეულ სკოლებში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და პიონერულმა რაზმეულებმა ფაქტობრივად ჩაშალეს მათ მიერვე შედგენილი გამოცდებისთვის მზადების პროგრამები. ორგანიზაციებმა და რაზმეულებმა, რომლებიც რაიკომის სათანადო განყოფილების მხარდაჭერასა და დახმარებას მოკლებულნი იყვნენ, თვითდინებაზე მიუშვეს მუშაობა, რის შედეგადაც პირველსავე გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასებების რიცხვმა გასულ წელთან შედარებით კი არ იკლო, იმატა.
უკვე გამოვერკვიე, რაც ხდებოდა და ყურადღებით ვუსმენდი რაიკომის მდივანს, მისი გამოსვლა იმიტომ მაინტერესებდა, რომ ჩვენს განყოფილებას შეეხებოდა. ოღონდ, ვერ გამეგო, რატომ, რისთვის ლაპარაკობდა სარქისიანი ასე, რატომ არ მოჰყავდა კონკრეტული ფაქტები. ეტყობა, შეცდომაში შეიყვანეს, მაგრამ ხომ შეეძლო ჩემთვის ეკითხა, რა ვითარებაა სკოლებში? უცებ გამახსენდა, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ, ზუსტად აქ, ამ კაბინეტში, განაცხადა, რომ კმაყოფილია ჩვენი განყოფილების მუშაობით. რა მოხდა? საერთოდ, თუ სკოლების საკითხი განიხილება, ბიუროზე რატომ არ არიან მოწვეული სკოლების დირექტორები, უფროსი პიონერხელმძღვანელები, კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნები, განათლების განყოფილებათა ინსპექტორები, ჩვენი განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორები?.. მაგრამ ამაზე ფიქრი ხელს მიშლის სარქისიანის მოსმენაში და მე ვიძაბები, მთელი გულისყური იქით გადამაქვს.
რაიკომის მდივანი ლაპარაკისას უკვე აღარ ბორძიკობს, დალაგებულად, თავისუფლად ლაპარაკობს, სიწითლემაც გაუარა, სახეზე მკრთალი ფერი ადევს: - პარტია და ბელადი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

გვასწავლიან, რომ ვიყოთ შეურიგებელნი ნაკლოვანებებისადმი, - განაგრძობს სარქისიანი, - ყოველთვის გვახსოვდეს, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი ცხოვრების მძლავრი მამოძრავებელი ძალებია. იქ, სადაც ჯანსაღი, პატიოსანი კრიტიკა და თვითკრიტიკა არ არსებობს, პროგრესის გზა დახშულია და ბურჟუაზიულ პროპაგანდასაც ხელ-ფეხი ეხსნება. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, განსაკუთრებით შეუწყნარებლად მივიჩნევ ჩემს კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ამხანაგ ლევონიანისადმი და, თვითკრიტიკის წესით, გულახდილად ვაღიარებ, რომ მეც ვარ ამ საქმეში დამნაშავე: სტუდენტი არ უნდა მიგვეღო სამსახურში...

როცა იგი ლაპარაკობდა, ტუჩებმოკუმული ბადამიანი უხმოდ უქნევდა თავს, რაღაცას ინიშნავდა ფანქრით, მაგრამ რაიკომის მდივნის ბოლო სიტყვებმა ფანქრისთვის ხელი გააშვებინა.

- ლევონიანმა ბიურო შეცდომაში შეიყვანა, - რეპლიკა ისროლა მან.

მაინც რით და როგორ შევიყვანე რაიკომის ბიურო შეცდომაში, ბადამიანს არ უთქვამს. შესაძლოა, სარქისიანმაც ვერ გაიგო, რისი თქმა სურდა ბადამიანს, რადგან ერთხანს ელოდა, რომ ქალაქკომის მდივანი თავის აზრს ბოლომდე იტყოდა, მაგრამ ბადამიანი ისევ წაწვდა ფანქარს და წერა განაგრძო.

- მართალია, - ლუღლუღებს სარქისიანი, ალბათ, არ იცის, როგორ განავითაროს ქალაქკომის მდივნის აზრი და ისევ ებორკება ენა, - მართალია...

- შემდეგ, შემდეგ, - თავს მაღლა სწევს ბადამიანი.

უკვე ვეღარ ვიკავებ თავს.

- რა შემდეგ, რა შემდეგ? - ვყვირი, - რით შეგიყვანეთ შეცდომაში?

- გაჩუმდით! - ბადამიანმა მაგიდაზე ხელი დაარტყა, - თქვენ ვინ მოგცათ ნება...

- როგორ თუ გავჩუმდე... ვინ შევიყვანე მე...

- გაჩუმდით-მეთქი, გეუბნებით, - ბადამიანი წამოდგა, ერთხანს დაუფარავი სიძულვილით მიყურა და კბილებში გამოსცრა, - ისწავლეთ ბიუროზე თავის დაჭერა, ამხანაგო ლევონიან, თორემ სხვაგვარად მოგელაპარაკებით. გასაგებია?

- როგორ? უფლება არა მაქვს...

- არა გაქვთ! - ბადამიანი კვლავ არტყამს ხელს მაგიდაზე, გესლიანად იღიმება და ამჯერად უკვე რაიკომის ბიუროს წევრებს მიმართავს, - თქვენ კი ამბობდით, ვაპატიოთო. ხომ ხედავთ, რა თავხედურად იქცევა რაიკომის ბიუროზე? პატივცემული სასკოლო განყოფილების გამგე ჩვენს წინაშეც თუ ასე თავშეუკავებლად იქცევა, როგორ მოიქცევა იგი თვით ორგანიზაციებში? და ამისგან უნდა აიღონ მაგალითი სხვებმა! აი, ხედავთ, რა კადრები გვყავს? - დასძინა დამწუხრებულმა და სარქისიანს გადახედა, - თქვენ მაინც რა დაგემართათ, ამხანაგო სარქისიან, ქალაქკომში ხომ ამბობდით...

- ახლავე, ვიტყვი, კარო ბადალიჩ, - ისევ აუჭარხლდა სახე სარქისიანს, - აგერ, ამ წუთში ვიტყვი... მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არაა, ამხანაგებო! ლევონიანი, სარგებლობდა რა ჩვენი ადამიანური დამოკიდებულებით, იმდენად გადავიდა ყველა საზღვარს, რომ უხეშად არღვევდა შრომით დისციპლინას - ყოველდღე 15-20 წუთის დაგვიანებით ცხადდებოდა სამსახურში...

- ვერ გავიგე? - გაოცებისგან პირი დააღო ბადამიანმა, - ეს ფაქტია?

- ფაქტია, კარო ბადალიჩ, დილით პიონერხელმძღვანელები მოდიან, ელოდებიან, ელოდებიან და მიდიან. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდება თავისი ველოსიპედით...

- მოიცათ, ამხანაგო სარქისიან, მე ეტყობა კარგად ვერ გავიგე, - ფეხზე დგება ქალაქკომის მდივანი, - ესე იგი, გამოდის რომ ყველასათვის ერთი დისციპლინაა, ლევონიანისათვის

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

კი - მეორე? ასე ბრძანეთ, არა? და ამას ამბობს რაიკომის მდივანი... და მთელ ხელფასს იღებს, არა?
- მთელ ხელფასს იღებს, კარო ბადალიჩ.
- ამას რა სჯობია! დიდებულია, გადასარევია, ჩემმა მზემ! შრომის დისციპლინა ირღვევა და მერე სად?.. კომკავშირის რაიკომში. ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები კი დარწმუნებული არიან, რომ სახელფასო ფონდები წესისამებრ იხარჯება. იცით, თუ არა, რას ნიშნავს ეს? იცით თუ არა, სამამულო ომის წლებში როგორ დაისჯებოდით ამისთვის, ამხანაგო ლევონიან? როგორ და ციხეში ამოყოფდით თავს. თხუთმეტი წუთით აგვიანებთ ხოლმე, არა? თხუთმეტი წუთი ერთი წლით პატიმრობაა, აბა! მოდით, დავსხდეთ და ვიანგარიშოთ, რამდენ სამუშაო დღეს მივიღებთ, ლევონიანის ამდენი თხუთმეტი წუთი რომ შევკრიბოთ. იცით, რამდენი გამოვა? ახლა ჩვენი სახელმწიფო სულგრძელობას იჩენს და კაცს ციხისთვის არ იმეტებს, მაგრამ, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამით ბოროტად ვისარგებლოთ? მიპასუხეთ, მიპასუხეთ-მეთქი, ამხანაგო ლევონიან! ვინ მოგცათ უფლება, რომ სახელმწიფო ატყუოთ, ვინ?..
ღმერთო, ეს რა მესმის!
- ამხანაგო სარქისიან, თქვენ ხომ მომეცით ნება, რამდენიმე დღის წინათ, თქვენ ხომ მითხარით, რომ...
- არა, არტაკ, არა, - მოიკუნტა სარქისიანი, - მე მხოლოდ ერთი კვირით დაგრთეთ ნება.
- ერთი კვირით როგორ დამრთეთ? მე მოგახსენეთ, რომ წვრთნა ერთი თვე გაგრძელდებოდა.
- არა, არა, - სარქისიანი ბადამიანს შესცქერის და თავის ქნევით უარობს.
- ამხანაგო სარქისიან, ნამუსიც ხომ კარგი საქონელია, ამხანაგო სარქისიან!
- გაჩუმდით! - ყვირის ქალაქკომის მდივანი, - გესმით, ვინ ლაპარაკობს პატიოსნებაზე? თქვენ დიდი ხანია დაკარგეთ სინდისი, ამხანაგო ლევონიან! უპასუხისმგებლო, სინდისგარეცხილ ლოთს სინდისზე ლაპარაკის რა უფლება აქვს?
- რაო, რაო, ვინ არის ლოთი?
- ვინ არის და თქვენა ხართ. ჰო, ლოთი ხართ. ჩვენ მოვალენი ვართ, საგნებს თავისი სახელი დავარქვათ. რას იტყვით, იქნებ მე ვცდები, ამხანაგო სარქისიან? შესაძლოა, სწორად ვერ გაგიგეთ, თუმცა რა, მე თვითონაც მინახავს იგი მთვრალი. ღამით, რესტორნის შესასვლელთან.
- კარო ბადამიჩ, მთლად ლოთია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სვამს. მეც რამდენჯერმე ვნახე რესტორანთან. გახსოვთ, გეუბნებოდით...
არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცებ დავინახე ჩემი თავი: მათხოვარივით ხელგაშვერილი ვდგავარ ამ ხალხის წინაშე.
- რას ამბობთ, რას? მე და ლოთი? როგორ შემიძლია ლოთი ვიყო? სადა მაქვს საქეიფო ფული? მე რომ რესტორანში დასახარჯი ფული მქონოდა, რატომ ვიმუშავებდი? ერთდროულად მუშაობაცა და სწავლაც ადვილია თუ რა?
- ხომ გითხარით, ეგ არაფერს აღიარებს-მეთქი, - მიუბრუნდა ბადამიანი ბიუროს წევრებს, - კი არ შერცხვება და ახლა დაგვიწყებს მტკიცებას, ვიღაცაში გეშლებითო, რესტორნიდან მე კი არა, ვიღაც სხვა გამოვიდა და თქვენ კი მე გეგონეთო და ა.შ. და ა.შ.
- მე ყოველდღე რესტორანში ვსადილობ - სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ტალონებით. თანაც, სად შემიძლია ვსვა, როდისღა დავლიო, – ცოტათი გუნება მიკეთდება, - მე ხომ შეჯიბრებისთვის ვემზადები.
- ხედავთ? - გამარჯვებული კაცის მზერა მოავლო ბადამიანმა დანარჩენებს, - ხომ ხედავთ, რომ ლევონიანისთვის სიტყვა „თვითკრიტიკა“ არ არსებობს. რას ვამბობდი, არაფერს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

აღიარებს-მეთქი!.. არც იმას, რომ მუშებს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა...
- რაო? - უნებლიეთ ვიყვირე.
- თუ კაცი ხართ, თამაშს თავი დაანებეთ, - იყვირა ქალაქკომის მდივანმაც და წამოვარდა. თქვენ ამის გამო პარტბილეთს გამოეთხოვებით, ახლავე, ჰო, ახლავე! პართევს სთხოვეთ, - უთხრა სარქისიანს.
რაიკომის მდივანმა ღილაკს თითი დააჭირა და ჩამოწოლილ სიჩუმეში გაისმა, როგორ დაიწკრიალა მისაღებში ზარმა. უცბად ყველაფერი გაქრა, რადგან გამახსენდა, რომ დერეფანში ნანარი მელოდა. ნანარი, მანუკი და ნვარდი მელოდებიან. მე კი ვზივარ აქ და ათას სისულელეს ვისმენ. ვაიმე, უკვე სამის ნახევარია. საცაა, ალბათ, მმაჩი დაიკეტება! რა ვქნა? კარი იღება და შემოდის პართევი.
უნებლიეთ ფეხზე წამოვმდგარვარ.
- დაჯექით, ლევონიან, - მესმის სარქისიანის ხმა და რაღაც ძალა თუ ჩემი უძლურება სკამზე მსვამს.
- ამხანაგო პართევ, - ეუბნება ბადამიანი, - სიტყვასიტყვით გაიმეორეთ, რაც ქალაქკომში განაცხადეთ.
რაო? პართევმა ილაპარაკა ჩემზე ქალაქკომში? წარმოუდგენელია, თავისი პირითაც რომ თქვას, ვერ დავიჯერებ. პართევი და ასეთი სიცრუე? პართევი და ასეთი არამზადობა?
- აბა, რა უნდა ვილაპარაკო, - მესმის ნაცნობი ბანი, - რაც იყო და როგორც იყო, ყველაფერი მოგახსენეთ ქალაქკომში.
- ჩვენ გვინდა, რომ ახლა, აქ, ყველას გასაგონად გაიმეოროთ ყველაფერი, რაც ქალაქკომში თქვით, - მკაცრად ბრძანა ბადამიანმა.
მინდა შევხედო პართევს, მაგრამ რატომღაც არ შემიძლია, მერიდება თუ რაა, არ ვიცი. სულელური აზრი ამეკვიატა და ვერ მომიშორებია: იქნება ვინმემ აიძულა პართევი, რომ ჩირქი მომცხოს, ცილი დამწამოს და ახლა, თუ თვალში შევხედე, შეიძლება უხერხულ დღეში ჩავაგდო-მეთქი, შეიძლება აირიოს კაცი, გაწითლდეს, დაიბნეს-მეთქი.
პართევის ხმა მშვიდია და მტკიცე.
- მაშასადამე, ერთხელ არტაკი, უკაცრავად, ამხანაგი ლევონიანი და მე ვსადილობდით რესტორანში. ცოტა დავლიეთ კიდეც და საუბარს შევუყევით. უცებ, ამხანაგმა ლევონიანმა დაიწყო საუბარი, თუ როგორ მუშაობდა მტვირთავად საკონსერვო ქარხანაში. იქაო საშინელი უწესრიგობა სუფევსო, ყოველი ფეხის ნაბიჯზე დანაშაული ხდებაო, უფროსები მუშებს ატყუებენ, ხელფასს აკლებენო და ამიტომ მეო...
- მეო, ესე იგი, ვინო? - შეაწყვეტინა ბადამიანმა.
- ლევონიანი, - მიუტრიალდა პართევი.
- განაგრძე.
- ...ლევონიანი მოუწოდებდა მუშებს, გაიფიცეთ, დირექციის წინააღმდეგ გამოდითო: „იბრძოლეთ, რადგან თქვენ ამ ბრძოლაში, თქვენი ბორკილების გარდა, დასაკარგი არაფერი გაქვთ, მაგრამ შეგიძლიათ ყველაფერი მოიპოვოთო“.
- მანიფესტის სიტყვებია, - თავს აქნევს უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მდივანი დავითი.
- ასეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მოწოდება მიმართულია საბჭოთა მუშებისადმი, - ამბობს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ალკკ კომიტეტის მდივანი ბენიკი, - ამას კი უკვე არ ველოდი...
- ახლა ხომ დარწმუნდით? - მაგიდისკენ იხრება ბადამიანი.
- მდა!.. ახლა საკითხი უკვე სხვაგვარად ისმის, - იღუშება ბენიკი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ბადამიანი დგება და ბიუროს მსვლელობის მანძილზე პირველად იღიმება.
- ამხანაგო ლევონიან, - აშკარად ღვარძლიანი ღიმილით იწყებს იგი, - იქნებ თქვენ არც ამის აღიარება გინდათ? არ აღიარებთ, რომ სკოლებში მუშაობა ჩაშალეთ, არ აღიარებთ, რომ დისციპლინა დაარღვიეთ, არ აღიარებთ, რომ ლოთობთ. იქნებ ისიც უარყოთ, რომ ასეთი საუბარი გქონდათ მუშებთან? პირადად მე თქვენგან არც ეს გამიკვირდება...
მაგრამ მე მისი სიტყვები კანტიკუნტად მესმის, მთელი ჩემი გულისყური პართევისკენაა მიმართული - თვალს არ ვაცილებ მის მშვიდ სახეს, სახეს კაცისას, რომელმაც კეთილსინდისიერად შეასრულა დავალება. ეს კაცი ახლა ელოდება, რომ გაუშვებენ, მერე თავის ოთახში შევა, მიუჯდება მაგიდას და ისევ შეუდგება საქმეს - ფორმა ნომერ სამს მოსთხოვს, ვისაც ჯერ არს. შევცქერი ამ კაცს სახეში და ვგრძნობ, როგორ წვეთ-წვეთობით მეღვრება გულში შხამი, მესმის კიდეც წვეთების წკაპუნი. შევცქერი ამ კაცს და ბედს მადლობას ვეუბნები, რომ ჩემგან შორს დგას. ახლოს რომ იდგეს, თავს ვერ მოვერეოდი და იმ აღუშფოთველ სიფათს მივუნგრევდი. შემდეგ კი... შემდეგ, როგორც იტყვიან, მოხდეს, რაც მოსახდენია!..
- არტაკ, მართლა ასე თქვი ყველაფერი? - ვგრძნობ, რომ თანაგრძნობით მეკითხება მესროპი.
- მესროპ-ჯან, - ვპასუხობ, - ნუთუ შენც გჯერა, რომ მე ასეთი რამეების თქმა შემეძლო? აი, საქმე როგორ იყო: მუშებს ჯამაგირი ნამდვილად დააკლეს, მე პარტბიუროს მივმართე და ხალხს ფული დაუბრუნეს. ეს იყო და ეს. აი, ეს ვუამბე პარ... ამხანაგ პართევს, თანაც, სმაში, სიცილ-სიცილით და პართევიც იცინოდა, - შხამი გავურიე სიტყვაში, - ერთი ჰკითხეთ, რატომ იცინოდა გულიანად, თუკი, მისი სიტყვით, მე ანტისაბჭოური განცხადება გავაკეთე?..
- მე იმიტომ ვიცინოდი, რომ თქვენ თავისუფლად გეგრძნოთ თავი და გული ბოლომდე გადაგეშალათ ჩემთვის, - პართევი ამას რომ მეუბნებოდა, თვალში მიყურებდა, - მეორე დღეს კი, დილითვე, ქალაქკომში წავედი და ყველაფერი ვუამბე ბადამიანს. არ შემეძლო გავჩუმებულიყავი.
- თქვენი სიტყვები რატომ დაუმატეთ, ან ციტატები რატომ ჩაურთეთ? - მაინც ვკითხე.
- მე მხოლოდ ის ვუამბე ამხანაგ ბადამიანს, რაც გავიგონე, - უფრო ბიუროს წევრების გასაგონად თქვა პართევმა, ვიდრე ჩემს პასუხად, - ამხანაგო ბადამიან, შემიძლია წავიდე? იმაზე საშინელი არაფერია, თვალებში რომ გიყურებენ და ტყუიან. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს ასეა.
ენა ჩამივარდა, მოვმჩვარდი, მოვიბუზე. ვერაფერი მითქვამს თავის დასაცავად. თვალი დავხუჭე, ერთხანს ასე ვიყავი, შემდეგ მხოლოდ მესროპს ვუთხარი:
- კი მაგრამ, ამის შემოწმება ხომ შეიძლება? ბიჭები ახლა ქარხანაში არიან. მე მსგავსი არაფერი მითქვამს, დამიჯერე, მესროპ-ჯან!..
- მე მჯერა არტაკის, - უცებ იფეთქა მესროპმა, - თქვენ ყველანი იცნობთ მას, იგი ჩვენი ამხანაგია, არ შეიძლებოდა, არტაკს ასე ელაპარაკა. რატომ არ უნდა ვენდოთ მას, რატომ?
- იცით, რა, ამხანაგო მესროპ, - წამოდგა ბადამიანი, - თქვენი მემარცხენეობა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. გთხოვთ, მხოლოდ თქვენი სახელით ილაპარაკოთ.
- მე ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი!
- ჰოდა, გაჩუმდით!
- რატომ?
- იმიტომ, რომ როცა დანარჩენს გაიგებთ, გაჩუმდებით, - ბოღმა დაანთხია ბადამიანმა, - დიიდხანს იქნებით ჩუმად, დიდხანს, როცა გიჩვენებთ ერთ დოკუმენტს, მაგრამ მაშინ უკვე თქვენც აგებთ პასუხს იმისთვის, რომ ლევონიანს დამცველად დაუდექით. გმირს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

თამაშობთ, არა, ამხანაგო მესროპ? თქვენ ვერ შეძლებთ წყლის ამღვრევას და რაიკომის ბიუროს შეცდომაში შეყვანას!
- ეს კიდევ საკითხავია, ვის ვინ შეჰყავს შეცდომაში.
- საკითხავიაო, ამბობთ, არა? კეთილი. ახლა, მოდით და გაეცანით ამ დოკუმენტს, პატივცემულო ამხანაგო მესროპ.
- ამხანაგებო, პატიოსნად გეტყვით, რომ მთლად მართალი არც მე ვარ ამ შემთხვევაში. თავის დროზე მე მომახსენეს, რომ ხშირ შემთხვევაში ლევონიანი უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულებრივად იქცეოდა, მაგრამ ამაზე თვალს ვხუჭავდი, ჯერ ახალგაზრდაა და გამოსწორდება-მეთქი. თურმე, მწარედ ვცდებოდი. მხოლოდ ახლა, როცა ფაქტებს ლოგიკურად ვუკავშირებ ერთმანეთს, მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ უნივერსიტეტში ლევონიანის გამოხდომები არ ყოფილა მისი გულუბრყვილობისა და პოლიტიკური უმწიფარობის შედეგი, არამედ ეს იყო გრძელი ჯაჭვის გააზრებულ-გაცნობიერებული, დაპროგრამებული რგოლები. იქნებ არც ამას აღიარებთ, ამხანაგო ლევონიან? - ბადამიანი ჰაერში ქაღალდს აფრიალებს, - იქნება ავტორის შემოყვანაც მოგვთხოვოთ?
- ესე იგი, ეს ანონიმური წერილი არაა? - დაინტერესდა ბენიკი.
„ჩვენი მამასახლისი“ - საოცრად მშვიდად, აუღელვებლად ამოტივტივდა თავში და გამახსენდა უკანასკნელი გამოცდა, გუკასიანის სახელობის სკვერი და ხუმრობით ჩემი „გაროზგვა“.
- შემიძლია გითხრათ, ვინც დაწერა, - არ შევყოყმანებულვარ, - დაწერა ჩვენი კურსის მამასახლისმა შავარშ მიქაელიანმა, 1920 წელს დაბადებულმა, კაფანელმა, პარტიის წევრმა 1938 წლიდან, პროფესიით გარეწარმა.
- ხმა ჩაიკმინდეთ! - გაცოფდა ბადამიანი, - ამხანაგო სარქისიან, როგორ მიგყავთ ბიურო? სარქისიანი წამოხტა და მკაცრად მითხრა:
- ამხანაგო ლევონიან, თქვენ ყოველგვარ საზღვარს გადადიხართ. ბიუროზე თავის დაჭერა არ უნდა შეგეძლოთ?
- მაინც რა წერია იმ ქაღალდზე, თუ საიდუმლოება არ არის? - იქედნურად კითხულობს მესროპი.
- მოგახსენებთ, მოგახსენებთ, - იღიმება ვიწრო ტუჩებით ბადამიანი, - მოგახსენებთ, ოღონდ მოგვიანებით და ეს, სავსებით საკმარისი იქნება, ამხანაგო მესროპ, იმისთვის, რომ... იცოდეთ, ეგ თქვენი დაცვის პირი უკვე ორი წელიწადია ინტიმურ სიახლოვეშია ხალხის მტრის შვილთან, რომელზე დაქორწინებასაც დღეს, სწორედ დღეს აპირებს.
გული ლამის გამიჩერდა. ვგრძნობ, რომ სხეული სისხლისგან იწრიტება და, მგონი, ვღრიალებ:
- რას ამბობთ, რას! ვინ არის ხალხის მტერი? ეს შეუძლებელია, სიცრუეა. ის მოკვდა, ერთი უსწავლელი კაცი იყო, პარიკმახერი... რა მტერი, რის მტერი?
- ამაზე ლაპარაკს მოეშვი, - მაჩერებს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ალკკ კომიტეტის მდივანი ბენიკი, - მის საქმეს მე თვითონ გავეცანი და ნუ სულელობ აქ.
- კი მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს? - უცებ ისევ იფეთქა მესროპმა, - მამის მაგივრად შვილი და, მით უმეტეს, ლევონიანი, რატომ აგებს პასუხს?
- ხედავ, სარქისიან, - რაიკომის პირველი მდივნისკენ შებრუნდა ბადამიანი, - აი, ვინა გყავს მეორე მდივნად. ეტყობა, ამასაც სხვაგვარად უნდა ველაპარაკოთ.
- მეც მგონია, რომ ეს ლაპარაკი აუცილებლად გვექნება, - გაეცინა მესროპს, – იმიტომ, რომ ამ თქვენს თამაშს ცუდი სუნი უდის.
უცებ სარქისიანმა ხმას აუწია:

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- აბა, აბა, ამხანაგო მესროპ! როგორ ელაპარაკებით ქალაქკომის მდივანს! სხვა დროს ხომ თქვენ იქით უკითხავთ ლექციებს ხალხს წესრიგსა და დისციპლინაზე! არ ველოდი, ნამდვილად არ ველოდი!
მე კი მესროპს შევცქერი წრფელი თვალებით. კი ვიცოდი, რომ პატიოსანი და გაბედული კაცი იყო, მაგრამ ამდენს ნამდვილად არ ველოდი. არ ველოდი, რომ ჩემთვის, უფრო სწორად, თავისი პრინციპებისთვის ასეთ რისკზე წავიდოდა, ქალაქკომის პირველ მდივანსა და რაიკომის პირველ მდივანს გადაიკიდებდა. როგორმე უნდა დამეცვა იგი ბადამიანისა და სარქისიანისგან... „გმადლობ, ძმაო“, - ვემადლიერები მას და ღმერთს ვფიცავ, რომ, ვიდრე პირში სული მიდგას, ვუერთგულებ. ამ დროს, უცაბედად, ბრწყინვალე აზრი მებადება:
- ამხანაგო ბადამიან, ამიხსენით, როგორ ხდება ეს ამბავი, რომ ერთი დამნაშავის შვილი რაიკომის მდივანი შეიძლება იყოს, მე კი დამნაშავის შვილის შერთვის უფლება არ მქონდეს?
სიჩუმე ჩამოწვა და ამ სიჩუმეში ისმის უნივერსიტეტის მდივნის, დავითის გაოცებული ხმა:
- ვისზე ამბობთ? რომელი რაიკომის მდივანია დამნაშავის შვილი?
- ამხანაგი სარქისიანი, - ვყვირი მე და თან ვგრძნობ, რომ ჩემს სულში რაღაც წმიდა ირღვევა, რაღაც მთავარი, მაგრამ უკვე არ შემიძლია გავჩერდე, - ამხანაგი
სარქისიანი, - ვიმეორებ, - მამამისი ხომ ციხეშია, მე ეს ამხანაგმა პართევმა მითხრა, აბა, საიდან ვიცოდი...
შევიშალე თუ რას ვშვრები?! აბა, სხვისი რა მიკვირდა? ესე იგი, უკლებლივ ყველა არამზადაა? ესე იგი, ყველანი გარეწრები ვართ? რა განსხვავებაა ჩემსა და პართევს შორის?..
თვალით ვაკვდები მესროპს, უსიტყვოდ ვევედრები, მაპატიოს, მაგრამ მესროპი ავად იქუფრება და ზიზღით შემომცქერის.
- ეს საზიზღარი დემაგოგიაა. სარქისიანის მამა პოლიტიკური დამნაშავე კი არა, სისხლის სამართლის დამნაშავეა. ერთი მეორისგან ხომ უნდა განვასხვაოთ? - ყვირის ბადამიანი.
მაგრამ მე არ მესმის, რას ამბობს ბადამიანი, მხოლოდ ის მესმის, რომ ჩურჩულებს მესროპი, ვგრძნობ მის ტკივილს:
- ნებისმიერი, ნებისმიერი სასჯელის ღირსი ხარ ამისთვის, თუნდაც მხოლოდ ამისთვის!
და ჩემთვის ყველაფერი აზრს კარგავს. ტკივილიც და შეურაცხყოფაც წაიშალა. არც შემიძლია და არც მინდა, ვინმეს ვუსმინო, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, რაც უნდათ, ის აკეთონ, ოღონდ კი მომეშვან. ესენი კი არ ჩუმდებიან, ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ გაუთავებლად, ლაპარაკობენ და ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს, ლაპარაკობენ და სულ ბადამიანს შესცქერიან თვალებში, თითქოს თვითონ ქოროს წევრები იყონ, ბადამიანი კი - დირიჟორი. და უცებ, მეჩვენება, რომ ბადამიანი ისევ ის ტანხმელი, აწოწილი ჭაბუკია, სოფელში რომ მინახავს მთლად ბალღს. კარო ბადამიანი სახრით ხელში მისდევს კამეჩებს, მისდევს და ულაწუნებს ხან ერთს, ხან მეორეს და წვრილი ხმით უყვირის: „ხიო-ხიო!“
ყოველთვის მიკვირდა, კამეჩები ასე უდრტვინველად, თვინიერად რატომ იტანდნენ სახრის ლაწალუწს. რატომ არ შემოუტრიალდებიან და რქაზე არ წამოიგებენ-მეთქი. იქნებ, სახრისა ეშინიათ? და საოცრად მებრალებოდა ეს ბედშავი, უტყვი კამეჩები.
მაგრამ აი, უკვე ბადამიანი ლაპარაკობს და ბიუროს წევრები მას ჩუმად, უსიტყვოდ უქიცინებენ თავს. მაინც რას ამბობს, რას? რა ვიცი. ვცდილობ გავიგო და იმ ყაყანიდან ბადამიანის ხმას ვარჩევ.
- ...ცხადზე ცხადია, რომ დაუშვებელია ლევონიანის დატოვება რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგის თანამდებობაზე, რაიკომი მოვალეა, ყველანაირი ღონე იხმაროს, დიახ, რაიკომს დიდი, დიდი მეცადინეობა დასჭირდება იმისთვის, რომ აღიდგინოს სასკოლო

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ორგანიზაციების თვალში შელახული ავტორიტეტი. ამხანაგო სარქისიან, გაგვაცანით გადაწყვეტილების პროექტი.
- „მუშაობის ჩაშლისათვის, საწარმოო დისციპლინის უხეშად დარღვევისათვის, პარტიის წევრისა და რაიკომის თანამშრომლისთვის შეუფერებელი საქციელისთვის, რაც გამოიხატა მთელ რიგ გამოხდომებსა და მრავალგვარ უსაქციელობაში, რაიკომის ბიურო ადგენს:
ა) მოიხსნას ამხანაგი არტაკ ლევონიანი სამუშაოდან;
ბ) პარტიის რაიკომის ბიუროს წინაშე დაისვას საკითხი კომუნისტური პარტიის რიგებიდან არტაკ ლევონიანის გარიცხვის შესახებ;
გ) წინადადება მიეცეს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, მოხსნას ლევონიანის კანდიდატურა საკავშირო შეჯიბრებათა მონაწილეების სიიდან;
დ) ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დაეგზავნოს ყველა რაიკომს და ეუწყოს უნივერსიტეტს, რექტორს“.
- კენჭი ყარე, - დააჩქარა ბადამიანმა სარქისიანი.
წამიც და, ყველაფერი გვიან იქნება. როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვთ, რომ მართლა მიწასთან გამასწორონ, გამსრისონ, მომსპონ.
- კენჭი ყარე-მეთქი, რაღას ელოდები? - გაბრაზებით გაუმეორა ბადამიანმა სარქისიანს.
- იქნებ ჯერ ლევონიანისთვის მოგვესმინა? - იკითხა მესროპმა, - სიტყვის თქმის უფლება აქვს...
- ჩემი აზრით კი, არავითარი აზრი არა აქვს მის ლაპარაკს, ისედაც ყველაფერი ცხადია, - განაცხადა ბადამიანმა, - რა უნდა გვითხრას ისეთი, რაც არ ვიცით?
- მოიცადეთ! - უკვე მერამდენედ წამოვდექი ფეხზე, - მოიცადეთ, როგორ თუ ყველაფერი ისედაც ცხადია? რა არის ცხადი, ამხანაგო ბადამიან? თქვენ აქ წერთ, რომ მე მუშაობა ჩავშალე, თუ ასეა, საუკეთესო მუშაობისთვის ცეკამ რატომ დამაჯილდოვა საპატიო სიგელით? ამ რამდენიმე დღის წინათ რატომ განაცხადეთ ქალაქკომში, რომ ძალზე კმაყოფილი ხართ ჩემი მუშაობით და ქალაქკომის განყოფილების გამგედ გადაყვანასაც კი შემპირდით?
- ახლა თქვენ შეგიძლიათ, რაც ენაზე მოგადგებათ, ისა სთქვათ, ილაპარაკოთ. მაინც არავინ არაფერს დაგიჯერებთ.
- მაშასადამე, მე ვტყუი და ასეთი საუბარი არ გვქონია? - ბადამიანს თვალი თვალში გავუყარე.
- რასაკვირველია, არ გვქონია. ეს უბრალოდ, შანტაჟის ახალი სახეობაა, - მხრები აიჩეჩა ბადამიანმა.
- მაშ, ჩვენ ამაზე არ გვისაუბრია, არა? - ხელმეორედ ვკითხე მე და ვიგრძენი, რომ ამდენის მოთმენა არ შემეძლო, - ჩემთვის ყველაფერი ნათელია. მთელი ბიუროს განმავლობაში მტანჯავდა ეს აზრი, მაგრამ არაფრით არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ თქვენ, ჩვენი ქალაქის კომკავშირელთა ხელმძღვანელი, ვისაც ასე ლამაზად შეგიძლიათ სიტყვების წარმოთქმა და ზანგი ბავშვების დატირება...
- ეს თქვენი ყალბი პათეტიკა... - ბრაზისგან სიტყვა ვერ დაასრულა ბადამიანმა.
- არა, არა, - შევაწყვეტინე მე, - მე ჯერ ყალბი კაცი არ გავმხდარვარ. მე არ შემიძლია თქვენსავით თვალში ვუცქირო ადამიანებს და ვიცრუო.
- რეებს ბოდავს, თუ გესმის, ამხანაგო სარქისიან... დაამთავრეთ, სარქისიან, კენჭი უყარეთ, დაამთავრეთ-მეთქი!..
- არა, არა, ხალხნო, არ უყაროთ კენჭი, გთხოვთ, თორემ მერე გვიან იქნება. თქვენ ხომ არ იცით, რომ ამხანაგი ბადამიანი ვეზირიანის, ჩემი ფელეტონის გმირის ახლო მეგობარია და ახლა ანგარიშს მისწორებს. ვეზირიანმა მითხრა, რომ მე კიდევ დიდხანს ვიგრძნობ მის ყოფნას ჩემს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

გვერდით, მითხრა, რომ კარომ მისი გულისთვის გამომიძახა. თუ ფელეტონს არ დაბეჭდავ, ქალაქკომის განყოფილების გამგე გახდებიო. თქვენ ახლა იმის სამაგიეროს მიხდით, რომ არ დაგიჯერეთ, ამხანაგო ვეზირიან, უკაცრავად, ამხანაგო ბადამიან. თქვენ მთელი თქვენი ცხოვრება მატყუებდით, გვატყუებდით ჩვენ ყველას, გვჯეროდა თქვენი, მე... მე არ დავუჯერე მამაჩემს, რომელიც პირადად იცნობდა მამათქვენს, მე თქვენ დაგიჯერეთ. თქვენ კი მე მომატყუეთ, რწმენა დამიკარგეთ!..

გულზე მჯიღებს ვირტყამდი, რომ არ ავტირებულიყავი, მაგრამ თავს ვერ მოვერიე და ცრემლი ღვარივით წამომივიდა. ვგრძნობდი, რომ თავის დამცირება არ შეიძლებოდა, რომ ადამიანები გაცილებით უფრო მძიმე დღეში მოხვედრილან, მაგრამ ცრემლი არ უღვრიათ. ვგრძნობდი ყოველივე ამას და ჩემი თავი მეზიზღებოდა, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. მე გმირი არ გახლდით, ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი.

- გაათავე, არტაკ, შენ ხომ ბალღი არა ხარ? - ჩამესმა მესროპის აღელვებული ხმა.

ბალღიო... განა მარტო ბალღები ტირიან? არა, მესროპ, ტირილის უნარი მართლაც ბალღობიდან მოდის, მაგრამ შესაძლოა ეს იყოს ყველაზე ძვირფასი რამ, რაც ადამიანს მთელი სიცოცხლე თან დასდევს, ყველაზე დიდი, უმნიშვნელოვანესი განძი, რაც ადამიანს ბავშვობიდან რჩება. არა, არა, მესროპ - სწორედ რომ პირიქით, მხოლოდ მოწიფულმა, ზრდასრულმა ადამიანებმა იციან, რა მნიშვნელოვანი რამაა ტირილი და ამიტომაც ტირიან იშვიათად, ძალზე იშვიათად, - როგორც მე ახლა ვტირი. ეს ბალღური ტირილი არაა, მესროპ, მე იმის გამო ვტირი, რომ ნორმალური ბავშვობა არ მინახავს, დღეს კი ჩემი სიჭაბუკე დაიმსხვრა. მე იმიტომ ვტირი, რომ ამის მეტად არასოდეს ვიტირო. არ მესმის, რას ამბობს ბადამიანი, მაგრამ ლაპარაკს არ ვაცლი მას და სიძულვილისგან სულშეგუბებული, თვითონ ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ.

ველი, რომ ბადამიანი ავარდება, დავარდება, იღრიალებს, წონასწორობას დაკარგავს, მაგრამ ის მხოლოდ იღიმება და თავს აქეთ-იქით იქნევს. როცა ჩემი სათქმელი ჩავათავე, ბადამიანი მკაცრად ეუბნება რაიკომის მდივანს:

- ოქმში სიტყვა-სიტყვით ჩაწერეთ, რაც აქ შეურაცხყოფა მომაყენეს. ახლა კი კენჭი უყარეთ. ბოლოს და ბოლოს, რა გემართებათ? იქნებ არ შეგიძლიათ ბოლომდე მიიყვანოთ ბიუროს სხდომა, ამხანაგო სარქისიან?

- ახლავე, ახლავე, - ლუღლუღებს სარქისიანი, სარკმლიდან ქუჩაში იცქირება და ხრინწიანი, ციებიანივით ხმით კითხულობს: „ვინ ეთანხმება ამ პროექტს, გთხოვთ ხელი ასწიოთ, წინააღმდეგი არავინაა?“

ბიუროს წევრებმა თავი ჩაქინდრეს და სარქისიანისკენ შებრუნდნენ. რაიკომის მდივანმა დაინახა, რომ ხელი არავინ ასწია, გაწითლდა და კითხვა შეატრიალა:

- ვინც უჭერთ მხარს პროექტს, გთხოვთ ხელი ასწიოთ.

ბადამიანი მაგიდაზე მუშტს აკაკუნებს და პირველმა ბენიკმა მიაფურთხა ღმერთს. მან თავაუღებლად ასწია მარჯვენა ხელი. დავითმა ცერად უყურა, უყურა ბენიკს და მანაც ფრთხილად ასწია მარჯვენა ხელი, მათ სურენმაც მიბაძა.

- წინააღმდეგი ხომ არავინაა? - შვებით ამოისუნთქა სარქისიანმა.

- თქვენ თვითონ არ აგიწევიათ ხელი, - უხეშად შეახსენა ბადამიანმა.

- ჰო, მართლა, - დაიბნა სარქისიანი, - მეც მხარს ვუჭერ პროექტს, - პროექტი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა ასწია, – წინააღმდეგი ხომ არავინაა? - ისევ იკითხა მან, მაგრამ ახლა უკვე რიხიანად.

- მე ვარ წინააღმდეგი!

- არც გვეეჭვებოდა, - ტუჩი მოპრუწა ბადამიანმა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- დიახ, მე წინააღმდეგი ვარ და ჩემს აზრს წერილობით წარმოგიდგენთ, - აცხადებს მესროპი.
- დაწერეთ, დაწერეთ, - ზიზღით უკანტურებს თავს ბადამიანი. თქვენს ნაჯღაბნს ჩვენ ქალაქკომში განვიხილავთ, – შემდეგ ჩემკენ ტრიალდება, - თქვენ კი უკვე თავისუფალი ხართ, ამხანაგო ლევონიან.

მე თვალით მივციებივარ მას, მინდა რაღაც ვთქვა, რაღაც მწარე, ღვარძლიანი, მაგრამ ვგრძნობ, რომ განადგურებული, გამოფიტული ვარ და ვერაფერს ვამბობ. მაგრამ, მაინც, რაღაც ხომ უნდა ვუპასუხო და მეც უკვე დაცინვით ვპასუხობ:

- გმადლობთ განთავისუფლებისთვის!

შემდეგ მივდივარ კარისკენ, თავზარდაცემული ვფიქრობ, რა იქნება ამ კარს იქით, გარეთ, როგორღა ვიცხოვრო ამ ახალ, გაუგებარ, უცნაურ და საზარელ სამყაროში.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამეერთე თავი
ბედნიერად გვეყოლეთ, მაწანწალებო!

გარეთ კი არაფერი შეცვლილა. მე ამას უფრო ვგრძნობდი, ვიდრე ვხედავდი. მეგონა, უკვე ჩამობნელდა-მეთქი, მაგრამ მისაღები ჩახჩახა, დამაბრმავებელი შუქით იყო განათებული და ძლივს ვარჩევდი სახეებს. რიმა უწინდებურად სწრაფად, ნერვიულად ბეჭდავდა მანქანაზე, გვერდითა ოთახიდან მოისმოდა პართევის ბანი; მელოტი კაცი, რომელიც როცა ბიუროზე შევედი, გაზეთს კითხულობდა, კვლავ აგრძელებდა კითხვას, მეორე, ოთახში ბოლთას რომ სცემდა, ახლოს იდგა და მეკითხებოდა:

- უკვე შემიძლია შევიდე?
- მე საიდან ვიცი? – ვიბნევი.

და უცებ, მანუკი მეხვევა, ნვარდი ხელს მართმევს, ნანარი კი შესიებული, აწითლებული თვალებით შემომცქერის და ჩუმად მეუბნება:

- წავიდეთ, არტ, რატომა ვართ აქ?

მართლაც, რატომა ვართ აქ? უკვე ყველაფერი უცხოა აქ ჩემთვის, ეს უკვე ჩემი სამუშაო ადგილი კი არა, უბრალოდ, რაიკომია. ქალაქში რაიკომი ოთხია. მაგრამ, არა, ადამიანებს ალბათ არ შეუძლიათ ასე სწრაფად განშორდნენ უკვე შეჩვეულ, თვალისთვის და გულისთვის ახლობლად ქცეულ საგნებსა და ნივთებს. მე ალბათ კიდევ დიდხანს მეხსომება ათასობით ნივთი და საგანი და ათასობით რამეს კიდევ დიდხანს ეხსომება ჩემი მუშაობა სპანდარიანის რაიკომში. აი, რა დამავიწყებს თუნდაც პიონერებს, წითელ ყელსახვევებს, დაფდაფებსა და საყვირებს, ფერად-ფერად, ხელით დაწერილ მოსაწვევ ბარათებს...

- სულაც ნუ მიიტან გულთან ამ შემთხვევას. ეს კრიტიკის უხეში ჩახშობაა. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ეს ვერ დაინახოს. ეს შენი ფელეტონის გაგრძელებაა. ჩვენ იმათ იურიდიულადაც მოვცხებთ! - მეუბნება მანუკი.
- საძაგელი, - გულდათუთქვით ამბობს ნვარდი, - სულმდაბალი ადამიანები არიან.

ნანარი დუმს. მას მხოლოდ მაგრად უჭირავს ჩემი ხელი, ისე მაგრად, როგორც აქამდე არასოდეს სჭერია, და კარისკენ მივყავარ.

ქუჩაში გამოსული ვხვნეში და მინდა ვიღრიალო, მაგრამ ვგრძნობ, რომ საცოდავი ვარ, მე კი არ მინდა, ვინმეს ვეცოდებოდე. შეურაცხყოფის ატანა შემიძლია, მაგრამ როცა ვინმეს ვებრალები, გული მისკდება.

- წამო, არტ, - მეუბნება ნანარი.

ჩუმად მივდივართ. ქუჩის კუთხეში, კინოთეატრ „მოსკოვთან“ ვჩერდები.

- მანუკ-ჯან, მე არ დაგიწყებ შეხსენებას, რომ ხვალ საღამოს შენ და ნვარდი ჩემთან მოდიხართ.
- მაშასადამე, დღეს მაინც ქორწინდებით, არა? ისე, პატარძლის აზრი რატომ არ გაინტერესებს, მან, იქნებ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, შეცვალა გადაწყვეტილება?

- ჩვენი გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, - მახსენდება შიკრიკობის წლები, - რას იტყვი, ნანარ?

ნანარი კი... ნანარი არაფერს ამბობს, მხოლოდ იღიმება ნაღვლიანი თვალებით. ის ბედნიერია, რომ ხუმრობის თავი მაქვს. რა ბედნიერებაა, რომ ნანარი სულ ჩემთან იქნება!

- აბა, ნახვამდის, - ვეუბნები მანუკს.
- რატომ? - უკვირს მას.
- მარტო მინდა დავრჩე.
- ნანართან ერთად?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ჰო, მანუკ-ჯან.
- მარტოობის უმაღლესი ფორმაა, - იცინის მანუკი.
ახლა ისე მესმის მანუკისა, თითქოს მე თვითონ ვიყო მანუკი.
იგი გაკვირვებული და გახარებულია, ასე მალე რომ დამავიწყდა ბიურო. ეშინია, ისევ არ გამახსენდეს და სიტყვას ბანზე მიგდებს, ხუმრობს, იცინის და არ ესმის, რომ სწორედ მის გამო ვიკატუნებ თავს, აქაოდა, გულმშვიდად, მხიარულად ვარ-მეთქი, რომ მანუკი და ნვარდი მაინც არ იყვნენ ამ საღამოს ნაღვლიანნი, რადგან ვიცი, რომ მე და ნანარი დღეს ცხვირჩამოშვებულნი ვიქნებით.
- ჰო, იცი, გუშინ ვის შევხვდი? - მხარზე ხელს მარტყამს მანუკი, - გასპარს, ჩვენს ბრიგადირს საკონსერვო ქარხნიდან. შენთან მოკითხვა დამაბარა და იცი, რა მითხრა? ახლა მალე ხილის სეზონი იწყება, შენ და არტაკი თუ მოხვალთ, ჩემს ბრიგადაში აგიყვანთ, მართალია, მუშაობაში კაი გვარიანი ზარმაცები ხართ, მაგრამ ბიჭებად არა გიშავთ რა, მოდითო. სხვების აყვანა არ მინდა, შენ, არტაკი და მარკოსი საქმეს თავს გაართმევთო. რას იტყვი, ჰა?
მანუკი ისე ხმამაღლა და გულით იცინის, რომ არ შემიძლია, მეც არ გავიცინო.
- გასპარ-ჯან, ვეუბნები, აბა, ტომრები როგორ ვზიდოთ, არტაკი უკვე ჟურნალისტია, მე კი – იურისტი ვარ, რას იფიქრებენ-მეთქი. იცი, რა მიპასუხა? არა, შენ ყური მიგდე, ყური მიგდე, თქვენ გამო მესამე ცვლას ავიყვან, ღამის ცვლას, არავინ დაგინახავთო. მოდით, ბიჭებო, თქვენთვის ვამბობ, წელს ბლომად ხილი შემოვაო.
მანუკი ისევ მარტყამს მხარზე ხელს და იცინის, თვალები კი ნაღვლიანი, ნაღვლიანი აქვს.
- ყაბულსა ვარ, მივაკითხოთ, ერთი ორი თვე წავიმუშაოთ.
- რაღა თქმა უნდა, - აღტკინებით მეუბნება მანუკი, - შენ რა გენაღვლება, სამსახურიდან თავისუფალი ხარ...
- მანუკ! - აწყვეტინებს ნვარდი.
მანუკი შემცბარი გვიყურებს, დაბნეულად იქნევს ხელებს, არ იცის, როგორ გამოვიდეს უხერხული მდგომარეობიდან, შემდეგ კი...
- არტაკ, შენ თუ შეგიმჩნევია, რომ მე ვირი ვარ, ჰა?
- რანაირი სულელი ხარ! - ვიცინი მე.
- არა, სულელი რომ ვარ, ფაქტია, წყალი არ გაუვა, მაგრამ თუ შეგიმჩნევია, რომ ვირიც ვარ? - მერე ორივე ხელს უწვდის ნვარდს და ეუბნება: - წამო, წავიდეთ, ნვარდჯან, ვიდრე ეს მთელ ქვეყნიერებას არ შეუმჩნევია.
მარტო ვრჩებით.
- საით წავიდეთ? - მეკითხება ნანარი.
- წავიდეთ გუკასიანის სკვერში, უკანასკნელად დავსხდეთ ჩვენს მერხზე, თორემ ქორწინების შემდეგ ხომ უსინდისობა იქნება, იმ მერხში სხვას შევეცილოთ, რას იტყვი? გახსოვს, რამდენ ვინმეს შურდა ჩვენი? ახლა კი ჩვენი კუთხე გვექნება, ჩვენი სახლი და ჩვენი დიდებულზე დიდებული სკამი სხვას, ასე ვთქვათ, მომდევნო თაობას უნდა დავუთმოთ...
ჩვენს სკვერში, ჩვენს მერხზე ვსხედვართ.
- ნანარ, - უცებ ვეუბნები მე, - ერთი რამე მინდა გთხოვო. მე ჯერ საჭიროებისამებრ არ შემიმოწმებია ჩემი თავი, მაგრამ მგონია, უნებისყოფო ვარ. მეშინია, არ დამავიწყდეს დღეს მოყენებული შეურაცხყოფა, მეშინია, სისუსტე არ გამოვიჩინო, თუკი დღევანდელი ბიუროს წევრები როდისმე მთხოვენ პატიებას ან ღიმილზე ღიმილით პასუხს. შენ დაიმახსოვრე ამათი სახელები და შემახსენე, რადგან არ მინდა ვაპატიო, რადგანაც არის ზოგი რამ ისეთი, რისი პატიებაც არ შეიძლება.
- კარგი, - მაშინვე დამეთანხმა ნანარი, - ცოტახანს დადუმდა და მერე დასძინა:

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- შენ დღეს კარგად გეჭირა თავი, არტაკ.
ეს რომ სხვა ვინმეს ეთქვა და არა ნანარს, დაცინვად მივიღებდი.
- შენ ყველაფერი გესმოდა?
- არა, - თქვა ნანარმა, - ტყავის კარი მიშლიდა. მაგრამ მესმოდა, როგორ ყვიროდნენ ისინი. ნანარს შევხედე. მის თვალებში უჩვეულო, აქამდე ჩემთვის უცნობი სხივი დავინახე. ასეთი უხდებათ თვალები დედებს, როცა ისინი მზად არიან გადაეფარონ თავიანთ შვილებს, დაიცვან ისინი.
- იცი, ნანარ, არასოდეს, არასოდეს არ ვაპატიებ ჩემს თავს, რომ მათ ვთხოვე, გამიგეთ-მეთქი. მეტი არაფერი მითხოვია, მაგრამ ამასაც ვერ ვაპატიებ ჩემს თავს. იმათ ნახეს ჩემი ცრემლები, ამას კი ჩემს თავს ვერა, ვერ ვაპატიებ.
- კარგი, ერთი! - ბრაზობს ნანარი, - შენ ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ ისინი ადამიანებად დარჩენილიყვნენ. ნუ იტანჯები, არ უნდა აპატიო ის, რაც გააკეთეს. მე შეგახსენებ... შენ ხომ დამნაშავე არა ხარ?
- საიდან მოიტანე, რომ ვაპატიებ?
- ნუ გეწყინება, იქიდან გამძვინვარებული კი არა, დაქანცული გამოხვედი. შენ უნდა გაიმარჯვო, გესმის?
ნანარს ტუჩები უთრთის და მეშინია, არ ატირდეს.
- რა გაეწყობა, უნდა გავიმარჯვო და გავიმარჯვებ, - ვიცინი, - სხვა გზა არა მაქვს, ნანარ-ჯან. მისკენ ვიწევ და გულში ვიკრავ. მისი ცრემლები ლოყას მისველებს და ამ წუთში მეჩვენება, რომ იგი მარტო ჩემ გამო არ ტირის...
- ნანარ, - ვეკითხები, - ვინ იყო მამაშენი?
- დალაქი იყო, - ენა ებორკება, - მე... გეუბნებოდი.
- ეგ მე ვიცი. ახლა სადაა? რაიმე ცნობა თუ გაქვთ?
ნანარი გაფითრდა, გაოგნებით მომჩერებია მშვენიერი, შეშინებული თვალებით. ეტყობა, ხვდება ყველაფერს.
- იმათ რამე თქვეს?
თავს ვუქნევ.
- ესე იგი, ცოცხალია? - იყვირა ნანარმა.
- არ ვიცი, ნანარ-ჯან, მხოლოდ ისა თქვეს, ციმბირშია გადასახლებულიო.
ნანარს თვალში იმედის სხივი უქრება. თავს ქინდრავს.
- რომ წაიყვანეს, ექვსი წლისა ვიყავი. არ ვიცი რისთვის, - ჩურჩულებს, - მეტად აღარ მინახავს. ომის შემდეგ ჩვენთან ერთი მათხოვარი შემოვიდა. ტყვედ ჩავვარდი და ამიტომ ციმბირში ვიყავიო. თქვა, რომ იქ მამაჩემს შეხვდა. მაღაროში მუშაობდაო, ძალიან უნდა თქვენთვის წერილის მოწერა, მაგრამ ნება არ დართესო. შემდეგ პური მოითხოვა. დედამ მისცა მთელი პური, რაც კი გვქონდა. ამის მეტი არაფერი გაგვიგია. შეიძლება იმ მათხოვარმაც პურის გულისთვის მოიგონა ყველაფერი.
- იქნებ ასეც იყო, - დავეთანხმე, - მაგრამ, იქნება პურის გულისთვის არ მოუგონია. ასეთი რამეები ხდება! ვინ იცის? კი მაგრამ, აქამდე რატომ არ მითხარი ეს ყველაფერი?
- მეშინოდა... მეშინოდა, ვაითუ ვერ გამიგოს-მეთქი.
- წავიდეთ, ნანარ.
- საით?
- სახლში, სხვაგან სად? - ვიცინი, - მაწანწალობას შეეჩვიე, თუ? წავიდეთ, ახლა ჩვენი სახლი ხალხითაა სავსე. ვენი ჯაჯღანა მეზობელი ქალი სამზარეულოში ენერგიულად უფროსობს ხალხს, შენს ვანელ დედას და ჩემს ლორელ დედას უკვე დაწყებული აქვთ თავიანთი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

გასაოცარი, ერთმანეთისთვის გაუგებარი საუბარი, მამაჩემს ახალი მსმენელები ჩაუგდია ხელში და შთაგონებით ელაპარაკება თავის სიყრმის წლებზე. ბაბკენს მაყალი გაუჩაღებია და ჩემს გინებაშია. სედას რეზინით გადმოაქვს ღვინო კასრიდან, ყოველი ბოთლის შევსებაზე თანდათან თვრება და იცინის. წამო, ნანარ, წამო. ხმა, კრინტი არ დავძრათ არც ბიუროზე, არც რაიმე სხვა საწყენ ამბავზე. დღეს კეთილები, გულმშვიდნი ვიყოთ, ნანარ!
ხელს ხელში ვკიდებ და ალაყაფისკენ გავრბივართ.
- ერთი წუთით, - ვეუბნები, - დამავიწყდა, რომ ერთი პატარა ბარათი დამეტოვებინა ჩვენს მერხზე.
როცა გავიქეცი და ქოშინით უკან მოვბრუნდი, ნანარმა ღიმილით მკითხა:
- რა დაწერე, არტ?
- ჩვენი ანდერძი: „ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, დავქორწინდით. მერხს თქვენ გიტოვებთ. ბედნიერად გვეყოლეთ, მაწანწალებო!“

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამეორე თავი
ბედნიერების რეპეტიცია

სიზმრად სცენიდან ვკითხულობდი რაღაც გრძელ-გრძელ, ნაღვლიან ლექსებს, რომლებიც, ვითომ, მე დავწერე. ვკითხულობდი და მიკვირდა, როგორ შევძელი ასეთი მელოდიური და შთამბეჭდავი სტრიქონების დაწერა-მეთქი. ხმამაღლა ვკითხულობდი და ჩემივე ხმის ექო შორით მესმოდა. შუქით გაბრდღვიალებულ სცენაზე ვიდექი, დარბაზში კი ბნელოდა. ნეტა, იქ ვინ ზის-მეთქი, ვფიქრობდი. შემდეგ დარბაზში ოდნავ განათდა და გაოცებით დავინახე, რომ იქ ყველა ჩემი ნაცნობი იჯდა. აი, მამაჩემი, დედაჩემი, ბაბკენი, სედა, ნანარი, მანუკი, ნვარდი, პეტროს-აირიკი, მუშელი დედაბერი, ბელა გრიგორიევნა და ვიღაც წვერებიანი კაცი. მისი სახე მეცნობა, მაგრამ ვინაა, ვერ ვიხსენებ. ჰო, გამახსენდა, ეგ ხომ „ინტურისტელი“ ფილოსოფოს-შვეიცარია. აი, ჩვენი ბრიგადირი გასპარი, მარკოსი, აზატი. შეხეთ, შეხეთ, ჩემი თანაკურსელებიც შეკრებილან. მანდ, კუთხეში რა ხალხი მიმსხდარა? ვაიმე, ესენი აქ როგორ მოხვდნენ? ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ბადამიანი, სარქისიანი, პართევი, ბიუროს წევრები აქ მოვიდოდნენ. მხოლოდ მესროპი აკლია. ჰო, მესროპმა ხომ მითხრა, რომ ვერ მოვიდოდა, რადგან ქარხანაში რომელიღაც ახალ საამქროს ხსნიან. ხმას დაბლა ვუწევ, ჩურჩულზე გადავდივარ და მესმის, როგორ ეფინება სიტყვები დარბაზს. ეს სიტყვები კვნესასავით ჟღერს. და უცებ ვამნევ, რომ დარბაზში მსხდომნი - მამაჩემი, დედაჩემი, ბაბკენი, ტირიან. საინტერესოა, როგორ ხვდებიან ჩემს გამოსვლას ისინი? მე ჩუმად ვიხედები იმათ მხარეს და გაოცებისგან პირს ვაღებ - ვხედავ, რომ ისინიც ტირიან. ესე იგი, ისინიც ადამიანები ყოფილან-მეთქი, შვებით ამოვისუნთქე. მაინც ადამიანები ყოფილან, მაინც? ჩემი აქცენტები უფრო და უფრო ტრაგიკული ხდება, უკვე ნიშნისმოგებით ვფიქრობ: „დამაცადეთ, აგერ ახლავე თუ არ ინანებთ, რომ ისე არამზადულად მომექეცით. ახლა ხომ ხედავთ, ვინცა ვარ. მე ლექსებს ვკითხულობ, თქვენ კი ტირით და ადამიანები ხდებით. ადრე მე ვტიროდი, ახლა კი თქვენ ტირით-მეთქი“, მაგრამ ეს რა ხდება? ნანარს, ეტყობა, უნდა რაღაც მითხრას და ამიტომ თვალს მიკრავს. „ნუ ენდობი მათ, არტაკ, ნუ ენდობი". მეც თვალს ვუკრავ ნანარს: ყველაფერი გავიგე-მეთქი. ნანარი იღიმება და ისევ მიჭუტავს თვალს. „აბა, მე წავედი თეატრში“. რატომ, რატომ-მეთქი, მინდა ვკითხო ლექსად, რათა მაყურებლები ვერაფერს მიხვდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს დარბაზში გაისმის ჩვენი კურსის მამასახლისის, შავარშ მიქაელიანის ყვირილი:

- როგორ რთავთ ნებას, რომ ასეთი ლექსები ჟღერდეს სცენიდან?

„ასეთი ლექსები, ასეთი ლექსები“ - კედლიდან კედელს აწყდება და მე შავარშს გულში დავცინი, ამ შტერს ჰგონია, ჩარენცის ლექსებს ვკითხულობ-მეთქი. დარბაზში ვიცქირები და ვხედავ, რომ უკვე ყველა ტირის, ქვითინებს... და არის ამაში რაღაც საშინელი, თავზარდამცემი...

თვალი გავახილე და შვებით ამოვისუნთქე. სიზმარი თუ გინდა, ესაა! რას ვკითხულობდი, არ მახსოვს, მაგრამ ძალიან მაგრად კი ვკითხულობდი. მაინც ასეთი სიზმარი რამ მანახა! ლოგინიდან ჩამოვხტი, გადავწიე თეთრი ფარდა, რომელიც ჩვენს საწოლს ჰყოფს ოთახისგან და პირდაპირ საუზმის ფაციფუცში გართულ დედას გადავაწყდი.

- ბავშვი ხარ პირდაპირ, - მეუბნება დედა, - შემაშინე, ადამიანო.
- შენ რა გატირებდა?
- როდის? - მკითხა დედამ და მაშინვე გულზე გამკრა, რომ დედას არ უუარია, არ უთქვამს, არ ვტიროდი, მხოლოდ „როდისო?“ მკითხა.
- როდის და ჩემს სიზმარში.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ეგ კარგია, შვილო, სიზმარში ტირილი კარგია.
- ესე იგი, დღეს რაღაც კარგი შეგემთხვევა. ნანარი სადაა?
- სამსახურში წავიდა.
- აგე, ხედავ! შენ კიდევ მეუბნებოდი, ცოლი შეირთე და შეირთეო! ხომ შევირთე, მაგრამ შენ რა ხეირი დაგადგა! ალბათ, იმასაც გაუმზადე საუზმე, არა?
- მხოლოდ ჩაი დალია, - გაიღიმა დედამ, - აი, ეს ბარათიც დამიტოვა, რომ შენთვის გადმომეცა.

ჩემი სიზმრის ნახევარი ამ ერთ წუთში ახდა: ნანარი დარბაზიდან მხოლოდ ამ სიტყვებს მეჩურჩულებოდა, მხოლოდ ამ სიტყვებს, რომლებიც ბარათში ეწერა: „აბა, მე წავედი თეატრში, რეპეტიციაზე. გახსოვდეს ჩვენი გუშინდელი საუბარი. გთხოვ, მაგრად დადგე. გელოდები შენ და კარგ ამბებს. ნანარი“.

კარგი ამბები... საიდან გავახერხო შენთვის კარგი ამბები, ნანარ? მე მხოლოდ ერთი იმედი დამრჩენია, ერთადერთი - რედაქტორი როგორ მიმიღებს, დამიცავს თუ არა? დღეს აღარაფერში არ შემიძლია ვიყო დარწმუნებული. გუშინ სხვა იყო, ნანარ.

სწრაფად ჩავიცვი, შევედი პურის მაღაზიაში და ფრთხილად ჩავუშვი ფული ტელეფონ-ავტომატში. ახლა გავიგონებ რედაქტორის მდივნის ხმას... ხშირად დამირეკავს ამ ნომერზე, მაგრამ ჩემი გულის ასე ძლიერი ფეთქვა არასოდეს მომისმენია.

- გისმენთ!

რედაქტორის ხმაა. მოულოდნელობისგან ლამის ხელიდან ყურმილი გავაგდო. ლაპარაკი მიჭირს.

- გი-სმენთ! - უკვე გაბრაზება ეტყობა ხმაში.
- ამხანაგო სარიან. არტაკ ლევონიანი გელაპარაკებათ...
- რა გინდათ, ლევონიან, ვერ იტყვით?

ძალზე გულცივად, შეუბრალებლად მელაპარაკება!

- თქვენთან მოსვლა მინდოდა, ამხანაგო სარიან!
- გინდოდა და მოდი. ხო, მოდი, მოდი, სასაუბრო მაქვს შენთან. რაღაც კარგი ამბავი უნდა გითხრა.

ღმერთო! ნუთუ ამქვეყნად კიდევ დარჩა კარგი რაიმე?..

- გმადლობთ, ამხანაგო სარიან. ახლავე მოვდივარ.
- ახლა არა, ახლა არა... ორ საათში მოდი.
- გმადლობ, ამხანაგო სარიან, გმადლობთ.

ფრთხილად ვდებ ტელეფონს. ნეტავ რა კარგი ამბავი უნდა მითხრას? ერთი რამაა მხოლოდ ცხადი: მან ჯერ არაფერი იცის, არ იცის, რომ მომხსნეს. აი, როცა გაიგებს, მაშინ გაქრება თუ არა ის კარგი ამბავი?

ისევ ავბრუნდი სახლში და აივანზე ლურსმნიდან ველოსიპედი ჩამოვხსენი, მექანიკურად ვწმენდდი, ვზეთავდი, ვუსინჯავდი თვლის მანებს და მხოლოდ ბოლოს გამახსენდა, რომ ველოსიპედი მეტად არ დამჭირდება. მე ხომ სპარტაკიადაში მონაწილეობა ამიკრძალეს. წუთით წარმოვიდგინე სტადიონი, აღგზნებული მწვრთნელები, ჩემი მეგობარი ველოსიპედისტები, რომლებიც ახლა, ალბათ, იცვამენ ხასხასა წითელ კურტაკებს და ტკივილისგან გული მეკუმშება. რატომ? რატომ? დავუშვათ, რომ მართლა ჩავშალე მუშაობა და სამართლიანად დამითხოვეს რაიკომიდან. მაგრამ ამას რა კავშირი აქვს სპორტთან, სპარტაკიადასთან? რა გამოდის, მე თუ რაიკომის განყოფილების გამგედ ვერ ვივარგე, ველოსიპედის ტარებაც არ შემძლებია, არა მაქვს უფლება, ველოსიპედი ვატარო? არა, აქ აშკარად უხეში შეცდომაა და ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელები, რა თქმა უნდა, არ

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

დათანხმდებიან, რომ სპარტაკიადაზე არ დამიშვან. ისინი ხომ კარგად მიცნობენ. უკვე ოთხი წელია, რესპუბლიკის ნაკრების წევრი და სტუდენტთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი ვარ. დავალებული მაქვს ჩვენი დელეგაციის პირველი დროშის ტარება, სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი მოსკოვში წასვლამდე. როგორ შეუძლიათ ასეთ დროს წიხლი მკრან და გუნდიდან გამაგდონ? რა მოტივით? არა, ეს შეუძლებელია.
ველოსიპედი ფრთხილად ჩამაქვს კიბეზე, ტიგრან-ახპარის თიხის ღობეს ვახტები და მივდივარ სტადიონისკენ. გაზაფხულის თბილი ნიავი სახეში მცემს და უკვე არ ვთვლი ჩემს თავს უბედურ კაცად. მესმის ველოსიპედისტების ძახილი:
- ჩქარა, ჩქარა, არტაკ, გვაგვიანდება!
- დღეს ფორმით გავივლით რეპეტიციას, იცი?
- ეს-ესაა, ფორმები მოიტანეს.
შესასვლელთან ველოსიპედიდან ვხტები და ჩვენი დარბაზისკენ ვიღებ გეზს. მწვრთნელი რუბენ ავშაროვი, როგორც ყოველთვის, აღელვებული და აღგზნებული, შორიდანვე გვემუქრება თითის ქნევით.
- ჩქარა, ჩქარა, ველოსიპედისტები კი არა, ბალერინები ხართ. ღმერთო, ეს ხალხი უნდა წავიყვანო მოსკოვში? არ წავალ, ხვალვე მოვითხოვ, რომ თქვენთან ერთად არსად გამგზავნონ. არასოდეს! აბა, ჩქარა ჩაიცვით, რას გაშტერებულხართ? ხუთი წუთი მომიცია, ვინც დაიგვიანებს, თვალით არ დამენახოს. ვაიმე, ეს რა ხალხს გადავეყარე!
მისი ლანძღვა ჩვენთვის ყურსშეჩვეული, მშობლიური ჰანგია. ეს ჯაჯღანა ბერიკაცი ჩვენი კერპი და ღმერთია. გამხდარი, დაძარღვული, მაღალი რუბენ ავშაროვი, წელში მოხრილი, გრძელი ხელების ქნევა-ქნევით დადის და ჩვენ მზადა ვართ, ქვეყნის კიდემდე გავყვეთ მას. ბავშვივით გულწრფელია, მამასავით მზრუნველი და სიცოცხლესაც არ დაიშურებს შენთვის. თუკი ველოსიპედს შეიყვარებ, თუკი აღიარებ, რომ ველოსიპედზე კარგი ქვეყნად არაფერია. თუ ისეც მოხდა, რომ შედეგი გაუმჯობესე, მაშინ იგრძნობ, როგორი სიყვარული და აღფრთოვანება შეუძლია რუბენ ავშაროვს.
- არწივი ხარ, არწივი! - შორიდანვე გიყვირის და ველოსიპედიდან ჩამოსვლას ვერ ასწრებ, რომ უკვე გულში ჰყავხარ ჩაკრული, - შენ იცი, ახლა რა ქენი? არ იცი! აი, მე ვიცი. მე და შენ ტულაში წიწილებსავით გადავყლაპავთ ჩვენს მეტოქეებს! წავალთ, რუბენ ავშაროვი რომ იტყვის, წყალი არ გაუვა. ვინა, ვინაო? სიომუშკინიო? სიომუშკინი შენ ათი მეტრით უკან დაგრჩება. რას ამბობ, რას? მოიხურე ტანზე, თორემ გაცივდები, - მხრებზე გაფენს თავის შალის პიჯაკს, მოიხურე-მეთქი, შე მამაძაღლო, შე არწივის ჯიშისავ!
მაგრამ შენ თუ ტრასას დაბალი შედეგით დაამთავრებ, აი, მაშინ გაიგებ, რანაირი დაცაცხანება იცის პირგამეხებულმა რუბენ ავშაროვმა:
- როგორ მოდიოდი, როგორ, შე მამაძაღლო, შე ძაღლის ლეკვო, შენა! ბავშვის ეტლში რომ ლომვეშაპი ჩასვა, ისე! წადი, ძმაო, წადი, მოჭიდავე გახდი, ველოსიპედისტობა რა შენი საქმეა? ფქვილის ტომარა ჯაგლაგზე რომ შემოდო, ისე იყავი. ფეხბურთელო! ველოსიპედისა მაინც არ შეგრცხვა? შეხე, შეხე, რა მსუბუქი, რა ჰაეროვანია, ველოსიპედი კი არა, ოცნებაა! პეპელასავით მსუბუქი და საათივით აწყობილი. ეჰ, ჩვენს დროს ასეთი ველოსიპედები რომ ყოფილიყო!.. ველოსიპედები კი არა, ორთქლმავლები იყო, შე მამაძაღლო, შე, ძაღლის ლეკვო, შენა!..
მის მიმართ გულში არავინ იტოვებდა წყენას, რადგან არ შეიძლება გულში წყენა ჩაიტოვო მამის მიმართ. პირველი გაყენებდა ფეხზე, თუ წაიქცეოდი, გამხნევებდა, როცა შენ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს, საბრძოლო გზიდან გადასვლა გინდოდა. და, კიდევ, ყველამ იცოდა, ეგ თავის დროზე როგორი ველოსიპედისტიც იყო - ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ჩემპიონი, მრავალი რეკორდის ავტორი. თვითონ ამიერკავკასიის ჩემპიონი,

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მრავალი რეკორდის ავტორი. თავად ამიერკავკასიის მთავარმმართებელმა ვორონცოვ-დაშკოვმა თავისი უაღმატებულესი ხელით მიამაგრა მკერდზე რომელიღაც რკინის ჯვარი. ეს მომენტი ასახულია ძველ ფერგადასულ ფოტოზე: რუბენ ავშაროვს ცალი ხელით მართლაც ორთქლმავლის მსგავსი, უხეში და მძიმე ველოსიპედი უჭირავს, მეორით კი მეფისნაცვლის თეთრი ხელი უკავია.

ხმაურით, ჯიკავ-ჯიკავით შევცვივდით დარბაზში და ჩავიბარეთ ჩვენი ღმერთივით ფორმები: ხასხასა წითელი შალის კურტაკები, მოკლე მუქლურჯი შარვლები, თეთრი კეპები და შავი ფეხსაცმელები. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, როცა ველოსიპედებზე მიმაგრებული მაღალი აბრეშუმის დროშების შარიშურით სტადიონზე შევედით, გაისმა ბრძანება:

- მოე-წყვეთ!..

ყველაზე მეტად მიყვარს საზეიმო ღონისძიებების წინა მღელვარება და პანიკა. ისინი გაცილებით უფრო ამაღელვებელია, ვიდრე თვით საზეიმო ცერემონია, როცა ყველაფერი დაპროგრამებულია და წამის სიზუსტით გათვლილი და შენ, ფაქტობრივად, მექანიკურად ასრულებ დავალებას. ახლა კი ყველაფერი თავდაყირა დგას. დაგვიანებული ინსტრუქტორები იქით გავარდნენ, სადაც მათი ადგილი სულაც არაა, ადგილიდან ადგილზე მიაგორებენ სატანვარჯიშო იარაღებს, ორკესტრანტები უკანასკნელად ამოწმებენ ინსტრუმენტებს, და ყველაფერი ბრწყინავს, კრიალებს, ხმაურობს და თვალისმომჭრელი ფერებით რიალებს.

- მოე-წყვეთ!..

ხმაური კლებულობს, უკანასკნელი წამოძახილები ჰაერში იკარგება და სტადიონზე გასაოცარი სიჩუმე ისადგურებს. ჩვენ თავზე ზაფხულის ნიავი წითელ ბაირაღებს ლამუნით აშრიალებს.

- სმე-ნა!..

ჩვენი რიგების წინ ჩაირბინა პარადის წამყვანმა, მიეახლა ვინ იცის საიდან მოსულ თეთრკოსტუმიან მსუქან კაცს და, თითქოს ეს კაცი ყრუ იყოსო, ძალზე ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ჩააბარა პატაკი:

- ამხანაგო ფიზკულტკომიტეტის თავმჯდომარევ, საკავშირო სპორტული ზეიმის სომეხი მონაწილეები მზად არიან გენერალური რეპეტიციისათვის. ნებას მომცემთ, დავიწყოთ?

მაგრამ ფიზკულტკომიტეტის თავმჯდომარეს მისი თითქოს არც არაფერი გაუგონია, რადგან ხელით ანიშნეს, ახლოს მოდიო და ყურში რაღაცას ეჩურჩულება. პარადის წამყვანი ჩენკენ ბრუნდება, გვაცქერდება და ცოტანი როდი ვართ - ორას ორმოცდაათნი - მაგრამ უსიამოვნო, ტკივილის მომგვრელი წინათგრძნობა მარტო მე მეუფლება, ათას რამეზე შეუძლიათ მათ ჩუმად ილაპარაკონ, რამდენი რამის თქმა და დავალება შეუძლიათ ფიზკულტკომიტეტის თავმჯდომარეს პარადის წამყვანისათვის, მაგრამ ოდნავაც, წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ისინი ახლა ჩემზე ლაპარაკობენ. და როცა პარადის წამყვანი მკვეთრად შემოტრიალდა და ჩვენკენ წამოვიდა, სავსებით დარწმუნებული ვიყავი ამაში, მხოლოდ ერთ რამეს ვევედრებოდი ღმერთს, მხოლოდ ერთ რამეს: რაც ახლა უნდა მითხრას, ყველას გასაგონად არ მეტყოდეს-მეთქი. მაგრამ პარადის წამყვანი, ეტყობა, ძალზე პუნქტუალური და დავალების უსიტყვოდ შემსრულებელი კაცი იყო, იმიტომ რომ, ჯერ ახლოს არც იყო ჩემთან მოსული, პირთან მიიტანა მიკროფონი და მთელი სტადიონის გასაგონად გამოაცხადა:

- ველოსიპედისტო არტაკ ლევონიან, რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით...

- გასაგებია, საკმარისია, - ვიყვირე მე, რიგიდან გამოვედი ველოსიპედით და მისკენ გავემართე.

მზად ვიყავი, დაუყოვნებლივ დამეტოვებინა სტადიონი, პარადი, ერევანი, ოღონდ კი მას გადაწყვეტილება არ გამოეცხადებინა ასე ხმამაღლა, ოღონდ კი ჩემს მეგობრებს არ გაეგოთ

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ჩემი უბედურების ამბავი. მე მათი მერიდებოდა. ხომ არ შემეძლო ორას ორმოცდაათი კაცისთვის ამეხსნა, რაც მოხდა სინამდვილეში. ორას ორმოცდაათი კაციდან რამდენი დამიჯერებდა?

- კარგით, ჰო, მივდივარ, - ვიყვირე და გიჟივით გავვარდი მისკენ, რათა ხელი შემეშალა მისთვის ყოველაფრის თქმაში. მაგრამ ის დავალების დაუყოვნებლივ შემსრულებელი მუშაკი იყო...

- რაიკომის ბიუროს დავალებით თქვენ უნდა დატოვოთ პარადი. ჩააბარეთ თქვენი ფორმა და ველოსიპედი. ამხანაგო ავშაროვ, მიიღეთ აღჭურვილობა და დარჩენილი ტალონები, - დასძინა მან.

მისგან ორ ნაბიჯზე შევდექი. დამცირებულს, შეურაცხყოფილს, მიწასთან გასწორებულს ფეხის მოცვლა არ შემეძლო. ხელში მეჭირა ველოსიპედი, რომელზეც აბრეშუმის დროშა ფრიალებდა. ველოსიპედს მთელი ძალით ვუბიძგე მისკენ, ველოსიპედი ჯერ პირდაპირ გაქანდა, შემდეგ გადაბრუნდა და აბრეშუმის დროშა პარადის წამყვანს მოხვდა თავში.

- წაიყვანეთ, წაიღეთ, გქონდეთ, - სიძულვილით, ზიზღით ვიყვირე.

პარადის წამყვანი წამით გაშტერდა, მომაჩერდა უდანაშაულო კაცის გაოცებული სახით, რა ხდებოდა, ვერაფერი გაეგო და მხოლოდ მაშინ გადაირია, როცა ძირს დაცემული დროშა დაინახა.

- დროშა! - იღრიალა მან, - ახლავე ასწიე დროშა, ახლავე! გერბს თუ ხედავ, გერბს? როგორ ბედავ გერბის ძირს დაგდებას? იცი თუ არა, ამისთვის რას გიზამენ? აიღე-მეთქი დროშა, აიღე, აიღე!

და უცებ, რუბენ ავშაროვი დავინახე. იგი, მაღალი, მოხრილი იჯდა პარადის წამყვანის წინ და გრძელ ხელებს იქნევდა გამეტებით.

- რომ ყვირი, რას ყვირი, - ღმუოდა რუბენ ავშაროვი, - მე ავიღებ. ძირს დაგდებულ ჩვარს ხედავთ და ადამიანს ვერა? შენ მე თითს ნუ მიქნევ, მე ავშაროვი ვარ და ბევრი თითი მინახავს. ოღონდ, თავი მინახავს ცოტა, თავი! აი, შენი დროშა, ინებე! ველოსიპედს კი რისთვის ართმევთ, იცით, ეგ როგორი ველოსიპედისტია? ველოსიპედი მას მე მივეცი, მე, რუბენ ავშაროვმა! და თუ თქვენ ველოსიპედისტები არ გჭირდებათ, ჩვენ ყველანი წავალთ, დიახ, ყველანი... ყველანი! - მან გაბრაზებით აიქნია ხელი და დროშებიანი ველოსიპედისტების ალყაში აღმოჩნდა.

- ძია რუბენ! ძია რუბენ! - შეევევედრე იმავ წუთს, - არ გინდათ, რა, მე წავალ, მივდივარ.

- მოკეტე, შე მამაძაღლო, - მომიტრიალდა გამძვინვარებული ბერიკაცი, - ვინ მოგცა უფლება, რომ ველოსიპედს მიწაზე აგდებ, ჰა?

მისმა დატუქსვამ მაშინვე დამამშვიდა, უსიტყვოდ წამოვაყენე ველოსიპედი და ჭიშკრისკენ წამოვედი, მოვდიოდი უდროშოდ, თავდახრილი, განადგურებული, შეურაცხყოფილი, გაოცებული, რომ ჯერ კიდევ მიდგას პირში სული, კიდევ შემიძლია ვიმოძრაო, კიდევ მესმის რაღაც, კიდევ ვხედავ რაღაცას, მესმის, როგორ ყვირიან იქ პარადის წამყვანი და ჩვენი მწვრთნელი, დიდი ხნის წინანდელი ჩემპიონი, ძველი ველოსიპედისტი რუბენ ავშაროვი. დარბაზში ციებ-ცხელებიანივით გავიძრე ხასხასა წითელი კურტაკი და მოკლე მუქლურჯი შარვალი, მოვისროლე თეთრი კოხტა ქუდი, გავიხადე შავი ფეხსაცმელი, ჩავიცვი ჩემი ძველი ტანსაცმელი, ფრთხილად მივაყუდე ველოსიპედი კედელზე, სახელოთი გავწმინდე მისი ოდნავ დამტვერილი ნატიფი, კრიალა საჭე და სტადიონიდან მძიმე, დაქანცული ნაბიჯით გამოვედი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამესამე თავი
თავის მართლება აუცილებელია

ცხოვრება სასწაული რამაა. ჯერ კიდევ გუშინ ამ ქუჩაზე აქაურობის მასპინძლის, ბატონ-პატრონის თვითდაჯერებულობით დავდიოდი, ვესალმებოდი ნაცნობ გამვლელებს, ხელს მაღლა ვუწევდი ქუჩის მეორე მხარეს მიმავალთ, ვჩერდებოდი, ათას ვინმეს ვესაუბრებოდი აქეთურზე, იქეთურზე, გულში რაღაცას მივღიღინებდი, მეც მხიარული ვიყავი და სხვებიც, მეც ბედნიერი ვიყავი და ისინიც. აქ ჩემი იყო ყვავილებიცა და ალვებიც, თიხატკეპნილი ღობეებიც და ახალი მშენებლობებიც, თვალწარმტაცად ლურჯი ზეცაც.
სულ ერთი დღე გავიდა და ამავე ქუჩაზე მოვდივარ სირცხვილნაჭამი კაცის გაუბედავი ნაბიჯით. მოვდივარ სწრაფად, საყელოში თავჩარგული, მოვდივარ და ვცდილობ ნაცნობებს არ ვუყურო. მგონია, რომ ახლა ყველამ იცის, რაც მოხდა და ამიტომ თავს მარიდებენ. აი, ის ყმაწვილი, მაგალითად, ყოველთვის შორიდანვე მიღიმოდა, დღეს კი ჩემკენ არც გამოუხედავს. თუმცა ვინ იცის, იქნებ მასაც რამე შეემთხვა?
- გამარჯობა, არტაკ.
იგი რძის ქარხანაში, ჩვენი სახლის გვერდით მუშაობს და თითქმის ყოველდღე ვხვდებით.
- გამარჯობა, - ვპასუხობ და ფეხს ვუჩქარებ.
- როგორ ხარ? - მეკითხება. ყოველდღე ასე მეკითხება, მაგრამ ეს კითხვა რაღაც სხვანაირად მესმის.
- ვარ, რა, - უგულო ღიმილით ვპასუხობ.
- რაღაც ვერა ხარ გუნებაზე. ხომ არაფერი შეგემთხვა?
- არა, რა უნდა შემმთხვეოდა? - ვცდილობ გავიცინო და ვგრძნობ, რომ არაბუნებრივად, გულისამრევად ვიცინი.
- აბა, კარგად მეყოლე, - შეფიქრიანებულია ჩემი ნაცნობი, - ნახვამდის.
- ნახვამდის.
რედაქციის კიბეზე ვხვდები ფოტოგრაფ ზავენს. ის რეპატრიანტია, ენერგიული, ცოცხალი კაცია, ყოველთვის გემოვნებითა და საგულდაგულოდ აცვია. სულ სირბილ-სირბილით აკეთებს ყველაფერს, სულმოუთქმელად გელაპარაკება, გეკითხება, გპასუხობს.
- კონსერვის ქარხანაში მივდივარ, ხომ არ წამოხვალ? - მეკითხება და გარბის.
- არა.
- საწყენია, რომ წამოსულიყავი, სურათს გადაგიღებდი, - მპასუხობს და მაშინვე გარბის.
ის სიტუაცია მართლა ძალზე სასაცილო იყო: ასკილოგრამიანი შაქრის ტომარა მკიდია ზურგზე, საწყობიდან ხილის საამქროში მიმაქვს და უცებ, ჩვენი საამქროს უფროსი ფრიდმანი და ეს ფოტოგრაფ-მორბენალი არ ამეტუზნენ თვალწინ! ფრიდმანმა დამინახა და ფოტოგრაფს ეუბნება:
- აი, თუნდაც ეს შეგიძლია გადაიღო, პარტიული მტვირთავია. დავალებას ორასი პროცენტით ასრულებს.
- ო, ძალიან კარგია, ძალიან, - ამბობს ფოტოგრაფი და ხან აქედან მიტრიალებს, ხან იქიდან - მარჯვე პოზიციას არჩევს.
ლამის ჩავიკეცე. წარმოვიდგინე ჩემი ფოტოსურათი გაზეთში დაახლოებით ასეთი წარწერით: „საკონსერვტო ქარხანაში მრავალი მოწინავე მუშაა. აი, ერთი მათგანი, - მტვირთავი არტაკ ლევონიანი, რომელიც გეგმას ორასი პროცენტით ასრულებს“. ან, რაღაც ამდაგვარი. ისიც წარმოვიდგინე, როგორი ასეთი აღტაცებითა და გაოცებით გამოსტაცებდნენ ხელიდან ერთმანეთს ამ ნომერს ჩემი ამხანაგები - ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

განყოფილების მეხუთე კურსის სტუდენტები, ჩემი ნათესავები და ნაცნობები, და სწორედ ამიტომ, ყოველგვარი ბოდიშებისა და ცერემონიების გარეშე შევტრიალდი და ისევ საწყობისკენ გავვარდი ჩემი ასკილოიანი ტომრით ზურგზე.

- მოიცა, - მომაყვირა ფრიდმანმა, - საით, საით?

ფოტოგრაფმა კი სირბილით გადამასწრო და უკვე წინიდან ამეტუზა.

- ერთის წამით, მხოლოდ ერთის წამით, - მითხრა მან აპარატი მოიმარჯვა.

მართლაც, მას მხოლოდ წამი სჭირდებოდა, მე კი ამ ერთ წამში ყველაფრის ახსნას ვერ მოვასწრებდი, ვერ ვიტყოდი, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს ფოტოგრაფირებისა, რომ სტუდენტი ვარ და ფრიდმანმა ეს არ იცის, დავუმალე, რადგან იგი პრინციპულად არ იღებს სტუდენტებს მტვირთავებად. ვერ მოვასწრებდი მისთვის ამეხსნა ყველაფერი ეს და მაშინვე, უბრალოდ, მრისხანედ დავემუქრე:

- მომაცილე აპარატი, თორემ ქვით დაგიჩეჩქე და ესაა.

- რატომ ბრძანებთ? თუ არ გნებავთ, ჩვენ ძალით კი არავის ვიღებთ, - დაიბნა ფოტოგრაფი, და ეგ და ფრიდმანი, რომელმაც ჩვენი თავაზიანი სომხური ლაპარაკისა ვერაფერი გაიგო, სხვა საამქროსკენ გაემართნენ.

- რა მოხდა? - იკითხა ფრიდმანმა.

- არ ვიცი, - მხრების აჩეჩვით ამოვილუღლუღე, - შენაო, ფოტოგენური სახე არა გაქვსო.

- ეჰ, ტექნიკისას რას გაიგებ! - ფრიდმანმა ისე გაწელა, რომ ეტყობოდა, ჩემი არა სჯეროდა, მაგრამ არც ის იცოდა, სხვა რა ეთქვა.

ამ შემთხვევიდან ზუსტად ერთი თვის თავზე კი, როცა ჩვენი რესპუბლიკური გაზეთის რედაქციაში საწარმოო პრაქტიკას გავდიოდით და განყოფილებების მუშაობას გვაცნობდნენ, იმავე ფოტოგრაფმა აქედან მიტრიალა, იქიდან მიტრიალა, ვერ მოითმინა და მკითხა:

- ჩვენ, მგონი, ერთმანეთს შევხვედრივართ?

- აპარატების დამტარებელი ვარ, - ჩუმად, მუქარის კილოთი ვუთხარი და თვალი ჩავუკარი.

ფოტოგრაფმა ზავენმა მიტრიალა, მიტრიალა და სიცილი წასკდა:

- მე კიდე... ვფიქრობდი, რატომ არ უნდა... გადაღება-მეთქი.

რედაქტორის მისაღებში პასუხისმგებელი მდივანი და მისი მოადგილე დაბნეულად ჩასჩერებოდნენ ახალი ნომრის მაკეტს. ეტყობოდათ, რომ ეს-ესაა გამოვიდნენ რედაქტორის ოთახიდან.

მდივანს ვთხოვე, სარიანს მოახსენეთ, რომ არტაკ ლევონიანი ელოდება-მეთქი. იქნებ უდროო დროს მოვედი, იქნებ მოგვიანებით უნდა მოვიდე? მდივანი შედის კაბინეტში და მაშინვე გამოდის, კარს ღიად ტოვებს და...

- შებრძანდით.

რედაქტორი დიდ საწერ მაგიდას უზის, ხელებით მაგიდას დაყრდნობია და მასალას კითხულობს. მშვიდი სახე აქვს, ნაოჭები გასწორებია. ჩუმად აკაკუნებს თითებს მაგიდაზე, რაც იმის ნიშანია, რომ კარგ გუნებაზეა და გულში რაღაცას ღიღინებს. ისიც კი შემიძლია ვთქვა, რას ღიღინებს. როცა რამე უხარია, ყოველთვის „სესირ ოვინ მერნემს“ მღერის. მეშინია, კაცს გუნება არ წავუხდინო.

რედაქტორი თავს მაღლა სწევს, მიღიმის და მარჯვენას მიწვდის.

- მოდი, მოდი. გამარჯობა, ჩამოჯექი. შენმა ფელეტონმა დიდი აურზაური გამოიწვია, ყმაწვილო. კარგადაა დაწერილი. შექმნილია კომისია, ამოწმებენ, მილიციაც ჩარეულია საქმეში. მაგრამ, ეტყობა, ძალიან მაგარი ჯეელია ეგ ვეზირიანი. იმდენი დამცველი დაატრიალა, იმდენი... რეკავენ, გული გაგვიწყალეს. მაგრამ ეს არაფერი. ასობით წერილი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მოგვდის, გვილოცავენ, მადლობას გვეუბნებიან. მთავარი ესაა. ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები - უწინარეს ყოვლისა. ასე რომ, გილოცავ, შვილო.
- გმადლობთ, ამხანაგო სარიან!
- არაფრის. რაც კარგია - კარგია, რაც ცუდია - ცუდია.
ადგა, ზურგზე ხელებშემოწყობილმა ოთახში ბოლთის თემა დაიწყო. უფროს-უმცროსობის წესი მეც ფეხზე მაყენებს. ისიც მაშინვე თავს ანებებს ბოლთის ცემას, გვერდით მიდგება და მარცხენა ხელს მხარზე მადებს, ფანჯრიდან სადღაც შორს იყურება, ალერსიანად, მიმნდობი ხმით იწყებს საუბარს და ისევ წუხილი მიპყრობს, რომ ამ კაცს გუნება უნდა წავუხდინო.
- ჩვენი პროფესია ერთ-ერთი უკეთილშობილესი პროფესიაა ამქვეყნად. და გარწმუნებთ, რომ ჟურნალისტები კი არ ხდებიან, იბადებიან. მე, რასაკვირველია, ნამდვილ ჟურნალისტებზე ვლაპარაკობ. აი, მე თქვენ გასწავლიდით. ვინც ჟურნალისტი უნდა დადგეს, დადგება, ვინც არა - იმას თუ გინდა ათი წელიწადი ასწავლე. ეგრეა, ეგრე და ნუ მეკამათები (მე შეკამათება არც მომსვლია აზრად). ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სწავლა საჭირო არაა. პირიქით, ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველაფერი... როგორც კლოუნმა, - დასძინა უცებ რედაქტორმა და შეამჩნია, რომ გაოცებულმა ავხედე, - ნუ გიკვირს. ასეა. ცირკში არ შეგინიშნავს? მეფოკუსე თავის რთულ ნომრებს შეასრულებს თუ არა, სცენიდან გამოდის, მის კვალდაკვალ კი მაშინვე შემოდის კლოუნი და, ვითომც არაფერი, იმეორებს მის ნომრებს, კლოუნს შეუძლია ჯამბაზივით იაროს ბაგირზე, აკრობატივით გააკეთოს სალტო, მიბაძოს ჟონგლიორს და მხეცების ენაც კი გაიგოს. აი, ამ თვალსაზრისით ვგავართ ჩვენ კლოუნებს. ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა იცოდეს...
ტელეფონი რეკავს და რედაქტორი მაშინვე პატარა მაგიდასთან ჩნდება.
- გისმენთ. დიახ. გამარჯობათ. არაფერია, დიახ! გისმენთ. დიახ! - სახეზე სისხლი აწვება და ნაოჭები უმრავლდება, - დიახ, დიახ! კი მაგრამ, თქვენ საიდან რეკავთ? თქვენ, იცით, რა გითხრათ?.. - დიდხანს ხმას არ იღებს, ძირს დებს ყურმილს, საიდანაც მოისმის ხმამაღალი ზუზუნი, თითქოს შიგ ბუზი გამოემწყვდაო. ბუზი წამით ჩუმდება და რედაქტორი ჩქარობს დაამთავროს სათქმელი.
- ახლავე, აგიხსნით... - და რაკი ბუზი ისევ იწყებს ბზუილს, სარიანი ხმას უმაღლებს, - მომისმინეთ, ძვირფასო ამხანაგო. ტელეფონის ყურმილს ორი ბოლო აქვს, ერთით უსმენენ, მეორით ლაპარაკობენ. თუ თქვენ ეს ხელს გაძლევთ, რადიოთი ილაპარაკეთ. ნახვამდის.
ეგ კი ბრაზობს, მაგრამ, იმავდროულად, ბავშვივით იღიმება. ალბათ კმაყოფილია თავისი პასუხით. თავის ქნევით აგრძელებს ადრე დაწყებულ საუბარს.
- მე ალბათ ვიჩქარე. მხეცების ენის გაგება არც ისე ადვილია, - ისევ იღიმება, - გასაოცარი ამბავია, დღეს ჩემზე არაფერი მოქმედებს. არაფერი. და, რატომ, როგორ გგონია? კარგი მასალა გავაგზავნე სტამბაში. წავიკითხე თუ არა, მაშინვე კარგ გუნებაზე დავდექი. სიტყვა არ შემიცვლია, სიტყვა კი არა, მძიმეც არ გამომიკლია. ისე გამიხარდა, თითქოს მე დამეწეროს. კარგი, ძალიან კარგი სტატიაა. ორჯერ წავიკითხე, მაგრამ ხვალაც, როცა დაიბეჭდება, წავიკითხავ. დაბეჭდილი სულ სხვაა. კარგი კიდევ უფრო უკეთესი ხდება. ასეა, ამხანაგო ლევონიან, ასე უნდა წეროს კაცმა, ახლა კი საქმეზე გადავიდეთ, თორემ, ცოტა დრო მაქვს. უნივერსიტეტი ხომ დაამთავრე?
- დიახ, ამხანაგო სარიან.
- აბა, მაშინ დაანებე თავი შენს საქმეებს რაიკომში, იმიტომ რომ გადავწყვიტეთ, ჩვენ აგიყვანოთ.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ისევ დგება და მიყურებს, ეტყობა, ელოდება, რომ მადლობას ვეტყვი, გაოცებული დავრჩები, რაც ასეც იქნებოდა, ვთქვათ, გუშინ. მაგრამ მე ახლა ვდუმვარ, შევცქერი მას და რედაქტორს ჰგონია, რომ გავიგე, რაც მითხრა, ან მადლიერებისგან დავიბენი და ენა დამება.

- ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიის გარეშე გეტყვი, რომ ეს შენთვის დიდი, ძალიან დიდი პატივია. მე თვითონ რამდენიმე რედაქცია მოვიარე, სანამ აქ მოვხვდებოდი. ჰო, ეგრე იყო. რესპუბლიკურ პარტიულ გაზეთში მუშაობა ჟურნალისტისთვის უდიდესი პატივია. კარგად ჩაიჭედე ეს მეხსიერებაში, ამხანაგო ლევონიან! შენ ახლა ხალხამდე პარტიის სიტყვა უნდა მიიტანო. დიახ. და, თანაც, ისიც იცოდე, რომ ადამიანი ვერსად ვერ პოულობს ისე სწრაფად აღიარებას, როგორც გაზეთში. ეს ტირაჟის საქმეა. ასე რომ, სასწრაფოდ გადააბარე შენი საქმეები რაიკომში, ვისაც ჯერ არს. თუ საქმეს გაგიჭიანურებენ, გამაგებინე. თუმცა, ხომ არ გინდა, დავურეკო?..

ახლა უკვე არ შემიძლია დუმილი.

- არაა საჭირო, ამხანაგო სარიან, მე რაიკომიდან უკვე გათავისუფლებული ვარ.
- მართლა? აბა, ხელს არაფერი გვიშლის?

ერთხანს მიყურებს, მერე, ეტყობა, რაღაცას ამჩნევს, რადგან ერთბაშად იხრება ჩემკენ, - მოიცა, როგორ თუ გათავისუფლებული ხარ?

- მომხსნეს.
- როგორ თუ მოგხსნეს? რატომ?

ვგრძნობ, რომ ლაპარაკი არ შემიძლია. იქ ბიურო რამდენიმე საათს გაგრძელდა, მე აქ ორიოდე სიტყვით როგორ მოვყვე ყველაფერი? პირდაპირ რომ ვთქვა, ფელეტონის გამო-მეთქი, შეიძლება არ დამიჯეროს!

- რატომ მოგხსნეს, ყმაწვილო?
- არ ვიცი.
- როგორ თუ არ იცი? რატომ გხსნითო, რა თქვეს?
- თქვეს, რომ ლოთი ვარ, მუშაობა ჩავშალე, ვარღვევდი დისციპლინას, მომხსნეს ანტისაბჭოური აზრებისთვის... - ხმამაღლა, სხაპასხუპით ვამბობ და ვგრძნობ, ყელში რაღაც მაწვება.

მეგონა, არ დამიჯერებდა, გადაწყვეტდა, რომ ბრიყვულად ვხუმრობდი, გაიცინებდა კიდეც, მაგრამ რედაქტორმა მაშინვე დაიჯერა. თვალებთან ნაოჭები მოუქუჩდა, სკამი მოსწია, პირდაპირ დამიჯდა და დაბნეულმა, შეფიქრიანებულმა მკითხა:

- ასეთი ფორმულირებით მოგხსნეს?
- დიახ.
- ფაქტები, დამამტკიცებელი მასალები თუ ჰქონდათ ხელთ?
- არა. ბადამიანს უნდოდა მოვეხსენი და მომხსნა.
- ბადამიანს შენი საწინააღმდეგო რა ჰქონდა?
- ვეზირიანის განუყრელი მეგობარია.
- რაო? გაოცდა რედაქტორი, - საიდან იცი? - თითები ნერვულად შეათამაშა მაგიდაზე, - მდაა! უსიამოვნო ამბავია. ვეზირიანზე იქ არაფერი უთქვამთ?
- მე ვთქვი, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება.
- მდაა! უჭკუოდ არ მოქცეულან. კი მაგრამ, იქ მარტო ბადამიანი ხომ არ იყო? ბიუროს წევრებმა რა თქვეს?

გამეცინა და მხრები ავიჩეჩე.

- მხოლოდ ერთმა დამიცვა და მალე მისი საკითხიც განიხილება.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- მდაა! თუმცა, რა შეუძლია რაიკომის ბიუროს წევრს, თუკი ქალაქკომის მდივნის აზრი სხვანაირია. მდაა! უსიამოვნო, ძალზე უსიამოვნო ამბავია. და საქმე ისაა, რომ შენ არ შეგიძლია ყველაფერი ეს პირდაპირ დაუკავშირო ფელეტონს, ვერ დაამტკიცებ. ეშმაკურად მოუფიქრებიათ! - დიდხანს, დიდხანს იწმინდა შუბლზე ოფლი, ვიდრე არ გაწითლდა, - რა გადაწყვიტე? შეგიძლია პარტიის რაიკომის ბიუროზე თავი იმართლო?
- არ ვიცი, ამხანაგო სარიან.
- რა „არ ვიცი და არ ვიცი“ გააბი, ერთი! შენ თუ არ იცი, სხვამ ვინ უნდა იცოდეს? - გაბრაზდა რედაქტორი, - შენ მაგივრად არავინ არაფერს გააკეთებს არც ახლა და არც არასოდეს, ეს იცოდე. შესაძლოა, ეს პრინციპებს ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ ასეა. შენ აუცილებლად უნდა იმართლო თავი სწორედ იმიტომ, რომ უდანაშაულო ხარ. და კიდევ, არსებობს სუფთა ანკეტის პრობლემა. ეს ფაქტი - სამსახურიდან მოხსნა მთელი ცხოვრება თან გაგყვება. შენი ცხოვრების ყოველ საფეხურზე გამოჩნდება ვინმე, ვინც საჭიროდ ჩათვლის, შენს დოკუმენტებში ხელი აფათუროს და ეს ფაქტი სამზეოზე კვლავ და კვლავ გამოიტანოს. და ვიდრე ამ ფაქტს შეამოწმებენ, ვიდრე შენს გამამართლებელ ქაღალდებს თუ ხალხს მოძებნიან, უკვე გვიან იქნება. ასეა ეს. და, ბოლოს და ბოლოს, გეტყვიან: ალბათ, იყო რაღაც, თორემ სამსახურიდან ისე ხელაღებით ვერ მოგხსნიდნენო. კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო.
- კი მაგრამ, რა ვქნა? რა შემიძლია? რასაკვირველია, მინდა თავი ვიმართლო, მაგრამ ვინ მომისმენს? ქალაქკომს უნდა მივმართო, მაგრამ ქალაქკომის მდივანმა თვითონ მომხსნა და... შეიძლება ცეკას მივმართო, მაგრამ ქალაქკომის მდივანი ხომ ცეკას ბიუროს წევრია, ვის უფრო მოუსმენენ, მე თუ იმას?
- ბევრს ლაპარაკობ! დიდი ამბავი, იღუპება სამყარო! შენ თუ მართალი ხარ, ყოველთვის იპოვი მხარდაჭერას. მაგრამ თუ მართალი არა ხარ...
- ამხანაგო სარიან, ნუთუ თქვენც ეჭვი გეპარებათ? თუ ასეა, არსადაც არ წავალ. რაც იქნება, იქნება, იმიტომ, რომ მე მხოლოდ ის მინდა, თქვენ გჯეროდეთ ჩემი...
- აი, სწორედ ამისთვის, სახელდობრ ამისთვის უნდა იმართლო თავი. ყმაწვილო, აბა, დაუფიქრდი, როგორ შემიძლია მე სამსახურში მიგიღო? რას იტყვიან? რედაქციის მუშაკს თვითონ უნდა ჰქონდეს სუფთა ბიოგრაფია, ერთი ლაქაც არ უნდა ეცხოს...
- როდის გთხოვეთ, სამსახურში მიგეღეთ?
- აბა, აბა, მამლაყინწობას მოვეშვათ! მე მინდა მიგიღო, მე! გაიგე? დაჯე, დაჯე-მეთქი. დიახ, მე მინდა მიგიღო, მაგრამ მინდა, რომ შენ მიმართ არავის არაფერი ჰქონდეს სათქმელი. გასაგებია? ერთი ამას დამიხედეთ, თავის მასწავლებელს არ ეყინჩება? რასაკვირველია, მე ახლავე დავურეკავ თქვენს რაიკომის მდივანს, მაგრამ...
- არაა საჭირო, - ვთხოვე მე.
- ეს შენ არც გეკითხება, ერთი ამას დამიხედეთ! - რედაქტორმა გადაშალა პატარა წითელი წიგნაკი და წითელ ტელეფონზე სამი ციფრი აკრიფა, - ალო, გამარჯობათ. სარიანი გაწუხებთ რედაქციიდან. გმადლობთ. ეს თქვენი საქმეა! თქვენთან კომკავშირის რაიკომში მუშაობს ერთი ყმაწვილი კაცი, არტაკ ლევონიანი. დიახ, დიახ, სწორედ ის. ახლა ის კედელთან მიაყენეს, იქ რაღაც აურიეს. დიახ, დიახ, და მე, პატიოსნად უნდა გითხრათ, რაღაც მეეჭვება, ამიტომ გთხოვთ, პირადად მოუსმინოთ ლევონიანს და ამ საქმეს ხელი მოჰკიდოთ. სავსებით მიუდგომლად. გმადლობთ! - ყურმილი დაკიდა და მეგონა, რომ გაიღიმებდა, მაგრამ არ გაუღიმია, მკაცრად, უკვე დაბინდული თვალებით შემომაცქერდა და მითხრა:
- ოღონდ, იცოდე, თუ ეგენი გამოდგებიან მართლები, თვალით არ დამენახო. ახლა კი წადი. როცა გამოვდიოდი, კაბინეტში ორნი შევიდნენ და მიუხურავი კარიდან შემომესმა რედაქტორის სიტყვები:

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- სასწაული ამბავია. დღეს ვერაფერი მიფუჭებს გუნებას. და, იცით, რატომ? იმიტომ, რომ სტამბაში ერთი კარგი, ძალიან კარგი მასალა გავგზავნე...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამეოთხე თავი
თოჯინური კანონით

თოჯინების თეატრის კონტროლიორმა უბილეთოდ შემიშვა.
- გილოცავ, - მითხრა მან გულაჩუყებით, - ნანარი ისეთი გოგოა, თქვენს ოჯახს ნამდვილად ბედნიერებას მოუტანს.
- გმადლობთ.
- ჩვენ ის ძალიან გვიყვარს, - მითხრა ქალმა, თან შალი შეისწორა, - ჩემი ღვიძლი ქალიშვილივით მიყვარს. შედი დარბაზში. იქვე, კართან თავისუფალი სკამია.
- იქნებ აქ დამეცადა?
- შედი, შედი, - ცხვირი დააცემინა ქალმა, - კართან თავისუფალი სკამია, - ისევ დააცემინა და პირზე შალის ბოლო აიფარა. მერე იფიქრა, ვაითუ ეწყინოსო და მომეფერა, - შენ განსაცვიფრებელი ბიჭი ხარ.
- თქვენი ჭირიმეთ, ნანარს ნურაფერს ეტყვით, - პირზე თითაფარებულმა ვუჩურჩულე, - ნანარმა არ იცის, რომ მე განსაცვიფრებელი ბიჭი ვარ. გთხოვთ ეს ამბავი ჩვენს შორის საიდუმლოდ დარჩეს. შევთანხმდით?
ქალმა ხელი ამიწია და ქუჩაში გავიდა, მე კი ჩუმად გამოვაღე დარბაზის კარი, ხელის ცეცებით მოვძებნე სკამი და დავჯექი.
სცენა შუქით იყო გაბრდღვიალებული. პატარ-პატარა ფარდები ცეცხლის ენებივით მიიწევდნენ ჭერისკენ. მუსიკა საზეიმოდ ჟღერდა. ალბათ, სპექტაკლი სადაცაა დამთავრდება. სპექტაკლები ნებისმიერ თეატრში საზეიმო და ამაღლებული განწყობილებით მთავრდება, პროჟექტორები, სოფიტები და ფარნები სულ ჩახჩახებდა. ადამიანებს უყვართ, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება, როცა სიკეთე ამარცხებს ბოროტებას, როცა სიბნელე ნათდება. ასეთი დარბაზიდან გამოსულ ადამიანს არ უჭირს ბნელი ქუჩებით შინ მისვლა. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველას ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა. ის, ვისაც უნდა, რომ მისი მაყურებელი იყოს ოპტიმისტი, რომ მან ნათელი მომავლის რწმენა შეინარჩუნოს და ყოველდღიური ცხოვრების ჭირ-ვარამსა და უსიამოვნებებს გაუძლოს, მიზანს აღწევს. მაყურებელი კი, თავის მხრივ, სულაც არაა წინააღმდეგი, რომ ცოტათი მოატყუონ. ეგ არაფერი, მთავარია, რომ ყოველთვის სიმართლემ გაიმარჯვოს და ყოველთვის ყველაფერი ნათლად და კეთილად მთავრდებოდეს.
ორი წლის წინათ პატარა სენტიმენტალური მოთხრობა დავწერე, რომლის ბოლოშიც გმირის დედა კვდებოდა. დედას წავუკითხე და მან იტირა. ის ტიროდა და მე მიხაროდა: რაკი ის ტირის, კარგად დამიწერია-მეთქი. ვღელავდი, მაინც რას იტყვის დედაჩემი, მოეწონება თუ არა-მეთქი. მან თავისი აზრი პირდაპირ არ მითხრა, ცრემლიანმა ძლივს შემომლუღლუღა:
- კარგია, შვილო, კარგი, მაგრამ ის ქალი მეცოდება.
- რა ვქნა, დედა, მე რა შემიძლია? - ამაყად გამეღიმა.
- ისედაც იმდენი იტანჯა, მთელი ცხოვრება არ გაუხარია, რატომ კლავ, შვილო, რას ერჩი? მე შემწყნარებლური ღიმილით გამეღიმა.
- რაო, თუ მოისურვებ, არ შეგიძლია ისე წაიყვანო საქმე, რომ ის არ მოკვდეს? - მიამიტად მკითხა დედამ.
- რატომ არ შემიძლია?
- ჰოდა, თუ შეგიძლია, ნუ მოკლავ.
- მაგრამ რაც მინდა, ის არ გამოვა, დედი. ეს ხომ მოთხრობაა. ის ქალი თუ არ მოკვდა, შენ ხომ არ იტირებ?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- კი მაგრამ, რად გინდა, რომ ვიტირო? - ნაღვლიანად მკითხა დედამ.
რა უნდა მეპასუხა?ხელოვნების სპეციფიკაზე ხომ არ გავუბამდი საუბარს, რომლისაც ბევრი რამ თვითონაც არ გამეგებოდა.
- დედი, შენ ამ ამბავს ძალიან კი ნუ მიიტან გულთან. ეს ხომ მოთხრობაა, ტყუილია. მე ხომ ეს ყველაფერი მოვიგონე.
- არა, - მითხრა დედამ, - ეგ რომ ტყუილი იყოს, შენ არ დაუშვებდი, რომ ის ქალი მომკვდარიყო. მწუხარე, ნაღვლიანი ტყუილი არ არსებობს.
...პატარა სცენაზე კი დიდი ამბები ტრიალებდა. სომეხთა კეთილ, ბებერ მეფეს თავზე შემოეჭირა ხელები და კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა, დაეძებდა თავის შვილ არის, რომელიც მტერთან საბრძოლველად იყო წასული. და როდესაც მეფე სცენის მარცხენა კუთხეში ჩაინთქა, მარჯვენა მხრიდან შემოვიდა ცხენოსანი მახარობელი, რომელიც მეფეს ეძებდა, მაგრამ იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, მისი ძებნით თავი არ მოეკლა, ეგრევე პირდაპირ მივიდა სცენის მარცხენა კუთხესთან, დაიხარა და მაშინვე მიუბრუნდა დარბაზში მსხდომ პატარა მაყურებლებს:
- ბავშვებო, მე ვარ მახარობელი მეფე არისა, მოვსულვარ, რათა ვახარო მეფეს, რომ მისი შვილი, ჩვენი სახელმოხვეჭილი და მამაცი თავადი არი შინ გამარჯვებული ბრუნდება. არ იცით, სად არის მეფე? საით წავიდა, რომელი მხრისკენ?
- იმ მხრისკენ, იმ მხრისკენ! - იხუვლა დარბაზმა.
- რომელი მხრისკენ?
- მარცხნივ, მარცხნივ! - ერთხმად აჟივლდნენ ბალღები.
- აქეთ? - საწინააღმდეგო მხრით შეტრიალდა მახარობელი.
- არა, არა! - ბავშვებმა ჭერი ძირს ჩამოიღეს, - ეგ მარჯვენა მხარეა.
- გამოდის, რომ მარცხენა მხარე ესაა, - როგორც იყო, მიხვდა მახარობელი, - გმადლობთ, ჩემო პატარა მეგობრებო. მე გაუნათლებელი კაცი ვარ, სკოლაში არ მივლია და, ხომ ხედავთ, მარჯვენასა და მარცხენას ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ.
ბოლოს და ბოლოს, მახარობელმა იპოვა მეფე და როცა მას შვილის გამარჯვების ამბავი აუწყა, გამოჩნდა მუყაოს უშველებელ ცხენზე ამხედრებული მეფე არი. საყვირები ხმამაღლა უკრავენ, დაფდაფები გრიალებენ, შემდეგ ყველანი, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ რწევა-რწევით, თავის ძლიერი ქნევით, ხრინწიანი ხმით მღერიან სიმღერას, რომლითაც განადიდებენ სამართლიანობის გამარჯვებას და, ამავე დროს, ეთხოვებიან პატარა მაყურებლებს...
ნაკეც-ნაკეც ჩამოეშვა ფარდა და დარბაზი სანახევროდ სიბნელეში ჩაიძირა. დარბაზი ახმაურდა. იქუხა ტაშმა, აჭრიალდა სკამები, ბავშვები ეძახიან თავიანთ დედებს, დედები - შვილებს, მოძებნეს ერთმანეთი, დაიწყო შთაბეჭდილებების გაზიარება, სპექტაკლის პერსონაჟების მიბაძვა-გამოჯავრება. მე ვიჯექი კართან, ოდნავ გვერდით მიდგმულ სკამზე და ვისმენდი და ვუყურებდი ყოველივე ამას. დარბაზი სწრაფად დაცარიელდა, ცივი და უსიმპათიო გახდა. ულამაზო და უაზრო. ალბათ არაფერია ამქვეყნად ისე უაზროდ ცარიელი, როგორც მაყურებლებისგან დაცლილი დარბაზი. ამ მხრივ მას, ალბათ, უბატარეო რადიომიმღები თუ შეედრება.
- არტაკ, - უცებ შემომესმა ნანარის ძახილი.
- აქა, ვარ, - შევეხმიანე, თან კარი გამოვაღე, მაგრამ იქ ვერავინ დავინახე. თავი გამოვყავი გარეთ, მაგრამ ნანარი დერეფანში არ ჩანდა. აქეთ-იქით ვაცეცებ თვალს და ისევ მესმის ნანარის ხმა:
- არტაკ, აქა ვარ.
- სად? - უკვე ხმამაღლა ვეკითხები.
- როგორ, ვერ მხედავ? - ჩუმად იცინის ის.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

იქით გავიხედე, საიდანაც სიცილის ხმა მომესმა. სუსტმა სხივმა გაანათა სცენის ფარდა, მისი ერთი კუთხე ცოტათი აიწია და იქიდან მომაჩერდა მძივისთვალება რუხი კატა. მან ერთი თათით ნიკაპი მოიფხანა, მეორე კი მე დამიქნია:
- აქეთ მოდი, არტაკ, მიაუ!
ფარდასთან მივედი, მაგრამ არ ვიცოდი, საით მეცქირა: კატისკენ, რომელიც ახლა ალერსიანად ათამაშებდა კუდს თუ შავ ყავასავით მრუმე სიბნელისკენ, სადაც ჩემის აზრით, ნანარი იმალებოდა.
- სარიანთან იყავი?
- აჰა, - მივუგე, მე და თან ვცდილობდი, ნანარი დამენახა.
- „აჰა“ კი არა, „დიახ“ უნდა უპასუხო ადამიანს, - სასაცილოდ წამოაგდო წინ ნიკაპი კატამ.
- აჰა, - დავეთანხმე.
- რა გითხრა სარიანმა?
- მორჩი ახლა! - გავბრაზდი, ოღონდ კატას ველაპარაკები, - გამოდი და ნორმალურად ვისაუბროთ.
- არ შემიძლია, - თავჩაღუნვით შემომჩივლა კატამ, - ახლა მითხარი, არტაკ-ჯან, ახლა, გთხოვ!
- რა უნდა გითხრა? - ვნებდები, - დახმარებას დამპირდა. პარტიის რაიკომის მდივანს ელაპარაკა, სთხოვა, რომ პირადად მოჰკიდოს ხელი ჩემს საქმეა. აბა, ახლა გამოდი.
- შენ რაიკომის მდივანთან არ წახვალ, თუ?.. - გრძელი ულვაშების აცმაცუნებითაც გამოხატა შეკითხვა კატამ.
- ალბათ თვითონ გამომიძახებს.
- აი, ნახავ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. შენ კი ცხვირჩამოშვებული დადიხარ. ვაი, ვაი, ვაიმე, რა ვქნა, როგორ გაგიძლო, ვუი, ვუი, ვუი-მე!..
ამას რომ ამბობდა, კატა სცენაზე კოტრიალობდა, თათებს სახეში იცემდა და თვალები უბრწყინავდა. შეუძლებელი იყო ამის შემხედვარეს არ გაგცინებოდა.
- რაო, სასაცილოდ მაქვს საქმე, თუ?
- არა, მაგრამ სულით არ უნდა დაცემულიყავი. აი, ასე ჩემსავით უნდა გევლო, ცხვირი უნდა აგებზიკა და არხეინად გექშუტუნა. იმ ხალხისთვის ზემოდან, აგდებულად უნდა გეყურებინა.
- იქიდან იოლი სალაპარაკოა, - ვიწყინე, - მით უმეტეს, როცა მსმენელები ბავშვები არიან.
- აბა, აბა, ისევ ნუ ჩამოუშვი ცხვირი, - კატამ ახლა ვეება წამწამების ხამხამი დაიწყო, - აბა, აბა, გაიცინე. ყველაფერი კარგად იქნება, ჩემო პატარავ. მალე შენ გაიმარჯვებ და ჩვენ ერთად ასკინკილას ჩამოვუვლით, ხომ ასეა? შენ იცი, მე როგორ ვცეკვავ?
ნანარს ჩემთან ასე თამამად არასოდეს ულაპარაკია. ეს უჩვეულო და, ამავე დროს, სასაცილო რამ იყო. ახლა იმით სარგებლობს, რომ მე ვერ ვხედავ. ამას კი, ამ მძივისთვალება, ვეებაწამწამებიან რუხ კატას, ახლა სცენაზე ასკინკილას რომ უვლის, რა უნდა ველაპარაკო?
- გამოდი, გეუბნები, - ვითომ ვუბრაზდები ნანარს.
- ჯერ მითხარი, გიყვარვარ? - მეკითხება კატა და, ღმერთს გეფიცებით, ვხედავ, რომ მისი გაბრწყინებული მძივის თვალები პასუხის მოლოდინითაა სავსე.
- შენ მე გამაგიჟებ.
- არა, მითხარი, მითხარი, გიყვარვარ? - თათი გამომიწოდა კატამ.
- არა, - არ გავუწოდე ხელი.
- მე კი შენ მიყვარხარ, - ამოიოხრა ნანარმა. ეს უკვე ნანარი იყო და არა კატა, - მე კი შენ მიყვარხარ...
- ნანარ-ჯან, - გავიხარე.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ერთი წუთით, - კატა ფარდის უკან გაუჩინარდა. პირდაპირ კედელში რომელიღაც კარი გამოიღო და ფეხის ხმა შემომესმა. ალბათ, ნანარია, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდა-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ არა - ფარდიდან ისევ გამოჰყო თავისი, ახლა უკვე ბრიყვული სახე რუხმა კატამ. ყურთან თათი მიიდო და მკითხა, - შენ ჩემთვის რაღაცის თქმა გინდოდა, არტაკ?
- გესმის, - ხმას ავუწიე, - ხომ არ გეყო?
- მანდ ვინაა, ნანარს რომ ემუქრება? - გაისმის ვიღაცის ბანი. ფარდის მეორე ბოლოდან მგელი მიცქერის. როცა ლაპარაკობს, ყბები აქეთ-იქით უხტის და წითელი ხახაც მოუჩანს, - ახლავე შეგჭამ, თუ...
- ნუ შემჭამთ, ამხანაგო პავლოს, - გამეცინა, როცა ბავშვობიდან ნაცნობი, აწ უკვე ხანდაზმული მსახიობის ხმა ვიცანი, - უკეთესი იქნება, ნანარს თუ შეჭამთ. ჩვენ კანონიერი ცოლ-ქმარი ვართ, მაგრამ სახლში არ მომყვება. თქვენ ხომ, ჩვეულებრივ, აღმზრდელობითი მიზნით ნთქავთ, ვისაც ნთქავთ...
- ნანარი ჩვენ გამო ვერ მოდის, - ახლა უკვე მელიის ხმა მომესმა.
- ჩემი მეგობარი მარო გახლავთ, - გამაცნო კატამ და მელიამ კოხტაპრუწული რევერანსი გამიკეთა.
ჩემი მოთმინების ფიალა უკვე აივსო.
- იცით, ახალგაზრდავ, თქვენი ქორწინება კანონიერად ვერ ჩაითვლება, ვიდრე ჩვენებური, თოჯინური კანონით არ შეირთავთ ქალს, - მომმართავს მგელი, - ამხანაგო არტაკ ლევონიან, მოჰკიდეთ ხელი, გეთაყვა, თქვენს საცოლე კატას. ჩვენ თქვენ უნდა დაგლოცოთ.
კატა წინ წამოიხარა და თათი გამომიწოდა, მე სიცილით უკან გავხტი.
- არ გაუშვათ, დაიჭირეთ! - იღმუვლა მგელმა და წითელი ხახა დააბჩინა.
- საკმარისია, ამხანაგო პავლოს.
- არა, არა, ჩვეულებრივი, თოჯინური კანონით, არ...
- იჩქარე, ძმაკაც, - დაამთქნარა მელიამ, - ე, რა მუდო ნეფე ყოფილხარ.
არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. იქნებ, ამათთან მართლა ასეა მიღებული? არადა, ბოლოს და ბოლოს, ისეთს რას მთხოვენ? თანაც, ყველაფერი იქით იყოს, მეც თითქოს ისევ პატარა გავხდი და ახლა მე ჩემი ბავშვობის ზღაპრების გმირები უკვე აღარ მეჩვენებოდა არაბუნებრივად, ისევ აღფრთოთვანებული თვალებით დავუწყე ცქერა.
- აბა, - ისეთი კილოთი მითხრა ეს „აბა“ მგელმა, რომ კიდევ ერთ დამუქრებას ჰგავდა.
კატის მსუბუქი, რბილი, პატარა თათი მარჯვენაში მოვიქციე და, ვიგრძენი, რომ იგი მაშინვე ათრთოლდა. კატამ მეორე თათით ჩემს თითებს დაუწყო ფერება და ნაზად დამადო თავი ხელზე.
- ვაშა! - იყვირა მგელმა, - გილოცავთ!
- გმადლობთ, ამხანაგო პავლოს!
- იბედნიერეთ, იდღეგრძელეთ, - იყვირა მელამ.
- გმადლობთ, გმადლობთ, - სხვა რა მეთქვა, ვერ მოვიფიქრე.
- ახლა კი იქნებ მიგვიწვიოთ თქვენთან? - მკითხა მგელმა, - არ დაგიმალავთ, მგელივით მშია.
- რასაკვირველია, რასაკვირველია, ამხანაგო პავლოს, - ვუპასუხე მე, - ოღონდ გამოდით, ბოლოს და ბოლოს.
მელა და მგელი ფარდის იქით გაუჩინარდნენ.
შვებით ამოვისუნთქე და მინდოდა, კატისთვის ხელი შემეშვა, მაგრამ ნანარი არ მიშვებდა. სიცილ-სიცილით გამოვწიე ჩემკენ კატის თათი და უცებ, მთელი თოჯინა ხელში შემრჩა, იმავ

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

წამს ხავერდის ფარდაც გადავწიე: ნანარი მარტოკა იდგა პატარა სამალავის ცენტრში და გაბრწყინებული, დამცინავი თვალებით შემომცქეროდა.

- სხვები სად არიან? - ვიკითხე გაოგნებულმა.

მან თვალით მიმანიშნა სკამზე უმოძრაოდ წამოწოლილ მგელსა და მელაზე.

- ესე იგი, კატაც შენ იყავი, მგელიც და მელაც?

- აჰა, - მიპასუხა ნანარმა.

დიდხანს ვუყურებდი მას, არ ვიცოდი, რა მეთქვა, მხოლოდ ხელს მაგრად ვუჭერდი მძივისთვალება, გრძელწამწამებიანი კატის თბილ, რუხ ტყავს.

- მაპატიე, არტ, - უცებ, ერთბაშად მოიწყინა ნანარმა, - მე ვგრძნობ, რომ მეტად არ მომიწევს თამაში. გული მეუბნება. მე კი მინდოდა, რომ გენახა, რა შემიძლია.

- რატომ ამბობ, ნანარ...

- არ ვიცი...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამეხუთე თავი
ძველი ქალაქის დაღუპვა

ჩვენს ქალაქს ანგრევენ. მის სხვადასხვა ნაწილში, ხან აქ, ხან იქ, ცალი ადის მტვრის უზარმაზარი სვეტები და, ამბობენ, ჩვენს ქალაქში პირველად ჩამოფრენილი სტუმრები პატარ-პატარა ილუმინატორებს შიშითა და პანიკით ეკრობიან და ერევნის ცაში ბომბდამშენებს ეძებენო.
ანგრევენ ჩვენს ძველ ქალაქს. ომი დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ჯერჯერობით ზურგი წესრიგში ვერაა მოყვანილი, - ეს ადამიანების შესაძლებლობას აღემატება, - ხალხი ებრძვის შიმშილს, უბინაობას, მათხოვრობას, იმას, რასაც ომის შედეგები ჰქვია. ადამიანებს უკვე აღარ უნდათ უფერულ-უღიმღამო, უხეში ნაჭრები, უნდათ ფერად-ფერადი, მსუბუქი და სახიერო ტანსაცმელი, მოხდენილი, მაღალქუსლებიანი მოდური ფეხსაცმელები და ფართოფარფლებიანი შლაპებიც კი. რატომაც არა? ქათქათა გახამებული პერანგები უნდათ. ყოველივე ამას ლოგიკურად თანა სდევს სულიერ საზრდოზე ზრუნვა. იქმნება მხიარული სიმღერები. ნაზი სატრფიალო ლექსებიც კი მხარდაჭერას პოულობს, ოღონდ, რასაკვირველია, არა ვიწრო-პირადული და, აქედან გამომდინარე, უშინაარსო ლექსები. პროფკავშირული ორგანიზაციები თავიანთ პროგრამებს სახეს უცვლიან. დაწესებულებებში, საწარმოებსა და სკოლებში იქმნება ევროპული ცეკვების კურსები. მაგრამ ვინმეს წარსულის გადმონაშთები, დამპალი კაპიტალისტური სამყაროს ტანგო, რუმბა და ფოქსტროტი რომ არ გაახსენდეს, ახლა ამ ცეკვებს თანამედროვე ცეკვებს უწოდებენ. ვინც ცეკვების წრეებს ერიდება, ჩამორჩენილად ითვლება და მათ საკითხს პროფკომიტეტის სხდომებზე განიხილავენ. სწორადაც იქცევიან, ცეკვა ყველას უნდა შეეძლოს. არქიტექტორები თავიანთ კანონიერ მოთხოვნებს უყენებენ ქალაქმშენებლებს. მათი აზრით, შეუძლებელია იმის მოთმენა, რომ თანამედროვე მრავალსართულიანი ვარდისფერი შენობების ირგვლივ ჯერ კიდევ მრავლადაა როდის-როდის აგებული თიხის უბადრუკი ქოხმახები, რომლებიც უწყალოდ აფუჭებს ქალაქის ხედს. მართალია, ერევანი ორი ათას შვიდასზე მეტი წლისაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოცი საუკუნის მანძილზე დაგროვილი ჭუჭყი და ტალახი ხელუხლებლად დარჩეს. სომხეთის დედაქალაქი თანამედროვე ქალაქმშენებლობის უმაღლესი ნორმების შესაბამისად უნდა აშენდეს.
და, აი, ანგრევენ ძველ ქალაქს.
გამძვინვარებულ ბუღასავით ჯიქურ აწვებიან მანქანები უმწეო თიხის ქოხებსა და სახლებს და... ყველაფერი მიწასთან სწორდება. ყოველ დასანგრევ სახლსა და ქოხს თავისი მაყურებელი ჰყავს და მათ შორის ყოფილი ბინადრების შეცნობა ძნელი არ არის. მათ სახეზე შუქი და ჩრდილი, სიხარული და მწუხარება ერთმანეთს ენაცვლება. რასაკვირველია, ისინი ახალ ბინებს მიიღებენ, მაგრამ მაინც საოცრად მტკივნეულია იმ ადგილის მიტოვება, სადაც ბავშვობა, ზოგს კი, შესაძლოა, მთელი ცხოვრება გაუტარებია. სახლის ფასადი უკვე ჩამოინგრა და დარჩენილია სამი კედელი, რომლებზეც ჯერ კიდევ ჩანს საღებავები, მოხატულობა, თეთრი ლაქები იმ ადგილებზე, სადაც ათეული წლების მანძილზე ეკიდა საოჯახო ფოტოები და კედლის საათი. თითქოს თეატრალურ დეკორაციას უყურებდე... და, როცა ეს ილუზია ქრება, საშინელ უხერხულობას გრძნობ - თითქოს ფარულად უთვალთვალებ სხვის ცხოვრებას. გაცრეცილპალტოიანი მოხუცი ხან ერთ ჯგუფთან მიდის, ხან - მეორესთან, უკვე მერამდენედ უჩვენებს მათ ნახევრად დანგრეულ ოთახს:

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- იმ კედელს ხომ ხედავთ? იმას არა, აი, იმას ჰო, ბრინჯაოსფერი პალმები რომ ახატია, ზუსტად ორმოცდათხუთმეტი წელი ვიწექი იმ კედელთან... აბა!.. უფროსი შვილის სურათი კი, აი, იქ მეკიდა, ხომ ხედავთ...
ელოდება, რომ დაუწყებენ რაღაც-რაღაცების გამოკითხვას, მაგრამ არავინ არაფერს ეკითხება და ბერიკაცი ახლა უკვე სხვა ჯგუფთან მიდის:
- აი, იმ კედელს ხომ ხედავთ?..
მაგრამ მას აქ არც უსმენენ. აქ სხვა ორატორი და სხვა აუდიტორიაა.
- როგორც კი ბულდოზერი - ბრახ! - მიაწვა კედელს, უცებ - ბრრ! გადმოგორდა ბრინჯაოს ჭურჭელი, - აღგზნებით ჰყვება გაქონილპიჯაკიანი ყმაწვილი, - ბულდოზერისტმა იყვირა: „ხელი არ ახლოთ, ეგ ჩემიაო!“, მაგრამ ვინ მოუსმინა, ბიჭები ყვირილით წაეტანნენ ჭურჭელს. ხედავენ, თავი მოფისული აქვს! აბა, დანაო, ის თავი უნდა მოაცალონ. აპა! ნაჯახი მოიტანეს და, რის ვაი-ვაგლახით დაამტვრიეს. დაიფშვნა, რა! ჰოდა, დაინახეს, მაგრამ რა დაინახეს...
- რა?!
- ნიკოლოზის ქაღალდის ფულები.
იმედგაცრუებით გაიცინეს.
- არტაკ, თუ ამჩნევ, რომ მე და ბულდოზერი ერთმანეთს ვგავართ? - მეკითხება მანუკი.
- რა გჭირს, ვერ მეტყვი? ამ ბოლო ხანებში რაღას არ ადარებ შენს თავს.
- შენი არ ვიცი და მე კი ვამჩნევ, რომ - განაგრძო მანუკმა, - ეს დანგრევისთვის განწირული კედლები რაღაცნაირი თავიანთი იდუმალებით ვეზირიანსა და კარო ბადამიანს მაგონებენ. როგორ გგონია, ეს ხუთი დღეს რა ვაკეთებდი?
- ნვარდს ეჩხუბებოდი.
- როცა ამისთვის მეცალა, კი. მაგრამ ძირითადად რას ვაკეთებდი?.. ვიძიებდი. შენ იცი, რომ მე პროკურატურაში, გამომძიებლად დავიწყე მუშაობა. ეს შენ იცი. ახლა ისიც მინდა იცოდე, რომ მე, ძირითადი სამუშაოს გარდა, კერძო პრაქტიკასაც ვეწევი და ყალბი მოკრძალების გარეშე ვაცხადებ, გენიალური გამომძიებელი ვარ.
- ეჭვი არ მეპარება.
- გთხოვ, მაიმუნობას თავი დაანებო, - განაგრძო მანუკმა. - გადავიდეთ ფაქტებზე. რაო, შენა, რა თქვი, ვეზირიანს რამდენი შვილი ჰყავსო? არ იცი? საერთოდ თუ ჰყავს, გეკითხები? არა ჰყავს, ჩემო ძმაო, არცერთი შვილი არა ჰყავს. მაგრამ შვილების მაგივრად იმას ჰყავს ორი მანქანა, ერთი - ცოლის, მეორე - სიდედრის სახელზე. აქვს ორი კერძო სახლი, ერთი - თავის, მეორე - ცოლის სახელზე. პირველში თვითონ, მისი ცოლი, სიდედრი და მოახლე, ასე თუ ისე ეტევიან. მეორეში კი ვინ ცხოვრობს? ვერაფრით გამოიცნობ. მეორე სახლი ჩვენს საერთო მეგობარს კარო ბადამიანს უჭირავს. ჰოდა, ქიში!
- მერე რაა ამაში ისეთი?
- რა და ისინი ასე ახლობლები არიან.
- ბადამიანს შეუძლია თქვას, რომ იმ ოთახს ქირაობს.
- არ შეუძლია. სახლი მას ვეზირიანის ცოლმა აჩუქა. ქიში! - ასეთი ადამიანები ისე, უბრალოდ, არავის არაფერს ჩუქნიან. მით უმეტეს - კერძო სახლს.
- ახლა საჩუქრის მირთმევის წესი ასეთია: ან საჩუქრის მიმრთმევიც და გამომრთმევიც თამაშობენ, ისეთ სახეს იღებენ, თითქოს, ეს მხოლოდ საჩუქარია, ამაზე არც ლაპარაკობენ, რათა შემდეგში, ვინიცობაა, ურემი გადაბრუნდეს, არ დასჭირდეთ ბევრი ახსნა-განმარტება, თუ რა, საიდან და როგორ შეიძინეს, ან სად წაიღეს მოხვეჭილ-მითვისებული უზარმაზარი თანხა. მარტივად რომ ვთქვათ, ერთი იტყვის, ესა და ეს ამან და ამან მაჩუქაო, მეორე იტყვის, კი, ამდენი ფული მივითვისე, მაგრამ ამას ამდენი მივეცი და ამას ამდენიო. შავი დღისთვის ეს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ვითომ ჩუქების ფაქტი ერთსაც ხელს აძლევს და მეორესაც, რაც მთავარია, მჩუქებელს ამით მეტი გარანტია აქვს, რომ ის შავი დღე არ დაუდგეს. ანდა, გაწეული დიდი სამსახურისთვის ქომაგს, მფარველს „საჩუქრად“ უძღვნიან უძრავ ქონებას, რაც სინამდვილეში ქრთამია და შეესაბამება სომხეთის სსრ სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის მეორე ნაწილს.

- ესე იგი, შენი აზრით...
- მე მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავ. დამატებით ის შემიძლია გაცნობო, რომ ვეზირიანი პირველად როდია ამჯერად მხილებული. ბოლოსწინა სიგნალი მის მაქინაციებზე დაფიქსირებულია ზუსტად ოთხი წლის წინათ, სამი თვით ადრე, ვიდრე ის ბადამიანს თავის სახლს აჩუქებდა. მაგრამ საგამომძიებლო კომისიამ ვეზირიანის ოპერაციებში განსაკუთრებული ვერაფერი ნახა და დაასკვნა, რომ მისთვის ბრალდებად წაყენებული ფაქტები წინასწარგანზრახულად გაბერილი და დამახინჯებულია. კომისიამ დაასკვნა, დიახ, ჩემო კარგო, რომ ვეზირიანის დატოვება თავის სამუშაო ადგილზე შეიძლებოდა და მისთვის სიტყვიერი საყვედურიც იკმარებდა. და კიდევ ერთი დეტალი: იმ კომისიას კარო ბადამიანი ხელმძღვანელობდა.
- ეს უკვე შეუძლებელია! იგი ასე გულუბრყვილო როდია!
- არც ვეზირიანია გულუბრყვილო! ამიტომაც ის სახლი, რომელიც მან ბადამიანს აჩუქა, გაფორმებული ჰქონდა თავისი ცოლის სახელზე, რომელთანაც ოფიციალურად არაა შეუღლებული. ამ ქალმა, თავის მხრივ, სახლი კარო ბადამიანის ცოლს აჩუქა. ჰოდა, ყოველივე ამას გაუგე ახლა თავი და ბოლო.
- კი მაგრამ, შენ საიდან გამოჩხრიკე ყველაერი ეს?

მანუკს ტუჩებზე ისეთმა დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა, რომ თვით შერლოკ ჰოლმსიც ინატრებდა. მე კი ისე ავღელდი, კანკალმა ამიტანა. ამ უკანასკნელ ხანს მთელი ღამეები არ მძინებია. ერთი წუთით არ მავიწყდებოდა ის, რაც მოხდა სარქისიანის კაბინეტში. ხან თვითონ სარქისიანი მედგა თვალწინ, ხან ბადამიანი, ხან ვეზირიანი, ხან პართევი, ხან ბენიკი. ჩემს წარმოსახვაში განუწყვეტლივ ვჩხუბობდი, ვდავობდი, ვირწმუნებოდი. „შენ კიდევ ბევრჯერ იგრძნობ შენს ახლოს ჩემს ყოფნას“, - მითხრა ვეზირიანმა. ახლა კი უკვე ვგრძნობდი, როგორ იდგნენ ჩემს ახლოს სხვებიც და მათ ვერა და ვერ ვიცილებდი. ქუჩებში ხეტიალისას უნებლიეთ ვჩერდებოდი და ვეკამათებოდი მათ, ტრამვაიში ავდიოდი და ვეკამათებოდი, ვსადილობდი და ვეკამათებოდი, დასაძინებლად ვწვებოდი და ვეკამათებოდი, გაუთავებლად, გაუთავებლად ვეკამათებოდი...

საკმაო მანძილზე გამოვცდით ქალაქის ძველ უბნებს, იქაურ ბუღსა და მტვერს. „დანა, დანა, მაკრატელი, ვის უნდა გალესვა“, - მუეძინის ხმით კივის მლესავი. ქვევით, თავღია ორმოში, ერთმანეთს აგინებენ სატელეფონო ქსელის მონტიორები. უცებ მანუკს გადავეხვიე.

- რა მოხდა, ეი? - გაეცინა მანუკს.

მან იცოდა, რაც მოხდა.

თვალები სიხარულისგან უბრწყინავდა. ნამდვილად იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა. ვუყურებდი მას და ვფიქრობდი, ეს ცხოვრება მაინც კარგია, მშვენიერია-მეთქი. ჩემ წინააღმდეგ ორგანიზებული ეს შეთქმულება რომ არა, იქნებ ვერასოდეს გამეგო, რა ყოფილა ჩემთვის მანუკი. ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო, უთქვამთ. ვნახე, რა ყოფილან ნანარი, ნვარდი, მანუკი, მესროპი და ბევრნი, ბევრნი სხვანი.

- ეს ხომ გამარჯვებაა, მანუკ!
- გამარჯვებაა და, თანაც, სერიოზული.
- და ყველაფერი ეს შენ ჩემთვის გააკეთე?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- მარტო შენთვის არ გამიკეთებია, - თქვა მანუკმა, - ჩვენ არ უნდა მივცეთ იმათ საშუალება, ქვეყნის ბატონ-პატრონად მიიჩნიონ თავი. თანაც, გულახდილად გეტყვი, ეს ჩემი ნამდვილი გამოცდა იყო. მე თვითონ მინდოდა შემემოწმებინა, რა შემიძლია და რა არა.
- გაგიჭირდა?
- რაც მართალია, მართალია, გამიჭირდა. მაგრამ მაგრად ვიმუშავე. ვეზირიანს რანაირი სიდედრი ჰყავს, იცი? ოდნავ მაინც რამე თუ სცხია კაცობისა, ძეგლი უნდა დაუდგას. რაღა ეგა და რაა ნამდვილი, ტიპური პარტიზანი დაკითხვაზე: „არ ვიცი, არ გამიგონია, არ ვიტყვი“. სახლმმართველი ქალი მასთან შედარებით მონაგონი იყო, თუმცა, ლამის სიყვარულის ახსნა დამჭირდა, ცნობა რომ მოეცა.
- რაო, ცნობაც აიღე?
- მიკვირს, რატომ გავიწყდება, რომ გამომძიებელი ვარ?
პაპიროსს მოვუკიდე და პირველივე ნაფაზის შემდეგ თავბრუ დამეხვა. აბა, გავიმარჯვეთ! რა საწყენია, რომ კვირა დღეა და კარო ბადამიანს ამ ცნობას შორიდან მაინც ვერ ვაჩვენებ. მინდა ვნახო, როგორ მოიქცევა. ნეტავ, რა დღეში ჩავარდება? ჯერ გაფითრდება, შემდეგ ითვალთმაქცებს და გაიღიმებს, შემახსენებს, რომ ჩვენ მე და ის, თითქმის ნათესავები ვართ, მეტყვის, ჩემი უმცროსი ძმა ხარო და მთხოვს, ყველაფერი დავივიწყო. ვაპატიო და დავივიწყო?! მაგრამ ამის დავიწყება ხომ შეუძლებელია? მირჩევნია იყვიროს, დამემუქროს, ამტკიცოს, რომ ეს ცილისწამებაა და ა. შ. მაშინ კი ვიცი, რასაც ვიზამ. აი, თუ საცოდავ, უმწეო, შიშისგან გულგახეთქილ კარო ბადამიანს დავინახავ, შეიძლება შემებრალოს და ვაპატიო. მე კი არ მინდა მას ვაპატიო, არ მინდა!
- როცა პატარა ვიყავი, - ვეუბნები მანუკს, - ერთხელ ძმა გავამწარე და ჩემი გალახვა უნდოდა. დედაჩემის ზურგს ამოვეფარე. ბაბკენი გაცოფდა: „მიმიშვი, მიმიშვი, - უყვიროდა დედას, - უნდა მოვკლა“. უცებ, ამ ძიძგილაობით დაღლილმა დედაჩემმა ზურგიდან მომიგლიჯა და ბაბკენს მიმაგდო: „აჰა, მოკალი, მიდი, მოკალი, წყეულიმც იყავით ორივენი!“ ვიდექი ბაბკენის პირდაპირ, საზვარაკე ბატკანივით თვინიერად და ველოდი, როგორ გამლახავდა ჩემი ძმა. ის კი დაბნეულად მომშტერებოდა, „მიდი, მოკალი, - გაუმეორა დედამ, - რატომ არა კლავ?“ „როგორ მოვკლა, - დაიღრინა ბაბკენმა, - რო არ გარბის, როგორ მოვკლა? უთხარი, გაიქცეს...“ ჯერ დედამ გაიცინა ამაყად და ბედნიერად, მერე ბაბკენმა, ბოლოს - მეც. შემდეგ ერთმანეთს გადავეხვიეთ და ისე ვიცინოდით.
- მერე, რისი თქმა გინდა? - გაეღიმა მანუკს.
- კარო ბადამიანმა თუ მოინანია და პატიება მთხოვა, ეგ ცნობა არაფერში გამომადგება. ეტყობა, ეს ჩვენ სისხლში გვაქვს... რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა.
- კაი ვინმე კი ხარ, ღმერთმანი, - განაწყენდა მანუკი, - უნდათ, რომ გარეწარივით, არამზადურად გაგისწორდნენ, გაგსრისონ, შენ კი აქ პატარა ქრისტეს მეთამაშები. ბოლოს და ბოლოს, ადამიანს პრინციპები უნდა ჰქონდეს. რა გინდა იმათ აპატიო, რა? ერთი დამნაშავეა, მეორე კი რითაა მასზე უკეთესი, თუკი ნებისმიერ დროს მზადაა ცხოვრებიდან ამოშალოს უდანაშაულო ადამიანი? ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ შენ ხომ არ გეხება? ასეთი ადამიანები უნდა დაისაჯონ მთელი საზოგადოების, ხალხის ინტერესებისათვის. მავნებლები არიან და რომ შემეძლოს, მათ წინააღმდეგ დაუყოვნებლივ აღვძრავდი სისხლის სამართლის საქმეს.
- კი, მაგრამ ვეზირიანის საქმე ხომ უკვე აღძრულია?
- კი, მაგრამ... კი, მაგრამ ეგ ისევ ისე არხეინად დაქეიფობს ქალაქში, ცდილობს, ვითომც არაფერიო, ხალხში იტრიალოს. აი, ჩვენი და ჩინელი კალათბურთელების მატჩზე ხაზგასმულად კარგ გუნებაზე იყო და სულაც არ ჰგავდა დამნაშავეს. თანაც, ვიღაცებს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ეუბნებოდა, სადაცაა გაზეთში იმ ფელეტონის გამაბათილებელი სტატია გამოქვეყნდებაო. შენ კიდევ, ვაპატიოთო, ამბობ.
- შენ რა იცი... იმ კალათბურთზე...
- როცა მე რამეს ხელს ვკიდებ, საფუძვლიანად ვსწავლობ საქმეს. შენთვის კიდევ ერთი სიურპრიზი მაქვს, თუმცა, როგორც ჩანს, ამის ღირსი არა ხარ. ნახე...
მანუკმა ჯიბიდან ფოტოსურათი ამოიღო და გამომიწოდა, ეს იყო სტადიონზე, იმ შეხვედრის დროს გადაღებული სურათი. კადრში აღტაცებული მაყურებლები ტაშს უკრავდნენ. ამათში ორნი ვიცანი - სარქისიანი და ვეზირიანი. სარქისიანი ვეზირიანისკენ დახრილიყო და სიცილით რაღაცას ეუბნებოდა.
- არაფერი მესმის, - გავოგნდი, – ვეზირიანის გვერდით სარქისიანი ზის? ეს ხომ შეუძლებელია? სარქისიანი ასეთი კაცი არაა. ვეზირიანი რომ მისი ახლობელი ყოფილიყო, მეტყოდა.
- მე როდის ვამტკიცებ, ახლობლები არიან-მეთქი? მე, უბრალოდ, ფაქტებს ვაგროვებ.
- კარგი, მაგრამ ეს სურათი როგორ ჩაიგდე ხელში?
- ეს წვრილმანია, ძმაკაც. პირველკურსელი იურისტის დონეზე ვდგავართ, არა? შენ რომ ცოტა უფრო დაკვირვებული ყოფილიყავი, სურათის კიდეში ჩემს მშვენიერ თავსაც შენიშნავდი. ხედავ? აი, ყოჩაღ! შევნიშნე, რომ გვიღებდნენ. თამაშის შემდეგ, მაშინვე, მივედი ფოტოგრაფთან და გავიგე, რომ გაზეთ „ავანგარდში“ მუშაობს. ვუთხარი, შემთხვევით თქვენს კადრში მეც მოვხვდი-მეთქი და ვთხოვე, ცხრა ცალი გაემზადებინა.
- რატომ მაინცდამაინც ცხრა?
- განა პარტიის რაიკომის ბიურო ცხრა კაცისგან არ შედგება?
ერთხანს ხმას ვერ ვიღებდი და გაოცებით შევცქეროდი მანუკს. ხან მეჩვენებოდა, რომ სავსებით კარგად მესმოდა მისი, ხან კი - პირიქით. რასაკვირველია, მას დიდად უხარია, რომ ამხანაგის გადარჩენისთვის ირჯება. მთელი დღეები იმტვრევდა თავს, აწყობდა გეგმებს, ენაგადმოგდებული დარბოდა, რომ ფაქტები შეემოწმებინა, - ბევრს ვინმეს ელაპარაკა, დარწმუნებული იყო, რომ მე, უბრალოდ, მსხვერპლი ვარ. რასაკვირველია, მას ისიც მატებდა ხალისსა და ენერგიას, რომ ეს მისი პროფესიული ნათლობა იყო. ვიცოდი, პატიოსანი და გაბედული კაცია. მხოლოდ ერთი რამ მეჩოთირებოდა: მისთვის სულ ერთი ხომ არ იყო, რა საშუალებებს გამოიყენებდა საქმის ბოლომდე მისაყვანად? ნუთუ ეს მისი სპეციალობითაა განპირობებული?
ლუდის კიოსკთან უნდა ჩაგვევლო და უცებ ვიგრძენი, რომ ყელი მიშრებოდა.
- ხომ არ დაგველია, მანუკ?
- დავლიოთ, - ხათრი არ გამიტეხა.
ორი ტოლჩა ლუდი ავიღეთ, კიოსკის გვერდით გავედით, იქ, ნაფოტა თევზისა და ძეხვის ნარჩენებში მიყრილ-მოყრილი ყუთებიდან ორი სკამად დავიდგით. თითქმის ნახევრამდე მქონდა დაყვანილი ბოკალი, რომ მანუკს ქვემოდან ამოვხედე.
- გთხოვ, ვიდრე უმადურად ჩამთვლიდე და გინებას დამიწყებდე, ერთ კითხვაზე მიპასუხო: დაფიქრდი, არ გეშინია, რომ მამაშენის გზას დაადგე?
მანუკი ამ კითხვას თითქოს ელოდა კიდეც, იმიტომ რომ გაეცინა და მაშინვე მიპასუხა:
- მეშინია და სწორედ ამიტომ, არასოდეს დავადგები მის გზას.
- თუ ასეა, მომეცი ის ცნობა და ფოტოები, - ვთხოვე მე, - ძალიან მადლობელი ვარ შენი, მანუკ-ჯან. შესაძლოა, არ შეგვფერის, ერთმანეთის წინაშე სენტიმენტალურნი ვიყოთ, - სხვა თუ არაფერი, გასპარის მტვირთავთა ბრიგადის აღზრდილნი ვართ, - მაგრამ მინდა

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

გჯეროდეს, რომ მეც გავაკეთებდი შენთვის იმას, რაც შენ გააკეთე ჩემთვის. ჰოდა, საკმარისია. მომე ის ცნობა.
მინდოდა მისთვის ამეხსნა ის, რასაც ჩემი აზრით, ვგრძნობდი; რა მესმოდა; მაგრამ სიტყვით ვერ გამომეხატა, ამიტომ დიდხანს, გაუთავებლად გრძლად და საზიზღრად ვლაპარაკობდი. ვუთხარი, ეს ფაქტი ბიურომდე რომ მცოდნოდა, აუცილებლად გამოვაქვეყნებდი, მაგრამ ახლა სხვა საქმეა-მეთქი. გამოდის, რომ მე თავად ვერ ვაქარწყლებ ბიუროზე ჩემდამი წამოყენებულ ბრალდებებს და ამიტომ ვცდილობ ჩირქი მოვცხო ბადამიანს, რისთვისაც მისი ბიოგრაფიის შავ ლაქებს ვეძებ-მეთქი. ესე იგი, მეც ისე ვექცევი მათ, როგორც თავად მომექცნენ და, მაშასადამე, ერთნაირნი ვყოფილვართ, ეს კი მე არ მინდა-მეთქი. ყველაზე მეტი, რაც მსურს, ისაა, რომ ეს ცნობა თვითონ ბადამიანს ვუჩვენო და, შესაძლოა ორიოდე სიტყვაც ვუთხრა, ან იქნებ, სულაც არაფერი, მორჩა და გათავდა. სურათი კი შემთხვევითი ამბავია-მეთქი.
- ამ ცნობის გარეშე არაფერი გამოვა, - გაბრაზდა მანუკი, - რა გააბი და გააბი? შენ ან ის უნდა დაამტკიცო, რომ ფელეტონისთვის მოგხსნეს, ან საერთოდ არ უნდა გამოყო ხალხში თავი, რადგან სულ ცოტა, აი, წვეთი თავმოყვარეობა მაინც უნდა ჰქონდეს ადამიანს.
სულის სიღრმეში დარწმუნებული ვიყავი მანუკის სიმართლეში. სხვა გამოსავალი მართლაც არ იყო. მაგრამ რა მექნა, ამ დოკუმენტის მოხელთებისთანავე თუ გამიქრა მთელი ბოღმა და სიძულვილი, რაც გულში დამიგროვდა?
- კეთილი, - ვუთხარი მანუკს, - ცნობა ჯერ შენ გქონდეს, ოღონდ შემომფიცე, რომ არავის აჩვენებ. ერთი რაღაც გადავწყვიტე.
- რა?
- ზეგ გეტყვი, პატიოსან სიტყვას გაძლევ.
მანუკს გაეცინა, წამოდგა, კიოსკის ნახევრად გამოღებულ კართან მივიდა და ორი ჭიქა არყით ხელში მობრუნდა.
- დავლიოთ. მე შენ ჩემს საიდუმლოებას გაგიმხელ.
არაყი გადავკარით, ზედ ლუდი დავაყოლეთ და მანუკმა დაიწყო:
- იცი, არტაკ, მე ხომ ხუთი თითივით გიცნობ. როცა დილით ცნობა გაჩვენე, ზუსტად ვიცოდი, რომ გადამეხვეოდი, მეტყოდი „ჩემო ძმაო“, „შენ მე გადამარჩინე“, „ამას არასოდეს დაგივიწყებ“. დამიჯერე, მე ეს ზუსტად ვიცოდი. მოდი, თითოც დავლიოთ, ჰა?
- დავლიოთ, - დავეთანხმე.
თითოც დავლიეთ.
- მერე, მერე? - შევახსენე.
- მერე, ძმაკაც, მე ხომ შენ კარგად გიცნობ. შენს ცნობაში ფრიადოსანი ვარ. ზუსტად ვიცოდი, რომ ორიოდე საათის შემდეგ შენ ისევ გადამეხვეოდი და მეტყოდი: მოდი, შევეშვათ ამ ცნობას და ხალხს სიავისთვის სიავეს ნუ ვუზამთო. განა მართალი არ აღმოვჩნდი? ასეც არ გამოვიდა?
- კარგი, მერე?
- და იმიტომ, რომ ჩემს თავსაც კარგად ვიცნობ და რომ მერე მავანი და მავანი არ შემბრალებოდა, აი, ამისთანა ლამაზ კონვერტში ჩავდე ეს წყეული ცნობა და შენს რედაქტორს სარიანს, ხოლო ასლი - პარტიის რაიკომის მდივანს გავუგზავნე.
- რაო?
- მორჩა! მე მთვრალი ვარ და აღარაფერი მესმის. თითო-თითო ჭიქაც დავლიოთ და სამუდამოდ დავცილდეთ ერთმანეთს, ყაბულსა ხარ?
- ვინ გთხოვა, რომ ჩემს საქმეებში ეჩრებოდი? - ვიყვირე მე, - უჩემოდ რატომ...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- კარგი, ჰო, ამას იქით არ ჩავერევი, - დაღონებით გააქნ-გამოაქნია ვეება თავი მანუკმა, - მაგრამ იმის ნებას მაინც ხომ მიბოძებ, შორიდან დავტკბე იმის ცქერით, როგორ გსანსლავენ?..
- შემსანსლავენ და შემსანსლონ, ერთი, მაგათი... - შემრიგებლური კილოთი ვუთხარი ქანცგაცლილმა. არაყი თავის ძალას თანდათან ამჟღავნებდა, გულში სასიამო სითბოს ვგრძნობდი და თავშიც ვეება სკა აფუთფუთდა, - უკეთესია, სხვებმა შეგსანსლონ, ვიდრე შენ სხვები შესანსლო. ეს მგონი, სხვისი სიტყვებია, მაგრამ გთხოვ, ჩემს აღმოჩენად ჩათვალო. თუმცა, რა იცი, იქნებ მართლა მე აღმოვაჩინე? გინდა ასე თქვი და გინდა ისე, ვიდრე არ იგრძნობ, რომ შენი შეჭმა უნდათ, ამისთანა აღმოჩენას ვერ გააკეთებ.
- თუ კაცი ხარ, საჭმელზე ნუ მელაპარაკები, ლამისაა შიმშილისგან მოვკვდე, - თქვა მანუკმა და ვიგრძენი, რომ ისიც მთვრალია. მანუკი წამოდგა, ხაზგასმულად ყინჩად მივიდა კიოსკთან და ორიოდ წუთში ისევ ორი ჭიქა არაყი და ღვეზელები მოიტანა, - ღვეზელები, ღვეზელები, - გაიცინა მან, - ეტყობა, სასტიკად გაოცდნენ, რომ მათაც ჭამს ვიღაც და ამიტომ თუ გაქვავდნენ ეს შობელძაღლები... თითოეული მათგანი ორ-ორი წლისა მაინც იქნება. ნამდვილი ცივი იარაღია. წვეტიანი მხრიდან თუ მოხვდა კაცს, კარგად მეყოლე... ეჰ, ღვეზელებო, ღვეზელებო, ორი წლის წინათ, ალბათ, ისეთი კარგები იყავით, რომ თქვენც ეყვარებოდით ვიღაც-ვიღაცეებს... სტუდენტები ხომ თქვენზე გიჟდებოდნენ...
- მანუკ, შენ წერილი ხელმოუწერლად გაგზავნე?
მანუკს გაეცინა და უარის ნიშნად თავი გადააქნია.
- რა ძალიან გინდა, რომ არამზადა ვიყო!.. არა, ამხანაგო ლევონიან, არა, წერილს ხელი მე მოვაწერე, როგორც წესია, სამსახურის ადგილიც მივუთითე, მისამართიც, სამსახურის ტელეფონის ნომერიც. ძალიან მინდოდა სახლის მისამართიც დამეწერა, მაგრამ ჯერჯერობით არც სახლი მაქვს და არც ტელეფონი. აი, როგორც კი მივიღებ, დამატებით ვაცნობებ. მოვრჩით?.. თუმცა, არა, არ მოვრჩენილვართ, - მან ჯიბიდან ამოიღო სტადიონზე გადაღებული სურათების შეკვრა და ფეხებთან დამიგდო.
ერთი სურათი ავიღე და გულისკოვზთან ტკივილი ვიგრძენი. როგორ მომიშხამეს ცხოვრება, როგორ! რაზე ვსაუბრობთ, ამას რას მოვესწარი?! რას არ მისცემდა ახლა ბადამიანი, რომ ვენახეთ ჩვენ ორნი აქ, ლუდის კიოსკთან, მთვრალები, ცარიელ ყუთებზე შემომსხდარნი! იგი, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ ბრძანებდა, რომ ჩვენთვის გადაეღოთ სურათები და ამ სურათებს პარტიის რაიკომში ააფრიალებდა გამარჯვებულის სახით. გაამრავლებდა, აუცილებლად გაამრავლებდა და არა ცხრა, არამედ ას ცალად. ხომ ასევე გადააღებინა სურათი მანუკმა იმ საცოდავი სარქისიანისა და ვეზირიანისთვის? ისინი ჩვენ მიმართ კადრულობენ უკადრისს, ჩვენ - მათ მიმართ. შორიდან, გარეშე თვალისთვის არ ჩანს, ვინ დაიწყო, ვინაა მტყუანი და ვინ მართალი. გარეშე კაცი იტყვის: „კარგით, ჰო, მორჩით, სირცხვილია“; იტყვის: „რაც იყო-იყო, დაივიწყეთ“; იტყვის: „ერთიც დამნაშავეა და მეორეც“.
აი, რატომ არ მინდოდა, მებრძოლა და გამემარჯვა. ნანარს ეს არ ესმის, მეუბნება, უნდა გაიმარჯვოო. მანუკი კი მეხმარება, რომ გავიმარჯვო. როგორ მომიშხამეს ცხოვრება, როგორ! სურათები დავფლითე და ნაკუწები გადავყარე. მანუკმა ჩუმად, მთვრალი კაცის სიცილით გაიცინა და შემომლუღლუღა:
- მეც... მივხვდი, რომ არ ღირდა და ამიტომაც არ გავგზავნე.მეც ხომ ჯ-ჯ-ჯერჯერობით პატიოსანი კაცი ვარ. იცი, რა დავლიოთ? გაუმარჯოს ჩვენს კეთილშობილებას. ახლავე დავლიოთ, ვ-ვიდრე გვიან არ არის.
თვალწინ ყველაფერი დატრიალდა, აცურდა. დავყურებდი ჩემს ფერხთით დაყრილ ნაკუწებს და ისინი უამრავი, უამრავი მეჩვენებოდა. ამდენ ნაკუწზე, ყველაზე, უკლებლივ ყველაზე,

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

მხოლოდ ვეზირიანსა და სარქისიანს ვხედავდი. რას ეუბნება ვეზირიანი სარქისიანს? ალბათ, უხარია, რომ სარქისიანისთანა პატიოსანი კაციც თავის მსგავსად აქცია. ალბათ, ეუბნება, ჩემი თხოვნით ბადამიანი დაგაწინაურებსო. და იცინის! იცინეთ, იცინეთ, იცინეთ, იცინეთ!.. სურათები დატრიალდნენ, დატრიალდნენ, დატრიალდნენ ფირფიტაზე გამოსახული ეტიკეტივით და მე უკვე ვეღარ ვარჩევდი სახეებს, ვხედავდი მხოლოდ მუქ, შავ ჩრდილებს, მათ მოქცევას და უკუქცევას, უკუქცევას და მოქცევას.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამეექვსე თავი
ჩვენ მტვირთავები ვართ

შორიდანვე შევნიშნე, რომ ჭიშკართან თათოს-პეტი იდგა. ისევ ის მწვანე გიმნასტურა ეხურა, ისევ ის მაღალყელიან ჩექმაში ჩატანებული კავალერისტის შარვალი ეცვა. იგი თითქმის არავის უყვარდა და ამის მიზეზი ის არ იყო, რომ ქარხნიდან გამოსვლისას ხალხს ამოწმებდა. არა - ქარხნიდან გამოსულ ხალხს თითქმის ყველა ყარაული ამოწმებდა, მაგრამ თათოს-პეტი ამას რაღაცნაირად შეურაცხმყოფელად აკეთებდა. მას ბევრჯერ აუხსნეს, რომ სავალდებულო არ არის ხალხის ჯიბეების ჩხრეკა, ხელების ფათური, ეს საკონსერვო ქარხანაა და აქედან მაინცდამაინც თუ მოინდომებს ვინმე რაიმეს გატანას, ვთქვათ, ბრილიანტებს ვერ გაიტანს. მანაც მიცნო და მოკითხვას ელოდა, მაგრამ მე ცივად ვკითხე:

- თქვენ ყარაული ხართ?

თათოს პეტმა იწყინა და ეჭვით შემომხედა, მაგრამ ჩემს მშვიდ სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და კბილებში გამოსცრა:

- მე დაცვის უფროსი გახლავართ.
- ეგ სულერთია, - ვუთხარი ქედმაღლურად, - თქვენთან ზოგი რამის შემოწმება მინდა. რედაქციიდან ვარ.

ის დიდხანს ამოწმებდა ჩემს კორესპონდენტის მოწმობას, წიგნაკი თვალიდან საკმაოდ შორს ეჭირა, ტუჩებს უხმოდ აცმაცუნებდა, შემდეგ თავი ასწია და შემომხედა.

- საეჭვო ხომ არაფერია? - იქედნურად დავინტერესდი.
- არა, არა, - მიპასუხა მან და სწრაფად დამიბრუნა მოწმობა.

ეტყობოდა, კაცს რაღაცის კითხვა უნდოდა და ვერ გადაეწყვიტა, ეკითხა თუ არა. ბოლოს ცნობისმოყვარეობამ სძლია.

- გეუბნებით, თქვენი სახე ძალიან მეცნობა.

მხრები ავიჩეჩე:

- არა მგონია, რომ სადმე ნანახი გყავდეთ.
- გეუბნებით, თქვენ ჩვენს ქარხანაში, აი, აი... - ეტყობა, „მტვირთავადო“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ გარისკა, - არ მუშაობდით?
- ვითომ რატომ უნდა მემუშავა თქვენს ქარხანაში?
- არა, ისე გეკითხებით, - ისევ იწყინა, - მაპატიეთ, კანცელარია ხელმარჯვნივაა.

ნელა ვაღებ გასასვლელის კარს, ვგრძნობ, რომ რაღაცას მკითხავს, რაღაცას მკითხავს კი არა, ვიცი, რასაც მკითხავს და თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ გადავიხარხარო.

- ამხანაგო, ამხანაგო, - მომესმა მისი ხმა.

მისკენ მოღუშული სახით შევბრუნდი.

- გეუბნებით, ძმა თუ გყავთ?
- მყავს, - გულმოსულად ვუპასუხე, - მილიციის სამმართველოს უფროსია. რატომ მეკითხებით?
- არა, არა, არაფერი, - სულ აქეთ-იქით იქნია თავი და ხმა დაუწვრილდა, - მაპატიეთ. გეუბნებით, მაპატიეთ.

ქარხნის ეზოში, იცოცხლეთ, სიცილით გული ვიჯერე. ეგეც შენ, შე რვაფეხავ, იმისთვის, რაც გიჩხრეკივარ, რაც ხელები გიფათურებია ჩემს ჯიბეებში. ქარხნის ეზო ისეთივე იყო, რაც ამ ერთი წლის წინათ, ალბათ, საპატიო დაფაზე თუ შეიცვალა სურათები.

მაღალ ფარდულში, თითქოს ლოტოს კოჭები ყრიაო, დგას ჯემითა და ხილფაფით სავსე უამრავი ღიპიანი კასრი, მათი ცარიელი თანამოძმეები კი ცოტა მოშორებით ორთქლის

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

აბაზანებს იღებენ და ერთმანეთის მიყოლებით მიგორავენ ხილის განყოფილებისკენ. მარცხნიდან, ხილის განყოფილების ნახევრად ღია კარიდან მოეფინება სქელი ორთქლი, რომელიც მთელ ქარხანას აფრქვევს თავისებურ სურნელს, რომლის აღწერა და დავიწყებაც შეუძლებელია, თუკი როდისმე გიმუშავია საკონსერვო ქარხანაში. დილით, როცა მრეწველობის განყოფილების გამგემ მითხრა, რედაქტორის დავალებით საკონსერვო ქარხანაში ერთი პატარა საქმის შესამოწმებლად უნდა წახვიდეო, სწორედ ეს სურნელი გამახსენდა.

აი, ჩემი ქარხანაც. რა სწრაფად გარბის დრო...

...ეს იყო ერთი წლის წინათ, ზაფხულის არდადეგების დღეებში.

მანუკი რამდენიმე დღე არ მოსულა ჩვენთან. შემდეგ მოულოდნელად გამოგვეცხადა, ერთი ყიჟინით გამომაგდო სახლიდან, მითხრა, სასწაულ, გაუგონარ ამბავს მოგიყვებიო, გაგიჟებული ვარ, გადარეული, აქამდე მსგავსი არაფერი მინახავს და ცხოვრებისა არაფერი მცოდნიაო. ისეთი აღტაცებით, ისე სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, რომ ნამდვილად შემეცოდა ეშხში შესული, მეცხრე ცაზე აფრენილი კაცი მიწაზე ჩამომეყვანა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოვითმინე და ვკითხე, კარგი, ჰო, რაღაც რომ გიხარია, ვხედავ, მაგრამ რა, ვერ გამიგია-მეთქი.

- როგორ? ამდენს გელაპარაკები და ვერაფერი გაგაგებინე? - გაეცინა მანუკს, - მე საკონსერვო ქარხანაში ვმუშაობ.

- იურისტ-კონსულტად?

- მტვირთავად.

დილით საკონსერვო ქარხნისაკენ მანუკი და მე უკვე ერთად მივდიოდით და ის უკანასკნელ რჩევა-დარიგებებს მაძლევდა:

- მთავარია, არ იღელვო. ისე გეჭიროს თავი, ვითომც არაფერი. სავარცხელი ხომ არა გაქვსო, თუ გკითხეს, არა მაქვს-თქო. იცოდე, არ გაგაცურონ. ისინი სავარცხლიან ხალხს ვერ იტანენ. სავარცხლიანი თუა, პიჟონიაო, ამბობენ. განსაკუთრებით შეეცადე, გასპარს მოეწონო. იცი, რა ბიჭო? მხარზე ორ ასკილოიან ტომარას მოიგდებს და ისე გარბის! ჰო, კინაღამ დამავიწყდა: იმათთან ლაპარაკისას მკერდი ა, აი, ასე გამოსწიე წინ - მანუკმა თავისი ვიწრო მკერდი წინ გამოქაჩა. სასაცილო სანახავი იყო, მაგრამ არ გამიცინია - ვღელავდი.

აი, გასპარი ნამდვილად ისეთი კაცი აღმოჩნდა, როგორიც მანუკმა ამიწერა, ეს იყო ტიპური გოლიათი მთიელი - სასუნელი. იგი შეიძლებოდა კაცს გამოეყენებინა დავითის, ანდა, უფრო სწორად, მღერ-უმცროსის მოდელად, რადგან ისე მსუბუქად და ფრთხილად დადიოდა, თითქოს ეშინოდა, ვაითუ მიწამ ვერ გამიძლოსო. მანუკმა შესაძლოა ერთი რამ გადააჭარბა: გასპარს პიჯაკის ჯიბეში ყოველთვის ედო სავარცხელი.

- ესაა? - დაიბუხუნა გასპარმა და თვალით ჩემზე ანიშნა. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა მანუკ შირინიანმა მორჩილი ღიმილით დაუმოწმა.

- შენ ვინა ხარ? - მკითხა გასპარმა.

ვერ გავიგე, რისი გაგება უნდოდა ამ კაცს და უმწეო მზერა ვესროლე მანუკს.

- პროფესიაზე გეკითხება, – მითარგმნა მან, - უპასუხე, უპასუხე!

- ჟურნალისტი ვარ.

გასპარმა ისეთი თვალით შემომხედა, რომელშიც ამოიკითხებოდა: „მოდი და ახლა ამ ჟურნალისტისა და იურისტის იმედით შეასრულე ტვირთის გადაზიდვის გეგმა“. შემდეგ უფრო გულისყურით შემათვალიერა, ასე ათვალიერებდნენ ალბათ ალეპოს ტყვეების ბაზარზე შავკანიან მონებს, და ეტყობა, კმაყოფილი დარჩა, რადგან შებრუნდა და შაქრის

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ფხვნილის საწყობისკენ წავიდა. მანუკმა გასამხნევებლად თვალი ჩამიკრა და ორივენი ბრიგადირს მივყევით.
შაქრის ფხვნილის გრძელ და განიერ საწყობში ორი მტვირთავი აუჩქარებლად აწყობდა რკინის საზიდარზე ტომრებს და, მანუკის აღწერის მიხედვით, მაშინვე ვიცანი მარკოსი და აზატი. ტანმორჩილ, ჯირკუტანა მარკოსს პროფესიონალი მტვირთავის წახრილი ზურგი ჰქონდა. მის გვერდით აზატი ბავშვი ჩანდა. ვიდრე გასპარი და მანუკი გადაიცვამდნენ, ჩვენ ერთმანეთს გავეცანით. ხელის ჩამორთმევისას ერთმაც და მეორემაც გაიხადა ქეჩის ხელთათმანები. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ახალი ნაცნობები უკვე თადარიგს იჭერდნენ, რომ საზიდარზე დაეწყოთ ტომრები, რომლებიც, ცოტაც და, შაქრის ფხვნილის საამქროში უნდა გადამეზიდა. ზურგით უნდა გადამეზიდა! ჩემი გამოცდა იწყებოდა. პირდაპირ ჩვენ ფეხებქვეშ მოედინებოდა ცხელი წყლის ღვარი, რომელიც ორთქლის ბოლქვებს აყენებდა. შემდეგში ამ ღვარს „გალფსტრიმი“ დავარქვით. მე ამ ცხელ მდინარეზე ორი დაქანებული ფიცრით უნდა გადამევლო, უნდა შევსულიყავი შენობაში, ავსულიყავი რკინის კიბეზე, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ უნდა გადამედგა და ტომარა დამეგდო უზარმაზარ ქვაბთან, რომელშიც მდუღარე სიროფი ბობოქრობდა.
- აბა, - ნიშანი მისცა გასპარმა.
- ერთი, ორი, ჰოპ! - მარკოსმა და აზატმა ტომარა ზურგზე შემაგდეს.
ტომარაში ასი კილოგრამი შაქარი იყო. საწყობის სინესტეს ის გუნდებად გაექვავებინა. ერთი გუნდა მართლაც ქვასავით მომხვდა ხერხემალში და წუთით მომეჩენა, გონება დავკარგე-მეთქი.
- უფრო ღრმად ისუნთქე, უფრო ღრმად ისუნთქე! - საიდანღაც, შორიდან ჩამესმა მანუკის თანამგრძნობელი ხმა.
ღრმად ჩავისუნთქე და თვალით მიველურსმე ცხელ ღვარზე გადებულ ორ გრძელ ფიცარს, რომლებზეც უნდა გამევლო. ტომრის ბოლოებს მაგრად ჩავაფრინდი თითებით, რამდენჯერმე მე წარმოსახვით გავიარე ეს გზა და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგი პირველი ნაბიჯი. გადავდგი პირველი ნაბიჯი და მაშინვე შევჩერდი. მუხლთ მეკეცებოდა, ნიკაპი მკერდში შემდიოდა, თვალწინ კი ჩნდებოდნენ და იკარგებოდნენ შავი წრეები. რამდენჯერმე კიდევ ჩავისუნთქე ღრმად და ძლივს ამოვიკვნესე:
- ტომარა ზურგზე დამადეთ, კისერი...
- წაიღე, წაიღე, - გავიგონე გასპარის ხმა, - ტომარას კისერზე იდებენ.
შემრცხვა. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ამისთანა? კისერზე დავიდებ. სხვებიც ალბათ ჩემს დღეში იყვნენ, როცა პირველი ტომარა მოიკიდეს. აბა, ჩემო ფეხებო, წადით, წადით, სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. ორი ნაბიჯი კიდევ წავდგი და ცალი ფეხით ერთ-ერთ ფიცარზე აღმოვჩნდი, მერე, წონასწორობა რომ არ დამეკარგა, მეორე ფეხი მეორე ფიცარზე შევდგი და ისევ შევჩერდი. ფიცრები ირყეოდა. ტომრები ზურგზე რომ მქონოდა, კიდევ ჰო, თორემ კისერზე მადევს და ვიხრჩობი. ასი კილოაო, მითხრეს, მაგრამ უეჭველად მეტია. არა, წაქცევა არ შეიძლება. ხალხს უფრო მძიმე ტვირთი უტარებია. მამაჩემმა მთელი თავისი სიცოცხლე თავისი მხრებით, ანუ, როგორც გასპარი ამბობს, თავისი კისრით ატარა ჩვენი ოჯახის ტვირთი, ჩვენი ჭირი და ლხინი. ოღონდ, არ წავიქცე, ოღონდ! საწყალი მანუკი, როგორ განიცდის ჩემს ამ ყოფას. აჰა, ერთი ნაბიჯიც წავდგი, მეორეც, კიდევ, კიდევ, კიდევ... ღმერთო, საიდან მოიტანეს ამსიგრძე ფიცრები? არასოდეს გათავდება? ჯერ სადაა, აგე, რამხელაა! რა წყალია, ტომრიდან რომ იღვრება? ჰო, მივხვდი, ოფლია. არა უშავს, იწურწუროს. ალბათ, ასე დაიღვარა მაშინაც, როცა პირველად ითქვა: ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო. რასაკვირველია!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ბოლომდე უნდა მიხვიდე, იცოდე. ისუნთქე, ისუნთქე, ღრმად ისუნთქე! ბოლომდე თუ მიხვალ, გაიმარჯვებ და ყველა შენი სურვილი შესრულდება. ერთბაშად, შეუსვენებლად რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, ფიცრები უკან მოვიტოვე და ბანცალ-ბანცალი, რის ვაი-ვაგლახით შევყავი თავი შენობაში. ახლა მარცხნივ უნდა მოვუხვიო, მაგრამ არ შემიძლია, ტომარა წინ მექაჩება. რამდენი ნაბიჯი დავკარგე! კიბე დამრჩა ასავლელი. საფეხურები სველია, ფეხი ცურავს. მთელი ძალა მოვიკრიბე, მარჯვენა ფეხი შევდგი პირველ საფეხურზე და დავეყრდენი. მეორე ფეხიც! ვაშა, პირველ საფეხურზე ავედი! ოღონდ, ამ ძალისხმევამ ტომარა მხრებიდან ზურგზე ჩამომიცურა. თითებს უკვე ვეღარ ვგრძნობ, ტომარა კი ქვევით და ქვევით მეწევა. არადა, კიდევ ორი საფეხური დამრჩა. ბევრია, ძალზე ბევრი! ეს ოხერი ტომარა, მაინც არ ცურავდეს ქვევითკენ, როგორ გინდა, არც ეგ დააზეპო მიწაზე და დარჩენილ საფეხურებზეც ახვიდე. ღმერთო, არა ხარ?! სულ ორი საფეხურია დარჩენილი, სამი! ახლა მარჯვენა ფეხს ავწევ და მეორე საფეხურის კიდეს დავადგამ. წავედით! ავწიე მარჯვენა ფეხი, მიწამდე დავიხარე, მხრით რკინის სახელურს მივეყრდენი და ხვნეშით ავედი მეორე საფეხურზე. ახლა წელში უნდა გავიმართო. და მაშინვე ვიგრძენი, რომ ტომრის მარცხენა ბოლო გამისხლტა გაშეშებული თითებიდან.

- მოგეშველო? - გავიგონე მანუკის შიშშემდგარი ხმა.
- არა, დაიბუხუნა გასპარმა, - თვითონ უნდა მიიტანოს ბოლომდე.

უკვე არ მესმოდა, რას ამბობდნენ. ჩემთვის რკინის კიბისა და ორი საფეხურის გარდა აღარაფერი არსებობდა. ახლა დაცემა როგორი იქნება? მიდი, მიდი! ერთი, ერთადერთი საფეხური დაგრჩა! აქამდე მოსულხარ, ახლა სირცხვილი არ უნდა ჭამო! ყველა შენ გიყურებს. გაინძერი...

ყველაზე ძნელი უკანასკნელი ნაბიჯიაო, რომ ამბობენ, მართალი არაა. ყველაზე ძნელი უკანასკნელ ნაბიჯამდე მიღწევაა. ახლა დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდი. მარჯვენა ფეხი ავწიე, მიწამდე დავიხარე და მარცხენის აწევა მინდოდა, რომ ტომარა ჩემს მხარს ზევით გადაფრინდა და ზედ ქვაბთან ხმაურით დაებერტყა მიწაზე. იმავ წამს მომეჩვენა, რომ ტომარა ისევ მოიწევდა ჩემკენ. შეძრწუნებულმა თვალი დავხუჭე და ტომრის მკვრივ მასას მივეხალე თავით: დავეცი. იოლად და გამარჯვებული კაცის გუნებით წამოვდექი ფეხზე. და მაშინღა ვიგრძენი, რა კარგია უტვირთობა.

ამ დროს მოხდა ის, რამაც თავზარი დამცა: ტომარა გაირღვა და ქათქათა შაქრის ფხვნილი ჭუჭყიან იატაკზე თეთრ ზეწრად დაეფინა. მორჩა, - გავიფიქრე, - ახლა გამაგდებენ, თანაც, შაქრის საფასურს გადამახდევინებენ-მეთქი. კი მრცხვენოდა, მაგრამ გულის სიღრმეში გამიხარდა კიდეც. არ მიმიღებენ და ძალიანაც კარგი, წავალ აქედან და... გაუმარჯოს თავისუფლებას!

ახლა გასპარი აღრიალდება. მან დაიყვირა... მაგრამ მე კი არა, მანუკს დაუყვირა:

- რას დამდგარხარ? აავსე ტომარა... თქვენ კი, - მარკოსს და აზატს უთხრა, - ახალი ტომარა გაუმზადეთ ამ კაცს.
- რაო? - პირი დავაღე, - არ მაგდებთ?
- ჯერ როდის მიგიღეთ, რო გაგაგდოთ? - გაიცინა უცებ გასპარმა, - აბა, მიდით!
- ერთი-ორი, ჰოპა!..

როცა მე, როგორც იყო, მეორე ტომარაც მივიტანე ჯოჯოხეთური ძალისხმევით ადგილამდე, შვებით ამოვისუნთქე და ბიჭებთან მივედი. გასპარმა მითხრა: „დღეიდან ჩვენთან მუშაობ. ხვალ რამე ძველი ჩაიცვი. სავარცხელი თუ გაქვს?“ - მოულოდნელად მკითხა მან.

- არა მაქვს! - მაშინვე ვიუარე, - სავარცხელი რა შავ ქვად მინდა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

გასპარმა, მარკოსმა და აზატმა მანუკს შეხედეს და ატყდა ერთი ხარხარი. მანუკი მიხვდა, რომ გააცურეს და თვითონ სხვებზე მეტი იცინა.
გასპარმა მარკოსსა და აზატს დაავალა, საზიდარი გადმოტვირთეთ, ჩვენ კი საწყობში წავალთო.
გზაში ვდუმდით, მხოლოდ საწყობის კართან ვკითხე გასპარს:
- დღეს რომ შაქარი დაიბნა, იმას რა ეშველება?
გასპარმა ხელი ჩაიქნია.
- სარგებელიც და ზარალიც საერთოა...
ნანარი თავის პატარა შუკაში მელოდა. კინოში უნდა წავსულიყავით, მაგრამ ფეხზე ძლივს ვიდექი, მთელი ტანი დალეწილივით მტკიოდა. ნანარმა თავიდან იფიქრა, რომ მთვრალი ვიყავი, შემდეგ, როცა ყველაფერი გაიგო, ამოისუნთქა, მკლავი გამიყარა და სახლამდე მიმაცილა. და ჩემს სიცოცხლეში პირველად მივეცი ნება, რომ შინ მარტო დაბრუნებულიყო. ჩვენებს ვუთხარი, შეუძლოდ ვარ-მეთქი და წამოვწექი. ასეთი დაღლა და ტკივილი არასოდეს განმეცადა. წყლის დალევა მინდოდა და ჭიქა ვერ ავიღე ხელში. როგორც ყოველთვის, ძილის წინ კითხვა ვცადე. წიგნი ხელში ავიღე, მაგრამ რამდენიმე წუთში თითები უკვე ჩემი არ იყო. სხეულის ყოველ წერტილში მტეხდა. ხელისგულებზე ხომ ცეცხლი მეკიდა. წიგნი გამივარდა და ხელები უდიდესი ძალისხმევით შევყავი საბანში.
განძრევა არ შემიძლია. საოცარია, დაღლილობისგან, თითქოს, უფრო მალე უნდა ჩამძინებოდა, მაგრამ კარგახანს ვერა და ვერ დავიძინე. ვიწექი რბილ საწოლში, გასაოცარ ნეტარებას განვიცდიდი, ვიწექი თვალგახელილი და ვიღიმებოდი.
პირველად გავუგე მამაჩემს და ყველას, ვისაც თავისი და მთელი ქვეყნიერების ტვირთი „კისრით“ მიაქვს.
... შუადღეა. სამ სართულად დაწყობილ კასრებს შუა ხის ყუთებზე ვსხედვართ. მანუკმა მაღაზიიდან პური, ყველი და ბოთლი არაყი მოარბენინა. აზატმა ორი ქილა ბადრიჯნის ხიზილალა მოიტანა, მარკოსმაც შინ მოხარშული კარტოფილი შემოუმატა სუფრას, აუჩქარებლად, ჩუმად და ღირსების გრძნობით ვჭამთ.
უკვე თვე იქნება, რაც ერთად ვართ და აქ, საწყობში, ყველაფერი ჩვენი ხელის საქმეა. დიდი კასრები, შორიდან ლოტოს კოჭებს რომ ჰგავს, სულ ჩვენ მოვაგორეთ აქამდე და მათგან სამი სართული ავაგეთ. ვაგონში ათასობით ყუთი მურაბა და ხილის წვენი ჩავტვირთეთ და მთელი ეს შაქრის ფხვნილი ჩვენი ზურგით ავზიდეთ საწყობიდან საამქროში. ახლა კი ვსხედვართ აგერ, კასრებს შორის, ზოგჯერ გაკვირვებით შევავლებთ თვალს ჩვენს ნახელავს და აუჩქარებლად ვჭამთ პურს. საყვირამდე ჯერ კაი გვარიანი დროა.
- სასაცილო ამბავი გითხრათ, - იცინის უცებ აზატი, - ექსკურსანტები თუ ნახეთ? ჰოდა, ეგენი ათვალიერებდნენ განყოფილებას, ქვაბთან შეჩერდნენ და ჩვენი ფრიდმანი რუსულად უხსნის, ესა, ისაო. უცებ, ვხედავ, ერთი ქალი თანდათან ჩამორჩა. ვფიქრობ, რატომ-მეთქი? ეგ კიდე, ჩუმად მივიდა კართან. გაიხედ-გამოიხედა, ჯემში ამოავლო თითი და გატლიკა! გატლიკა და რა სახე ჰქონდა, უნდა გენახათ! მოვკვდი სიცილით... ის კი გაწითლდა და გავარდა.
მანუკი ზიზღით უყურებს აზატს, უნდა რაღაც უთხრას, მაგრამ მესროპი ასწრებს:
- ჰოდა, ბრიყვი ხარ. „მოვკვდი სიცილით!“ შენს ადგილზე სხვა იტირებდა. გგონია, ახლა ცოტა ვინმეა, ვინც ტკბილეულზე მხოლოდ ოცნებობს?
... თვის ბოლოს გაირკვა, რომ ჩვენმა ბრიგადამ მნიშვნელოვნად გადაასწრო სხვა ცვლების მტვირთავებს და გარდამავალი დროშა მოიპოვა. პატარა საზეიმო კრებაც კი გაიმართა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხანაგმა ანგინიანმა მარცხენა ხელში სამკუთხა წითელი ვიმპელი დაიჭირა, მარჯვენა გასპარს ჩამოართვა და გამოაცხადა:
- მივესალმებით ჩვენს მოწინავე მტვირთავებს!
ორი დღის შემდეგ კი ახალი ამბავი მოხდა: საწარმოო გეგმის გადაჭარბების მიუხედავად, ჩვენი ჯამაგირი იგივე დარჩა. ამას საეჭვო პირი უჩანდა. პარტბიუროს მდივნის ნებართვით, მე და მანუკმა შევამოწმეთ ჩვენი უწყისები და ამხანაგ ფრიდმანს მოვთხოვეთ, დამატებით გამოეწერა ჩვენთვის ზეგანაკვეთური სამუშაოებისთვის კუთვნილი თანხა, რომელიც, რატომღაც, არ გამოეწერა. ამხანაგი ფრიდმანი გაწითლდა, ლანძღა აღმრიცხველები და ბოდიში მოუხადა გასპარს. გასპარმა არც აცია, არც აცხელა და გასაოცრად სუფთა რუსულით მიექათინაურა:
- შენა, ამხანაგო ფრიდმან, დიდი ძაღლი-მამაძაღლი ხარ, დიდი!..
შემდეგ გასპარი დიდხანს უტყაპუნებდა ტორს მხარზე მანუკს და მხრებს იჩეჩდა:
- საიდან მიხვდი, ყმაწვილო, როგორ მიხვდი, შე... სტუდენტო, შენა!
საღამოთი შევიკრიბეთ, რომ დამატებითი ჯამაგირის, ანუ, როგორც მარკოსმა მონათლა. „ციდან ჩამოცვენილი ფულის“ მაღარიჩი გადავიხადეთ რესტორან „ზანგეზურში“. მარკოსი აღელვებული იყო: თუ ყოველთვის ასეთ დიდ ჯამაგირს მივიღებთ, შესაძლოა, ორიოდე წლის შემდეგ საკუთარი სახლიც მექნესო და ყველასთვის მოულოდნელად იმღერა უბრალო, სევდიანი სიმღერა მებადურზე, რომელიც სევანში გავიდა და შინ ვერ მობრუნდა. მანუკმაც აიწყვიტა. ფილოსოფიის კლასიკოსთა საკმაოდ ზუსტი ციტატებით მან ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი ბედნიერებაზე, ცხოვრებაში ადამიანის ადგილზე. თავიდან მას არავინ შეპაექრებია, მაგრამ როცა თავისი აზრის დასაკონკრეტებლად გასპარის მაგალითი მოიყვანა და განაცხადა, აი, ვის შეუძლია თავი ჩათვალოს ბედნიერად თავისი მუშაობითო, თვითონ გასპარს გული მოუვიდა, მარკოსმა კი თქვა, ადამიანი ბედნიერი მხოლოდ თავის ოჯახში შეიძლება იყოსო. მანუკი უკვე ჰეგელამდე იყო მისული, მაგრამ უცბად გამოერკვა, კიდევ ერთხელ შეგვავლო თვალი, ის შენი გერმანელი ფილოსოფოსი მიავიწყდა, ცხვირი ჩამოუშვა და ენა გააჩუმა. ამ სიჩუმეში ჭიქა ავწიე და დავლიე გასპარის, მარკოსისა და აზატის, განსაკუთრებით კი გასპარის სადღეგრძელო და ვთქვი, რომ თუ მე და მანუკი როდესმე დავლევთ ჩვენი უნივერსიტეტელი მასწავლებლების სადღეგრძელოს, მათთან ერთად ვადღეგრძელებთ გასპარსაც, რადგან მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ.
- მართლა? - უცებ სახე გაუბრწყინდა გასპარს.
- მართლა, - ვუთხარი მე, - მართლა, გასპარ.
და კიდევ ვთქვი, რომ ჩვენ ამ ორ თვეში ძმები გავხდით და, სადაც უნდა შევხვედროდით, ძმებივით შევხვდებოდით ერთმანეთს. შემდეგ ვითხოვე, შეესვათ მანუკისა და ჩემი სადღეგრძელო, იმიტომ, რომ ხვალიდან უნივერსიტეტში იწყებოდა მეცადინეობა და მეტად ვეღარ მოვიდოდით სამუშაოზე. ხოლო იმის დასტურად, თუ როგორ შეგეჩვიეთ, შეგიყვარეთ და არ გვინდოდა თქვენთან განშორება, ის არის, რომ ბოლო დღემდე დავდიოდით სამუშაოზე-მეთქი.
- ეჰ! - შეწუხდა მარკოსი.
- მართლა, ხვალ ხომ პირველი სექტემბერია, - თქვა აზატმა.
გასპარი მანუკს მიუბრუნდა:
- ხუმრობთ, სტუდენტებო, თუ?..
- არ ვხუმრობთ, არა, - მანუკი წამოდგა, - გასპარ-ჯან, მარკოს-ჯან, აზატ-ჯან... - ისევ დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ძალიან ბევრი დავლიეთ. ოფიციანტები სულ „ვა“, „ვაას“ იძახდნენ. მებუფეტე გამოვიდა ბუფეტიდან, ჩვენთან მოვიდა და ერთხანს აღტაცებით გვიყურა. რესტორანში ჩვენღა ვიყავით. ვისხედით, ვსვამდით და ვდუმდით. მხოლოდ გასპარის ნაწყენი ხმა ისმოდა დროდადრო:
- ვაჰ, სტუდენტებო! სტუდენტებო!
სუფრის დასასრულს გასპარი უკვე ძალიან მთვრალი იყო.
- ბიჭებო, - თქვა მან, - მიდიხართ, არა? წადით. წადით და ისწავლეთ. შენც წადი, ბიჭო, – მიუბრუნდა აზატს (იგი საღამოს სკოლაში სწავლობდა) - წადი, ისწავლე, კაცი დადექ, გაიგე? ყველანი წადით, ყველანი, ჩემს შვილებს კი შავ დღეს დავაყრი - ერთი არ ისწავლონ! მათაც უნდა ისწავლონ. ეგენი ხალხნი უნდა დადგნენ. ეგენიც თქვენთან იყონ... დაე, ყველამ... ჩვენ კი, - გასპარმა მხარზე ხელი გადახვია მარკოსს, - დავრჩებით. ჩვენ არსაითაც არა გვაქვს წასასვლელი. ხომ ასეა, ჩემო ძმაო? ჩვენ ჩვენი ტვირთი უნდა ვზიდოთ, მორჩა. თქვენ კი წადით, წადით.
მარკოსმა იწრიალა, იწრიალა და, ბოლოს, მოკლედ მოსჭრა:
- არა, გასპარ-ჯან, აი, როცა სახლი მექნება, ჩემი სახლი, მაშინ მეც წავალ.
- წადი, - მოეფერა გასპარი, - შენც წადი... თქვენ ყველანი... მე კი დავრჩები. ვინმე ხომ უნდა დარჩეს. ვინმე ყოველთვის უნდა დარჩეს.
... აი, ჩემი ქარხანაც. მთელი წელი გაფრინდა! რამდენი რამ შეიცვალა, მაგრამ ქარხანა არ შეცვლილა. საპატიო დაფიდან რამდენიმე ახალი გაოცებული სახე იცქირება. ესაა და ეს. თუმცა, არა - აი, ის შენობა არ იდგა, არც ეს ელექტროკარები ჰქონდათ, ერთ მათგანზე ტომრები ყრია. ახალგაზრდა მძღოლი ბერკეტს ატრიალებს და ტომრებით დატვირთული ელექტროკარი საწყობისკენ მოსრიალებს. გული შემეკუმშა. ვეება, პირქუში გასპარი წარმოვიდგინე ამ პატარა მანქანაზე, მაგრამ ერთი მეორეს ვერ შეეთავსა. ქარხანაში ბევრი ელექტროკარი თუ ექნებათ, მტვირთავების ცვლებს ალბათ გააუქმებენ. მაშინ რა უნდა ქნან გასპარმა და მარკოსმა, მათ ხომ ხელფასი შეუმცირდებათ? იქნებ აქ უკვე აღარც მუშაობენ? არა, მანუკმა მითხრა, შევხვდიო.
მუშებმა ჩამიარეს, კაცებმა და ქალებმა. ვერავინ ვიცანი. ვერ მოვითმინე და ერთი გავაჩერე:
- გასპარის ნახვა სად შეიძლება?
- რომელი გასპარი გნებავთ? - მკითხა ქალმა და თან თავსაფარი შეისწორა.
- მტვირთავების ბრიგადირი, - რაღაც აუხსნელმა მღელვარებამ შემიპყრო.
- ა, ჩვენი გასპარი? - გაიცინა ქალმა, - ხილის განყოფილებაშია.
- მარკოსიც იქაა?
- იქ იქნება.
ქალი შეტრიალდა და ხელი დამიქნია. აბა, ესენი აქ არიან? კარგია. ბოსტნეულის განყოფილებას ჩავუარე, საკასროსაც, ელექტროკარმა სიგნალი მომცა, შევტრიალდი. მძღოლი ვერ ვიცანი, მაგრამ მაინც მივესალმე. ცოტაც და, უკვე შაქრის ფხვნილის საწყობთან ვიყავი. შუა კარში ჩემკენ ზურგით იდგა მუშა და დაკიდებულ ელექტროტრანსპორტიორზე კვანძს ხსნიდა. ეს მარკოსი იყო. ჩუმად მივეპარე და მაგრად შემოვეხვიე უკნიდან, თან სახეს ვმალავდი.
- ვაი! - შეხტა მარკოსი, - ვაი! რომელი ხარ, ა? ჩვენიანი რომ არა ხარ, ვხედავ, - მერე სიცილით, მოფერებით მითხრა, - დედიკოს ბიჭი ხარ, ვიღაცა ხარ!..
- მე ვარ! - ხელი შევუშვი, ფართოფარფლიანი შლაპა მოვიხადე და მივესალმე.
- სტუდენტო! - იბღავლა მარკოსმა, თავის თათებში მომიგდო, მაგრამ მაშინვე უკან წადგა ნაბიჯი, - ვაიმე, ტანსაცმელი არ დაგისვარო. მაგრამ რა ვქნა, ე?..
- ეგ არაფერი, - ვუთხარი და თვითონაც გადავეხვიე, - როგორა ხარ, მარკოს, ძმაო?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- კარგად, კარგად! - ღრიალებდა მარკოსი, - აი, ცოტაღა მაკლია, სახლს ვიყიდი...
- ვინაა მანდ? - ეს გასპარმა დაიძახა საწყობიდან და კარი მაღალმა და მკაცრმა, როგორც ყოველთვის, ზურგზე ტომარამოკიდებულმა გასპარმა ჩააბნელა. თითქმის არ შეცვლილა, ცოტათი თმა...
- ვა! - წამოიძახა გასპარმა, - ვა! - ტომრის ჩამოღებაც კი დაავიწყდა, ეგრევე, ტომრიანად დაიხარა, მარჯვენა ხელთ მომეხვია, მხრით იოლად შეაგო ტომარა საზიდარზე, ნაბიჯით უკან დაიხია და თავის კანტურით ესღა თქვა: - ვა, ესეც ჩვენი სტუდენტი!..
- რა სტუდენტი და სტუდენტი აიჩემეთ. სტუდენტი აღარა ვარ.
- აბა, ვინა ხარ? – გაიღიმა გასპარმა.
- ჟურნალისტი ვარ. ფელეტონებს ვწერ. არ კითხულობთ?
- ფელეტონი რაა? – იკითხა მარკოსმა.
- ნაგავია, - ავუხსენი მე, - რა ვიცი, რა ოხერია. რა კარგია, რომ არ კითხულობთ. ჩემი უწიგნური ძმები!
- შენა, რა გჭირს, ყმაწვილო, ე! - გაუკვირდა გასპარს.
არ ვიცოდი, რა მჭირდა, მაგრამ ბედნიერი ვიყავი. ალბათ, დიდი ხანია არ ვყოფილვარ ასე გახარებული. სულში რაღაც სითბო ჩამეღვარა, მინდოდა მეცინა და მეცინა. მათი მოუხეშავი მეტყველება, მათი გულიდან ამოხეთქილი, ბელტებივით შემახილები, მათი წყვეტილი ფრაზები ჩემთვის მუსიკასავით ჟღერდა.
- აზატი სადაა? - ვიკითხე.
მარკოსმა ჩაიცინა და გასპარს ქვემოდან ახედა.
- არ მითქვამს? - გაუკვირდა გასპარს.
- თქვენს კვალზე წავიდა. რომელი ტექნიკუმია? ჰო, ფეხსაცმლისა. ის შევიდა.
- იცით, ნუ გაცდებით, იმუშავეთ. წადით, საითკენაც გინდათ, მეც წამოგყვებით.
დატვირთულ საზიდარს ოდნავ მიაწვნენ და ისიც გაგორდა ვიწრო რელსზე.
- ეგ რა ქაღალდი გიჭირავს მანდ? - მკითხა მარკოსმა, როცა ხელში რედაქციის შტამპიანი წითელი ბლოკნოტი დამინახა.
ვუთხარი, რაც მეჭირა.
- აბა, რა საქმეზე ხარ მოსული?
- ჰო, რაღაც-რაღაცეები უნდა შევამოწმო ბუღალტერიაში.
- შეამოწმე, შეამოწმე, - გაუხარდა მარკოსს, - რა იცი, იქნება ჯამაგირზე წაგვემატოს რამე.
- მანუკი რას შვრება? - მკითხა გასპარმა, - ძალიან კაი ბიჭია.
- გამომძიებელია. შორს წავა. თქვენ სად შეხვდით ერთმანეთს, გასპარ?
- არსადაც არ შევხვედრივართ, - მხრები აიჩეჩა გასპარმა.
მაშასადამე, იმ დღეს მანუკმა ეს განგებ მითხრა, მოიგონა, რომ ჩემთვის სადარდელი გაექარვებინა.
ეჰ, მანუკ, მანუკ!
- იმან კიდევ მე მითხრა, გასპარი შემხვდაო, შენ და არტაკი მოდით ჩვენს ბრიგადაში, კარგი სამუშაო გვაქვსო.
გასპარმა გაიცინა, მარკოსმა კი თქვა:
- ვაი, ვაი, ვაი, მანუკი დიდი ანგალია, ღმერთმანი, დიდი!
საზიდალი გაჩერდა. რელსები აქედან ხილის განყოფილებაში მიდიოდა, ტომრები კი ხელმარჯვნივ, შაქრის ხარშვის საამქროში იყო მისაზიდი. „ჰოლფსტრიმზე“ გრძელი ფიცრები იყო გადებული და ჰაერში ორთქლის ბუღი იდგა. რაღაცნაირი სიამითა და მღელვარებით დამიწყო გულმა ცემა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- გახსოვთ, როგორ მცდიდით? - ვკითხე გასპარს და მარკოსს. გუშინდელივით ჩამესმის ყურში მარკოსი და აზატი რომ ყვიროდნენ: „ერთი-ორი, ჰოპა“ და კისერზე ტომარას მადებდნენ.
ალბათ, ჩემს ხმაში იყო რაღაც სხვაც, გარდა კითხვისა, იმიტომ, რომ მარკოსმა გაიცინა, გასპარმა კი სერიოზულად თქვა:
- ვატყობ, მოგენატრა...
ხომ არ მოგენატრაო, კი არ მკითხა, უბრალოდ, გულწრფელად თქვა, ვატყობ, მოგენატრაო, და მეც ბევრი აქეთური-იქითური არ დამიწყია, რამდენიმე ტომარა გადამატანინეთ-მეთქი.
- ადამიანო, შენ ხომ არ გადაირიე? - გაეცინა მარკოსს.
- აბა, როგორ.
სწრაფად გავიძრე პიჯაკი, მოვიხადე შლაპა, ერთიც და მეორეც საზიდარზე დავკიდე და მარკოსს ზურგი შევუშვირე. რაღაი დარწმუნდა, რომ არ ვხუმრობდი, მარკოსმა თავზე მოხურული ცარიელი ტომარა ზურგზე გადამაფარა, და მეც, როგორც ამ ერთი წლის წინათ, მთელი ორი თვე ვამბობდი, ისეთივე მთრთოლვარე ხმით დავიძახე:
- აბა, ჰე!
გასპარმა და მარკოსმა ტომარა მაღლა ასწიეს.
- დაითვალეთ!
- ერთი-ორი, ჰოპა!
ზურგი გამითბა. ოდნავ წავბარბაცდი. მერე წავედი, წავედი და წავედი. გადავიარე გრძელი ფიცრები, შევედი შენობაში, მკვეთრად მოვუხვიე, ფრთხილად გავიარე მოსრიალე ქვის იატაკზე, ავედი რკინის კიბეზე - ერთი, ორი, სამი, ოთხი - რამდენიმე ნაბიჯით ტომარა ქვაბთან დავაგდე, ცოტათი სული მოვითქვი და სირბილით გავიქეცი უკან.
- აბა, ჰე!
იქით და აქეთ. წინ და უკან.
იქით და აქეთ. წინ და უკან.
იქით და აქეთ. წინ და უკან.
ვგრძნობდი, რომ ვიღლებოდი. სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა ტომარა და ეს სიმძიმე ნეტარებით მავსებდა. ამ წუთებში ათას რამეზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი, რომ ეს ტვირთი ჯერ კიდევ არ არის ის, რასაც სიმძიმე ჰქვია, იმიტომ, რომ ამ უცნაურ ქვეყანაზე ბევრად, ბევრად უფრო მძიმე მრავალი ტვირთი არსებობს. და ვფიქრობდი, რომ, ალბათ, მართალი იყო მანუკი, როცა რესტორანში ამბობდა, არასოდეს არ იცი კაცმა, სად უფრო ბედნიერი ხარო. ჩვეულებრივ, გეჩვენება, რომ ბედნიერი იქ იყავი, საიდანაც უკვე წამოხვედი და სადაც დაბრუნებას ვერასოდეს შეძლებ.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამეშვიდე თავი
გიშლიან, გიშლიან...

დაღლილი, დაბნეული ჩამოვდიოდი კიბეზე. ნანარი საიდანღაც გვერდიდან ამეტუზა და ხელი მომკიდა. ალბათ, დერეფანში მელოდა.
- არ მითხრა, არ მითხრა, უკვე ვიცი, რომ შენ გაიმარჯვე, - მიჩურჩულა მან.
- საიდან დაასკვენი? - ძლივს შევძელი გაღიმება.
- სახეზე ვატყობდი, როცა მესალმებოდნენ. არადა, მომესალმნენ - ბადამიანიც კი მომესალმა. მინდოდა, რაღაც ამეხსნა მისთვის, მაგრამ უკნიდან ფეხის ხმა შემომესმა, შემოვბრუნდი და სარქისიანი დავინახე.
- არტაკ, – მითხრა მან, – გამარჯობათ, – მიესალმა ნანარს, – არტაკ, მერწმუნე, მამას გეფიცები, მე ვეზირიანს არ ვიცნობდი. ჩვენ შემთხვევით მოვხვდით გვერდიგვერდ.
- ვიცი. მე ხომ იქაც ვთქვი, რომ ამაში დარწმუნებული ვარ, ამხანაგო სარქისიან.
- არა, მე მინდა, რომ შენ ეს დაიჯერო.
- მჯერა, ამხანაგო სარქისიან.
- გმადლობთ. მომიტევეთ, - მოუბოდიშა ნანარს.
ჩვენ გზა გავაგრძელეთ.
... რამდენიმე წუთის წინ პარტიის რაიკომის ბიუროზე სარქისიანმა ლამის იტირა. მე არ მინდოდა ამაზე საუბარი, მაგრამ მაიძულეს. სხვა გამოსავალი არ მქონდა. ბიუროს წევრებს განვუცხადე, რომ ადამიანის კომპრომეტირებაზე იოლი არაფერია. დაე, სარქისიანმა გვითხრას, რას აკეთებდა ის გუშინწინ, როცა გვერდით უჯდა ვეზირიანს. თუკი იგი ამას უარყოფს, მე შემიძლია ფოტოსურათი ვუჩვენო. ბიუროს წევრებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. სარქისიანი გაფითრდა და წამოხტა: „ეს მართალია. იგი ჩემ გვერდით იჯდა, მაგრამ, პატიოსნებას გეფიცებით, მე მას არ ვიცნობ და სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. გთხოვთ დამიჯეროთ, რომ თითქმის არ ვიცნობ“. „რითი დაამტკიცებთ, - ვკითხე, - აი, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ტრაბახობდით, რომ მომხსენით და წინასწარ ხარობდით, რომ ამისთვის სამადლობელს მიიღებდით“. და მაშინ სარქისიანმა, ყელგადმოგდებით, მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა ის სიტყვები, რომლებიც კიბეზე გაიმეორა: „არტაკ, მამას გეფიცები, მე ვეზირიანს არ ვიცნობ“. ჟრუანტელისმომგვრელი სიჩუმე ჩამოწვა. ბადამიანიც კი მოიკუნტა და თავი ჩაქინდრა. კეთილმოწყალედ გავიღიმე. „მჯერა ამხანაგ სარქისიანისა, - განვუცხადე ბიუროს, - მჯერა. მჯერა, რომ ეს შემთხვევითობა იყო. უბრალოდ, მე მინდოდა მეთქვა, რა ადვილია ადამიანის კომპრომეტირება. რაკი ეს ფაქტი ხელთა მაქვს, მე შემეძლო, ამხანაგო სარქისიან, თქვენთვის მეთქვა ყველაფერი, რასაც ვიკადრებდი. მაშ, რატომ არ გინდოდათ დაგეჯერებინათ ჩემთვის მაშინ, ბიუროზე, როცა ოთხი საათის განმავლობაში მიჩიჩინებდით, თავი იმართლე და იმართლეო“. სარქისიანმა თავი ასწია და სიძულვილით, ზიზღით მიაჩერდა ბადამიანს, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ კი, ხნიერმა, დაღლილმა კაცმა ბადამიანს უთხრა: „შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ. საიდანა გაქვს ამდენი შხამი, როგორ შეგეძლო, უდანაშაულო ადამიანზე ხელი აგეწია?“
- ბადამიანი მომესალმაო, მითხარი? - ვკითხე ნანარს.
- ჰო, - მიპასუხა ნანარმა, - ძალიან კი გამიკვირდა. მაშინვე გავიფიქრე, რომ გაიმარჯვე.
- არა, ნანარ, შენ მათ არ იცნობ. ისინი ყველას ესალმებიან. იგივე ბადამიანი მეც მომესალმა, როცა ბიუროზე მოვიდა ჩემს მოსახსნელად. ერთხელ ერთი ჩემი ამხანაგი აღშფოთებით მელაპარაკებოდა ჩვენს საერთო ნაცნობზე. საზიზღარი ფაქტები მომიყვანა, ეს გამიკეთაო, ეს მიმუხთლაო... მე დავუჯერე ჩემს ამხანაგს და ის კაცი შევიძულე. ამის შემდეგ ჩვენ ქუჩაში იმ

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

კაცს რომ შევხვდით, მე დემონსტრაციულად ზურგი შევაქციე, ჩემი ამხანაგი კი მასთან მივიდა, გაუღიმეს ერთმანეთს, ხელი ჩამოართვეს, ილაქლაქეს, იცინეს. გავცოფდი, მაგრამ რა გინდა? ჩემმა ამხანაგმა მითხრა, იმ კაცზე ახლაც ცუდი აზრისა ვარ და შემთხვევა თუ ჩამივარდა ხელში, ყოფას ვუტირებო. კი მაგრამ, რა სავალდებულოა, რომ ისე ექცევი, ვითომც არაფერი-მეთქი. „მერე რა მოხდაო?“ - გაუკვირდა.

- ესე იგი, შენი საქმე მთლად წესრიგში ვერაა? - უცებ შემკრთალმა მკითხა ნანარმა.
- ნანარ, ძველი საბერძნეთის ისტორია თუ გახსოვს კარგად?
- ეს გამარჯვება პიროსის გამარჯვებააო, ამის თქმა გინდა, არა?
- სწორედ ასეა, ნანარ. ეს ნამდვილად პიროსის გამარჯვება იყო. გავიმარჯვე, მაგრამ არ ვიცი რა დამრჩა ამ გამარჯვების შედეგად. ძალზე ბევრი რამ დავკარგე, ნანარ, ძალზე ბევრი!

... ბიურო ახალი დაწყებული იყო, რომ ბადამიანი წამოდგა. იგი დარწმუნებული არ იყო, რომ სარქისიანი პარტიის ბიუროსგან საჭირო გადაწყვეტილების მიღებას მიაღწევდა, და ამიტომ თვითონაც მოვიდა. თითქმის ნახევარი საათი ილაპარაკა და მერე როგორ ილაპარაკა! ქვა ქვაზე არ დატოვა, ტყვიას ტყვიაში სვამდა! ყურადღებით, მოწონებით უსმენდნენ, მხოლოდ მესროპი აქნევდა თავს აქეთ-იქით. ძალზე აგზნებულად და ლამაზად ლაპარაკობდა კარო. ერთი-ორჯერ დამავიწყდა კიდეც, ჩემ წინააღმდეგ რომ ლაპარაკობდა, იმდენად მოჯადოებული ვუსმენდი. აქ რომ მამაჩემი ყოფილიყო, იტყოდა: „ეგ მამამისის შვილია!“ შემდეგ გამოვიდნენ პართევი, სარქისიანი, ბენიკი. ისინიც იმეორებდნენ იმას, რაც ადრე, კომკავშირის ბიუროზე ითქვა... და შთაბეჭდილება უკვე შეიქმნა. სიტყვა მესროპმა მოითხოვა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ისიც თავისას იტყოდა და ახლაც უსაზღვრო მადლიერების გრძნობით განვიმსჭვალე მის მიმართ, მაგრამ რაიკომის მდივანმა სიტყვა არ მისცა.

- მე ვიცი, რისი თქმაც გინდათ. დაბრძანდით.
- მაგრამ, მე საინტერესო ფაქტები მაქვს ხელთ, - პროტესტი განაცხადა მესროპმა.
- ვიცი, ვიცი, თქვენი განცხადება ჩემთანაა. დაბრძანდით, - ალერსიანად, მაგრამ გადაჭრით მოსთხოვა მდივანმა.

დავიბენი. ბადამიანი დაუფარავად ზეიმობდა, ხან მესროპს უყურებდა ირონიულად, ხან - მე. ხან აქეთ იხრებოდა, ხან - იქით, მეზობლებს რაღაც-რაღაცეებზე ესაუბრებოდა, ხუმრობდა. კვლავ ვიგრძენი, რომ თვითკონტროლს ვკარგავდი. მესროპს თუ არ უსმენენ, მე, მით უმეტეს, ვინ მომისმენს? ნუთუ ამქვეყნად სამართლიანობის ნასახიც არ არსებობს? უცებ გამახსენდა მანუკის წერილი. მაშასადამე, ამ წერილს ჩქმალავენ, მალავენ. არ დავუშვებ, ეს მეტისმეტია!

- შინ წავიდეთ, არა? - მკითხა ნანარმა.
- რა?
- შინ წავიდეთ-მეთქი.
- აბა, რა, – დავეთანხმე.

... სიტყვა მოვითხოვე, მაგრამ სათქმელს თავი და ბოლო ვერ მოვაბი. კარო დამცინავი ღიმილით შემომცქეროდა და მე სული მეხუთებოდა. თავიდან მივედ-მოვედე... საპატიო სიგელები-მეთქი, მადლობები-მეთქი, პიონერხელმძღვანელებთან მუშაობა-მეთქი, ჯართის შეგროვება-მეთქი. რაიკომის მდივანმა რამდენჯერმე შემაწყვეტინა, მთხოვა, დამშვიდდით, ნუ ღელავთო, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. უკვე არ მისმენდნენ, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, მუსაიფობდნენ. კარო ბადამიანი თან მიყურებდა, თანაც ჩემზე რაღაცას ეუბნებოდა რაიონის პროკურორს და ხმამაღლა გაიცინა კიდეც. ამან შემშალა. „კარგი, ბევრს არაფერს ვიტყვი! - ვიყვირე, - რაც აქამდე ვთქვი, წვრილმანებია. საქმის თავი და ბოლო ისაა, რომ კარო ბადამიანი ვეზირიანის განუყრელი მეგობარია და ამიტომ იძია შური ჩემზე“. ხალხი

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

შეინძრა, ახმაურდა. კარო ბადამიანმა ტაში შემოჰკრა და რაიონის პროკურორს მიუბრუნდა: „ხომ გეუბნებოდით, ახლა ამას იტყვის-მეთქი“. პროკურორმა თავის დაქნევით დაუმოწმა და იმავ წუთს წამოდგა რაიკომის მდივანი. ყველა გაჩუმდა. რაიკომის მდივანს ნაღვლიანი თვალები და ყურის ძირში დიდი ჭრილობა ჰქონდა. როცა ხელი ასწია, გაშეშებული შავი ხელთათმანი დავინახე.

- ამხანაგო ბადამიან, ნამდვილად ხართ ვეზირიანის მეგობარი?

- არა, რას ამბობ, აპეტ ლევონოვიჩ, - წამოხტა კარო, - ეს ცილისწამებაა. მხოლოდ როგორც აქტივის წევრს ვიცნობ. ესაა და ეს.

- ლევონიანის ფელეტონზე რა აზრისა ხართ?

- ფელეტონზე?.. ფელეტონი აქ რა შუაშია. ამბობენ, ფაქტები გაბერილიაო, მაგრამ, მთლიანობაში, კარგია. მე მგონი, ასეც ვუთხარი ლევონიანს.

- თქვენ ჩემთვის არაფერი გითქვამთ. თქვენს მეგობარს ასე შეაქცევდით ზურგს?

ბადამიანმა გულმოწყალედ გაიღიმა და რაიკომის მდივანს შეხედა, თითქოს უნდა ჰკითხოს, საჭიროა თუ არა, ამას რამე ვუპასუხოო. მე კი ამ წუთს კიდევ ერთხელ გამახსენდა მანუკი. მას ჩემზე გაცილებით კარგად სცნობია ადამიანები. ცოტა დააკლდა, კინაღამ არ ვაპატიე ამ ტიპს!

- მაპატიეთ, - რაიკომის მდივანი ბადამიანს ელაპარაკებოდა, - განა თქვენ არ იცით, რომ თქვენი და ვეზირიანის მეუღლეები ახლო მეგობრები, თითქმის დები არიან?

ესეც ესე. აბა გაუძელ, ამხანაგო ბადამიან.

- ეს ვინა თქვა? - კითხვითვე უპასუხა კარომ, მაგრამ უკვე შესამჩნევად დაბნეული იყო. ფერი წაუვიდა. ხალხი დაიძაბა. რაიკომის მესამე მდივანი ცდილობდა, ჩქარა გამოერთმია მეორე მდივნისთვის რაღაც ქაღალდი. ალბათ, ის ცნობა იყო. მაგრამ მე კარო ბადამიანის გარდა ვერავის ვხედავდი. სახეში შევცქეროდი და ველოდი, რას იტყოდა.

- აგერაა დოკუმენტი, - მშვიდად მიუგო მდივანმა, - განა უცნობი ადამიანები ერთმანეთს სახლებს ჩუქნიან, ამხანაგო ბადამიან?

- აპეტ ლევონოვიჩ, ამაზე, იქნებ, ცალკე გვესაუბრა? - კარო თითქმის ჩურჩულებდა, - როგორც მდივანი, მე... დარწმუნებული ვარ, რომ აქ ღრმა გაუგებრობაა...

ახლაც თამაშობდა. მიხვდა, რომ გაბმული იყო მახეში და შეეძლო ამის შემდეგ მაინც ყოფილიყო გულწრფელი, ამის შემდეგ მაინც დაეჭირა თავი ადამიანურად. მაგრამ ეგ კაცი, კარო ბადამიანი, სხვა სულისა გახლდათ და მან განსაცდელის ჟამს, გონს მოსასვლელად და დროის მოსაგებად ქალაქკომის მდივნობა იფარა ფარად. მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე გვიანი იყო.

- ჩვენ კომკავშირის ქალაქკომის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს არ ვიხილავთ, - მშვიდად თქვა რაიკომის მდივანმა, - მე გეკითხებით თქვენ, როგორც კომუნისტს, ჩვენი რაიონის კომუნისტს. კიდევ ამტკიცებთ, რომ თქვენი უპრინციპო დამოკიდებულება ლევონიანისადმი არ არის გაპირობებული ვეზირიანთან თქვენი მეგობრობით, თუ ხალხს ვაჩვენო თქვენი და ვეზირიანის ერთობლივი მოღვაწეობის საკმაოდ დაწვრილებითი დოკუმენტი?

ბადამიანს ხმა არ გაუღია, მე შემომხედა სიძულვილით და - რაც საოცარია - სიძულვილითაც და პატივისცემითაც. უეჭველია, ყველაზე მეტად მას ახლა ის აღელვებდა, როგორ ამოიქექა ეს ყველაფერი...

- გაიხედე, რომ გესალმებიან, რატომ არ ესალმები? - ხელზე მომქაჩა ნანარმა.

- ვინ მესალმება, ვინ, ნანარ-ჯან?

- აგე, ის კაცი, ორჯერ დაგიკრა თავი, შენ კი...

- ო, ეგ ჩვენი მეზობელია, მაისი, არა უშავს, მეორე შეხვედრაზე მე ოთხჯერ დავუკრავ თავს...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- ...სულ შენ ამოქექე ეს ყველაფერი? - გამწარებით მკითხა კარომ.
- არა, - მივუგე - მაგრამ მე მეგობრები მყავს.
- გეყოფათ, - ხმას აუწია მდივანმა, - ყველაფერი ცხადია. ვის უნდა გამოსვლა? გამოსვლა ყველას უნდოდა. ბადამიანს გამქირდავად, ავი თვალით შესცქეროდნენ. რაიონის პროკურორმა ხმაურით გამოსწია კიდეც სკამი მისგან. ბადამიანის მეორე მხარეს მჯდარმა განათლების განყოფილების გამგემ თავი დახარა და სუფთა ქაღალდზე დიდი კვადრატების ხაზვა დაიწყო. წინადადება შემოიტანეს, კომკავშირის რაიკომის გადაწყვეტილება გაუქმებულად ჩათვლილიყო და ბიუროსთვის საყვედური გამოეცხადებინათ. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ამ გადაწყვეტილებას პართევმა და ბენიკმაც დაუჭირეს მხარი. მათ განაცხადეს, უფრო მკაცრი სასჯელის ღირსნიც ვართ, კარო ბადამიანის ბრმა იარაღები რომ აღმოვჩნდითო. მართალია, სარქისიანმა თავს არ აკადრა, ასე სულმდაბლურად ეთითლიბაზა, ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ მიიღო ბიურომ ისეთი გადაწყვეტილება, მაგრამ მას უკვე არავინ უსმენდა. პარტიის რაიკომის ბიურომ სარქისიანს სასტიკი საყვედური, ხოლო ბიუროს დანარჩენ წევრებს, რასაკვირველია, მესროპის გამოკლებით, უბრალო საყვედური გამოუტანა. დაადგინეს, რომ დაისვას საკითხი პარტიის საქალაქო კომიტეტის წინაშე კარო ბადამიანის პიროვნების შესწავლის შესახებ.
- ლევონიანის მუშაობის საკითხი დაგვრჩა, - შეახსენა ბიუროს მეორე მდივანმა.
- ყველაფერი გასაგებია. დავტოვოთ კაცი თავის ადგილზე, - თქვა აღმასკომის თავმჯდომარემ.
- არა, - თქვა რაიკომის მდივანმა, - დილით ამხანაგმა სარიანმა დარეკა და ითხოვა, გავათავისუფლოთ ლევონიანი კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგეობიდან რედაქციაში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით. ჩვენი ფორმულირებაც ასეთი იყოს. მესროპმა მთელი ძალით მუჯლუგუნი მომცხო მკერდში, პართევმა კი, ვითომც არაფერიაო, გულიანად, მეგობრულად შემომცინა.
- ხომ ხედავ, შენი გულისთვის საყვედურები დავირტყით, - არც გაწითლებულა და არც არაფერი, ისე მითხრა.
რა საკვირველი ხალხი ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, ღმერთო!
- მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ მე ამას ისე არ დავტოვებ, - გაისმა საერთო ხმაურში ბადამიანის მუქარა, - რედაქცია თავისი უფლებამოსილების საზღვრებს გადადის. ყველაფერს კარგად მივხვდი. ჩვენ კიდევ შევხვდებით, სადაც ჯერ არს!..
რაიკომის მდივანმა მხრები აიჩეჩა. პროკურორმა კი რაღაც ჩაიდუდღუნა.
ბადამიანმა არც აქეთ, არც იქით არავის მიხედა, კეპი დაიხურა, გვერდზე ჩამიარა და...
- მომისმინე, - ვუთხარი ნანარს, - შენ ის გიკვირს, რომ ბადამიანი მოგესალმა. თუ იცი, რომ ჩემთან მოვიდა და დამემშვიდობა?
... როცა ყველა წავიდა, რაიკომის მდივანს სულითა და გულით მადლობა მოვახსენე და ვთხოვე, ერთ საქმეშიც უნდა მომეხმაროთ-მეთქი.
- კიდევ რაში გინდა მოხმარება? - გაიცინა მდივანმა.
- უთხარით, რომ სპორტულ შეჯიბრებაზე გამგზავნონ, - ვთხოვე მე, - იმათ ხომ სექციიდანაც გამაგდეს.
- კარგი, კარგი, დავურეკავ, – გაეღიმა რაიკომის მდივანს, შემდეგ საღი მარჯვენა ხელით მამობრივად ამიჩეჩა თმები და შეფიქრიანებულად მითხრა, - შენი ასაკის კვალობაზე ნამეტანი ბევრი მტერი გყავს, ბიჭო!
- ეს დამრჩა გამარჯვების შემდეგ, - ვუთხარი ნანარს.
- რა? - მკითხა და შეჩერდა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ჩვენ უკვე გედარის ხიდზე ვიდექით. ზაფხული ცხელი დაგვიდგა. მდინარე გათავთხელდა და საწყალობლად ღაფავდა სულს ქვებში. მაგრამ გედარი მე რას მომატყუებდა, საკუთარი ხელისგულივით ვიცნობდი, მის თვალწინ არ გავიზარდე? სხვამ კი არა, სწორედ მან გამოხრა ეს უზარმაზარი ხეობა და ეს უშველებელი ლოდებიც მან ჩამოიტანა თავისი მშფოთვარების დღეებში. ვინ იცის, იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს, ნაფოტებივით ჩაიტანოს კიდეც ისინი ქვევით. შესაძლოა სხვა, უცხო, აქ გაოგნებული შედგეს, როცა გუგუნს გაიგონებს. ამაოდ დაუწყებს მიდამოს თვალიერებას, ამაოდ დაიწყებს ჩანჩქერების ძებნას. ეს გუგუნი დღეს ცქნაფა, უმწეო გედარის კვნესაა. ამ კვნესით იგონებს ბობოქრობის დროინდელ დღეებს, ეს კვნესა მისი ოცნებაა ხვალინდელ ბობოქარ დღეებზე.

- არტაკ-ჯან, ნუ ხარ ასეთი, ნუ! - შემევედრა ნანარი, - უკვე შეგაბეზრე თავი, თუ რა ამბავია? სულ რატომ დუმხარ, რატომ არაფერს მელაპარაკები?

- მიშლიან, მიშლიან, ნანარ. განა ვერ ხედავ, რომ მიშლიან?

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამერვე თავი
ჩვენ კიდევ შევხვდებით

ჩვენს სახლში მეორედ მოსვლაა. დედაჩემი, სედა და ნანარი აქეთ-იქით დაბორიალობენ, ერთმანეთს ეჯახებიან და სიცილით იხოცებიან. დედა დაბნეულია. ხანდახან შემოვა ოთახში, აქეთ-იქით იხედება და გულშეჭირვებით კითხულობს:
- რისთვის შემოვედი?
ვერავინ ვერაფერს ეუბნება და ისევ სამზარეულოში გადის. ოთახის შუაგულში გახსნილი ჩემოდნები დგას, იქვე ფუთები და ტანსაცმელი ყრია. სედა ერთ-ერთი ჩემოდნის კუთხეში უთოს დებს და, უცებ, იქიდან იღებს ქაღალდში კოხტად შეხვეულ ყურმოგლეჯილ პლუშის დათუნიას.
- ეს ვინ ჩადო აქ?
იცინიან და დედაჩემს შესცქერიან. დედა კიდევ უფრო იბნევა, იღიმება და ვიშვიშებს:
- ვაიმე, მე ჩავდე?.. - ისე ბოდიშობს, თითქოს, დარწმუნებული არ იყოს, რომ დათუნია ჩემოდანში სწორედ მან ჩადო და არა სხვამ.
ეს კიდევ ერთი საბაბი ხდება იმისთვის, რომ ყველა შეკვრა თავიდან გაისინჯოს. ფანჯარასთან მიმჯდარი მამაჩემი გაბრაზებული ახველებს:
- ერთი თქვენა ხართ, რა!.. ჩქარა, დედაკაცო, აგვიანებ ხალხს!
- რატომ ვაგვიანებ, ჯერ სამი საათი გვაქვს.
- წამსვლელი დროზე უნდა წავიდეს, - ამბობს მამა.
ასეთი ჩვევა აქვს. საღამოს მატარებლით თუ უნდა წავიდეს სადმე, დილიდანვე ემზადება და ორი-სამი საათით ადრე მაინც გადის სადგურში. ღელავს მამაჩემი. ეს ძნელი შესამჩნევი არაა, დროდადრო ნიკაპი უკრთის. ტარმოკლე ხის ჩიბუხი პირში აქვს გაჩრილი, მაგრამ წამდაუწუმ ხელს ირტყამს ჯიბეზე, რომელშიც ასანთის კოლოფი უჩხრიალებს, და დედას უყვირის:
- დედაკაცო, დედაკაცო-მეთქი, ანუშ, სად არის ის ოხერი ჩიბუხი? ეს წუთია ხელთა მქონდა.
მერე უცებ აღმოაჩენს, რომ ის ოხერი ჩიბუხი პირში აქვს გაჩრილი, თავისთვის, უხმოდ ეცინება და ჩუმად უკიდებს.
დროზე მახსენდება და მამას ვაძლევ სახლმმართველობაში აღებულ მინდობილობას.
- ყოველი თვის თერთმეტ რიცხვში მიხვალ მოედანზე, კავშირგაბმულობაში. იქ, მეხუთე სართულზე რადიოს რედაქციაში აიღებ ხოლმე ჩემი ხელფასის ნახევარს.
- კი, მაგრამ, შენ რას იზამ, შვილო? - ნაღვლიანად მეკითხება მამა.
- ჩვენ რა გვიჭირს, მამი! - ვიღიმები და ვამჩნევ ნანარის გაბადრულ სახეს, - თუ ძალიან გაგვიჭირდა, ნანარი ქუჩაში თოჯინების წარმოდგენას გამართავს და თავს გავიტანთ!
- ეჰ! - ოხრავს მამა.
მეზობელი ოთახიდან გამოდის ბაბკენი, ზღურბლზე დგება, ამთქნარებს, დაკუნთულ მკლავებს შლის და ყასიდად ბუზღუნებს:
- ერთი თქვენა ხართ, რა! არ დააძინებთ ადამიანს. რა მოხდა, რა გაწამაწიაა, გამაგებინეთ მაინც! რა რახარუხი და ჩხაკაჩხუკი აგიტყდათ ამ დილაუთენია? სედა, თუ ერთხელ კიდევ დაგისხამს ჩემთვის ლოგინში ცივი წყალი, დაიხურე ქუდი და წადი მამაშენის სახლში, თორემ ნამდვილად შემომაკვდები.
ბაბკენი ძილის გიჟია. ახლა კიდევ არა უშავს. წინათ დილ-დილობით მისი გაღვიძება ჩვენი ოჯახის მთავარი საქმიანობა გახლდათ. ვეჯაჯგურებოდით, თმაზე ვქაჩავდით, წყალს ვასხამდით, ვუღიტინებდით... ერთხელ დედა გაბრაზდა და გადაწყვიტა, არ გაეღვიძებინა, რათა დაედგინა, რამდენ ხანს შეეძლო ძილი. ჩემმა ძმამ ღირსეულად ჩააბარა ეს

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

გამოცდა - ზუსტად ორმოცდათექვსმეტი საათი იძინა. იფიცება, ომის დროს, ყირიმში, რამდენიმე უძილო ღამის შემდეგ, უცებ დამეძინა პოზიციაზე და როცა გამომეღვიძა, გავიგე, რომ უკვე ორი დღეა გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა და სიმაღლე ხელიდან ხელში რამდენჯერმე გადასულაო. ჭურვის ნამტვრევი რომ არ მომხვედროდა ჩაფხუტში, გაღვიძებას არ ვაპირებდიო, გვარწმუნებს.

- გამაგებინე, რა მოხდა, ქალო? - ისევ ეკითხება ბაბკენი სედას.

- არ იცი, რომ არტაკი და ნანარი მიდიან? - დასცეცხლა სედამ.

- მიდიან, მიდიან! ესენიც ახლა ციმბირში მიდიან! - ქილიკობს ბაბკენი, - მე რომ ყოველ მეორე დღეს მივლინებაში მივდივარ, ეგ არაფერი? მაშინ რატომ არა ხართ ამ გაწამაწიაში? მიემგზავრებით, აბა? - მე მეკითხება.

- ჰო, ბაბკენ-ჯან.

- კარგია, კარგი, – იცინის ბაბკენი, - ხანგრძლივი საქორწილო მოგზაურობა მზიურ ქვეყანა ლორში... სედა, ჩვენ თუ ვიყავით ამისთანა მოგზაურობაში?

სედა პასუხს არ სცემს, გამწარებით ჩურთავს რაღაცას ჩემოდანში. ბაბკენი დედას გზას აძლევს, უკვე არ შეუძლია აღებული ტონის შეცვლა და ეშხში შედის და შედის...

- ... არ ვყოფილვართ! აქედან გამომდინარე, თქვენ ჩვენზე შეუდარებლად ბედნიერნი ხართ. ლორი!.. ეგზოტიკა, ტყით დაფარული მზის ფერდობები, ძროხების ბღავილი, ციკნების კიკინი, მთვარიანში ძაღლების ყეფა, არაჩვეულებრივი ტალახი, მოწინავე მეთამბაქოეების დაღლილი, მაგრამ ბედნიერი სახეები, მრისხანე ლოზუნგი „მონაწილეობდი თუ არა მოსავლის აღებაში?“, მოცისფრო შვინდის არაყი და ბანდულები... გადაცემა ლორიდან მიჰყავდა რადიოს კომენტატორს არტაკ ლევონიანს. როგორია, ა?

- მაგარია, - ვიცინი.

- რა მინდოდა, რა საქმე მქონდა ამ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, - ხვნეშის ბაბკენი.

- ფერი ფერსო, - ამბობს სედა.

ყველანი ვიცინით, მამაჩემი კი ისევ წრიალებს, ჰგონია, რომ უსაშველოდ ვიგვიანებთ:

- ნეტა თქვენ ჭკუა მოგცათ და...

ისევ ვიცინით. ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ჩვენთვის სადმე გამგზავრება არ ნიშნავს დაშორებას, მით უმეტეს, არ ნიშნავს ცოტათი სიკვდილს, როგორც ამას არაკი ამბობს. ჩვენთვის გამგზავრება საინტერესო და სასიამოვნო, ცოტათი საშიში და ამით კიდევ უფრო სახალისო ამბავია. ჩვენ ვიცით, რომ სადაც მოგვეგუნებება, იქ შეგვიძლია კარვის გაშლა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ჩვენი ალაგია, ეს ჩვენი სახლია. ჩვენ ახალგაზრდები ვართ და შეგვიძლია, საითაც გვინდა, იქით წავიდეთ... დრო თავზესაყრელად გვაქვს იმისთვის, რომ მოვბრუნდეთ ან სადმე სხვაგან დავიდოთ ბინა.

წინა ღამით დიდხანს ვერ დავიძინეთ. ვიწექით და ჩურჩულით ვოცნებობდით, რომ ჩვენები არ დაგვეღვიძებინა. ნანარი თითქმის მარკოსივით ლაპარაკობდა:

- გვექნება ჩვენი სახლი, პატარა, ლამაზი სახლი. შენ სამსახურში წახვალ, მე კი შინ ვიქნები და... სარეცხი გამომელევა თუ დასალაგებელი. საყვარელ კერძებს მოგიმზადებ, შემდეგ წინსაფარს მოვიხსნი, ფანჯარასთან მივჯდები და წინდებს მოგიქსოვ.

- ფანჯარასთან ნუ ზიხარ, ვეჭვიანობ, - წავიღრინე მე.

ნანარმა ჩუმად გაიცინა.

- შშ! მოხვალ სახლში, ერთად ვისადილებთ, შემდეგ წიგნს წავიკითხავთ. მე წაგიკითხავ, კარგი? საღამოთი კი... საღამოთი წავალთ კინოში, შინ რომ მოვბრუნდებით, მივუსხდებით რადიოს და მოვუსმენთ, რას იტყობინება ლორიდან ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი...

- თან მოვუსმენთ, თან ჰონორარს ვიანგარიშებთ, - ვიცინი.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ნანარმა კვლავ გაიცინა.
- ე-ეჰ! - გაისმა შორიდან მამაჩემის გულმოსული ხმა. რა ფუჩუფუჩუ აგიტყდათ... დაიძინეთ ახლა, ვაიმე! დილას ადრე ხართ ასადგომი, დაგავიწყდათ, თუ?
ერთი სული გვაქვს, ვიხარხაროთ, მაგრამ ხმას ვერ ვძრავთ, ჩუმად ვფხუკუნებთ, ჩვენი თახთახისგან საწოლის რკინის ბურთულები ჟღრიალებენ და უკვე ვეღარ ვითმენ, ხმამაღლა ვიცინი, ვხარხარებ, თან მამას ვებოდიშები: „მაპატიე... მამი... მაპატიე... ბოლო დღეა...“
- ვაი შენს პატრონს, - იწყინა მამამ, - „ბოლო დღეა!“ ბოლო დღეს მოგცემ მე შენ!..
ბაბკენის ხმამ გამომარკვია:
- რედაქტორი თუ მოინახულე?
ბნელში თავს ვუქნევ.
მოსკოვის საკავშირო სპორტული ზეიმიდან კარგ გუნებაზე დავბრუნდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ერთ თვეში ყველა საკითხი მოგვარდებოდა. ეჭვი არ მეპარებოდა, ვეზირიანი და ბადამიანი საკადრისად დაისჯებოდნენ, რედაქციაში კი მელოდნენ, რომ ჩამოვიდოდი და მუშაობას შევუდგებოდი. ბიბლიოთეკაში გაზეთის ბოლო ერთი თვის ნომრები გადავსინჯე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ვერსად, მათ შორის, ვერც რუბრიკით: „გამოქვეყნებული მასალების კვალდაკვალ“ ვერ ვნახე რაიმე გამოხმაურება ფელეტონსა და მის შედეგებზე. შეშფოთებულმა მანუკს დავურეკე საერთო საცხოვრებელში და ერთმანეთს შევხვდით. მან თითქმის დაუჯერებელი რამ მიამბო.
ჩემთვის ცნობილი მოვლენების შემდეგ მანუკი ქალაქის პროკურორმა გამოიძახა, ინიციატივის გამოჩენისთვის მადლობა გამოუცხადა და სთხოვა, ოფიციალურად მოეკიდა ხელი ამ საქმისთვის. პროკურორმა მანუკს ურჩია, არსებული მასალებისთვის დაერთო ფელეტონში აღნიშნული ბოროტმოქმედების ფაქტებიც. მანუკი დიდი გატაცებით შეუდგა ძიებას, მაგრამ იგი რამდენიმე დღეში იმავე პროკურორმა გამოიძახა და სთხოვა დაებრუნებინა მასალები, რის მოტივადაც ის მოუყვანა, რომ ერთმა ზემდგომმა ინსტანციამ მათი გაცნობა მოისურვაო. რამდენიმე დღის შემდეგ გამომძიებელს უარი ეთქვა, სისხლის სამართლის საქმე აღეძრა ვეზირიანის წინაამდეგ. ზემდგომი ორგანიზაცია შემოიფარგლა ვეზირიანის მოხსნითა და მისთვის პარტიული საყვედურის გამოტანით. კარო ბადამიანსაც პარტიული საყვედური გამოუცხადეს.
მანუკი აღაშფოთა ამ ამბავმა. მისი აზრით, ვეზირიანის მიმართ აუცილებლად უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე და ამის თაობაზე დაწერა პროტესტი რესპუბლიკის პროკურორის სახელზე. არავითარი პასუხი. შემდეგ მანუკმა შეიტყო, რომ სამუშაოდან მოხსნის მეორე დღესვე ვეზირიანი სხვა გაერთიანების სამშენებლო სამმართველოს უფროსად დაუნიშნავთ.
ამას რომ ჰყვებოდა, მანუკი ლამის ტიროდა. მე ხელი ჩავიქნიე, ნეტაი შენ, ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ, იმათთვის ესეც საკმარისია-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ დავაშოშმინე: „ამას ასე არამც და არამც არ დავტოვებ, ამ საქმეს უსიკვდილოდ მივიყვან ბოლომდე“.
ცუდ გუნებაზე დავცილდით ერთმანეთს.
მეორე დღეს რედაქციაში მივედი. რედაქტორი არ იყო, მაგრამ მითხრეს, სადაცაა მოვა, მანქანა გამოიძახაო. მისაღებში გაზეთის ახალ ნომერს ვათვალიერებდი, როცა ჩამოვარდნილი სიჩუმით ვიგრძენი, რომ რედაქტორი შემოვიდა. მაშინვე ავდექი.
- ა, ლევონიან, დაბრუნდი? – ხელი ჩამომართვა სარიანმა, - შემო, შემოდი. აბა, ვნახოთ, რა ახალი ამბები ჩამოგვიტანე დედაქალაქიდან.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

კაბინეტში ბოდიში მომიხადა და, თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ საგრძნობლად აღელვებულმა რამდენიმე ადგილზე დარეკა. შემდეგ, რაკი რომელიღაც მის შემაწუხებელ შინაგან კითხვას პასუხი ვერ უპოვა, მხრები აიჩეჩა, იდაყვებით მაგიდას ჩამოეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.
- აბა, მითხარი, ახლა რა იცი?
ვიცოდი, რომ მას სპორტი არ აინტერესებდა, მოსკოვის სპორტული დღესასწაული კი უჩემოდაც საკმაოდ დაწვრილებით იყო გაშუქებული გაზეთში, მაგრამ არ შემეძლო, არ შემეძლო მისთვის ყველაფერი დაწვრილებით არ მომეთხრო. დროდადრო თავს მიქნევდა, მე კი ზუსტად ვიცოდი, რომ არ მისმენდა. მრუმე-ცისფერი თვალებით კედელს მისჩერებოდა. აშკარა იყო, რომ არ ეზეიმებოდა. როგორ და რაზე მელაპარაკა? გავჩუმდი. რედაქტორი შეტოკდა, მას სიჩუმე ტანჯავდა:
- მერე, მერე?
- ამხანაგო სარიან, თქვენ გითხრეს, რით დამთავრდა ფელეტონის გაწამაწია?
ვიცოდი, რომ ის პატიოსანი კაცი იყო. გაწითლდა, გაბრაზდა, გაწითლდა, გაბრაზდა, ცხვირსახოცი ამოიღო და ციებ-ცხელებიანივით დაუწყო სათვალეს წმენდა.
- მითხრეს. მერე რა?
- რატომ არ მისცეს ვეზირიანი პასუხისგებაში?
სარიანმა სათვალის წმენდა განაგრძო და მკითხა:
- განა ცოტაა, ამხანაგო ლევონიან, რომ ის მოხსნეს? თანაც, მას ხომ საყვედურიც გამოუცხადეს?
- მოხსნეს, კი, ბატონო, მაგრამ... - ხმაში გაავება შემეტყო, - მაშინვე მეორე სამმართველოს უფროსად დანიშნეს.
- აბა, შენი აზრით, აღარ უნდა ემუშავა?
- კი, მაგრამ, მან ხომ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სახელმწიფოს ატყუებდა. გახსოვთ, ამხანაგო სარიან, თქვენ ამბობდით...
- ვამბობდი... ვამბობდი... - რედაქტორმა თითების მტვრევა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, - ვამბობდი და ვამბობ კიდეც, მაგრამ სხვები სხვას ამბობენ, ამხანაგო ლევონიან... ეგრეა და რას იზამ?.. და, თანაც, ამხანაგო ლევონიან, არის რაღაც, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს...
კაცი ცუდად იყო. ამ დღეში იგი არასოდეს მენახა.
აქამდე ის სხვის სიტყვებს იმეორებდა, - განა ვეზირიანი სამსახურიდან არ მოხსნესო? ერთგან თუ მოხსნეს, საერთოდ არ უნდა იმუშაოსო? - მაგრამ გულში სხვა ტკივილი ჰქონდა. ახლა იტანჯებოდა იმიტომ, რომ იძულებული იყო, თავისი სტუდენტისთვის ეთქვა სრულიად საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც უნივერსიტეტის კათედრიდან უქადაგებდა.
გუნებაწამხდარი, გაავებული, დაბოღმილი, ბოლთას სცემდა თავის კაბინეტში და მე არ შემეძლო მისი ასეთი ტანჯვისთვის მეცქირა. ალბათ, იმაზე გულშემაღონებელი არაფერია, როცა შენი თვალით ხედავ ძლიერი და პატიოსანი ადამიანის უმწეობას და ვერაფრით შველი. ძალიან ვინანე, რომ რედაქციაში მოვედი. რატომ მოვედი? განა ცოტაა, რომ ამ ადამიანმა, ალბათ პირველად თავის სიცოცხლეში, დაიხია უკან, ვინ იცის, რა დიდი ძალის წინაშე, პირველად ჩაიქნია ხელი, პირველად დათმო თავისი წმინდა პრინციპები. მე კი ბრიყვულად მოვედი აქ და... ეს ხომ შეუბრალებლობაა...
- იცი, რა ლევონიან? - ახლა რედაქტორის ხმაში სითბო, თითქმის ალერსი ჩაიღვარა, - იცი რა, შესაძლოა, მე არც მქონდეს უფლება, რომ გელაპარაკო ზოგიერთ დასანან, სამწუხარო ჭეშმარიტებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არის ზოგი რამ, რასაც შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს. ესაა სამუშაო. ზოგჯერ იძულებული ვართ, ზოგი რამ დავთმოთ, რათა სხვა

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

საკითხები მაინც გადავჭრათ. ჰო, ეგრეა, ეგრე. რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? მათ მაქინაციებს ხომ ფარდა აეხადა. სახელმწიფოს ზარალი აუნაზღაურდა. დაბეჭდეს ფელეტონი, კაცი ამხილეს და საზოგადოების სამსჯავროს გადასცეს. თუ კარგად ავწონ-დავწონით საქმეს, ეს ცოტა როდია.

- რასაკვირველია, - თვინიერად დავემოწმე.

- თუ მიაქციე ყურადღება, რომ ჩვენ დღემდე არ გამოგვიქვეყნებია არცერთი სტრიქონი განყოფილებაში „გამოქვეყნებული მასალების კვალდაკვალ“. მაგრამ ისინი... მეტის გაკეთება, ალბათ, შეუძლებელი იყო. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში...

- რასაკვირველია, - ჩუმად დავეთანხმე.

უცებ, შევხტი, ისე მიყვირა რედაქტორმა.

- რა „რასაკვირველია, რასაკვირველია“ აგიტყდა? არავითარი „რასაკვირველია!“ ასე არ უნდა იყოს, არა! ჩვენ ცოტა არ გაგვიკეთებია. მაგრამ მეტი უნდა გავაკეთოთ. მძიმე დღეები გამოვიარეთ, ომი ვნახეთ... და, თანაც, ჩვენ ხომ მოჯამაგირეების, ტანჯული გლეხების შვილები ვართ და ეს დაწყევლილი ბეჩავობა, თვინიერება, ალბათ, სისხლში გვაქვს გამჯდარი. თქვენ კი ჩვენი შთამომავლები ხართ, ჩვენზე ძლიერნი, ჩვენზე უკეთესები უნდა იყოთ!..

მან აკანკალებული ხელით სათვალე გაიკეთა, მკაცრად შემომხედა, საწერ მაგიდაზე ჩამოჯდა და ხაზგასმულად უხეშად თქვა:

- ენად გავიკრიფეთ, მაგრამ როდისმე ეს ასე იქნება. მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაილაის. სხვა საქმე ხომ არაფერი გაქვს?..

რაიმეს თქმის თავი არ მქონდა. არ შემეძლო. ყოველივე ეს ჩემთვის ძალზე რთული, ძნელად ჩასაწვდომი იყო. თვითონვე უნდა გამეაზრებინა ყველაფერი, და მაშინვე გამახსენდა გუშინდელი შეხვედრა რადიოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგესთან. მან მითხრა, ლორში საკუთარი კორესპონდენტის ადგილი გამოჩნდა და მინდა შენ გაგაგზავნოო. გადაჭრით ვერ ვუპასუხე, რადგან არ ვიცოდი, რას მეტყოდა სარიანი. მაგრამ ახლა არამც და არამც არ მინდა რაიმე ვათქმევინო ამ საკითხზე. მეტისმეტი მომდის!

- ამხანაგო სარიან, - ვუთხარი მე, - გულახდილად რომ გითხრათ, მე თქვენთან დასამშვიდებლად მოვედი. თქვენს უნახავად ვერ წავიდოდი.

- რატომ? საით გაგიწევია? - გაუკვირდა.

- ლორში მივდივარ რადიოს კორესპონდენტად. უკვე გამაფორმეს.

ჯერ მოიღუშა, მერე შუბლი გაეხსნა, მერე ისევ მოიღუშა იმიტომ, რომ მივუხვდი, რა დღეშიც იყო, და ისევ გაბრაზდა, სახე აუჭარხლდა.

- არა და არა! - მაგიდაზე ხელი დაარტყა, - არა-მეთქი! არსადაც არ წახვალ. შენ აქ უნდა იმუშაო. მორჩა. ცოტა დრო მჭირდება, ცოტა და ყველაფერი მოგვარდება. მე იმათ მოვახსენებ, რომ...

- არ არის საჭირო, ამხანაგო სარიან, ძალიან გთხოვთ. უხერხულია, იქ უკვე გამაფორმეს. თანაც, მე თვითონ მინდა ლორში წასვლა. მთელი ჩვენი გამოშვება რაიონებშია, ულამაზოც იქნება, მე რომ აქ დავრჩე. სხვა თუ არაფერი, მე ხომ ჩემს მშობლიურ კუთხეში მივდივარ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის... დიდი მადლობა...

სულმოუთქმელად მივაყარე ეს ყველაფერი და ახლა მის წინ ვიდექი ჩამოსართმევად გაწვდილი ხელით.

სარიანმა ერთხანს ჩუმად, უსიტყვოდ მიყურა, შემდეგ თავი გადააქნია და წამოდგა:

- კარგი, თუ ეგრეა, ეგრე იყოს. იქ წაიმუშავე ერთხანს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველამ იქ, ადგილებზე დავიწყეთ. შვილო.

... - რაო, რა გითხრა რედაქტორმა? - მკითხა ბაბკენმა.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

- სარიანი დიდებული კაცია, ბაბკენ.
დედა შემოდის, ნანარისთვის ხელი ჩაუვლია, ჩემოდნებთან მიჰყავს.
- ამ ჩემოდანს, რომელსაც „ნ“ აწერია, მისცემ ჩემს დას ნორინზარს, ამას კი, „ვ“ რომ აწერია – ვარსენიკს. არ აგერიოს, შვილო.
- არ აერევა, ასოები არ იცის, თუ? - იცინის სედა და ძლივს კეტავს ბოლო ჩემოდანს.
თითქოს, უკანასკნელი საკეტის გაჩხაკუნებამ მისცა სიგნალიო, დედამ გულში ჩაიკრა ნანარი, გადაკოცნა და ქვითინი წასკდა:
- არტაკი შენთვის ჩამიბარებია, შვილო. კარგად მიმიხედე, გენაცვალე... შენ იცი.
- აბა, აბა! - გაბრაზდა მამა, - გზაზე დგანან ბავშვები, ტირილი როგორ შეიძლება - თან თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდს და ახველებს, - ეს ხველება ჩამიყვანს საფლავში, მე ვიცი...
რა ვქნა, დამიბერდნენ.
...ავტოსადგურთან, ჩვენს მანქანასთან მანუკი და ნვარდი გველიან.
- კარგი ვინმეები ხართ. ავტობუსი სადაცაა დაიძვრება.
სწრაფად გადმოგვაქვს მანქანიდან ჩემოდნები და ავტობუსთან ვაწყობთ. შიგნიდან ალერსიანი თანაგრძნობითა და კმაყოფილებით, ლამის სიამაყით ჩამოგვცქერიან თავიანთ სავარძლებში მშვიდად მოკალათებული მგზავრები. ავტობუსის მძღოლი გასაღებების შეკვრას ატრიალებს და მოძალებულ მგზავრებს იგერიებს:
- არ შემიძლია, ოქრო, ყველა ბილეთი გაყიდულია. ბილეთი თუ გაქვს, ადგილი თუ გაქვს, მობრძანდი, გენაცვალოს ჩემი თავი! ისე არ შემიძლია...
- აბა, ჩვენს წასვლასა და თქვენს დარჩენას გაუმარჯოს! ისე, საქორწინო მოგზაურობისთვის ახლა ლორი ძალიან რეკომენდებულია. ასე რომ, გელით!
მანუკი იცინის.
- არა, ჯერჯერობით მაგისთვის არ მცხელა. გუშინ გამომიძახეს, მოსამართლედ გვინდა აგირჩიოთო. სულ იმ საქმის გამოა, თავზე რომ მევლებიან, - თვალს მიკრავს მანუკი, - ოღონდ, შევეშვა და მოვასვენო. მაგრამ არ დაიჯერო! სანამ მინისტრად არ დამსვამენ, არ მოვეშვები. შენ კიდე წადი, გაემგზავრე, ძმაკაც, წადი იმისთვის, რომ მობრუნდე. მე თუ არ ვცდები, დავით სასუნელმა გარკვეული მიზნით დიარბექირამდე იარა. ვკოცნით ერთმანეთს, ვეხვევით. ძალიან, ძალიან გამიჭირდება უამათოდ.
- ნანარ, წამო, ნანარ!
ბოდიშ-ბოდიშით ვაღწევთ ავტობუსის კარამდე. მძღოლი ისევ ათამაშებს გასაღებს და ჩვენც, სხვებივით გვეკითხება:
- ადგილი თუ გაქვთ, ადგილი!

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ოცდამეცხრე თავი
ამქვეყნად ყველაზე ძნელი რბოლაა

- ყურადღება, ყურადღება! ათი წუთის შემდეგ რესპუბლიკურ სტადიონზე სტარტი მიეცემა მარათონულ რბოლას. მონაწილეები ერთ წრეს გააკეთებენ სტადიონზე, შემდეგ შეჯიბრებას განაგრძობენ ქალაქგარე გზატკეცილზე.
ხალხით გაჭედილი სტადიონი მოუთმენლად ელოდა ფეხბურთის მატჩის დაწყებას. დიქტორის ხრინწიანი ხმა ხან ისმოდა, ხან იკარგებოდა. გულშემატკივრების გუგუნში რაკი უზომოდ დიდი იყო ინტერესი ფეხბურთის მატჩისადმი, ბევრს არც მიუქცევია ყურადღება სპორტსმენებისთვის, რომლებიც აღელვებულნი ბოლთას სცემდნენ სარბენ ბილიკზე. არადა, მეტი ყურადღების ღირსნი იყვნენ. ორმოცდაორი კილომეტრისა და ას ოთხმოცდათხუთმეტი მეტრის გარბენას ეხუმრებით? მარათონელების თეთრი, ქათქათა პერანგები უფრო მეტად უსვამდა ხაზს მათი დაკუნთული მკლავებისა და ძლიერი კისრების გარუჯულობას. მღელვარებისგან ფეხები ისე უტოკავდათ, როგორც ნახტომისთვის გამზადებულ დოღის ცხენებს.
ორკესტრმა საზეიმო მარში დასცხო და მარათონელებმაც დაიწყეს დისტანცია. მშვიდად, მსუბუქად, თავაღერილნი მირბოდნენ. ხალხს ყურადღებას არც აქცევდნენ, მხოლოდ წინ იყურებოდნენ. მიზანი ჰქონდათ და ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ამ მიზანს მიაღწევდა. დარწმუნებული რომ არ ყოფილიყვნენ, რატომ შეუდგებოდნენ ორმოცდაორი კილომეტრისა და ას ოთხმოცდათხუთმეტი მეტრი სიგრძის დისტანციას? და როცა ქათქათაპერანგა მორბენლების გუნდმა წრე გაასრულა და სტადიონიდან გაქრა, უცებ მომეჩვენა, რომ ეს თეთრი მტრედების გუნდი იყო და ის მტრედები მე ავაფრინე ტიგრან-ახპარის ფარდულის ბანიდან.
...მტრედები მიფრინავდნენ ზევით-ზევით, ცისფერში თეთრ ხაზებს ავლებდნენ, გზებზე ბრწყინავდა ქათქათა ფრთები. მე კი გულაღმა ვიწექი ტიგრან-ახპარის ფარდულის სახურავზე, ნახევრად თვალდახუჭული გავცქეროდი მათ ლამაზ ტალღას და მტრედებს თან ვადევნებდი ჩემს ოცნებებს. თუ მეორე წრეში პირველი მტრედი ჩამორჩება, ხვალ საკონტროლოში ხუთიანს მივიღებ-მეთქი, ჩავუთქვი, თუ მესამე მტრედი გავარდება წინ, მელიქის წერილი მოგვივა. თუ ამ მოსახვევში აი, ის, ის მტრედი დაწინაურდება, მამა ველოსიპედს მიყიდის. სამი მომდევნო წრის შემდეგ ერთი მტრედი მაინც თუ ჩამორჩება გუნდს, წელს მოვკვდები. და ფარფატებდნენ, ფარფატებდნენ ცაში ჩემი ბავშვური, ხან უიმედოდ, უსაშველოდ შავბნელი, ხან სასწაულად ნათელი ოცნებები და ყოველი აფრენილი მტრედის ბედი გულს მიფანცქალებდა.
უცებ ვიგრძენი, რომ ეს გადამწყვეტი ფეხბურთის მატჩი სულ არ მაღელვებდა. სუნთქვაშეკრული ზღვა ხალხი თვალს არ აცილებდა ტყავის წითელ ბურთს. მე კი ვფიქრობდი იმ მარათონელებზე, რომლებმაც ეს-ესაა საზეიმო განწყობილებით, ამაყად თავაღერილებმა დატოვეს სტადიონი, თეთრპერანგიანი თეთრი მტრედებივით შეერთვნენ სივრცეს და თან წაიყოლეს ჩემი ოცნებებიც და ახლა მათ სახელზე ჩავდივარ ყველაფერს, რაც კი მაქვს, მთელს ჩემს განძსა და სიმდიდრეს მისხლის დაუკლებლად.
არ ვიცი, მოვიგებ თუ არა ნაძლევს, მაგრამ წუწუნსა და ბუზღუნს არ დავიწყებ, ბედის ძვირს არ ვიტყვი. მე ვიქნები ყოველ მათგანთან და ყოველ მათგანში. ვიცი, რომ მარათონი ყველაზე ძნელი რბოლაა ამქვეყნად და მასში ყველა მონაწილეობს. მას იწყებენ თეთრი, ქათქათა პერანგებით, საზეიმო მსუბუქი ნაბიჯებით. გამარჯვებაში დარწმუნებულნი, გამარჯვებით კი ცოტანი იმარჯვებენ. მაგრამ მთავარი გამარჯვება როდია. მთავარი ისაა, რომ მე მათთან ვარ.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

ისინი მე ვარ. მე ვარ ის ტრავმირებულიც, რომელიც შეჯიბრებიდან გადის. ის იმედგადაწურულიც, რომელიც უკანასკნელ ნაბიჯებს დგამს რის ვაი-ვაგლახით, ისიც, ფინიშამდე ორიოდე ნაბიჯზე რომ დაეცა, და ისიც, რბოლას რომ განაგრძობს. მისი პერანგი უწინდებურად ქათქათა ვერაა, უწინდებურად სწრაფად და მსუბუქად ვერ მირბის, მაგრამ მირბის... მირბის...

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org

Калантариян Арташес Пирагаевич

Марафон

Роман

(На грузинском языке)

Издательство "Мерани" пр. Руставели 42.

Тбилиси 1985

რედაქტორი ი. ლეჟავა

მხატვარი რ. მახარაძე

მხატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია

ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი

კორექტორები: ნ. ლომაძე, ი. დეკანოიძე, ე. ჩიკაშუა

გამომშვები ნ. ხავთასი

ჩაბარდა წარმოებას 20.11.85. ხელმოწერილია საბეჭდად 9.04.85. ფორმატი 84X108 1/32. საბეჭდი ქაღალდი #2. გარნიტურა ჩვეულებრივი, ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13.02. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 11,22. ტირაჟი 20.000 ეგზ. შეკვეთა #2737

ფასი 75 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“ რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1985.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგ, ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი #7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы №7.

Copyright © Artashes Kalantarian Foundation ~ http://kalantarian.org/artashes ~ artashes@kalantarian.org